



# ქსე



ლიტერატურული ჟურნალი

№3 (30)

ქსე

2016



დანიკითხეთ რაზო ადამიანს

მოდხროვა „ქსე“



მხალ რთმ  
კუყურებ...

ჟიფრნის მხაიბე  
ჟიფრნის, რისა –  
ჟიფრებს

ერთვიან...

მხალ რთმ  
კუყურებ,

მას მბრინია,  
რთმ... მხა –

ღმერთია...\*



# OLE

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
*სულხან საბა*

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

## მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი

**რედაქტორები:**  
ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-  
მართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტე-  
ტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**)  
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-  
პალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდ-  
რე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №3 (30), 2016



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



## შინაარსი

### აქტუალური ინტერვიუ

**2. ირაკლი სანიაშვილი.** ჩემი მიზანია, თბილისისა და ბათუმის მსგავსად, თელავი მესამე ცენტრად იქცეს

### სიტყვა ახალგაზრდა მწერალთა გასაგონად

**4. ზარნა რაინა.** ილიას გულით, ილიას გზით, ილიას სიბრძნით...

### მსატვრული ლიტერატურა

- 6. რეზო ადამია.** მზე. მოთხრობა
- 25. ანა ერისთავი.** ლექსები
- 29. ანი რაინაული.** ექო. მოთხრობა
- 32. ნანა მიწარიშვილი.** ლექსები
- 35. შოთა კობიაშვილი.** ლექსები
- 36. ვახტანგ ჭანკოტაძე.** აღმასა. მოთხრობა
- 39. ევსო იჭირაული.** ლექსები

### მწერლის გასხენება

**41. შალვა შარაშიძე.** მიჯაჭვული ამირანი. ფრაგმენტი რომანიდან

### დოკუმენტური პროზა

**46. ნინო გაქანიძე.** „მარშლიანთ“ სასახლის სტუმარი

### ქრისტიანული პოეზიის VI ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

**50. მურად მთვარელიძე, ნინო მოღრაკილაძე, კახა შალვაშვილი, მანანა ქურდაძე, ელდარ ჭიჭიაშვილი, გივი ჩიღვინაძე, მაკა ბელაშვილი.** ლექსები

### თარგმანი

**54. გერმანე სადულავეი.** ღვთის მანანწალა. მოთხრობა

### წერილები

**61. როინ ჭიკაძე.** ნიკო ლორთქიფანიძის პროზის ენობრივი ექსპრესია

### ხელოვნება

**63. ნუნუ ძამუკაშვილი.** მომავლის მხატვარი

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია **ზარნა რაინას** ლექსი.

\*ღმერთი, რომელსაც მე თვალთ ვუყურებ, ეს – მზეა“... – ნაპოლეონ ბონაპარტი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

## ჩემი მიზანია, თბილისისა და ბათუმის მსგავსად, თელავი მისამაი ცენტრად იქცეს

**გვესაუბრება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თელავისა და ყვარელის გაერთიანებულ ოლქში ირაკლი სესიაშვილი:**

— ირაკლი, პრემიერმა თელავისა და ყვარელის გაერთიანებულ ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად წარგადგინათ. რატომ შეჩერდა ამ ოლქში თქვენზე არჩევანი?

— ეს ჩემი არჩევანი იყო, პოლიტ.საბჭოს თელავში ჩემი კანდიდატურა თავად შევთავაზე იმიტომ, რომ ამ ქალაქთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს — ჩემი ბებია და პაპა, მამაჩემიც აქ ცხოვრობს, მყავს

ვსაუბრობთ, არამედ კარგზეც — თუ რა გაკეთდა, რა უფრო უკეთესად შეიძლება გაკეთდეს, კიდევ რისი გაკეთებაა შესაძლებელი და ა.შ. ასე, რომ სამუშაო პროცესში ძალიან აქტიურად ვარ ჩართული, ჩემს „ფეის-ბუქს“ თუ ადევნებთ თვალს, იქაც ნახავთ ჩემს აქტივობებს. „ქართულ ოცნებას“ კარგი პერსპექტივები აქვს იმიტომ, რომ ხალხი ხედავს რომ სოფლის მეურნეობამ მთლიანად კახეთში ძალიან დიდი ფული შემოიტანა. მაგალითად, რამდენიმე

დღის წინ წინანდალში გახლდით და მხოლოდ აქ, ბოლო სამწელიწად ნახევარში მარტო ყურძნის შემოსავლიდან 10 მილიონი ლარი გლეხის ჯიბეში წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, მახარებს, თუმცა პრობლემებსაც ძალიან ბევრს ვხედავ. ორივე რაიონი გაზიფიცირებულია, სამი სოფელიც დარჩა — საბუე, ალმატი და შაქრიანი, რომელთა გაზიფიცირების პროექტი მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ასევე, იგება გზები, რემონტდება სკოლები, კეთდება ბაღები, სკვერები. სამი დღის წინ კიდევ გავხსენით ერთი სკვერი შილდაში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიხარია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ყოველდღიურად ვმუშაობთ, თვითკმაყოფილები არ ვართ. თელავში წყალი ყოველთვის ჭირდა. ახლა, აქტიურ



ირაკლი სესიაშვილი

ფაზაში შევიდა 32 მილიონიანი პროექტი, რის შედეგადაც მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება, რაც ჩვენი მხრიდან წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ნელ-ნელა ყველაფერს მივხედავთ.

— ირაკლი, როცა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა წარგადგინათ, მან აღნიშნა: ხალხს ყველაზე მთავარი მივეცით, რაც მას სახემწიფოსგან სჭირდება — ღირსეული მოპყრობა, დაფასება და ზრუნვაო. თუმცა, პრობლემების არსებობაზეც გაამახვილა ყურადღება. თუ გაეცანით კონკრეტულად, რა პრობლემები აწუხებს მოსახლეობას, თქვენი აზრით, პირველ რიგში, რა უნდა გამოსწორდეს?

— გამოსასწორებელი არცთუ ცოტაა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გზები ბევრგან დაიგო, ეს პრობლემა ბოლომდე მოგვარებული არ არის. ასევე, პრობლემაა საგარეულების მხრივაც. ასევე, არსებობს მაღალი დაბვის გაყვანილობის პრობლემაც. იმიტომ, რომ კახეთში მომუშავე კერძო კომპანიები არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში არიან — ზოგი მათგანი გაკოტრების პირასაა მისული. იმიტომ, მომდევნო წლებში, სახელმწიფო, ალბათ, ამ მიმართულებითაც ძალიან სერიოზულად იმუშავებს, რათა ცენტრალურ მაგისტრალზე ელექტრო-გაყვანილობა გაუმჯობესდეს. რა თქმა უნდა,

ძალიან ბევრი მეგობარი და უბრალოდ, ჩემი თელავი ძალიან მიყვარს. მიმაჩნია, რომ თელავი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული, განსაკუთრებული ქალაქია თავისი ხალხით, კულტურით, მენტალიტეტით, პოტენციალით, სტუმართმოყვარეობით, ღვინით და ა.შ. იმიტომ, საჭიროდ ჩავთვალე ამ ქალაქის აღორძინებაში წვლილი მეც შევიტანო იმდენად რამდენადაც „ქართული ოცნების“ პოლიტ.საბჭოს ერთ-ერთი წევრი ვარ, ასევე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ანუ, მთელი რიგი მიმართულებებით დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია. ყოველთვის მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ასევე, ჩემი პასუხისმგებლობაა ჩემს საყვარელ თელავზე და ყველაზე ვიზრუნო.

— მას შემდეგ რაც თქვენი წარდგინება მოხდა თუ შეხვდით თელაველ მოსახლეობას, როგორია მათი განწყობა?

— თელავსა და ყვარელში არსებული ყველა პრობლემა შევისწავლე. შეხვედრები მქონდა გამგებლებთან, მერებთან, გუბერნიის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა სამსახურებთან. მთელი რაიონის პრობლემები შევისწავლე, მოსახლეობის დიდ ნაწილს უკვე შეხვდები. ასევე, ჩემს აქტივს, დაახლოებით, 150 კაცს. რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდებს შევხვდი, აქვე, მოვიარე ექვსი სოფელი. დღე და ღამე გარეთ ვარ. ჩვენ არამარტო მთელ რიგ პრობლემებზე



საყურადღებოა კეთილმონყობის საკითხებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში ამ კუთხით ბევრი რამ გაკეთდა. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, წყლის პრობლემა, მეტ-ნაკლებად გადაჭრილია, ვიდრე აქამდე იყო. მოსაგვარებელია მელიორაციის, არხების გაყვანის საკითხებიც, ბევრგან ეს პრობლემა აღმოფხვრილია, თუმცა, ბევრგან კვლავ პრობლემად რჩება, რის მოგვარებასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ. მე, მოსახლეობას შეხვედრების დროს პირდაპირ კახურად, ალაღად ვუხსნი, რომ შარშან აქ თუ გაკეთდა რაღაც, წელს სხვაგან უნდა გაკეთდეს და ასე ავალორძინებთ წელ-წელა მთელს რეგიონს. კახელი კაცი ყველაფერს შესანიშნავად იგებს როცა ისე ელაპარაკები როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. მთელი ქვეყანა ხომ ჩვენი დიდი ოჯახია. ასე, რომ ამ მხრივ, ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ.

**— თქვენ ამბობთ, რომ წელ-წელა რეგიონს ადორძინებთ. როგორი იქნება კახეთის რეგიონის ადორძინების თქვენეული ხედვა. რას პირდებით მოსახლეობას, როგორი იქნება მათთვის მომდევნო ოთხი წელი?**

— რაც ყველაზე მთავარია, მინდა თელავი ისეთივე გამორჩეული ქალაქი გახდეს როგორც თბილისია. ჩვენს დედაქალაქთან ერთად კიდევ ერთი გამორჩეული ცენტრია ბათუმი. სწორედ, ასეთივე გამორჩეული ცენტრი უნდა იყოს თელავი მთელს კახეთში. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში ტურიზმის ძალიან დიდი პოტენციალია. მელვინეობა, მევენახეობა ეს ის კულტურული ღონისძიებებია, რაც კახეთისთვის ცხოვრების ნაწილი, ტრადიციაა. მაგალითად, ამას წინათ, კახეთში საქმიანი შეხვედრა მქონდა დანიშნული და იმდენი ტურისტები იყო, კაფეში ადგილი ვერ ვნახე რომ დავმჯდარიყავით. ტურისტები ბავშვებით არიან ჩამოსული, რაც ძალიან მიხარია. ტურიზმის განვითარება უმნიშვნელოვანესია იმიტომ, რომ სწორედ ამ პროცესს მოსდევს სოფლის მეურნეობის, ვაზის მიმართ ინტერესი. მინდა, რომ აეროპორტი გამართული, გაძლიერებული იყოს, ჩვეულებრივ რეისებთან ერთად, მათ შორის, ჩარტერული რეისებიც მიიღოს, რითაც ტურიზმი ძალიან სერიოზულად გაიმართება. ზუსტად ვიცი, რომ ტურისტები თბილისში ჩამოსვლისას იქვე, აეროპორტში მანქანაში სხდებიან და პირდაპირ კახეთში მოდიან. კარგი იქნება თუ კახეთშივე შევთავაზებთ აეროპორტს, რომელზეც გუბერნიამ იზრუნა და იქ, პატარა სასანავლო ცენტრიც კი არის გაკეთებული. თუმცა არსებობს სამართლებრივი პრობლემებიც ერთ-ერთ თურქულ კომპანიასთან — „ტავთან“, რომელთანაც წინა ხელისუფლებამ ხელშეკრულება გააფორმა რის შედეგადაც 150 კილომეტრის რადიუსში უფლება არ გვაქვს აეროპორტი ჩვენ თვითონ გავაკეთოთ. თუმცა, მინდა, ამ თემაზე, ძალიან სერიოზულად ვიმუშაო. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, კახეთი თორმეტთვიანი ტურისტული ცენტრი გახდება. ნეტავ, განახათ რამდენი ღვინის სახლია, ტურისტები ამით ძალიან კმაყოფილები არიან. პირდაპირ გეუბნებით, ორი-სამი დღის წინ ფრანგი ოჯახი მანქანით გაჩერდა და შემეკითხა ღვინო შატო-მუხრანის სად შეიძლება დავაგემოვნოთო. რამდენიმე მიმართულება მივეცი. ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ იმით, რომ ამ პატარა ქალაქში, ამ პატარა რაიონში ამდენი შატოა, ჩვენ მხოლოდ ერთი გვეგონაო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია. ამიტომ, გარდა მოსახლეობის პრობლემისა, რაც უფრო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხია, ბევრი სასიამოვნო ფაქტიც არსებობს. რა თქმა უნდა, მეც ჩვენი მოსახლეობის ხმა ვიქნები. ვფიქრობ, ჩემი სიღრ-

მისეული ხედვით თელავი ჩვენი ღირსშესანიშნაობის მესამე ცენტრად უნდა გადაიქცეს, სწორედ ისეთად როგორც თბილისი და ბათუმი.

**— ირაკლი, წელს სოფლის მეურნეობა ახსენეთ, კახეთში საკმაოდ უხმოსავლიანი მიწაა, მაგრამ წლების მანძილზე გლახს მოსავალი უღპებოდა. რა ხდება ამ მიმართულებით?**

— ძალიან კარგი შეკითხვაა. როცა გლახებს ვხვდები და ველაპარაკები, მათ ვეკითხები: რა ღირდა ერთი ჰექტარი მიწა 2012 წელს, მპასუხობენ 2-3 ათასი ლარიო. როცა ვეკითხები დღეს, რა ღირს-მეთქი, პასუხი საკმაოდ შთამბეჭდავია — 10 ათასიო. ოღონდ მიწას ვერ იშოვი, ყველას ათვისებული აქვს. გლახი უკვე ხედავს, რომ მიწას ფასი აქვს და მუშაობს, სახელმწიფოც ეხმარება, ძალიან ბევრი პროგრამა მოქმედებს, მათ შორის, „ანარმოე საქართველოში“. მარტო კახეთის რეგიონში ბოლო სამწელიწადნახევარში 53 სრუ-



ლებით ახალი სანარმო გაიხსნა და 360-ამდე სანარმო გადაიარაღდა. საერთო ჯამში, თუ არ ვცდები, ამ საქმეზე, 94 მილიონია დახარჯული. გლახთან ბოლო ოთხი წლის მანძილზე, სოფლის მეურნეობის გარდა სხვა აქტივობებითაც, პირდაპირ მის ჯიბეში დაახლოებით, 80 მილიონი წავიდა. ამიტომ, ხალხმა დაინახა რომ შრომა ფასდება, სოფელი აღორძინდა, აქეთ, მთის კანონი ეხმარება მაღალმთიან რაიონებს, სოფლებს, ხალხი ხედავს ჯანდაცვის პროგრამის კეთილდღეობას საკუთარ თავზე და ა.შ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პრობლემები არის, მაგრამ რაც მთავარია, კახელი კაცი რომელიც თავის სიალაღით, სოფლის მიწის სიყვარულით გამოირჩევა ხედავს, რომ არავინ ანუხებს, შრომა ფასდება და ბიზნესი ვითარდება. ეს ყველაფერი გადამდებია.

**— ირაკლი, ბოლოს მინდა „ქართული ოცნების“ ახალ სახეებზეც გკითხოთ. ძველ სახეებს და მათ საქმიანობას ქართველი ხალხი მეტ-ნაკლებად იცნობს, მაგრამ რამდენად ენდობიან ახალ სახეებს და რამდენად გაჰყვება მათ მოსახლეობა არჩევნებში?**

— არაჩვეულებრივად ვართ შერწყმული, ერთმანეთთან ყოველდღიური, გულწრფელი კავშირი გვაქვს. უფრო მეტიც, ყოველსაათობრივი ურთიერთობა გვაქვს, ერთად ვიხილავთ მნიშვნელოვან საკითხებს, ახლაც, თქვენ რომ გელაპარაკებით, ერთ-ერთი მათგანისგან მესიჯი მომივიდა, ვსაუბრობთ პროგრამაზე და ა.შ. ვინც ამბობს, რომ ურთიერთობა არ გვაქვს, ის ჩვეულებრივი მარტივი ჭორიკანაა. ჩვენ აუცილებლად ერთად გავიმარჯვებთ და ხალხის ნდობასაც გავიმართლებთ.

**თამარ შველიძე**  
„საერთო გაზეთი“ N 32, 24 აგვისტო, 2016 წელი





ფარნა რაინა

მიმდინარე წლის 21 ივნისს მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყო ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში — „ჩვენ მოვდივართ“ — გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე ფარნა რაინა. გთავაზობთ ამ სიტყვას.

ილიას გულით, ილიას გზით, ილიას სიბრძნით...

ჩვენო ძვირფასო, ახალგაზრდა მწერლებო, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, უპირველეს ყოვლისა, გულმხურვალედ მოგესალმებით, გილოცავთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებასა და ჟურნალ „ოლეს“ ახალი ნომრის საზეიმო წარდგენას.

მე, დღეს, არ ვაპირებდი სიტყვით გამოსვლას, მაგრამ, მინდა ახალგაზრდა მწერლებს ყურადღება მივაპყრობინო, ზოგიერთ, კარდინალურ საკითხზე: XXI საუკუნეში, ატომის, კიბერნეტიკის, ავტომატიკის, ტელემექანიკის, რობოტოტექნიკის საუკუნეში, კოსმოსის ერაში კაცობრიობა ზნეობრივი უფსკრულისაკენ მიექანება და არ შემოიძლია, ჩემი გულისტკივილი არ გამოვხატო...

მეცნიერულმა და ტექნიკურმა რევოლუციებმა, გარკვეულ პიკს მიაღწია, მაგრამ... ადამის მოდგმის მორალი, ლამის, მტვრად იქცეს. ამაზრზენია დღეს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ზნეობრივი დეგრადაცია, რაც გამოიხატება მრავალნაირი მარაზმით, ჯანდაბოთა და დოზანით. მე ღია ლაპარაკიც კი დიდ უხერხულობად და სირცხვილად მიმაჩნია იმ გარყვნილებათა სერიალებზე, ჩვენს მაღალ, ტრადიციულ, ზნეობრივ ჯებირებს რომ მოაწყდა და ანგრევს, თითქოს, პანდორას ყუთი გაიხსნა და საშველი აღარ ჩანს...

მასონთა კოშმარული ჩანაფიქრი ავისმომასწავებლად დასტრიალებს დედამიწას. სამართლიანი კაცობრიობის დასამარებისათვის, საყოველთაოდ ცნობილია დალესის — მორალური გადაგვარების დოქტრინა. ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს, სიცოცხლის ტოლფასია ზნეობა და მორალი. ამ ფონზე, რაოდენ მიუღებელია, ზოგი, ვაიქართველი ვაიკალმოსნის უხამსი, პორნო და ამორალური ნაწარმოებები. მედიასაშუალებებით იცით, ალბათ, მათი ავტორები.

რატომ გავამახვილე ყურადღება ამ ღვთის შეჩვენებულებზე? — ჩვენ არ გვინდა ისეთი მწერლობა, რომელიც შებღალავს: გენიალური რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას სახელებს, ვინც შებღალავს: დიდი გურამიშვილის, ილიას, აკაკის სახელებს, ვინც შელახავს ჩვენს თავმოსაწონებელ ტრადიციას, სახელოვან გმირ წინაპართა წმინდა სახელებს, ერს, ერის კულტურას და წარმოაჩენს არა მის მაღალ მორალსა და ღირსებას, არამედ, საუკუნო ლაფს დაასხამს, შერყვნის და შებღალავს.

დიდი ხანი არ არის, რაც მთელი კაცობრიობა დიდი დილემის წინაშე დადგა, — 2015 წლის 26 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინება, ხოლო, 2016 წლის 11 მაისს იტალიის პარლამენტმა კანონი მიიღო ამ უზნეობის დაკანონების შესახებ(!)

ეს, — ანტიმორალური აქტი კანონად მიიღო აგრეთვე კაცობრიობის ცივილიზაციის სათავემ — საბერძნეთმა. გაოგნებულია ღვთისმოსავი სამყარო, ეს სხვა არა არის, თუ, არა — ღმერთის უარყოფა, რადგან — ოჯახი, მხოლოდ კაცისა და ქალის ერთობაა და არა — კაცისა და კაცის, ქალისა და ქალის, რაც, ჩვენს პლანეტაზე გამრავლების შეწყვეტასა და სიცოცხლის დასასრულს ნიშნავს.

დიდი უბედურება ის არის, რომ — ამ აღვირახსნილობის თაოსნები, ამ უღმერთობას ნათლავენ პიროვნების თავისუფლებად და მოითხოვენ ამ სიგიჟის დამკვიდრებას მთელ პლანეტაზე.

აი, აქ არის მომავალი კალმოსნების, ერთ-ერთი, პრინციპული მისია და სიტყვის ღვთაებრივი ძალაც, რომ თავიდან ავიცილოთ სატანური მორალი, სოდომი, გომორი, როგორც, — კაცობრიობის მორალური სიკვდილი, ისე — ფიზიკური გაქრობის გარდაუვალობა...

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი შთამომავლობა უნდა გაიზარდოს ჩვენი სინმინდებებით, ჩვენი კულტურით, ჩვენი სახელით, ჩვენი ღირსებით, რომ პირნათელი ვიყოთ: ჩვენს მერმისთან, ხალხთან და ღმერთთან.

აი, ერთი საუკუნის წინ, როგორ გემოდვრავდა ჩვენი, მინიერი უფალი, დიდი ილია:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მინიერი — ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე, წინა ერსა... ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწვოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული“...

ქართველი ერის მამის ეს ღვთაებრივი სიტყვები გულის ფიცარზე უნდა დაინეროს თითოეულმა ახალგაზრდა, თუ ძველგაზრდა შემოქმედმა, თუ, მართლა,



ჭემმარიტი შემოქმედია და, არა — სატანის მსახური. ეს არის — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის მარადიული გზამკვლევი, ორიენტირი და გადარჩენის კრედო.

სად არის ჩვენი სოჭი? ნიკოფსია? სად არის ჩვენი ლორე, ტაშირი? სად არის ჩვენი საინგილო? სად არის ჩვენი ტაო-კლარჯეთი? სად არის ჩვენი სამაჩაბლო? სად არის ჩვენი აფხაზეთი? სად არის ჩვენი წინაპრების სახელოვანი ისტორია? ვინა ვართ? რანილა ვართ? რალა დაგვრჩა საქართველო, ხვალ ვინ ვიქნებით? რა იქნება ჩვენი სამშობლო? ვის ხელში იქნება ჩვენი კურთხეული საქართველო? აი, კითხვები რომელსაც თავს უნდა დასტრიალებდეს ჩვენი ფიქრიცა და საქმეც. ყველა კურთხიდან არის მოძალებული მუხანათი ცბიერი, მზაკვარი, მოძალადე, შინაური და გარეული მტერი. მსოფლიო გლობალიზმის მამების თეორიითა და თვალსაზრისით ქართველები მცირერიცხოვან, გასაქრობი ერების სიაში მოვიხსენიებით. ეს ჟრუანტელის მომგვრელი, საგანგაშო ზარია... დღემდე, ბევრი იმპერია აღიგავა პირისაგან მიწისა, ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა გადაურჩა ისტორიის უღმობელ ქართველებს, მაგრამ, დღეს, კოსმოსისა და კოსმოპოლიტურ ეპოქაში იკვეთება ყოფნა-არყოფნის ჟამი.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც, ვიმეორებ, რომ ადამის მოდგმა, უპირველეს ყოვლისა, მწერლობამ გამოიყვანა გამოქვაბულიდან...

იმ ჟამიდან, კულტურა გახდა, ხალხების ერთ-ერთი არსებითი, სულიერი და ზნეობრივი მეკვლე, ერის ერობის ქვაკუთხედი, ხოლო კულტურის მწვერვალი მწერლობა გახლდათ...

ქვეყნად, ბევრი რამ არის წარმავალი, ჭემმარიტი მწერლობა წარუვალა; ამიტომ, მწერლობას უდიდესი და განმსაზღვრელი მისია აკისრია, არა მარტო: თავის ერის, არამედ, მთელი კაცობრიობის წინაშე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეული ავტორის შემოქმედება მის მორალურ სახეს წარმოადგენს, იგი სარკეა მისი ზნეობრივი არსენალისა და სულიერი სიმაღლისა. მწერალი შემოქმედია და შემოქმედი სინონიმია ღმერთისა და ვინც შემოქმედის კალამს აიღებს, მას უფლება არ აქვს უფლის უწმინდეს გზას გადაუხვიოს და სატანის გზით იაროს.

ჩვენს პლანეტაზე იესო ქრისტეს მოსვლიდან XXI საუკუნეა და, თითქოს, კაცობრიობამ მისი მარადიული მოძღვრებიდან ბევრი ვერაფერი ისწავლა. პირიქით ძალმომრეობის კოშმარული ნისლი განოლილა სამყაროში — არის ღია და შენიღბული მტრული განწყობა, სულიერი დეკადანსი, რალაც ამოუცნობი, წყვიდადის მომასწავებელი.

ადრე, თუ, იარაღით გვიპყრობდნენ, დღეს, ვილას არ ნახავთ ქართულ მიწაზე უიარაღოდ: არაბს, აფრიკელს, ჩინელს, ინდოელს, სპარსელს, თურქს,

იაპონელს, კორეელს... ყიდულობენ ქართულ მინებს და, ალბათ, უახლოეს ხანში, თუ ვინმე დავრჩით, რომელიმე, უცხო პლანეტაზე მოგვინევს გადასახლება. სავალალო და სავაგლახო ის არის, რომ მიდის დაჩქარებული ექსპანსია — ქართულ ენაზე და ქართულ კულტურაზე. მდგომარეობა ეგ ზომ დამაფიქრებელია... ალბათ, მალე, იქნება — უქართველო საქართველო. აი, ეს არის XXI საუკუნის სურათი...

ასე მგონია, — ევროსაბჭო, ევროპარლამენტი, გაერო, მოჩვენებითი საერთაშორისო ორგანიზაციებია. მაშ, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ — რაც რუსეთმა ძალმომრეობით წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო, რა შედეგი აქვს მათს სამართლიანობისათვის ქადაგებას?!.. მათს პრაქტიკულ საქმიანობას?!..

ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე ვდგავართ და, უნდა ვიცოდეთ, გულიდან ამოსულ, ალალ, მართალ, ბრძნულ სიტყვას ატომზე მეტი ძალა აქვს და, ეს ძალა სიკეთისა და სიყვარულის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ...

ერთი გული, მაგრამ — ასი თვალი და ასი ყური, ღვთის რწმენა და მწერლური სინდისი, აი, ახალბედა კალმოსანთა კომპასი, კრედო, მისია და მიზანი... მათ უნდა განჭვრიტონ: ამ წუთისოფლის ოკეანეში, რა ბედი ელის ჯვარზე გაკრულ, მირონცხებულ მამულს, როდემდე უნდა გვაჭრან და გვთალონ.

უცნაური წინათგრძნობა მეუფლება — ამ, ატომური იარაღით და ბალისტიკური რაკეტებით გაძეძგილ დედამიწაზე, რა მოხდება უახლოეს ათწლეულებში. შეერთებულ შტატებს, ისევ, ერთპოლუსიანი ზესახელმწიფოს ამბიციები აქვს, აღმოსავლეთში, ჩინეთი ვეღარ ეტევა ჩინურ კედლებში, ინდოეთი, ნელ-ნელა, ზიენევს ანთეოსივით, რუსეთი ვეღარ იწყნარებს მონღოლებისაგან შერეულ სისხლს და კატათაგვობანას გვეთამაშება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ვერაფრით დაცხრა მუსულმანური სამყაროს ფანატიზმი, ევროპა შეკონინებული, კონგლომერატია და, თითქოს, მისი, კულტურის, როგორც ჰეგემონის მზე ჩადის...

დიდი იქსი და იგრეკია დღევანდელი მსოფლიო — არავინ იცის, ვის როდის გადაუტრიალდება გონება, — უფრო მეტად. ხალხი კი, ხალხი, უმეტესად, ისევ, შიმშილისა და სიკვდილის ზღვარზეა.


გენიალური რუსთაველისა არ იყოს:


„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა — გონებანი გონიერსა“  
ხოლო, დიდი აკაკისა არ იყოს:

„ახალგაზრდებო, ან, კი, თქვენ,  
გამოდით, თქვენი ჭირიმი“!..

ახლა, სიტყვა თქვენზეა... მომავლო კალმოსნებო.

მე უფლის გზით სიარულს გისურვებთ და დაგლოცავთ, რომ თქვენი შემოქმედება იყოს: არა — სატანისეული, ბოროტი მაკულატურა, არამედ — ქართველი ხალხის საკადრისი, საგანძური, მარადიული მეკვლე, — სიბრძნის, სიკეთის, სიყვარულისა და სიღიადისა...





რზო ადამი

\* \* \*

მზე ქართველი მწერლების უსაყვარლესი მნათობია და პოეტებსა და პროზაიკოსებს უამრავი ქებათა ქება აღუვლენიათ მისთვის. ავტორების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მხოლოდ რზო ადამიას შეეძლო ასე ეთქვა: „მზელმერთი ჭეშმარიტებაზეც კი განუზომელი სიმაღლითაა დიდი“.

ვრცელი მოთხრობის სიუჟეტი მეტად ორიგინალურია — მზე ამოსვლას სამი საათით დააგვიანებს. მწერალი სწორედ ამ გაუგონარი მოვლენის ირგვლივ შლის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ განსჯებს, სადაც სიკეთესა და ბოროტებას შორის დაპირისპირება სამყაროსეულ უსასრულობაშია გადატანილი.

გარდაუვალი დალუპვის პირას მდგარი ადამიანები, თითქოს ჩადენილ ცოდვებს ინანიებენ, მაგრამ მზე ამოვა თუ არა ყველაფერს ძველებურად აგრძელებენ. მზემ კაცობრიობას საშუალება მისცა განვლილი ცხოვრებისეული გზა გაეაზრებინა, მაგრამ ჭკუის სასწავლებელმა ამ სამმა საათმა ადამიანების უმრავლესობას ვერაფერი ასწავლა. თუმცა, ყველანი მონმენი ვხდებით სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა. იმ სამ საათში დედამიწაზე არანაირი ცოცხალი არსება არ დაბადებულა — ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ მზე მარადიული სიცოცხლისა და სიკეთის სათავეა.

მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიური განსჯანი ნაწარმოების უმეტეს ნაწილს იკავებს, ემოციური ძალა იმდენად მაღალია, რომ მზის ამოსვლისთანავე შეება გვეუფლება და ახლალა ვაცნობიერებთ თუ რა უდიდესი სასწაული ყოფილა ყოველ დილით მზის ხილვა.

მწერალი იმასაც ნათლად გვაგრძნობინებს, რომ მხოლოდ სარწმუნოებას ძალუძს პლანეტის და ქვეყნიერების ნაწილობრივი თუ მთლანი ზნეკეთილი მონწერიება. დიდი შემოქმედის სითამამით რზო ადამია მზეს ღმერთქმნილად აცხადებს, რომლის მეოხებითაც იშვა ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა. იმ სამი საათის განმავლობაში გაიბზარა მრავალი შენობის კედელი, მხოლოდ ეკლესია-მონასტრები გადაურჩნენ ამ რისხვას.

მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები ეთაყვანებოდნენ მზეს, ნაწარმოებში ეს არქაულობაც კარგად იგრძნობა. მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ მოექცა მზის შესახებ არსებული უამრავი ტექსტობრივი მასალის ტყვეობაში და ორიგინალური, მხოლოდ და მხოლოდ მისი ხელწერით გაჯერებული მოთხრობა დაწერა.

მოთხრობაში მწერლისეულ აზრებს კიდევ უფრო სახიერს ხდის ცნობილ ადამიანთა ბრძნული გამონათქვამები, რომლებიც ორგანულად ერწყმიან ნაწარმოების საერთო ქსოვილს.

ერთი სიტყვით, კვლავ ამოდის მზე და ჩვენც, მკითხველებიც ვასრულებთ თავბრუდამხვევ მოგზაურობას ვარსკვლავეთში, მწერლის უსაზღვრო ფანტაზიის ძალით და მწერლური ოსტატობითა და ესთეტიკური ტკობის მუხტით ასე უშუალოდ რომ განვიცადეთ. შთაბეჭდავად არიან დახატულნი ცის დასალიერს მიჩერებული ადამიანები, საიდანაც სამი საათის დაგვიანებით მზე ამოვა. დიახ, ალბათ ყოველ დილით გულით ფანცქალით უნდა დავველოდოთ მზის ამოსვლას და რზო ადამიას მომწუსხველი სიტყვებით შევეგებოთ: „შენ, უფალო, ყოვლის გამგებელო და მზეო! ნათელსულო წყაროვ სიცოცხლისა და სიკეთისა!!!...“

„მზე“ იმ ყაიდის მოთხრობაა, რომლის სრულყოფილად შეფასება ერთი ნაკითხვით შეუძლებელია. აქ მხოლოდ ჩემი ცინცხალი შთაბეჭდილებები გაგიზიარეთ. დარწმუნებული ვარ, მკითხველი კიდევ არა ერთხელ და არა ორჯერ მიუბრუნდება ამ მოთხრობას და ყოველ ჯერზე მოხიბლული დარჩება ჭეშმარიტ ლიტერატურასთან ზიარებით და ახლის აღმოჩენის სიხარულით. და კიდევ ერთი, ამიერიდან, როდესაც მზეს შევხედავთ, აუცილებლად გაგვახსენდება რზო ადამიას ბრწყინვალე მოთხრობა „მზე“.

აკაკი დაუშვილი

მზე

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედურების დროს“ (მაკკიუსი).

მიუნვდომელ და იდუმალ-უცნაურობებით სავსე ნებისმიერ ეჭვებშემყრელ კრიტიკულ შემთხვევაში, ჩემგან მოთხრობილი კოსმოსური სხეულების მოძრაობის აზრთამშლელი, ეს შედარებით დაუჯერებელი ციკლი ფანტასტიკაა თუ სინამდვილე, ვფიქრობ, რომ ამ ნაწარმოების უჩვეულო ლიტერატურულ სხეულში ზოგადვარსკვლავეთური მიახლოებითი რეალობითაც უთუოდ შეინიშნება. ჭეშმარიტება ხომ უსაზღვრო კანონია, უფლის მიერ შექმნილი. ქვეყნიერების ნაწილობრივ ცნობადი წარმოსახვითი ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ პლანეტარიუმის გამაოგნებელი შემთხვევა მომხდარა თურმე. კერძოდ, ჩვენი მზის სის-

ტემის უმძიმესი მოვლენის, ახალი ნელთაღრიცხვის რომელილაც მონაკვეთში, რის შესასწავლად ფიზიკოს-ასტრონომმა მეცნიერებმა დიდი კვლევა-ძიება ჩაატარეს და ამ ურთულეს თემას მრავალი თეორიაც დაუკავშირეს, მაგრამ ვერც ერთ მიგნებაში პასუხი ვერა და ვერ იპოვეს. მათგან ზოგიერთს დავასახელებდი. ზეციურ ცათა აღუესებელი მეხსიერებითი უხილავი და უმდიდრესი სივრცე: პლანეტებსშუა გამავალი მრავალმხრივ მგრძნობიარე ჰარმონიული ველი და მიუნვდომელ-შეუცნობადი უმდიდრესი შემოქმედებითი ფონდები, რომლებიც ჩვენეული ინტუიციით ბუნდოვნად ილანდება, მათგან ჩასახული უხილავ ფორმათა მეოხებით და ადამიანის სიბრძნის უსაზ-



ღვრო ინტუიციური ვარიაციებით. გონების შემოქმედებითი ურთულესი ფანტაზია-ინსტინქტთა წარმოსახვების გალერეებშიც კი ვერ აღმოაჩინეს, ხოლო უფლის ღვთიური სავსეობა ხომ ადამიანთათვის ოცნებითაც მარადის მიუწვდომელია. მაშინ ვარსკვლავთუბრუნების სინამდვილე გალაქტიკის სიღრმეებში ისევ ასტრონომიულ-ფილოსოფიურ და ასტროლოგიურ-მეცნიერული გზებით უნდა ვეძიოთ და შესაძლებელია, სისტემის მოვლენის მთავარი მიზეზის და რეალობის მნიშვნელოვან სახესაც წავაწყდეთ...

„ყველაზე მეტად მაშინ ვცდებით, როდესაც სამყაროს სხვისი თვალთა ვუყურებთ“ (ჩერნიშევსკი).

მოყოლებული შორეული მილიონწლებიდან, ეჭვგარეშეა, ქვეყნიერების უკიდურესად საშოდან იბადება ახლოქვეყნიური თუ იმქვეყნიური იდუმალების ურთულესი საოცრება, ცხოვრებისეული ყოველგვარი უმცირესი მოვლენაც კი...

„არც მზესა და არც სიკვდილს პირდაპირ არ უნდა უცქირო“ (ლაროშფუკო).

ამ ურთულეს მოვლენათა დასაწერად კალამი ამაღლებინა ჩემმა იდუმალმა წარმოსახვებმა, ცნობის-მოყვარეობამ, კოსმოსის უსაზღვრო სიყვარულმა და მისადმი თამამმა ინსტინქტ-ფანტაზიამ, შემოქმედებითა ყინმა და გამბედაობამ...

ტრადიციულად ბნელით მოცულმა ალიონის დიდი მანათობლის ამოსვლის წინამორბედმა ცივი ჰაერის დაწმენდილმა ტალღამ შეატორტმანა ბუნება, მაგრამ მზის ამოსვლამ შემადრწუნებლად სამი საათით დაიგვიანა და ჩვენს პლანეტაზე მოულოდნელი უბედურება გაყინულ უხილავ სივრცედ ჩამოვარდა. წარმოუდგენელმა შემთხვევამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა და დაავადმყოფა. პლანეტის მეორე მხარეს, ამერიკის და ავსტრალიის კონტინენტებზე კი მზემ და მთვარემ ამ დროითვე ჩასვლა-ამოსვლა შეაჩერა და იქაც სიკვდილიანობასთან ერთად, დაუდგენელი რეაქციით და გაკვირვებით შეძრული უამრავი ადამიანი ნერვიულად მოშალა...

„ყველა დაბადება სიკვდილითაა გამოსყიდული, ყველა ბედნიერება — უბედურებით“ (ავრელიუსი).

მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს გაოგნებულნი, ჯვარალმართული ქრისტიანები, ბუდისტები ქედს იხრიან მზის გამოსახულების წინაშე. გაცხებული მუსულმანები მინას ერთხმად. იუდეველები გოდების კედელთან, სინაგოგებთან თუ ოჯახის სალოცავებთან ცრემლს ღვრიან. უკიდურესად შეძრწუნდნენ ძველისძველი წარმართები, იეღოველები, დაიბნენ კანტიკუნტად შემორჩენილი უხსოვარდროინდელი მზის თაყვანისმცემლებიც. მრავალი სექტანტი და ათეისტი საშინელ მიზეზდაუდგენელ მოვლენას მთავარ რელიგიათა სწავლებებს მიანერენ და უკიდურესად ადანაშაულებენ, ქვეყნის მომსპობად კი მზე არა და არ ჩანს. ჩვენმა გაჯიუტებულმა ტანსრიალა, წყლითა და ჟანგბადით სავსე ულამაზესმა, მომწვანო-მოცისფრო, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე პლანეტამ მრავალბრუნვითი წრიული სვლა შეწყვიტა და მზის სისტემის მთავარ წესრიგს არ დაემორჩილა: დედამინა ყოველგვარი ეჭვს გარეშე მორჩილი, თანდაყოლილი პლანეტაა, უდიდესი მნათობი კეთილისა, რომელსაც ერთ წამსაც არა აქვს უფლება და საშუალება უმზეოდ არსებობისა. აქედან გამომდინარე, მის სფეროზე მცხოვრები ყოველი არსება უმტკიცესი ტყვე-მონაა სიცოცხლით, ცხოვრებით, სიკვდილით და უთვალავი სხვა თვისებითაც, მაგრამ...

თუმცა მზე ემორჩილება სამყაროს გონმიუწვდომელ აზროვნებას და მის უფლისმიერ კანონ-ფუნ-



ქციებს, მაგრამ მაინც უზარმაზარი დამოუკიდებლობისაა. ბევრად დიდი და მცირე პლანეტები ურთიერთმორჩილების ქვეშ არიან. წარმოუდგენელიცაა, ადამიანები ხომ ვერ გაექცვიან ამ სისტემის კანონ-წესრიგს. მხეცები, ცხოველები, ფრინველები, თევზები და მცენარეები თითქოსდა შედარებით თავისუფლები არიან, მაგრამ არა! მოჩვენებითობაა მათი ბუნებრივი ველურობა, ყველა მათგანი მკაცრად დამოკიდებულ-შენიშნულია დიდ ძალებზე.

ღრმად თუ ჩაუფიქრდებით, სრულიად თავისუფალნი გარდაცვლილებიც არ არიან. ისინიც ძირფესვიანად მიჯაჭვულნი არიან მინას და მრავალბრუნვითი ბატონ-პატრონის კუთვნილებათა ურთულესი კოსმოსური ფუნქციებით. აი, ესაა სამყაროს ურღვევი და უმკაცრესი განმგებლობა... კაცთა შორის გიგანტი აინშტაინი, მრავალი გენია, მეფე, პრეზიდენტი, ბელადი, ხალხი და ერთ დროს უძლეველი გმირებიც უკანასკნელი მწირის დონეზე ჩაბარდნენ ამ მიუწვდომელ ძალა-კანონებს და ჯერჯერობით მხოლოდ აქ მყოფებმა უნდა ვილოცოთ მათზე...

„სიკვდილი ერთ რომელიმე საუკუნეში ყველა სხვა საუკუნეში სიცოცხლის საწინდარია“ (ჯორდანო ბრუნო).

ყველა და ყოველივე გადაბმულად ემორჩილება მიუკარება უსაზღვრო ძალებს, მაგრამ შეგვეკითხებიან, — დრო, სამყარო და სივრცე ვის ემორჩილება? ჩვენ ვპასუხობთ ღმერთს, უფალი კი ვის ემორჩილება? (ეს კითხვა გაუკვირდებათ ღრმად მორწმუნეებს, მაგრამ) აქ ხომ ქვეყნიერების უსასრულობის ფენომენია შენახული, მაშინ გამოდის, რომ უსასრულო ზეძალათა გავლენებია — გავაგრძელოთ ფიქრი, რომ უსასრულობაა მიუწვდომელი, და შეუსწავლელი ცნება... ამ ძალიან კრიტიკულ შემთხვევაში ძალაუნებურად უნდა შეჩერდეს რელიგიური ადამიანის აზროვნება, რათა არ დაირღვეს გულმართალი რწმენის უმაღლესი ეთიკა და განსაჭვრეტავად მომავლის ათასწლეულებს გადავბაროთ... რადგან ეს სასწაულებრივი უწყვეტი ჯაჭვია, არა ოქროსი, არამედ, ჩვენთვის უხილავი კოსმოსური მიუწვდომლობის შენაერთებისაგან, რომელიც სამყაროს იდუმალებისგან არის შექმნილი.

ჩემს ცხოვრებაში, ბავშვობიდან მოყოლებული, სამჯერ მოვესწარი მზის დაბნელებას; ხოლო მშვიდი პლანეტის — მთვარისას კი ოთხჯერ, თუ არ ვცდები.







ამ ღამეულ კოსმოსურ სხეულ-განწყობილებაზე ცალკე მოგიტხრობთ. მზის დაბნელება ბუნების სრულიად სხვა უმკაცრესი მოვლენაა, რასაც ჭრაქის შავი ბოლისგან გაჭვარტლული მინის ნატეხით რიგრიგობით ვაკვირდებოდით დიდი თუ პატარა. ეს იყო ყველაფრისგან ძალიან განსხვავებული სანახაობა. მაგ. ამაღლელებელ მოულოდნელ დროს, დაბინდულ გონგანწყობილებიან სულის ამღვრე-ამშლელ ნერვიულობასთან ერთად უკიდურესი ცნობისმოყვარეობა შენს წინაშე და ზეციური მძაფრი იდუმალეა ვრცელდება. ამდაგვარი ურთულესი მოვლენით აშლილი გარემო-ცხოვრება მაინც ასრულებს თავის ჩვეულ წეს-ფუნქციებს და უვნებლად წუთი-წუთზე გადაივლის საერთოქვეყნიური ფიქრთმომგვრელი ზეციური დაძაბულობა. იმ მოვლენილ შემთხვევაში პლანეტებს შუა და ჩვენს ირგვლივი ბუნების სიახლოვეს უსაზღვროდ განსხვავებული მუხტმძაფრი მოძრაობა მატულობს და გარემო მოლოდინით სავსე, სევდით საკვირველშეყრილი რომანტიკული ხდება და ამ შემთხვევაში პიროვნება სხვამხრივ აზროვნებს. არსებობს თურმე კოსმოსური მრავალგანწყობილებიანი ქმედებანი. სადღაც დაბეჩავებული და ფუნქციამოშლილი მთვარე, თავისი უჩვეულო სვლით შეძრწუნებული და გაფერმკრთალებული, ამღვრეულ სივრცეში იმალეა, რადგან ჩვენი გალაქტიკის — ირმის ნახტომის ერთ-ერთ გვირგვინოსან მეფე დედოფალმანათობელს კოსმოსურ, ღრმად გამჭვირვალე ჩრდილს აყენებს. მაგრამ გაივლის უკვე ჩვენს ირგვლივ გამძაფრებული ვარსკვლავეთური დრო-წუთები და აღმოჩნდება ის უხერხული მოძრაობისაგან მისივე თავის ხსნა ყოფილა... მზე კი თითქოსდა გამოთავისუფლდება უახლოესი თანამგზავრისგან და შვებით აწყვეტილი კვლავინდებურად წინ მისხივოსნებს (დედამინა-მთვარის ფუნქციათა მოშლა-არევაა ამ წუთებში, თუ არა მზეს ვინ და რა შეხებია როდისმე)...

ჭემმარიტად დამნახველი თვალი ცაში უკვე შეიგრძნობს, რომ დაიშალ-გაიფანტა ფორმათა გადაადგილება და დაძაბულობა და სივრცის ნათელი განწყობილება ისევ აღდგა-დამკვიდრდა... მზეღმერთი, ყოვლისმომცველ, ამ დიდებით შედარებას თუ მოვიშველიებთ: ყოველგვარ სიკეთეზე, სიყვარულზე, შიშზე, ოცნებაზე, ფანტაზიაზე, უმდიდრეს წარსულზე, ანმყოზე, მომავალზე, წმიდა ზნეობაზე, ჭემმარიტებაზე და თუ კიდევ რამეა ქვეყნად მნიშვნელოვანი — შეუმჩნეველი, ყველაფერზე განუზომელი სიმალლითაა დიდი. იმდენად ამაღლებული კეთილშობილებაა, რომ მისი უკლებლივ ყველას ესმის და მსახურია უანგარო. სხ-

ვისი, ნებისმიერისა კი მას არ ესმის, ანდა რატომ უნდა ესმოდეს? ის ხომ გამუდმებით ყველაფერს ზომაზე მეტად გზავნის. სმენის ორგანო მას არ გააჩნია, საკვირველი და გაოცების აღმძვრელია, აბა რაა?!

უფლის ზედალარქსოვილი, განუსაზღვრელად აფრქვევს სიცოცხლის სხივს სივრცეგარემოში. თვითვე ღმერთად ქმნილი, უთუოდ რომ მისი მეოხებით იშვა ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა. დედამინა ახალდაბადებული ბავშვივით უმწნეოა მზის კეთილ და უზენაეს გარემოცვაში. მზეს ვერაფერს ვერ ვთხოვთ და ვერც დავავალებთ, იმდენად მიუწვდომელი გიგანტური სიმალლის უხვგამცემი გენიაა პლანეტარიუმისა. სამყაროს ნებისმიერი ნვა-აფეთქების ერთი და მხოლოდ მთლიანი უზარმაზარი გარემოა, ზედალა-სიყვარულია დაუსრულებელი — ყოველთა პატრონია...

ყოველადსაკვირველი და როგორ ჩამაფიქრებელია, ვარსკვლავეთის უდიდესი შემოქმედებითი მოძრაობა, რომელიც უზომო სიკეთის და სიყვარულის ფონზეა განფენილი; ხოლო ბოროტება ამ გარემოებაში როგორ ინარჩუნებს თავის ფუნქციებს და ქმედებას, ეს კი საკითხავია. ეშმაკი ხომ ყველგან ქურდულად იპარება და ხშირად თავისას აღწევს. ჩვენს წინაშეა უტყუარი ფაქტები. ოდითგანვე კაცობრიობის ისტორიაში ომები ხომ ბოროტების ეშმაკულმა ლიდერებმა აწარმოეს. უკეთური ხომ ყველგანაა მეტ-ნაკლებად. რომის პაპებიდან ყველაზე პატიოსანი და წმინდა პაპი ინოკენტი გახლდათ, რომელსაც მხოლოდ ოთხი საყვარელი ჰყავდა. ერთხელ ჩემს სახელოსნოში მაცხოვრის ხატზე ვმუშაობ და რადიოც დაბალ ხმაზე მაქვს ჩართული, ზოგადად ვუსმენ. ერთ-ერთი მღვდელმთავარი სიტყვით გამოდის და აცხადებს, ალექსანდრე მაკედონელი დიდი ადამიანი იყო. კინალამ ჭკუიდან შევიშალე. როგორ?! სისხლისმსმელი, დამპყრობი, ულამაზესი ქალაქების, თავისი უნიკალური არქიტექტურული ხელოვნებით, კულტურა-ცივილიზაციით, მინასთან გამსწორებელი, მამათმავალი — დიდი ადამიანი?! როგორ იყო-მეთქი! და რადიო გამოვრთე. აი და მეგობრებო, მაინც კვერს ვუკრავთ ეშმაკს. ეს უკვე გარკვეული დონის ცოდვილიანობაა. თუმცა რა უნდა ვთქვათ, ვინც დედამინაზე დაიბადა და გაიარა, ყველა საკმაოდ ცოდვის მატარებელია, უფალ იესო ქრისტეს გარდა...

„უზარმაზარ კუთვნილებას ცოტას თუ წაართმევ მნიშვნელოვანს“.

„ვინც ზეიმობს გამარჯვებას, ზეიმობს კაცთა კვლას; ვინც ზეიმობს კაცთა კვლას, ვერ ელირსება ქვეყნად სიკეთეს“ (ლაო ძი).

ამ ნაწარმოებიდან დატრიალებული ამდაგვარი პლანეტარიუმის წესრიგის დარღვევის უკიდურესობა სამყაროს ჟამთაღრიცხვის დაუდგენელ წლებში ერთხელ ხდება თურმე და როგორც მოგახსენეთ არავინ იცის რატომ ან რისი და რომელი ზეციური მიზეზებით. ქვეყნიერების გაჩენის საიდუმლოება ხომ მეცნიერული ცნებითი ძიების უსასრულობაა და შიშისმომგვრელი. როგორცაა ვარსკვლავეთის დემონური შავი ხერხელები, პლანეტათა შემსრუტველი თუ გამქრობი — სამყაროს გასაიდუმლოებული დილეგი. გალაქტიკათა მრისხანე მუქარა, მის გაღმა აღდგენითობა (საერთოდ არსებობს მისი დასასრული? ისიც საკითხავია!) თუ ჩაფერფლვა დაუდგენელია და გონით მიუწვდომელი... ყოველივე ეს ისევე უცნობია, როგორც პლანეტათაგანეა, შემადგენლობა, ზნე-წესი და ურთულესი მთლიანობის ქმედება. აქვე გახსენდება სული ჩვენთვის უახლოესი და უშორესი, მისი მდიდარი რაობით. ის ხომ დაუდგენელი ბუნებით თითქმის პლანეტების



შინაგან თვისებათა შემადგენლობაშია გათანაბრებული, ოღონდ მეორე, მიუხედავად ცალკე უხილავ სამყაროში... ისეთივე, როგორც ყოველთა უკიდურესობა, თავისი უხილავი აზრთმეუსვლელობით, კოსმოსური უძირო არეალით და ბინდომოსილი მერმისით, მსგავსად ჩანისლული და ჩაკირული საფლაგებისა, უკუნეთში ჩაკეტილი თავისი განკერძოებულობით, თითქოსდა ჩვენგან და ერთმანეთისგანაც გაქრობილი... საფლაგები მინიშნებითი მფლობელებით სიკვდილ-სიცოცხლის უსასრულობის და უხილაობის ნაცრისფერი ხიდა, რომელიც ჩვენს პლანეტაზეა ჩაქსოვილი. ხოლო თავად მინის ქმედება ამ შემთხვევაში მაღალი ფუნქციონირებითი — პლანეტებისეულია...

„ბედისწერა და ჟინი — აი, რა მართავს სამყაროს“ (ლარომფუჟო).

ნირმეცვლილი ნუთი ნუთს ნაკიდებია, დრო შეძრუნუნდა, ძლიერ დაძაბულია სიბნელის ძირამდე, მუქხაზებიანი, მძაფრდინამიურია და უდიდესი აბსტრაქცია იხატება ყველგან. უხილაობის სივრცეში გეპარდმა გაიელვა და ცისფერი ხაზი დატოვა...

შეკუმშული ბნელი დრო და სივრცე იძაბება. მზე არ ამოდის და ავის მომასწავებელი უკუნეთი თითქოს უფრო და უფრო მატულობს, ირგვლივ უხილაობის იდუმალი ფორმათაფუნქციაა ჯერ არნახული, არგაგონილი. ფერთაგან პირველად ხილული მუქი ლაქები და ჯოჯოხეთური განწყობილება განვერცო ქვეყნის კიდიდან კიდემდე. ფიქრთ მიუკარება მოლოდინი მოედო ყოველთა მაცოცხლებლისგან მიტოვებულ მინაზე და იხოცებ-ავადდება ხალხი მძიმე ინფარქტებით, შეპარული ინსულტით, გულის, ტვინისა და ფილტვების უკმარისობით, ნევროზით — კრუნჩხვითი გათიშვებით და დაუდგენელი ფსიქიური სტრესებით. ცხოველებმაც ტანჯვითი მიძინება იწყეს. გაისმა ძაღლების შემზარავი გნისა, აუტანელი წრიალი, ნკავნკავი, ვედრებითი ყეფა ცისკენ მიშვერილი თვალცრემლიანი სახით. ცხენები უჭმურად ძიგძიგებენ და შეუწყვეტლივ თავს აკანტურებენ. განწირულის ხმით ბლავის ჯერ კიდევ ზოგიერთი ცოცხალი საქონელი, თვალბანთებული უზარმაზარი შავი კამეჩები გამუდმებით უხმობენ თავიანთ მხსნელ ნოეს. უსწრაფესი კატები ჯგუფ-ჯგუფებად მიიძალნენ. მუქი ყავისფერი მორიელები ბუდეებიდან ნერვიულად გამოძვრნენ, დალოლავენ, შხამიან გრძელ, დახორკლილ კუდეებს თავში ირტყამენ და იხოცებიან. მხოლოდ გველთა არამქვეყნიური შინაგანი მოლოდინი, ოდნავ რხევადი ტანის უძრაობა უნამწამო-ჩაუხედავი თვალბანის გარინდვა და პირმოკუმული დუმილია გაურკვეველ-მიუხედავებელი.

მოუსვენარმა, ფეხებდაბარჯულმა ჭიანჭველებმა შეწყვიტეს ხანგრძლივი შრომა-ფუსფუსი, თითქოსდა მათი აურაცხელწვერიანი ჯგუფები მწარედ დადუმდნენ... მინისძვრასავით შეზარა ქვეყანა ჯგუფად შეყრილი, ჯაგარაბურძგნული მგლების გაბმულმა ყმუილმა. ზღვის, ტბისა და მდინარეების აფორიაქებული თევზები ხმელეთს ასკდებიან, ზოგნი შურდულივით ნყლიდან ამოვარდებიან, აღმოსავლეთს წინკნა თვალს შეავლებენ და, გულნაკლულნი, ისარივით ნყალშივე ჩაეშვებიან. მცენარეთა ფოთლებმა მონყენილობა და ჭკნობა იწყეს. ულამაზესმა სხვადასხვა ფერ-ფორმის ვარდებმა სიხასხასე დაკარგეს და თავები საცოდავად დახარეს. მინდვრის ყვავილებს ცრემლდენა დაეწყოთ და განწირულები მდელივთე განწვენ. ფრინველთა ცაზე, ნერვიულად მიმოფანტული ჯგუფები ნიოკით მზის შესახვედრად გაეშურნენ. კავკასიური ჯიშის ერთ დროს ხედვაგოროზი დედალ-მამალი არწივები, მწვერვალებზე ფრთებგაშლილ-ჩამოშვებულნი, ბრძო-

ლის ველზე დამარცხებული მეომრებივით დასხდნენ და მოულოდნელი მოვლენებით გაგულსებულნი და თვალბანთებულნი აღმოსავლეთით იმზირებიან.

უთუოდ რომ არსებობს ქვეყნიერებაში აზროვნების და ფიქრ-ხასიათის სხვადასხვა კატეგორიები, ღვთიური, კოსმოსური, პლანეტების, ხელოვანთა, მეცნიერული, ოცნებისეულ-დუმილხედვა და კიდევ ბევრი სხვა. თევზისეული გარინდვა რალაც ფიქრისმაგვარ-უსასრულობისმიერი. ფრინველთა ჩახედვა-გახედვა და ფრთხილი ფიქრთახილი. ასეთ დროს, შესაძლებელია, საგნებიც თავისებურად აზროვნებენ და დუმან. მათ შორის გველი, განცალკევებული უმსგავსო და შეუდარებელი ქვეწარმავლური სიმძაფრეა. მისი ვითომდა აზრი ან ოცნებას მიმსგავსებული, გარემოში გაურკვეველი მიმართულებითი ხედვა, ადამიანისათვის მიუხედავებელია. საერთოდ ის აზროვნებს? ფიქრობს?.. ალბათ სხვა რალაც არსებობს ყოველისიქითა შორეული. გაოცებს ამ სულდგმულის ულამაზესი სხეულის მკაფიოდ ხატულობა, ბუნების დამოუკიდებელი თვისება, რომელიც ყველასათვის შეუცნობადია; მართლაცადა, ამ ქვეწარმავალთ ხომ არ ჰყავთ ჩვენთვის მიუხედავებელი კოსმოსური კერპი? რასაც მტკიცე ინტუიციით ემსახურებიან? უფრო მორჩილობენ? თუ არადა, რატომ არიან აგრე უკიდურესად განყენებულნი?! თითქოსდა დევნილი სტუმრებია ჩვენი პლანეტის. ამრიგად ეს ურთულესი არსება, ამდენად დამოუკიდებელი და, გარემოსაგან გარიყული რომაა, ხომ არაა ბატონი თავისივე თავისა? ცოცხალთა მრავალ საერთო თვისებას კი ფლობენ, მაგრამ მათი ვარსკვლავეთური შორსდგომა და ჩაკეტილობა საკვირველია. გამიგონია მოხუც წინასწარმეტყველთაგან. ზამთრობით უკუნეთ ხვრელებში მძინარეთ, ვარსკვლავები ესიზმრებათ და ელანდებათ თურმე. გველები (მრავალია მათი სახეობა) მინიერს, მათ მკვებავს და შემნახველს, მათგან ბევრ რამეს რატომღაც არ ჰგუობენ. სხვებისგან განსხვავებით გარინდულნი უსასრულოდ უცქერენ ზოგადად სიცოცხლეს, სივრცეს, სიკვდილს, მზეს და კიდევ რალაცას; ღამის სიზმარეულში კი — მთვარეს და ვარსკვლავებს. ფრთხილები არიან ზომიერად და გარბიან არა დამფრთხალნი, უფრო იმ ინტუიციით, რომ სიკვდილი არ ჩამოაგდონ. მათ გარემოზე ბოროტი ზრახვები არ გააჩნიათ, არაფერს სპობენ და ანადგურებენ, იკვებებიან მნიფე ნაყოფით, ზოგჯერ მწერებს და ამფიბიებს ეტანებიან, რბილი, თიხაშერეული, ქონიანი მინით. უცხოთაგან თავდასხმისას თავს იცავენ უმკაცრესი ზომებით. მათი უსუსურობის უმთავრესი დაცვაა შხამიანი სიკვდილის შემყრელი კბენა და, აქედან გამომდინარე, სიცოცხლის მალიკვიდირებელ სხვა მხეცებზე და ფრინველებზე უფრო, ყველას ეშინია მათი. აქაც უთუოდ ნახევრად გახსნილი ბინდომოსილი იდუმალეზა... გველებს ცოცხალთაგან არავისი და არაფრისა არ სწამთ. უფრო მეტად წარსულში ადამიანები, მათ მრავალ რელიგიაში აამალლებდნენ. და ისმება კითხვა: — რატომ?! ზოგმა შეიძლება ირწმუნოს, რომ წარმართული თუ სხვა აღმსარებლობის ხერხემლის ნატეხი ხომ არაა ამჟამადაც ჩარჩენილი? აქ არის ისევ უსაშველო ამქვეყნიური ფსიქოლოგიური სირთულეები. ადამიანები, მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს მრავალმხრივ უგებს და უფრო წვდებიან ხოლმე მათ კოსმიურობას (სარწმუნოა რომელიმე ციური პლანეტა მართავდეს მათ...) ვიდრე გველს. მის არსებას ჩვენ ვერა და ვერ ვწვდებით, ხშირად თუ იშვიათად ვართმევთ სიცოცხლეს და შხამს ესაა და ეს. აქ მინდა მცირე წარსულის ცხოვრებისეული მონაკვეთით შემოვიფარგლოთ. ძველი კოლხები, გველს თუ იხილავდნენ





თავიანთ საცხოვრისში, იქ არ მოკლავდნენ, შიო-შიოს შეძახილით უვნებლად გარეთ გააგდებდნენ, მაგრამ ამ პროცესს ბურძღლების ამყრელი შიშიც მოჰყვებოდა, ამჟამადაცაა ასეთი რიტუალის მაგვარი წესი სამეგრელოსა და ლაზეთში. ესეც ხომ უზარმაზარი კოსმოსური წეს-იდუმალეობაა გამარადიულებული... გველს არც ერთი არსება არ ბაძავს, იმდენად შორეული და განსხვავებულია ყველასაგან თავისი ბუნებით. ერთმანეთი ძალიან უყვართ. თუ ახლად გამოჩეკილი შვილი ძლოკა მოუკლეს, დედა გველი თავს იკლავს: ეს უკვე ცალკე ისევ, კოსმოსური ან ქვეწარმავლური ზნეობის მიუწვდომელი სივრცეა... გველი ზამთრობს, სიზმარეული ძილით ხვრელში, მარტოობის დუმილ-სევდა შორეული ციდან მოსდის, მწირი-მძაფრი, მსწრაფ-სიკვდილის მომტან-მფენი. თავად გაქრობისა არა იცის რა, და არცა აქვს შიში მისი.

ანრიადნენ ციხეებში ისედაც სევდის ზღვაში მყოფი სხვადასხვა წესის, ზნეობისა და აზროვნების, ბედით, ადამიანებისაგან თუ თავიანთი თავითვე დაჩაგრული პატიმრები — მათგან არავითარი მღელვარება და შეთქმულება, მხოლოდ ლოდინია და...

„განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ერთად იყრის თავს“ (იოანე დამასკელი).

ზეკანონებიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, ღვთისგან გაჩენილი სიცოცხლე რომ ხელშეუხებელია და არანაირი დანაშაულის მართლმსაჯულება მას არ უნდა ექვემდებარებოდეს. მხოლოდ უფალსა აქვს უფლება თავისი გაჩენილი სიცოცხლის იმქვეყნად დროულად წაყვანისა. „ღმერთს რელიგია არა აქვს“ (მაჰათმა განდი). სასჯელმისჯილებში რატომღაც მსხვერპლი არ არის. ბადრაგები კი სახემოგრეხილები და კრუნჩხვიანები, ნდობით აღჭურვილი პატიმრები დანესებულების შენობიდან გაჰყავთ. საერთოდ, ჩაბნელებული, მკაცრსევდიანი დილეგებიდან ჩამიჩუმდი არ ისმის. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მღვდლებს, მონაზვნებს, ბერებს, მღვდელმთავრებს და ეკლესიის მსახურთაც ლოცვა-ვედრებაში მყოფთ, სამარადისოდ მიეძინათ. იმავე მდგომარეობაში არიან მოსამართლეები, პროკურორები, ძალოვანი განყოფილებების ხალხი. იურისტ-ვექილები უაზროდ გათიშულან. ექიმები, პედაგოგები და მოზარდები თითქოსდა უძღებენ ამ ტანჯვას... ერთ-ერთი ახალგაზრდა, ნიჭიერი ხატმწერი ბერი უვნებლად გადარჩა; იგი, იმ უმძიმესი საათების განმავლობაში, თავის მიერ ფიცარზე მოხატულ ოქროსფერ ჯვარზე შეუსვენებლივ ლოცულობდა, ჯვარი ყოფილა დამრეცკუთხოვანი თავებგანიერი და ირგვლივ ხაზობრივად მზეშემოვლებული, ეჭვგარეშე და უთუოდ სარწმუნოა, მზის და ჯვრის ერთობლივმა მართალმა გამოხატვამ გადაარჩინა გამჭრიახი და შეგნებული ხატმწერი-ბერი. ამ უჭკვიანეს, ღრმადმორწმუნე და უფლის მიმბაძველ ბერს ჰყავდა სულიერად ახლობელი თავისი მრევლიდან, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ არსებული ცხოვრება და ზნეობა ათი მცნების მაგალითი იყო, თითქოსდა ზეციდან მოცქერალ წმიდანებსაც ხიბლავდა მისი ცხოვრების ღვთივგანგებულობა. ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილური, ბრძენი და სიტყვაძუნნი იყო, ჩაფიქრებული, თან რომელიღაც ზეცის სისავსიდან ყოველთვის ღიმილიანი, ზოგჯერ გამოხედვასედიანი და მორჩილი. მისი ამქვეყნიდან მოშორება ნებისმიერ ავკაცს შეეძლო, მაგრამ უხილავი ძალებისაგან შედარებით დაცული იყო.

ჰყავდა დედა, შვილები, მეუღლე — მამა, მომხდურ მტერთან გმირულ ბრძოლაში დაცემული. საშუ-

ალოდ მორწმუნე, ასევე შორეული ფიქრებით და აზროვნებით პლანეტარიუმისკენ მიდრეკილი და რომელიღაც ვარსკვლავზე დამოკიდებულ-შეყვარებული... მშრომელი და უკეთურთა მგომბელი. უცნაურ სიზმრებს უჩიოდა ხშირად, რაზეც ზოგჯერ ღიმილით უყვებოდა თავის ახლობელს, ბოლო ხანებში უხასიათობა და მოწყენილობა დაეცყო.

წუხდა ცუდ სიზმრებზე და ებრძოდა თავისთავს... ახლობელი რომ ეტყოდა, რატომ ხარ ასეთ ცუდ განწყობილებაზეო, — უკადრისი სიზმარი ვნახეო წუხელ, — იყო პასუხი. რა ნახე ასეთი, შე დალოცვილო, მოგვიყვიო; ამ შემთხვევაში ის არავის არ ეუბნებოდა არაფერს და თავის ფიქრებთან გამარტოხელდებოდა.

ბოლო დღეებში სულ შეიცვალა და ფიზიკურად დასუსტდა, დაპატარავდა. რა მოხდაო მის თავს ასეთიო, უკვირდათ ახლობლებს — ნაცნობებს. შემდეგში თავის მეზობელ ბერიკაცს გამოუტყდა და უამბო სიზმრის უთქმელი შინაარსი: სიზმრად ზნედაცემულ ქალებთან ვცხოვრობ და ზოგჯერ მამათმავალი მამაკაცების მსხვერპლიც ვხდებიო. აღელვებულმა მოხუცმა ასე უთხრა: — მიაწერწყვე ეშმაკს და შენს ბერთან ერთად ხშირად ილოცეო! მაინც არ დაადგა საშველი ეშმაკებშესეულს და ერთ უბედურ დღეს თავისი სამზარეულოს, კერიის ქვაბის დასაკიდ ნაჭაზე ჩამომხრჩვავი იხილეს — აქაც იმძლავრა სატანამ და გვაჯობა...

ეს შემადრწუნებელი ამბავი მზის სამი საათით დაგვიანებით ამოსვლამდე ერთი დღით ადრე მომხდარა. რამდენიმე დროის გასვლის შემდგომ და ახლაც არ იცის ბევრმა, რატომ გახდა ამდაგვარი უპატიოსნეი ადამიანი ასეთი გაუგონარი უხილაობის მსხვერპლი.

საშინელი დრო მომნიფდა და ითარეშა ეშმაკმა...

„საწუთროს ხმაური დასცინის მარადისობის გალობას“ (რაბინდრანათ თავორი).

აღელვებულმა ბერმა-ხატმწერმა რომ გაიგო მისი უზომო ტანჯვა, ცოდვილიანობა, ქალივით მოთქვამდა თურმე, დამსაჯე უფალო! არ მეპატიება, რომ დავიგვიანე და დროზე ვერ ჩავწვდიო მის ფარულ ცოდვა-ეშმაკეულ შემოსევებსო...

ამ დროს მზე მანათობელი არ ეკარებოდა ქვეყანას, და შეშინებული სხეულით კანკალებდა ცოცხალი თუ მკვდარი...

დრო თითქოს მიეჯაჭვა მიუწვდომლობის ბნელ ბოძზე...

ეშმაკეული ცოდვა-მადლი, ფიქრი, აზრი, ფანტაზია, წარმოსახვები მსხვერპლი და სიზმრები უხილაობის შავ ქვაბში ეყარა. კოსმოსის საშინელი სიშორიდან კი გაურკვეველი გამკვივანი ხმა მოჟონავდა დედამიწის ქვესკნელამდე გამავალი... მფრინავებს, გემის კაპიტნებსა და მეზღვაურებს არ შეხებია ეს ჯოჯოხეთური ტალღა; მხოლოდ უხასიათობა და ნევროზი აწუხებდათ. წყალქვეშა ნავებისა და გემების ეკიპაჟებმა მძიმე ფორმით იგრძნეს ყოველივე და წყლის ზედაპირზე ამოტივტივდნენ.

სიკვდილი სამყაროს სასტიკი, ბნელზე ბნელი და სიცოცხლის დამთრგუნველი მანქანაა, უცხო უხილავი ფორმის შორეული ვარსკვლავეთის ავთვისებიანი თანამგზავრივითაა ყოველთა წერტილის დამსმელი (და, არის). ის უფერული და უკეთურია თავის გამოცხადებამდე, ზოგჯერ ჩაგვიქროლებს ხოლმე უმძაფრესი და უმძიმესი განწყობილებით და მწარედ შეგვანჯღრევს. მთლიანობაში ყოველ ცოცხალ არსებას ერიდება მისი და რატომ? ის ხომ უსასრულობაში სხვადასხვა ფუნქციებით დედამიწის შემესებ-აღმდგენელი და სულთა სივრცეში გადაადგილების შეუცნობადი აუცილებე-



ლი კანონ-ძალაა და მაინც ქვეყნიერების უსასტიკესი ფორმა-ფერსახეა...

„უბედურებამ კი არ უნდა დათრგუნოს, არამედ მისმა დათმენამ გააძლიეროს“ (სტენდალი).

მილიარდერებს და მილიონერებს ვერ უშველა აურაცხელმა ოქრო-ვერცხლმა, ერის და ქვეყნის საბადოებიდან უგონოდ ამოღებულ გამდიდრებულთ.

„სამართლიანობა ის იქნება, რომ თვით ბოროტება გვძულდეს, ბოროტის მოქმედი თვით ისეთი ადამიანი კი, როგორც ღვთის ქმნილება — გვიყვარდეს...“ (ავგუსტინე).

დუმს უფალი, დრო არავის ელოდება...

„მცირე ჭეშმარიტებას ნათელი სიტყვა ახლავს, უდიდეს ჭეშმარიტებას — უსაზღვრო დუმილი“ (რაბინდრანათ თაგორი).

მზე არა ჩანს...

მოსვლა — მოლოდინი, მრავალ გრძნობათა ტევადობაა. ხოლო წარსული, რაგინდ კარგი იყოს, სევდის სავსეობაა სხვადასხვა ხასიათფენოვანი. ტრაგიკული თუ შედარებით ცუდი ფორმის კი, სულიერი უძირო სიბნელეა, ტანჯვის მომგვრელი.

ჩაფიქრებულან მირონმდინარე, უკეთილშობილესი ხატები ეკლესიური დანისლული მზერით... ამ შეჭირვების ჟამს ამაზრზენად გაიბზარა მრავალი ძველი თუ ახალი შენობის კედლები. მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს არ შეხებია ეს უცხო გამაოგნებელი ზეციური მბორგავი წნევა. შეჩერდა ელექტროსადგურები, შეწყდა ტელემაუნყებლობა და გამოირთო ინტერნეტი, არ ღალადებენ რადიოარხები... შეფერხდა ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა (ზოგიერთის გარდა). იმ საათებში არ მომხდარა მშობიარობაც ნებისმიერი ცოცხალი არსებისა: თითქოს ძველი და ახალი საფლავებიც გაუგებრად ახმაურდნენ ქვესკნელის უსასრულობიდან და საფლავებზე შინდისფერმა სულმა გაირბინა: რატომაა, რომ მიცვალებულთან — მკვდართან ახლოს მისვლა ძალიან გვიჭირს? საფლავთან კი არა! საფლავთან იმიტომ, რომ იქ მინა გვხვდება სიცოცხლით სავსე და ასევე მიცვალებულის მარადიული პატრონმომქცევი. ამ დროს გაურკვეველ კოსმოსურ სიკვდილ-დაინტერესებას ვგრძნობთ მიუწვდომელს — შორეულს და ღრმად სევდიანს, გარკვეულწილად ნისლოვნად მიმზიდველს...

„ჩვენი სული ჩვენს დაბადებამდეც არსებობდა და იარსებებს ჩვენი სიკვდილის შემდეგაც“ (პლატონი).

ქვეყნიერების მიუკარება კანონია — აუცილებლობიდან გამომდინარე, თავის დროზე, წმიდანებიც ანაყოფიერებენ თურმე დედამიწას... ყოველთა სიცოცხლე კოსმოსური ჯოჯოხეთიაო, მაგრამ ბედის ან იმედის ვარსკვლავი ყველასთვის თანაბრად ციმციმებს.

ახალდაქორწინებულები და წყვილი საყვარლები თბილ, მეგობრულ სარეცელს მოშორდნენ და სხეულის კანკალით აღელვებულნი ფანჯარას მიაფრინდნენ, ზოგი მათგანი სიყვარულით ნაფერებ სიცოცხლესაც გამოეთხოვა.

აღამებულ-აძენძილი გარემოსაგან განერვიულებული ვაჟი სულალტყინებული აფრთხილებს თავის გულისსწორს: — ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად, არ მომწონს ჩვენს ირგვლივ ჟამმომდინარე სტიქიური ეს განწყობილება, შურიგე-ანანო! ახლავე გულმკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი. რატომ? და რა იგრძნო ისეთი ქალის მეგობარმა და რომელმა შორეულიდან მომდინარე ინტუიციამ შეძრა ასე, ჩვენთვის მიუწვდომლად?..

სიცოცხლის მარადიულობა-ჩაუქრობლობის მასულდგმულბელი მთავარი კვანძი თუ უხილავი



დაფთავანი, ანუ მშვენიერებისა და სილამაზის ცისფერი კაპილარი, მაგიური, იდუმალი და ზეციური მრავალელემენტარევი წმინდანური ინტიმით ძუძუებზე გადის და ამიტომაცაა, ადამიანები განსაკუთრებით უფრთხილდებიან და მოკრძალება-მონინებით ექცევიან მზისებრ ფერთსავსე ნახევარსფეროს, რადგან ქალის — სხეულში თავისი ფორმით და თვისებით მზეა გადმოსული, თითქოსდა ფარული შიში და ხედვაა მისდამი. ქვეყნიერების მანათობლის უთვალავი კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩანისლული. ეს, შესაძლოა, ქალის იყოს, შველის, ვეფხის, კენგურუს თუ სხვ. დავაკვირდეთ კარგად უძველეს ხატებს. ქმნილებაზე „ღმრთისმშობელი ყრმით“, როგორი მზისეული სიღრმეებითი-გაელფერებით, მონინებით და სინმინდითაა შესრულებული მშობელი დედის ძუძუს მცირე მონაკვეთი ფრთხილი ხატმწერებისაგან. ის ხომ განსხეულებული სიცოცხლის რძით ამომავალი სავსე მზეა, იესო ქრისტე-მაცხოვრის გამზრდელი. დედის კოსმოგენური მთლიანობის სახე ღვთისმშობელშია გაცხადებული, ბუნებაში უფრო კეთილი ფორმა და უანგარო სიყვარულით გზავნა არ არსებობს...

ჯერ მინას მიუზარებელ მიცვალებულთა სხეულები სიკვდილის ბნელის იდუმალქმედებით, უფრო და უფრო გაქვავებულნი, საშინელ სხეულ-ლოდებად გაყინულან. შეწყდა ქვეყნად ტირილი, დატირება, მოთქმა-გოდება, ხმაური, მხოლოდ გაკვირვების ნერვიული შეძახილებია. ქვენარმავლებმა მიუვალი კუნაპეტი ნესტიანი ხვრელები მიატოვეს და ზევით მინაზე მზის ლოდინში განწირულებივით განწნენ. თავგები და ვირთხები ხუთი კილომეტრის რადიუსით ცეცხლნაკიდებულებივით დაძრწიან. ნეტავ, რას ეძებენ, ან ვის... თუ სადმე ომებია, შეწყდა თოფის ხმა, ურთიერთხოცვა და კაცთ კვლა ფულზე, ოქროზე, თანამედებობებზე და ქალზე. შენელდა ბოღმა, შური, სიძულვილი, მინათ გაყოფაზე დაძაბულობა, პიროვნებათა შორის ეროვნული შუღლი; იმპერიული ტერიტორიული გაუმაძღრობა და მტრობა, დაპყრობითი საზღვრების გადალახვები, მოიშალა ავანტიურა და ღალატი. გაფერმკრთალდა სიყვარული და კაცთა კეთილი ურთიერთობა. ამ დროს ეშმაკეულმა ბოროტებმა, სახე და ფერი იცვალეს და ქამელეონებად იქცნენ. უმზეობით შეძრწუნებული ქვეყანა ქარშეპყრობილი საქონელივით ღმუის და სიკვდილი თითქოსდა მათ მწარე სნეულებისგან მხს-





ნელად ეცხადება: სატანამ ქვეყნის გამგებლის მანტია ჩაიცვა და შავგვირგვინიან რქებაყრილ ატამანობასაც წაეპოტინა...

დუმდა სამზეო და უფალი — მომთმენი...

ეკლესიებში ია-იისფერებ-ცისფერებითი სულთმიერი ნისლი ჩამონვა და ყოველი ამქვეყნიური ხმა გაუვალ-გაურკვეველი გახდა. მხოლოდ ჯვრები იდგნენ მედგრად, მნათედ-მტკიცედ შემართულ, ცისკენ აისრულ გუმბათებზე. სამწუხაროდ, გადარჩენილთაგან, ზოგან მღვდელი მღვდელს დევნიდა, პატრიარქი პატრიარქს წყევლიდა და ანათემაზე გადასცემდა. თითქოსდა აირია პლანეტის კალენდარი და ნელთალრიცხვა, ჭირდა კაცთა ზნეობის დარეგულირება. დაუძიმდა დრო ეკლესია-საყდრებს და ჯვარს...

მცირედმორწმუნე ადამიანები, რომელნიც უგულბელყოფენ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს, უაზროდ ძარცვავენ ღმერთს. უფალს რას დააკლებენ, მაგრამ ღვთიურ სივრცეში მათივე რწმენა და წარმოსახვები რატომღაც ქრება. მართალი კოსმოსური მიდგომით ჩვენვე უნდა გავაძლიეროთ რწმენა-სწავლება, რითაც მეტად მივუახლოვდებით უფალს.

ღმერთი ამ მწარედ არეულ დროს ისევ გააზრებით მისჩერებოდა...

სივრცე და მოლოდინი უსაზღვროა...

„მზეს ერთი ნაკლი აქვს — მას საკუთარი თავის დანახვა არ შეუძლია“. (სოკრატე)

ქვეყნიერების მაცოცხლებელ-მანათობელ-ყოვლისმპყრობელი მზე უფალი პატრონი, სულიერთა სასიმწაროდ, ძალიან იგვიანებდა...

მთები ჩამუქდნენ უჩვეულოდ. მდინარეები უღიმღამოდ კი მიედინებოდა, მაგრამ მათი წყლის საამო ჩხრიალი არ ისმის. მეცნიერ-ასტრონომები, ასტროლოგები, მისტიკოსები და პლანეტარიუმით გატაცებული ხელოვანი, მოლოდინად ქცეულნი, მხოლოდ მზის ამოსასვლელ ცის დასალიერს მისჩერებოდა, სადაც მუქი ლურჯი ღრუბლის გრძელი მელანქოლიური სქელი ზოლი ჩანოლიდა. მხატვრები, პოეტები, მწერლები, ფილოსოფოსები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მეცნიერები, ასტრონომები, ასტროლოგები და წინასწარმეტყველები გაკვირვებულები განცალკევებულად სხედან სიკვდილის თუ უფრო უცხო მოვლენების მოლოდინში.

„გონება, ცხადია, სუსტია იმ უსასრულო ობიექტებთან შედარებით, რომელთა ახსნასაც

ცდილობს“ (აინშტაინი).

ოთხივ მხრივ ქარიც ჩადგა და ბუნებამ მნიშვნელოვანი რალაც დაკარგა... უძრავადაა მოლურჯო-შავი ღრუბლები და ადგილს არ იცვლიან. ცაზე ვარსკვლავთ გუნდი არ ჩანს, თითქოსდა წაიშალნენ. მხოლოდ მის სიღრმეში გაურკვეველად მიბნედილი ლაქები და ხაზები შეინიშნება. დასავლეთში მარტოხელად დაკიდული მკრთალი მთვარე, გაოგნებულ-შეშინებული ერთ ადგილას დგას და დედის მომლოდინე ბავშვივით უკან იმზირება. ქვეყნების ხელისუფლებათაგან უმეტესობამ სამუდამოდ დატოვა სააქაო გამწარებული სახით. მათ შორის გადარჩენილები მხნე და უშიშარნი იმ საათებში სპირტიან სასმელებს უმალ დაენაფნენ. უხილავი სიკვდილი, ყოველ ხილულზე ძლიერი, მუქ შინდისფერ ხაზებად გამჟღავნდა და ქვეყანას წამშლელ ბადე-საფარად მოედო. ლოდინ-მოლოდინი ბნელ უძველეს ბუნებრივ, თვითნაბად გვირაბებს დამსგავსებოდა.

მთვარის დაბნელება, რა თქმა უნდა, ლამის საათებში ხდება შუალამემდე. ჯგუფი უახლოესი ადამიანებისა ამაღლებულ მინდორზე ვდგავართ შეუიარაღებელი თვალით და ვაკვირდებით ჩვენს ლამის ცის მშვენიერას. ცნობისმოყვარეობამ, ლოდინმა და შიმნარევემა განცდებმა ერთად მოიყარა თავი. ნათელი მთვარე თითქოსდა ემზადება დედამიწის ჩრდილთან შესახვედრად და მოთმინების ძაფი უკიდურესობამდე შემოკლდა. პატიოსანი, მანათობელი დისკის დაპატარავება იწყება მარჯვნიდან, შენელებული მცოცავი სვლით. მთვარის დაბერება-კლება კი წარმოებს მარცხნიდან მარჯვნივ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ყოველთვიური მოვლენაა, მაგრამ სვედის მომგვრელი. მეცოდება დიდი ქალაქის მცხოვრებნი, რადგანაც მთვარის სილამაზესა და სიღრმეში ჩამწვდომ ვარსკვლავეთის მოძრაობის პროცესს ვერ ხედავენ, რადგან მათ შორის ჩადგა ხელოვნური განწყობილების გავარვარებული ელექტრონათურა.

შემდგომ ყველანი დაძაბულნი ვხედავთ, თუ როგორ ნელ-ნელა დაპატარავდა მთვარე და უწვრილეს ნამგლად დაეკიდა დაღეულ-საცოდავ სანახაობად, ხოლო სააზროვნებოდ სიურრეალისტური შეგრძნების და კოსმოსურ-ფილოსოფიური შინაარსის გახდა. ან რა უნდა მოხდეს? ბავშვები უფრო შეეშინდით. მთლიანად ხომ არ დაგვკარგავთ ზღაპრების მოსაყოლ უებარ საშუალებას? ბებიჩემი, პარასკევა ჯიანი შუალამემდე მთვარის შუქით განათებულთ გვიყვებოდა მაღალმხატვრულ და შინაარსიან ზღაპრებს. სამწუხაროდ, არავის არ ჩაუწერია ისინი და დაიკარგა, ანუ სივრცის მეხსიერებაშია შენახული. მერმე მთვარე ნელ-ნელა გამოთავისუფლდა დედამიწის ჩრდილისგან და, უცნაურად განახლებული და ნათელ ვერცხლად გაბრდღვიალებული, ლამის და ცის ხელმწიფედ გაბატონდა. შვევით ამოისუნთქა ზეცამ, ქვეყანამ და ჩვენ... — ეს რაა, ბავშვებო, შარშანწინდელ მიწისძვრასთან შედარებით, — ჩაილაპარაკა მამაჩემმა და თუთუნი გააბოლა.

იმ ნელს მარტვილის რაიონის ჩრდილოეთით, ქვიბიის ცამდე აზიდულ მთებში იყო მიწისძვრის ეპიცენტრი. მართლაც რომ საშინელი ტრაგედიის მოლოდინით ხალხი ტოვებდა სოფლებს, სახლებს, მოვლილ ეზოებს და მიემუხრებოდნენ შავი ზღვისპირეთისკენ. გამოქცეული ადამიანების ტევა არ იყო ბარის სოფლებში და ქალაქებში. განსაკუთრებით საღამოობით იწყებოდა მიწის ტორტმანი, ქვესკნელური გრუხუნი, მცენარეების უთავბოლო იქით-აქეთ გადანოლა და სახლების ადგილზევე ზანზარი. საბედნიეროდ,



მაშინდელი მინისძვრა ბიძგები დამანგრეველობამდე არ მისულა. სრულიად განსხვავებული განცდა, განწყობილება და უსიამოვნების უმძიმესი მოლოდინი, ბუნების გარემო სილამაზე და ადამიანების ერთად ყოფნა ანელებდა ფიქრებს შუა გამავალ ტრაგიკულ განცდებს. ყველაზე მეტად სამივე კოსმოსურ მოვლენა-დაძაბულობაში ძალები რეაგირებდნენ. სოფლის სხვადასხვა ოჯახებში ახალმოგებული ძროხების წაბლავლების ხმას კანტიკუნტად გაიგონებდით. ფრინველების ჩამიჩუმი არ ისმოდა როგორც შინაურების, ასევე გარეულების.

ისევ ჩვენგან ღრმად განყენებული უხილაობა დუმდა... მზის და მთვარის დაბნელება, ასევე მინისძვრაც ხომ ბევრად მსუბუქი მოვლენა იყო მანათობელი პატრონ-პლანეტის ბნელეთში დაკარგვასთან შედარებით. ღვთიური სიდიადის დაბნელებისას ამ ასტრონომიული შიშისმომგვრელ შემთხვევაში იმედის უძლიერეს ფორმად ჩანდა სახედაბინდული მზე; მთვარე კი თავის ღამეულ ხაზ-ფორმით სივრცეს არ მოშორებია. ხოლო მინისძვრისას დედამინა ჩვენთან ერთად იდგა და ნერვიულადაც თრთოდა. სამივე ურთულეს პლანეტათა მოვლენაში ჩვენ ერთად ვიყავით. გამოგნებელი ფიქრთ მომგვრელად. ხოლო იმ ალიონის კატასტროფულ ბნელეთში ჩარჩენილი მზისგან მიტოვებული ხალხი უჩვეულოდ განცალკევდა ურთიერთისგან და თანდათანობით მიცვალებულთა იერსახით იბინდებოდა...

„სიკვდილის შიშით სიკვდილი უგუნურებაა“ (სენეკა).

გაურკვეველად და მიუდგომლად დუმდნენ ქვეყნიერების მხსნელები...

მარტვილის რაიონში არის პატარა მთაგორიანი ულამაზესი სოფელი, რომელიც წრიულადაა ჩაფენილი სოფელ კურზუსა და დობერაზენს შუა, ეს სანაჭყებიოა, უძველესი ჭყონდიდის სიახლოვეს, რომლის მცხოვრებნი ამჟამადაც პატიოსანი მშრომელი და თავისი კუთხე-ქვეყნის პატრიოტი წარმართები თუ მზისთაყვანისმცემლები არიან. ამ უბედურების ჟამს დიდი და პატარა გაიძახოდა: ბჟა სი ქოგალე! არ დაგვივიწყო! ნუ მიგვატოვებ და ამოდი, გვადირსე ჩხანა, ჩვენ ყველანი ყოველთვის ვლოცულობთ შენზე და საჭიროებისას სულხორციელად შემოგვევლებით კიდეცო.

მრავალშრიან დუმილს შეევსო სივრცე და დრო — ფიქრი აზრს მოსდევდა, რომელიც ნაკურთხ სანთლისფრად ჟონავდა უნაკლოდ; მხოლოდ კოსმოსური ძალიან შორეული უბგერო შიდა ხმა ისმოდა — უფრო გრძნობადად ქცეული. უხილავი იყო ეს ყოველივე და დაუდგრომელი, რომელიც ვარსკვლავთა დასახლების მძაფრი მოძრაობით უსასრულობას მოიცავდა, ყოველთა სიახლოვეს კი მხოლოდ სული თუ ეახლებოდა, როგორც ღვთიური ფორმა — უცხო ელემენტი...

სოფლის ხანში შესულმა, ბუნებითაც განათლებულმა მასწავლებელმა, ჭალარა ქალბატონმა კედლიდან ჩამოხსნა ქართველი მხატვრის მიერ ნატურიდან შესრულებული ფერწერული სურათი-ტილო „მზის ამოსვლა პარიზში, ნოტრდამთან“. იქ მყოფთაგან დიდი და პატარა ემთხვია სიტყვებით, ჩვენი მხსნელი და ყოველთა მანათობელიაო. თან მათთან მყოფ დაღონებულ სტუმარს, მართლმადიდებელ ეკლესიის მესანთლეს, ხანში შესულ, თმააბურძგნულ, შიშნაჭამ მამაკაცს მორიდებით მიმართეს, მზე რომ არ იყოს, თქვენს სალოცავ ხატებს და ეკლესიას თვალითაც ვერ იხილავდითო!.. ას ნელს მიახლოებული პატარა ტანის, ნელში მოხრილი, სახედანაოჭებული, ცისფერ-

წვრილთვალეა, დაღონებული მოხუცი ყოველ წუთს სულმოუთქმელად გოდებდა: ამოვა ბჟა მალე! ნუ გეშინიათ, ბაბა!.. მერე მორჩილებით ითხოვა, ის ჩემი წაბლისფერი დაუკოდავი მოზვერი ჩამოიყვანეთ მთიდან და ძველებური ადათით შესწირეთ ქვეყნის მანათობლის დიდებასო და ცრემლები ლაპალუპით წამოუვიდა... სად ხარ, ჩვენო ბჟა, დაგვენახე! ნუ მიატოვებ ჩემს ისედაც ტანჯულ ქვეყანას, ოდიშს — ხშირად იმეორებდა საცოდავად სახე-ტანაძეძვილი ბერიკაცი.

როგორც მთელ ქვეყანაზე, აქაც სამარისფერი ატეხილი სტიქია მივინვარებდა ქარბორბალასავით. წინანდელი ის ყოველდღიური ცხოვრებისეული მძიმე მრავალი განცდა, რაც კი განუცდიათ ადამიანებს, თითქოსდა ახლობელი და შინაურული იყო და პირადული. დღევანდელი კი სრულიად შორეული და უცხო მოვლენა გახლდათ ნერვიული სიშორიდან მომდინარე, იდუმალ ციდან გადმოგდებული. მინიერ მოვლენა-უბედურებას ვითომდა ახლავს იმედი მომავლის საშველისა: წარმოიდგინეთ, თვით სიკვდილიც კი; მიცვალებულს როცა დაკრძალავენ, ჭირისუფალსა და გარდაცვლილს შუა ყოვლისშემძლე ცოცხალი მინა რომ ჩადგება, თითქოსდა ქვეცნობიერი იმედი გაჩნდაო ძალიან შორსმავალი კოსმოსური (ქვეყნად ბევრი რამე სიკვდილთანაა მიერთებული, მინა სამყაროსეული სიცოცხლითაა მარადიული. მკვდარი მინის ერთი ბელტიც არ არსებობს...). სიკვდილ-გარდაცვალებას მხოლოდ მინა კურნავს, კეთილი. მიცვალებულთ ერთობაა მინა, მარად ცოცხალი საფლავთ იმედი და სითბო. მზის სხივები ნათელი, უთუოდ რომ გარდაცვლილთა გლოვა და გახსენება, იდუმალი სიცოცხლეა ჩვენგან დავანებული. ხოლო ამ შემზარავსა და წარმოუდგენელ შემთხვევაში ადამიანები ვერ ჩანვდომიან, დედამინის შეჩერებაა კატასტროფული, მზის გაურკვეველი მძიმე მოვლენა, ვარსკვლავეთის მთლიანი დაღუპვა თუ შორეული, ძალიან მიუწვდომელი, მიუდგომელი, ისეთი, რომ დედამინაზე არავითარი, ამ ვითარების გამოსწორების მეცნიერული საშუალება ოცნება-ფანტაზიითაც მოუძიებელი გახლდათ.

დაძაბული დრო-სივრცე და უკვე გარდასახული გარემო გაურკვეველად და უკუნეთის ფერად შეიკუმმა...

თავბრუდამხვევად შეძრული ადამიანი წარმოუდგენლად წუთი-წუთზე (სულიერად და ფიზიკურად) ილეოდა... ოჯახის პატარა ფერდაკარგული, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ბიჭი, ხშირ-ხშირად იმეორებდა, ძველ-კოლხურ წარმართულ თუ მზისთაყვანისმცემლობის მრავალი ათასი წლის წინანდელი კოსმოსის, კერძოდ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სადიდებელ ლექსად ნათქვამს:

„ბჟა დიდა რე ჩქიმი,  
თუთა მუმა ჩქიმი,  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი  
და დო ჯიმა ჩქიმი“  
(მზე დედაა ჩემი,  
მთვარე — მამაჩემი,  
მოციმციმე ვარსკვლავები  
და და ძმაა ჩემი.)

— ეჰეი, თურმე როდის ინერებოდა ლექსები კოლხეთ-იბერიაში.

მერმე, ფიქრებით უკვე სამყაროს სივრცეებში მყოფი და ნაღვლიანი ზავში დიდ ბაბუას ჩაეხუტა და ეკითხება: — ანი რა მოხდება, ბაბუ? — ცუდი არაფერი, შურიგე, ბჟას რომ შემოვევლე, ამოვა მალე და...

როგორც მოგვახსენებენ, სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედურების შემთხვევაში.





ბრძენნი ძლიერნი არიან ნებისმიერ დროს და მათგან ვინც იყო გადარჩენილი, მხოლოდ უტყუბი სიმამაცისკენ მოუწოდებდა ხალხს.

ყოველგვარი დუმილი საამო და საცნაურია, მაგრამ მზის უჩვეულო გატრუნვა და დედამიწის უძრაობა კოსმოსისაგან განგაშმეყრილი საშინელება ყოფილა... ამ სამ საათში პლანეტის მეორე მხარის მიდამოები, სადაც მზე უძრავად აცხუნებდა, მოულოდნელობისგან უკიდურესი ნერვიული სტრესები მოედო ირგვლივთს. წყალში, ხმელეთზე, თვალგახელილი და გაოგნებულნი მისჩერებოდნენ ცის კაბადონს და მზის ჩამაფიქრებელ უძრავ, მშვენიერააყრილ ჩრდილებს. დიდი სხივღვთიური მანათობლის მალალი ტემპერატურით და ჩრდილთ-ყოველთა უძრაობით, ფსიქოლოგიური შეკუმშვით, ნერვიული უძრაობით და საერთო ნაკლოვანებით იხუთებოდა იქაურობა. ჰაერსაც დაეკარგა ჟანგბადი, წონა და სიცოცხლისუნარიანობა.

„თუ ცუდს ველოდები, დრო გარბის, თუ კარგს — მიცოცავს“ (ვოლტერი).

თანამედროვეობის გამაოგნებელი ცივილიზაცია თანდათანობით ძალას და ფერს კარგავდა. ობსერვატორიების მეცნიერები ურთიერთთან გამუდმებულ კავშირში იყვნენ და კოსმოსური უცხო წალეკვის მძაფრ მოლოდინში ვარსკვლავთა სამზერ აპარატ-ხელსაწყობებს არ შორდებოდნენ და პლანეტების უჩვეულო ყოველწამიერ გადაადგილება-განწყობილება-მოვლენებს აფიქსირებდნენ... ჟამი დაბინდული არ-ნახულად და გაუგონრად გაიწელა. თითქოს უკან იწყო სვლა. მოძრავი საგნებ-აპარატებიდან ყველაზე უფრო საათებს გაუჭირდათ. დროის ათვლას კი აწარმოებდნენ, მაგრამ მთავარი, წუთები თუ წამები უაზრობად იქცა. უკიდურესად აირია მათი სივრცობრივი ფუნქცია და მზის სისტემისეული საათ-წუთ-წამობრივი გათვლა. საათი გახლავთ გარემოს, სივრცის, დროის მაჯისცემის დათვლა. ის მხოლოდ ადამიანმა კი არ გამოიგონა, არამედ განგების სიკეთემ გამოიყვანა სამყაროს უსასრულობის სივრციდან — მზის სისტემის კვლავ დაუდგენელი დროის პირობითი ამთვლელი აუცილებელი და მართალი მექანიზმი... სამყაროს უკიდურესად სივრცეში, დროთა სხვადასხვა განზომილებებშია. ასევე მის მიუწვდომელ უშორეს

უსასრულობაში, სიცოცხლის ურთიერთისაგან განსხვავებული ფორმები და სახეები, რომლის იდუმალ საოცრებას ადამიანის გონება ანუ ცივილიზაციები ჯერჯერობით ვერ წვდება... დედამიწაზე არსებული სულიერი ფორმა განსხვავდება ალბათ, რომელიმე გალაქტიკის გულმფეთქავ პლანეტაზე მოფენილ არსებათა სულით, გონებით და სხეულის სხვა შემადგენლობისაგან. შესაძლებელია სრულიად განსხვავებული შემადგენლობის ჰაერით სუნთქავდეს იმ პლანეტაზე მცხოვრებნი ანუ მიუწვდომელი მაგნიტური უცხო ველებითი ხაზ-შუქდინებით იკვებებოდნენ. კოსმოსი ხომ უზარმაზარი შემოქმედი, რომელსაც განაგებს უსასრულობის ძალა ყოველთა განუზომლობისა...

დაიბნენ შუქრდილები — მოიშალა მათი უზენაესისგან დაკანონებული მიმდევრობითი მოძრაობა-მოქმედებები. სადაცაა, ღამესა და დღეს შორის განსხვავება უკიდურეს ნაშლამდე მივიდა, სინათლის წყარო, ფორმა და არსი წარმოუდგენელ გაუცხოებას მიუახლოვდა. გაურკვეველი სივრცის ვარსკვლავთური დაუდგენელი უცხო თავბრუდამხვევი განზომილება ეუფლებოდა ქვეყანას.

„შიში, როდესაც საშიშია, ყველას ერევა“ (იბსენი).

მზის გასხივების ზეაღმტაცი განუსაზღვრელობა უკიდურესად, ღმირის მომგვრელია, სამაგიეროს მიგება ამ ყოველმხრივ უძლიერეს მიუწვდომლობასთან. ჩვენს პლანეტაზე მოვლენილი რელიგიური აღმსარებლობებზე შენირვები და პირადი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანები, ოდითგანვე გარდაუვალი ყოფილა. საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებით წარმართობამ შეინირა ადამიანთა მოდგმის ულამაზესი ნაწილი და გაანადგურა თავისი რელიგიური, უაზრო და არანორმალური ფანატიკური რწმენიდან გამომდინარე. ნაწილობრივ ქრისტიანობაც ვერ გაექცა რთულ ზნეკოსმოსურ უკიდურესობებს და უფლის წმიდათა-წმიდა ამბიონზე პირადი მსხვერპლმიტანები აუცილებელი გახდა. საუბედუროდ, ჰუმანური სარწმუნოების უერთგულეს მიმდევართ, წარმართები სიკვდილით სჯიდნენ. ამ შემთხვევაშიც ვერ გაექცნენ ღრმად-მორწმუნეები გაუთვალისწინებელ დიდ მსხვერპლს. უფრო რელიგიურ ნიადაგზე ხოცავდნენ სიყვარულის, სიკეთის და ურთიერთმეგობრობის ქრისტიანებს. ძალიან ხშირად, სარწმუნოებრივი დაპირისპირებები სამკვდრო-სასიცოცხლო ომებით მთავრდებოდა და რატომ და რაზედ? მრავალ რელიგიათა ღმერთებო, ასე ძნელია თქვენი შერიგება-მორიგება?! თუ ვერ უმკლავდებით კოსმოსურ გამოსხივებებს?..

უძველეს აღმსარებლობებში მსხვერპლად მიგება ძალაუნებურადაც იმართებოდა ჯანსაღი აზროვნების უქონლობით და ჭეშმარიტებასთან გონებრივი მიუწვდომლობიდან გამომდინარე. ამ დროს მზე პლანეტებს და თანამგზავრებს უმცირეს მოლეკულამდე იმდენად ზედამხედველობს, რომ უსასრულო ენერგიაც შესწევს, როგორც მოესურვება ისე წარმართოს თავისი სისტემა უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. მაგრამ მზე უკიდურესად პოტენციის მანათობელი ენერგიით სავსე, ზნეკეთილი წეს-მეუფეა ყოველთა მათ მიმართ, რომ მისხალითაც არ უხვევს და ცვლის სამყაროთა გამგებლის მაგნიტურ სხივძალოვან მრავალგანზომილებიან ზეფილოსოფიურ აზროვნებას და უსასრულობის უსაზღვრო სამყაროსეული კანონის უმძლავრესი, უკეთილშობილესი ფუნქციონერია საკვირველი და, უთუოდ, ქვეყნიერების უხილავი მფლობელის ყოველთა მომწესრიგებელი ზეძალაა, ალბათ პლანეტაზე არსებული ნებისმიერი აზროვნების-



ვისაც მიუწვდომელი. ის რომელიღაც პლანეტის ვარდისფერი, უტყუი ლოდით მყარი აბსტრაქციაა სასწაული მომრეგულირებელ-მარგანიზებელი. ხელოვანთაგან ვასილი კანდინსკი, ხუან მირო, ტერენტი გრანელი და მათი მავგარნი, ეჭვგარეშეა, მიახლოებით მაინც ფლობდნენ და აზროვნებდნენ თითქმის ამ შეუცნობელ არსებულზე...

როგორც მოგახსენეთ, დროის ფენომენი გალაქტიკებში და უთვალავ მზეთა სისტემებში მრავალნაირი და ბოლომდე შეუსწავლელია. ჯერჯერობით გარკვევით არავინ იცის, ისინი როგორი თვისებების, ზომა-განზომილების, ტევადობის და ფუნქციებისაა. ჩვენ მცირედით, მზის სისტემის მიახლოებითი მინიმუმებით ვკმაყოფილდებით, ზეციურობის უდიადესი დროის იდუმალ გარკვეულ დინებაში რომ ვართ მოქცეულნი... გალაქტიკების და სამყაროს ჩვენთვის უცნობი, მაგრამ მიახლოებით მაინც შესწავლილ-მონიშნული შვიდი განზომილების მცნება თითქოსდა მოუახლოვდა მშობლიურ პლანეტას, ბოლომდე მაინც ვერა და არ გამოიკვეთა. პლანეტარიუმის ამ მომავლის — საოცრების დედამიწაზე მოსვლისას შესაძლებელია უდიდესი მეცნიერული სიახლეები წარმოიშვას: უთუოდ რომ გაუგონარი შედეგი მოჰყვება ყველაფერს მომავლის ცივილიზაციაში. ალბათ დრო უნდა საკმაოდ დიდი, როგორც ათი მცნების ადამიანებთან მოსვლას დასჭირდა...

მზე ცის სიღრმე-სიგრძე-სიგანის განზომილებაზე არ ჩანდა. დედამიწა ფერშეცვლილი, გაბუტული ეკიდა კოსმოსურ სივრცეში და ნაღვლიანად დუმდა რაღაც დაუდგენელის, გაურკვეველი, ჯერგაუგონარის, არქაული ფიქრითიქითა აზრთ სიშორიდან მოახლოებული მოვლენების შეგრძნებით. ქვეყნიური ძველი ზნე-კანონები შეწყდა, ახალი კი არ იქმნებოდა. ზეცის სიშორიდან შემოქმედთათვის წარმოსახვითი ფანტაზია და მუხათაგზავნილება არ ჩანდა. ფერთა სპექტრის გარეშე გამოუცნობი მუქი ფერები უმიზნოდ მომრავლდა და იმქვეყნიური თუ ქვესკნელური მძალე სუნი აჰყვა.

უაზროდ გათიშული მინა-პლანეტა, საცოდავად ყველასგან მიტოვებული, განმარტობით უძრავად ეკიდა სუნთქვაშეკრულ უკიდევანო დაბინდულ, ოკეანეს მიმსგავსებულ სივრცეში...

დედამიწა სიცოცხლის, სიკეთისა და ბოროტების საშოა. ბევრად უფრო ძლიერი სიკეთე ეგზავნება მზისგან და ხშირად ანეიტრალებს სიბნელის კვალს, მაგრამ მთავარი საშო მაინც მძლავრობს — მარადიულად.

უხაროდათ ეშმაკს და სიკვდილს — უსახო ბოროტ თანატოლებს...

სულიერთა და უსულოთა მრავალმხრივი და ყოველგვარი ურთიერთქმედება სიკეთე ჩაკვდა, ვილაცებმა და სრულმა ჯოჯოხეთის გაურკვევლობამ, ბნელის ტალღოვანმა შავბნელმა გზავნილებმა ღმერთი მეორედ მკვრივჰაეროვან ჯვარს აცვეს და უსაზღვროდ წარმოუდგენელი დემონური ენერგიები გაბატონდნენ. უსასრულო ქვეყნიერების დიადური ძალა — სინათლე, უმოქმედოდ მიმალულიყო. აღმოსავლეთის ცის დასალიერი მუქლურჯ ჰაერის ზანტად ჩამდინარე სვლით, უჭირისუფლო და უპატრონო სამარეს დაემსგავსა სამყაროული სევდით გარემოცულს. შენ, წყაროვ, მზეო! შემოგველეთ ტან-ფესვებიანად, გამოჩინდი და დაგვენახეო, ყოველთა დიდო იმედო-მფლობელო პატრონო, — ამდაგვარ შემახილ ხმებს ნებისმიერი მცენარეები და უძრავი საგნებიც გამოთქვამდნენ უთუოდ... ყველაზე უფრო მაინც მოაზროვნე არსებათ უჭირდათ და განწირულები სულს ლაფავდნენ.

„განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ერთად იყრის თავს“. (იოანე დამასკელი)

პლანეტების კოსმოსურმა მოძრაობა-სვლათა ნყვეტამ და უმზეობამ წარმოუდგენლად არივ-დარია ისედაც დაძაბული ქვეყანა, ბოროტება და სიკეთე მძაფრად ენაცვლებოდა ურთიერთს, სიკვდილის უზარმაზარი შხამიანი სამარისფერი ჟანგმოდებული მანქანა თავისი მორყეული ბორბლებით დარისინებდა ზევით-ქვევით, ციდან მიწამდე. ყოველივე და ყველაფერი წაგრძელებულნიკაპა, წვრილთვალება, მოკაუჭებულცხვირა და მორიელისფერქებაყრილი ეშმაკის შავ სასწორზე იყო შეგდებული.

„გაჭირვება ყველა მეცნიერებაზე მეტს ქმნის“ — ეზოპე.

მინა, კაცთა და ყოველ არსებათათვის დაუთმობელი და განუყოფელი, დღეს პირველად კარგავდა თავის ბოროტების და სიკეთის საწყისებს, რომელიც მისდა ჩაურევლად ბატონობდა; მაჯამფეთქავი უკვდავცოცხალი მინა-პლანეტა კეთილი, უტყვი, ამდაგვარი მდგომარეობებით შეძრული, თავისივე გატანჯულ სფეროს ნაღვლიან ცრემლში ცურავდა. სამზეოში, გამოუღვევლ სიყვარულსა და სიკეთესთან ერთად, რადგანაც ბოროტება მძლავრობდა, ამ ურთულეს დროის მონაკვეთში ავთვისებიანი უკეთურობა მკვეთრ-სამოქმედოდ გამჟღავნდა.

დედამიწა ჩვენი მზის სისტემაში იდუმალხილული-ანდამატური სიცოცხლით და სულით სავსე პლანეტაა, ირმის ნახტომსა და უახლოეს გალაქტიკებშიც მისებური უმშვენიერესი ციური სხეული არ მოიხილვება ჩემეული ვარაუდ-ინტუიციით. მარად ცოცხალი — მსუნთქავი გულმფეთქავი შემოქმედებითი ბინადარია პლანეტარიუმის დასახლების უსასრულობისა. სამყაროს მმართველის, მოცისფრო-მომწვანო, ვერცხლისფერებში გახვეული, კოსმოგენური საპატიო უახლოესი, უფლის სისხლისფერი, კოსმოსური სითხით სავსე თასია. აურაცხელი საფლავები, რომელნიც მის სხეულშია შერწყმულ-გაერთიანებული, ყოველივე იმავე თვისებისანი არიან, რაც საკმაოდ მოკლედ ჩამოვთვალე. უხსოვარ დროიდან გარდაცვლილი ადამიანები, წმიდანების და გენიოსების ჩათვლით, ცხოველები და თევზები, ფრინველები თუ მცენარეები, უნაკლო დედამიწაა ამჟამად და მარადის... — უხსოვარი დროინდელი მცნებაა მართალი: „მინა იყავ — მიწად იქეც“...

„გემინოდეს სიკვდილის არა საფრთხის დროს, არამედ მაშინაც, როდესაც არაფერი გვემუქრება. დე, ადამიანი ყოველთვის დარჩეს ადამიანად“. (პასკალი)

სულისა და გონების შემარყვევლ, ჯოჯოხეთურ ჩვენი პლანეტისეულ ამ უკიდურეს შემთხვევებში მინდა სოფლის ცხოვრების ავშინაარსიანი მიწიერი მოვლენები გამოვყო და მოგიხსროთ. ერთ-ერთი ჩვეულებრივი ოჯახის უფროსი ძმა, მამისეული მამულის მთლიანად დაუფლების მიზნით გონგახელებული, სრულიად მართალ უმცროს ძმას გამეტებით დევნიდა. ამ თემაზე წაჩხუბებისას დაუნდობლად მარჯვენა ფეხი წვივთან მოსტეხა კიდევ. იმავე საკითხზე უკვე მერამდენედ წალაპარაკებისას მწარედ დაემუქრა და განუცხადა, მთელ ეზოში მხოლოდ მე და ჩემმა ოჯახმა უნდა ვიცხოვროთო. ამ დროს უმცროსმა უშფოთველად მიუგო: — ორივეს გვეყოფა ეს დალოცვილი მამა-პაპეული მიწაო და პირადად კი, მშობლიურ სოფელს და კუთხეს, ღვთიური სიყვარულიდან გამომდინარე, არასოდეს მივატოვებო. ამით გაცოფებულმა და სახემშე-ლილმა უფროსმა ჯოხი ესროლა და მარჯვენა ქუსლი მძიმედ დაუზიანა. ხოლო დედამიწის და სოფლის ამ





უმძიმეს დღეს, დამფრთხალი და გაფითრებული სიტყვიერად ინანიებდა თავის უზნეო, უკეთურ მოქმედებებს, მაგრამ თურმე მხოლოდ რამდენიმე საათით.

„სიკეთე სიამოვნებაა, ბოროტება კი — ტანჯვა“ — შექსპირი.

უფლისა და მზის უსაზღვრო სიკეთემ ვერ უშველა მას, ეტყობა სრულიად განსხვავებული ქვედალა (კოსმოსური ჟანგი) მართავდა ამ კაცს. მზისგან მიღებულმა სითბომ და უსაზღვრო მადლმა ვერ გაუხსნა ღვთიური სიკეთის გონიერება. ხოლო საქვეყნო დაღუპვისაგან შეძრწუნებულს რატომღაც უბრუნდება მონანიებისა და კეთილგონიერების აზრ-თვისება და თავს ხრის უფლისმიერი ჭეშმარიტების წინაშე, მაგრამ ღვთის ნებით თუ... როგორც ინათა პლანეტის სხვისავსე სიცოცხლემ და იგი უმაღლესად უბრუნდება თავის ავკაცობის საშინელ ზნეს. ძალაუვნებურად ისმება კითხვა: — რატომ?! ნუთუ სიკვდილის მოახლოების შიშმა ასე შეცვალა? ნუთუ უკუგამდინარე გახდა მისი ბოროტებისგან სიცოცხლის მოსვლა?... რომელიმე ვარსკვლავისგან უარყოფით ელემენტებს ხომ არ ითვისებდა ავკაცობისკენ მიდრეკილი მისი სული და სხეული? ან...

ამა სოფლის უმძიმეს შემთხვევებს რა გამოლევს და მინდა რამდენიმე დრამა-ტრაგედია მოვიგონო, რომლებიც მზისა და დედამიწის განგებ ჩაურევლად რომ ხდება, უთუოდ მონიშნული ვარსკვლავის ავ სხივთა მეოხებით.

დაოჯახებულმა, ცოლ-შვილიანმა ვაჟმა საკუთარი მშობელი მოხუცი დედა, გვერდით ცალკე მშვიდად მოსახლე, უძველესი სახლ-კარიდან გააძევა და თვითონ დაეუფლა მისას ყველაფერს. მთის განაპირა სოფელში მამამ მხეცურად უზნეო — დამნაშავე შვილი თოფის გასროლით მოკლა. ერთ-ერთ თემში მთვრალი გაღეშილი, უხასიათო და უგონო შვილი უდანაშაულო მამას ფიზიკურად წაეჩხუბა და შემოაკვდა მშობელი. ვინ მოთვლის, მხოლოდ სოფელში კი არა, ქალაქშიც რამდენი სიავე და უზნეობა უპირისპირდება დღესაც ღვთიურ სიკეთეს და ამრიგად მიაბიჯებდა მრავალი ბოროტებით სავსე ქვეყანა და ებრძოდა უფლისმიერ წმიდა ორანს, სიკეთე-სიყვარულს. „ადა-მიანის სულიერი გარდაქმნა შეუძლებელია, თუმცა მისი გაუმჯობესება მოსალოდნელია“. დღეს კი მზის არგამოჩენამ მათგან (ბოროტთაგან) უმეტესობა იმსხვერპლა, რატომღაც მეტწილად უღვთო ზნეობის ადამიანებს უფრო ანადგურებდა ზეციური მკაცრი მოვლენები. მეორედმოსვლააო, ღვთისმორწმუნე ქალები იძახდნენ. „რა ცუდია, ადამიანები ერთმანეთის ტკივილები რომ არიან“, „ურთიერთსიყვარული კი ხანგრძლივი ბედნიერებაა“.

„არც ისე ჩქარა მოვა სასამართლოს დრო, რომელიც ცუდ საქმეებს გაასამართლებს, ამიტომაც ადამიანების შვილების გულებს ბოროტების ჩადენის არ ეშინიათ“ (ეკლესიასტე).

მზის მეოხებით სიცოცხლე როს აღმოცენდების ქვეყნიერების წყარო ანკარაა მარადიული...

ღმერთმა დაგვიფაროს და სამყაროს, კატასტროფის შემდგომ, მხოლოდ ერთადერთი პლანეტაც რომ შემორჩეს — მზე, სიცოცხლეს ჩამქრალი არ დაერქმევა...

მომავალში უმაღლესი სიდიადის აღმსარებლობებიც რომ აღმოცენდეს და სასწაულებრივად გაძლიერდეს, ვერასოდეს ვერც ერთი სწავლება და ცივილიზაცია ვერ უარყოფს მზის ღვთიური ენერჯის ჭეშმარიტ უსასრულობას. სხვადასხვა საუკუნეებში მობრძანებული რელიგიები, მზის თაყვანისმცემლობის გაუქმების შემდეგ თავად მზესაც შეენნენ უდიერად,

რითაც მხოლოდ თავიანთ თავს მიაყენეს ზიანი...

ჟამი დადგა აღუწერელი ბედნიერების, სამზეოდან მზე სრული სვლით ამობრწყინდა და რეალური სამოთხე გაიშალა მთელს დედამიწაზე. უცნაურზე სასწაული იყო, ყვავილების ცქრილა ხმა რომ გაისმა საამოდ, ტანჯვამიყენებული ქვეყნის, უზარმაზარ სხივთგუნდებად გაივსო ცის კაბადონი. არაქვეყნიური უხმო მოგუდულ-შორეული გუგუნის ხმა ისმოდა საკვირველ-აღმაშფოთებელი. სისტემის საერთო შვებით ამოსუნთქვამ ზეცის უსასრულობამდე გააღწია. ახალადთქმისეულ სიხარულად ახმაურდა სოფელი თუ ქალაქი, მთა და ბარი, გადარჩენილებიდან დიდი და პატარა ტაშს უკრავენ და ერთმანეთს ეხვევიან. აღდგენილმა სიცოცხლემ უბედურებისგან დაღუპული, ჭირისუფალთ კინალამ გადაავიწყა... ცაში ატყორცნილი ფრინველების ჟრიაბული, მზის დისკს თითქოს და გაეთამაშნენ. არნივები ძალიან მაღლა, შორს, გალაღებულ ირაოს აკეთებენ. თევზები წყლის ზედაპირზე ამოიჭრნენ და ფერანთებულ სხივებად სხმარტალებდნენ. ბუნებით აუცილებელი გამრავლება დაიწყო ცხოველთა სამყარომ. ხის ფოთლებმა, მცენარეებმა და ბალახმა, მზის სიცოცხლემიღებულებმა, ჩვეულებრივი ზრდა იწყეს.

როგორი მართებული იქნებოდა, ყოველდღე მზის ამოსვლას ღიმილით ანუ ტაშით რომ ვხვდებოდეთ (ამდაგვარი მცნება იაპონელი ხალხისგან მოდის). ფერმწერლებმა, კომპოზიტორებმა, პოეტებმა და ფილოსოფოსებმა უთუოდ უნდა შეთხზან მრავალი ჰიმნი მზის მარად შეუფასებელ აისზე...

უფერული, მიწადქცეული, დაშლილი ძვლისფერი საფლავთ გულები ჩვეული სიმშვიდით დადუმდნენ და იმქვეყნიურობას ისევ მიეზარნენ. შემდგომ მზე, დრო და ატმოსფერო თანმიმდევრულ ფუნქციებად გარდასახავდნენ მათ, მიწაზე ახალი ინდივიდუმი სიცოცხლის წარმოსაქმნელად. ყოველ საფლავს ახლავს თავისი ცოცხალი ბიოგრაფია, მითი, ლეგენდა და თქმულების დაუსრულებელი წიგნი. საფლავები უხილავი პლანეტებივით ძალიან შორეული და იღუმალაია...

ბრწყინვალე და სანატრელი აისის მერმე საამოდ ამოქმედდა სამყაროს ვარსკვლავთური სისტემის უზარმაზარი შუქთ გუნდები და მათი გიგანტური მექანიზმის ხმათა შორეული შეგრძნება იყო, იქ, სადღაც... უთუოდ გრგვინავდა დაძაბული სივრცე, ჩვენთან კი მკრთალი ხმის იღუმალება ისახებოდა: დედამიწა განთავისუფლდა საშინელი ყოველთა ნერვებგამანადგურებელი უძრაობისგან და პლანეტისეული კეთილი სიცოცხლის წარმოუდგენელი ფურირმის ნახტომი გააკეთა. განახლებული სხეულის შვებითი მოძრაობის კოსმოსური, ღრმად მუსიკალური სტვენა და ჰაერის ტალღათა გრძელხაზოვანი შიშინი გაისმა მზის სისტემის სივრცეში, ალტაცების ტაში დაუკრეს ვარსკვლავებმა და გაიხარეს უმცირეს მეტეორამდე. ამდაგვარმა ცათა-ვარსკვლავთურმა ზეიმმა გალაქტიკის უკიდურეს ნერტილამდე გააღწია; შესაძლებელია, მათ იქით უშორეს შიშისმომგვრელ საზღვრებშიც შეაღწია. ყოველივე ეს დიდი ახალგანმცდელობა გახლდათ სამყაროს უსაზღვრო სიხარულის და აურაცხელი პლანეტარიუმის მართლწესრიგის კანონ-სურათით... ღვთის ნებით შეირხა მზის სისტემა და ყველგან მოძრავმა შუქთა ტალღებმა იმატა, თანმიმდევრულად ზეციური ქუხილი გაისმა გაუგონარი, ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა, არც შორეული — სამყაროსეული, სულ სხვა, გაურკვეველ უხვ ბგერათა შემადგენლობის ხმა იყო; არა დემონური, უფრო უსასრულობის მძიმე მელოდია. თანხმობილი მზის შუქთა, სიბნელის, სივრცის და



მაგნიტურ-ლაზერული ხაზების ანუ უხილაობის გაუცნობიერებელი განზომილებათა შეკუმშვა-გაშლითი დაპირისპირების ძრაობა ხომ არ იყო აზრთმიუნვდომელი?!

ამ ლექსში გალაქტიკის მოვლენა-აინშტაინის პირადი გრძნობები და კოსმოსური ხედვებია გამოხატული:

„ვეყუროთ ვარსკვლავთ, მათგან ვისწავლოთ, ოსტატს პატივი როგორ მივაგოთ.

ყველა მარადი დუმლით ადგას ნიუტონისგან დაგეგმილ ამ გზას.“

სასწაულთმომტანი მეცნიერისგან უნდა ვირწმუნოთ ვარსკვლავთ აქტივობა ნებისმიერ ჩვენგანზე. რა თქმა უნდა, არსებობს მეტ-ნაკლები მიზიდულობის პიროვნებები, როგორც სხვადასხვა მეტალთა ურთიერთმოქმედება მაგნიტთან...

წუხანდელი ზეცის მოდღესასწაულე ვერცხლისფერი, უკვე სვლაადგენილი მთვარე და თეთრი მფარველი ანგელოზები უხილაობაში ღრმად გარდასულან. დღევანდელი ახალშობილი, მარადისობის ძლევამოსილი მზე, გავარვარებული სფერო, გულმკერდით თანმიმდევრულად წინ მიიწევდა. ერთ დროს შიშისმომგვრელი უძრავი დედამინა მზის ირგვლივ უკვე წრიული სვლით კვლავინდებურად სვებდნიერად ბრუნავდა.

სხვადასხვა რელიგიების მსახურნო, ვარსკვლავეთისკენ გონებრივ, სულიერ, მეცნიერულ და მხატვრულ-შემოქმედებით ხედვას ფანატიკური იდეებით ნუ შევბოჭავთ. საღვთო წიგნებისგან გვეუნყება, თუ რამე არსებობს სამყაროში, პლანეტებიდან დაწყებული, სულიერი და უსულო, უფლის გაჩენილია და მათი არსებობა უშუალოდ განგების ქვეშაა. ჩვენ ღრმად მორწმუნე თუ ათეისტი ადამიანები, ყველას და ყველაფერს შეძლებისდაგვარად უნდა მივწვდეთ და გონების თვალთ ვეახლოთ. სწავლულთ ან ხელოვანთაგან თუ რაიმე მეცნიერული მონაპოვარი წარმოიშვა, რელიგიით წაადგებათ უპირველესად...

ქვეყნიერების ღმერთის ყველაზე ახლობელი თანამგზავრებია: მზე, დედამინა, მთვარე და ვარსკვლავები. ესენი ის კოსმოსური დაუშრეტელი წყაროებია, რომლითაც ყოველი სულიერი არსება იკვებება. როგორც მოგახსენეთ, არსებობს ვარსკვლავთ გავლენის მრავალფეროვნება ადამიანებზე, ყოველ ცოცხალ არსებაზე და მცენარეებზე. განა თევზებიდან დელფინები, კეთილ შუქ-მაგნიტური თვისებებისანი, რომელიც ვარსკვლავის თანამსგავსნი არ არიან? ასევეა ძალდი და ცხენი, მტრედი, მერცხალი, შინაური თუ გარეული ცხოველები. სიმძაფრე მიუკარება და სიცივე გველის, მაჯლაჯუნა მორიელის თუ შავი შხამიანი ობობასი. მათში უთუოდ შინაგანი ბუნება-თვისების სხვაობებიცაა, როგორც ადამიანებში, პიროვნებები მკვეთრად ხომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათით, ზნე-წესით და სხვ. იგივე პროცესია ნებისმიერ ცხოველებსა თუ მცენარეებში. წარმოვიდგინოთ ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები და წყაროები თავიანთი მრავალმხრივი შემადგენლობით მკაფიოდ განირჩევიან ურთიერთისგან, ჭები და აუზებიც არ ჰგვანან ურთიერთს. ყველა მათგანში თავ-თავისი ციური ვარსკვლავია ჩამკვეთი, მზის და მთვარის უზარმაზარი — მრავალმხრივი პლანეტარული ფორმა-შემადგენლობებით, ყველგან მაგნიტური, ლაზერული თუ ჯერ შეუსწავლელი სხივთ კვეთაა კეთილი და ეფექტიანი. ერთ-ერთ ობიექტურ მაგალითად გვეყოფა სუფთა ღვინის (წვენის) ურთიერთობა მთვარესთან, ეს მართლა კოსმოსური საოცრებაა. ეს არის მოვლენა,

თუ როგორ მძაფრად მოქმედებს მთვარის სისავსის ენერჯის მოძრაობათა ციკლი ღვინოზე. ეჭვგარეშეა მიცვალებულები და მათი საფლავებიც მჭიდრო კავშირ-კონტაქტშია მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლავებთან. ისინი ხომ ორგანული ბელტია ჩვენი პლანეტისა — მიწის ნატეხი, რაშიც უსასრულო სიცოცხლე სუნთქავს... მიწად და სულად დარჩენილი მიცვალებულები უშუალო წვერ-ელემენტებია ვარსკვლავეთისა, რომელთაც გააჩნიათ ქვეყნიერების უძირო კოსმოსური ფუნქციები...

ბუნებაში ტრაგიკული ინდივიდის დაკარგვა — მარადიული მიძინებით და ისევ გაჩენაზე ცალკე ტრაქტატ-ნიგნი შეიძლება დაინეროს, რომლის ავტორს განსაკუთრებული ნიჭი და კოსმოსური წარმოსახვა-აზროვნების ღვთიური ალლო უნდა ჰქონდეს.

ამდაგვარ ფიქრთ აღქმაში როგორც კი შევდივარ, სიკვდილ-გარდაცვალების განცდები და ცუდი წარმოდგენები მეკარგება, როცა ვიცი, მესმის და გამეგება სულის უკვდავება ამაღლებისა...

ამ ფორმის კოსმოსური სურათების, უდიდესი შეგრძნებითი შეხება ჰქონდა ტერენტი გრანელს, ფრანგ პოეტს შარლ ბოდლერს, ესპანელ, ბერძენ, იტალიელ, ინგლისელ, სპარსელ, ებრაელ, პოლონელ, ჩინელ, რუს, ამერიკელ, არაბთ და ასევე მრავალი ქვეყნებისას. როგორც პლანეტარიუმი დაუსრულებელი და უძირო, ასევე უმდიდრესია რჩეულთა ნიჭი და შემოქმედებითი გენიაც. ან დაკარგული ატლანტიდელების სამყაროსეული გონების ნათება მარადიულია, რომლითაც გაშუქებულია ჩვენი პლანეტა (ყველაზე ადრე ატლანტიდელებს ებოძათ კოსმოსთან ზეადამიანური მიახლოება). ზოგჯერ კოლხებზეც ამოტივტივდება შემადარი აზრი. აბა, რატომ თქვა ჰეგელმა, კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარება-პროგრესი კოლხეთიდან იწყება?!

ძველი კოლხები ერთმანეთს გაბრაზებულნი ან ხუმრობით რომ ეტყოდნენ, ჩაქრი შენო! — ამ შემთხვევაში პიროვნება ერთ-ერთ ვარსკვლავად იყო აღქმული. ბავშვობაში, მახსოვს, როდესაც დიდი ვარსკვლავი ცას მოწყდებოდა და მთელი ცის გუმბათს უწყვეტი ცეცხლის ალით რომ გადასერავდა, მოხუცები იტყოდნენ, სადმე ვილაც დიდი კაცი მოკვდებო... ეს ვარსკვლავეთური წინასწარმეტყველებაც ათასწლეულთა მოტანილია. კოსმოსური ცნება ათასეულ წლებს იტევს. მაღალმა ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უმადურები ვიყოთ დედამინის, მზის, მთვარისა და ციური სხეულების, რადგან მათ გაზარდეს და გააშუქეს იესო ქრისტე, ბუდა, ალაჰი და იუდა, მათთან ერთად მრავალი სხვა-





დასხვა აღმსარებლობის მონინავე-მასწავლებლები. ადამიანების უმეტესობას მზის წარმოუდგენელი ვალდებულება ქვეცნობიერად იმდენად სულში არ ეხატებათ, რომ ხშირად ვერ თუ არ ახსენებენ მის სიდიადეს. ის თურმე მხოლოდ უსასრულობიდან მომდინარე ღვთივცითური ვალდებულებაა... მართლაც ასეა, ჩვენ ხომ უფალს დღე და ღამე ვეხვეწებით, ვემუდარებით, ეშმაკს გვარიდოს. მზისა ჩვენ არც გვეშინია და არცა ვთხოვთ რამეს. ხშირად შორცნობიერად უმადურნიც ვართ და რომელიმე რელიგიური იდეოლოგიის წინ წამოწევის მიზნით იგნორირებასაც ვკადრულობთ... ის ყოველ შემთხვევაში უწყვეტ სიცოცხლის წყაროდ დაგვნათის მუდამყამს. ზოგჯერ საჭიროების ღრუბელი ჩადგება ჩვენ შორის და ესაა და ეს...

ასტრონომიული ღამე? აუცილებელია, ყველაფრისგან დალილებმა რომ დაისვენონ. მზისგანაც იღლება ყოველი ცოცხალი არსება. ღამე მთვარე, ვარსკვლავები უდიდესი საშუალებაა გონსულიერი და ნერვული განტვირთვა-დასვენებისა.

მრავალფეროვანი სახეები, ხასიათები, ნიჭიერი და საშუალონი, ასევე კაცთა სიმდაბლებების უსასრულობაა ჩვენს პლანეტაზე, ცაზე განფენილი ვარსკვლავებისა არ იყოს; მარადიული კანონია, მომაკვდავნი უფრო ღამე მიემგზავრებიან იმ ქვეყნად, აქაც კოსმოსური იდუმალება დევს ღრმად საკვლევი...

მხატვრობის გარდა, უცნაურობად მიმაჩნია ჩემი პროზაული ცხოვრება: აზრები, წარმოსახვები და მუშების შორეთიდან მოსვლა როგორც კი გამთენიისას დამენწყება, მაშინვე შემეყრება ტანთ ტკივილები, თავის ქალადან დანყებული. ყოველივე ეს თითქმის ახლოა ამოუხსნელ ტანჯვასთან, რომელიც გარკვეულ კვალს ტოვებს აუცილებელ აზრთა დაბადებით (სრულიად განსხვავებულს), თითქოსდა ეს ფაბულა მხოლოდ გონებიდან არ იბადებაო, არამედ მთლიანად სხეულიდან ორგანიზმის ყოველი ნერვი და სისხლძარღვები მონანილებენ. ეს ყველაფერი უცნაურია; ამიტომ, თუ რამე შემეგრძნია ინტუიციისა და წარმოსახვების მეოხებით, ზემოთ აღწერილ ჭეშმარიტებას უახლოვდება...

ქვეყნიერების დიდი ნათების უსაზღვრო ძალამ კუნაპეტი ბნელი, ღრმა მიმზიდველ სილურჯედ რომ აქცია, ვარსკვლავეთის დღესასწაული იყო უსაზღვრო და ცათა სივრცეში თეთრი კეთილი ანგელოზები კვლავ მომრავლდნენ.

ამჟამად მინდა გაახლოთ წრფელი მოგონება: „აღდგომის დილაა მოწმენდილი უღრუბლო ცით. მშვიდი ამინდი და მზე თავისებური ციმციმით ამოვიდა, ცხრა თუ ათი წლის ბავშვი ვდგავარ ამ ზეციური საოცრების წინაშე. კარგად მახსოვს, სრულიად განსხვავებული

მზის ამოსვლა იყო, უმშვენიერესი დღესასწაული გახლდათ ნათლით მოსილი. ამ სულითვე ზედმიწევნით მიხაროდა რომ დღეს ღვთიური ზეიმი იყო, ბრწყინვალე აღდგომა უფლისა; დედაჩემისგან ნითლად შელებილი უამრავი, საფლავებზე მისაბრძანებელი კვერცხი, ცოცხალივით ელაგა გობზე. ჩემს ცხოვრებაში უფრო გამორჩეული სიამოვნება და კეთილმინდანური ამაღლება მის მერე არ მიმიღია, ორმა დიდმა ზეძალამ მაგრძნობინა ყოველივე განმწმენდავი ღვთივდაიდური“...

ისევ დუმდა მიუწვდომლად ყველგანმყოფი უფალი...

ამ მოთხრობის იდეური სახე და მხატვრული აზრთ საუბარი სრული ჭეშმარიტებაა, ადამიანთა ათასწლეულ რელიგიურ, ნაწილობრივ ფანატიზმს რომ უპირისპირდება სამყაროს ვარსკვლავეთის უმკაცრესი რეალური მოვლენებით. მაგრამ გონებაღვთიურ ჭეშმარიტ რელიგიათა გარეშე ხომ გამორიცხულია ცხოვრება, რომელიც ეჭვგარეშე მოედინება კოსმოსისა და უფლის უცილო სწავლის იდუმალებიდან...

მზის ახლად შობით გაიხარეს იესო ქრისტემ, ბუდამ, ისლამმა, იუდამ, ასევე წარმართებმა, მზისთაყვანისმცემლებმა, იელოველებმა, ათეისტებმა და სხვადასხვა სექტების წარმომადგენლებმა... ეკლესიების ზარების ხალისიანი რეკვა და იმედით სავსე გუგუნითი შეძახილები გაისმა და საყოველთაო დაღუპვისგან გადარჩენილთა სრული ხსნა ეუნყა ქვეყანას. იზეიმეს აურაცხელმა ვარსკვლავებმა, მთვარემ, მზემ თავად დიდებულმა, და უჩვეულო კოსმოსური ბრწყინვალეობა იწყეს. თითქოს მთები გადაბრუნდნენ და ქვედა მიწიერი მუქი ლურჯი, სევდაჩამდგარი, უფრო ღამისფერი თვალებიდან ცას ახედეს ღრმად მზიურს. ზეციურმა სინათლემ უძირო ბნელი გააშუქა და ურვა-ბოროტება შენეელდა, სიძულვილის და უკეთურობის სულგაძარცული და ტანჯვისმომგვრელი ეშმაკი გაურკვევლობაში დაბანაკდა. პირველყოფილ რელიგიათა ვერც ერთი ღმერთი ვერ გაუმკლავდა და მომავალშიც ვერ დაძლევს იმ საშინელ და უდიდეს ზნე-თვისებებს, რომლებიც ვარსკვლავეთით იმართება და მყარად დევს ადამიანის სხეულში. ისევ ვიტყვი: — უარყოფითი აურის ნაწილობრივ შენელება შეიძლება და არა ამოძირკვა... ახლად აფეთქებული სიცოცხლის მზიური ფერთ ზეიმი გაჩაღდა ყველგან: ფერმწერლებმა პალიტრა, ტილო და ფუნჯები მოიმარჯვეს; კომპოზიტორები როიალებს და ნოტებს მიუსხდნენ, მგოსნებმა ლექსთ შეთხზვა იწყეს და ახალი ბრძნული რითმები ფეხშიშველად აედევნა მზის მოძრავე სხივებს. აკვნის ჩვილებმა ანგელოზთა ხმით წაილულუნეს და ღიმილით სათამაშოებს წაეპოტინნენ. გაისმა მილიონობით ადამიანის ლოცვა-კურთხევა: შენ, უფალო, ყოვლის გამგებელო და მზეო! ნათელსულო წყაროვ სიცოცხლისა და სიკეთისა!!!... მრავალმა ბრძენმა სოფლის მუშაკმა სიკეთის თოხები ალესეს და მზესთან ერთად ოფლჩაღვრილი ყანისკენ გაემურნენ. ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები და ელექტროსადგურები. ახალდაქორწინებულები კი სარეცელს მიუბრუნდნენ და დილის სულიერი უწყვეტი ბიბლიური სიმფონია ჯანსაღი სხეულით გაიზიარეს და ისევ შეერთდნენ მიწიერ-ზეციური კანონებით... სიცოცხლე მარადიული არ შემწყდარა — გაგრძელდა, ახალი ალთქმა — მზის სხივთ შემკულ-ნაწერი ოთხი სახარება ზეიმობდა...

უსახო სიკვდილი სიახლოვეს არ ჩანდა. საოცრება მზის კოსმოსური ზეამტაცი კეთილშეღერადი ხმაღა ისმოდა სხივთ ორკესტრით. სადღაც შავ ნერტილებში საშინელების მომტანი ომი კვლავ განახლდა და თოფის სიკვდილმომდინარე ხმაც გაისმა. ადამიანთა გამანად-



გურებელ კვლას უხმობდნენ გონ-სახემშლილი და კაცთა უბედურების გველის და მორიელის შხამისფერ აზრობრივ სულიერ დინებას თავადვე გზავნიდნენ. მზე მათაც ანათებდა, უზომოდ კეთილი, დედამინაზე მკვეთრი მოზაიკური ცხოვრების უსასრულობის მფარველი. კვლავინდებურად გაიღვიძა ღვთიურმა შემოქმედებამ, ფანტაზია, მუზა და წარმოსახვები რჩეულ ნიჭიერთ ეგზავნებოდათ. მთვლემარე შური, ბოღმა, ღალატი, სიძულვილი, სიყვარული და სიკეთე, ისევ დაიარებოდა ფეხადგმული. არაკაცებმა იწყეს წართმევა-წაგლეჯვა, ფიქრი კაცის კვლავ და ბოროტება ისევ აფართხალდა, ავის მომასწავებელი სიზმრები აღსდგა და დაეუფლა ღამეულ მშვიდ საფარველს, მკაცრად გაიღვიძა სისასტიკემ და შულღმა.

ერთი მხრივ სამართლიანნი ვიქნებით, თუ თამამად ვალიარებთ, რომ საშინელებაა ეს რეალური ამქვეყნიური ცხოვრება, ცოცხალმა თუ გინდა იარსებო, უნდა მოკლა, მოსპო, აითვისო, რათა მიიღო ხორციელი საზრდო და იარსებო, თუ არადა თვითონ ეწირები შენეულ გამოგონილს. უსაშველო კოსმოსური მისჯაა, ცოცხალი არსებანი ერთმანეთით რომ იკვებებიან, პლანეტების ურთიერთმოქმედებათა ზნეობიდან ხომ არ გადმოდის ამდაგვარი თვისება? წარმოიდგინეთ, ათასწლეულებში რელიგიათა ეტაპობრივი მოსვლა-გაქრობა და ურთიერთდამოკიდებულების სახე-მსგავსებაც მათთანაა... ჩვენს ირგვლივ არსებულ რომელიმე ულამაზეს სულდგმულს, დავუშვათ ცხოველს, ფრინველს ან ზღაპრული სილამაზის მქონე კოლხურ, ზღვის სურნელით გამთბარ ხოხობს თუ მოვკლავთ, მხეცურად განვძარცვავთ შეუდარებელი მშვენიერებისგან, მერმე ჩავაღწევთ ხორცამდის, დავძიძგინთ და ცხოველურ შიმშილს დავიკმაყოფილებთ... თევზს, კოსმოსურად ტანხატულ, მრავალფერად დაწინკლულ კალმახს, უნდა მოუსწრაფო ცხოვრება თავად განვითარებულმა, გონიერმა ცხოველმა, როგორმე რომ ისულდგმულო და იარსებო. წარმოიდგინეთ, ამ სახის ცხოვრებისეული მოქმედება ყოველმხრივ შეუცვლელია და ბუნებრივი, აუცილებელი პროცესია, მაგრამ სასტიკი. აქედან გამომდინარე, თვალ-გონდახუჭული უგულო ბოროტება მარადიულია და მომავლის სასიცოცხლოდ აუცილებელი, სამყაროს უკიდევანო ჩრდილოვანი მძაფრი სტიქიის წეს-კანონია გაუსწორებელი. ღვთიური შეგონების და ღრმა რწმენის ადამიანებიც მას ვერა და ვერ გაექცვიან და ვერ ამოძირკვავენ, რადგან თვით უზარმაზარი რელიგიები ვერაფერს შევლიან ან ვერც უარყოფენ. აქ უცილოდ მორჩილი და ძალდაყოლილი ხარ, როგორც ყოველგვარ კანონებს ამცდარ სიკვდილთან. როგორც ღამეს ვერ შეცვლის ზეძალა, ასევეა ზემოთ ცხოვრების შავ ტილოზე მოხატული დრამატულ-ტრაგიკული გარდუვალობაც. თუმცა ეს სამყაროს მეორე უცნაური მხარის, სამუდამო კანონია და აქ აზრი ვერ კვეთავს... დასკვნა: ამ ფორმის ბოროტება რომ შეწყდეს დედამინაზე, სიცოცხლე მასიურად მოისპობა, მაშინ ყოველივე ზემოთ ხსენებული მოქმედებანი უმძიმეს დაკანონებულ-კანონგამიზნულია პლანეტარიუმის შორეულ უმძიმეს ზნეობასთან შეფარდებით და სიცოცხლემ სხვისი სიცოცხლის ფასად უნდა იარსებოს, ერთი თუ მრავალმხრივ ჩვენს მიმართ აზრთმიუნვდომელი და გამოგნებელი მისჯაა უმკაცრესი და სამყაროსეული ამ წეს-კანონის წინაშე ყველა ადამიანი და ცოცხალი არსებაც საცოდავია...

ათასობით წლის მიღმა, წარსულში ჩაძირულ საოცრებებს გვიყვება იდუმალმთხრობელი ისტორიკოსი. თურმე, კავკასიონის მიუვალ მთებს შუა, მრავალმღვიმიან ადგილას გაჩენილა უცნაური და ზეცისკენ

მხედველი ტომი, რომელთაც საკუთარი ენა უბოძა უფალმა, ტომობრივი სახე და ხასიათი... უცხო-იქითა გარემოსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. იდუმალებით მოვლენილი ხალხი ბუნებრივი თუ თვითგანვითარებით ცხოვრობდა, სალაპარაკო ენა ნელ-ნელა მდიდრდებოდა, რა თქმა უნდა, ვერავითარ დამწერლობასა და ცივილიზაციის ნიშნებს ვერ შეამჩნევდით. უფრო კეთილი ცხოველური თვისებები სჭარბობდათ და ზეციურობებზე თანმიმდევრულად უვითარდებოდათ შეხედულებები...

მუდამდღე მზეს შესციმციმებდნენ და ღამეებს ხშირად ვარსკვლავების სევდიანი ცქერით ათენებდნენ; მინა უფრო მისანვდომი იყო მათთვის და ხშირად კოცნიდნენ, თან გაშლილი ხელის თითებით ეფერებოდნენ; იკვებებოდნენ ბალახულის ძირებით და ტყის ნაყოფით. წყაროებიდან კამკამა წყალს პეშვით სვამდნენ გამონაკლისის გარდა. გამორჩეულნი კი ბუნებრივი თუ კაჟის ქვით ამოთლილი ქვის სხვადასხვა ფორმის სასმისების მაგვარებს იყენებდნენ; მგლებს მიბაძეს, მათსავით მოიწყვეს სამყოფელი და უკეთურთაგან შედარებით მიუვალნი გახდნენ. ბუნებრივი ნიჭის მქონე თითო-ოროლა მათგანმა, მეხისგან ნაქცეული ხის მორიდან ქვის ნაჯახით გამოჩორკნეს მზის გამოსახულება, ერთ-ერთ შიშველ მაღლობზე დადგეს და მზის ამოხვლა-ჩასვლას იქ ხვდებოდნენ. ქანდაკებასთან სიახლოვეს არ მიდიოდნენ — ფიზიკურად არ ეკარებოდნენ. მასიურად გამართავდნენ ხოლმე არქაული გაურკვეველი მოძრაობებით ცეკვა-ხტუნაობას და სიცილ-ხარხარით ერთმანეთს კოცნიდნენ; ურთიერთისაკენ მიზიდული ქალ-ვაჟი ჩუმად იქაურობას განეშორებოდნენ, ტყეს შეაფარებდნენ თავს და ნაყოფიერდებოდნენ. ბავშვი რომ დაიბადებოდა, ცხოველის რბილ ტყავში გაახვევდნენ, მზის გამოსახულების გვერდით დაანვენდნენ და უცხო, ყრუ-ტყეხილი მელოდებით უმღეროდნენ. მოზრდილებისა და ხნიერი ადამიანების ტანთშესამოსელი მხეცების ტყავები იყო, რასაც მდინარის პირას წინასწარ დიდხანს რეცხავდნენ და ქვით ამუშავებდნენ. ქალების შესამოსელი კი უფრო შვლის ან ირმის ულამაზესი ტყავი ჰქონდათ. გარდაცვლილებს ქვისგან არქაულად ქანდაკ-მზის გამოსახულებებს თავთან დაუსვენებდნენ. ყველაფრით და ყოველმხრივ ცდილობდნენ მზისთვის მიებაძათ (ნეტავი, ჩვენს ეპოქაში მაგრე უახლოვდებოდნენ უფალს), მიემსგავსებოდნენ და ძალიან ბედნიერები იყვნენ. ღამით ნაკლული თუ სავსე მთვარის ცქერით მშვიდდებოდნენ; ლეგენდებს თხზავდნენ ციურ სხეულებზე და აგრე ართობდნენ და ეალერსებოდნენ ურთიერთს. ამ შემთხვევაშიც მინას კოცნიდნენ და საამოდ ეფერებოდნენ. ზამთარი თითქმის არ იყო, უფრო გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ხანგრძლივობა იყო პერიოდულად გადაბმული.

იდუმალმემატიანე გვიყვება და გვარწმუნებს, იმ უძველეს დროში ადამიანები ყოფილან ბედნიერები, თვისებით კეთილნი, ურთიერთმოყვარულნი და უღალატონი. ამ უცნაურმა ტომმა, რა თქმა უნდა, პირველყოფილი ადამიანის ქვის ხანის საწყისები გაიარა. მაშინ მხოლოდ კლდისა და მღვიმის კედლებზე ცხოველების ხატვით და ქვაში გამოქანდაკებით იყვნენ გართულნი. ხოლო საოცრება კოსმოსური ამალღება და შეგრძნება ძლიერი განვითარების მეორე პერიოდად უნდა ჩაითვალოს... მათ შემდგომ ადამის მოდგმას არ ღირსებია სამყაროსეული ჰარმონიის მაგდაგვარი შეგრძნების საზოგადოება. მომავალ ცივილიზაციებს და რელიგიათა გაჩენას გაუნადგურებია ის უცხო მზიური ტომი. ამჟამად მაგ მიდამოებში უცნაური შე-



მადგენლობისა და ფორმის თავის ქალებს პოულობენ, შუბლის ძვალი რატომღაც ზეანეულია თითქმის ყველასი.

ფრინველებსაც შურდათ მათი ყოფისა; მხოლოდ ზოგიერთი მხეცი დევნიდა, უთუოდ უკიდურესად მძინერნი, გამოკვების მიზნით, ინსტინქტურად ააგებულნი. ცხოვრებაში არ იცოდნენ ზედმეტი ფიქრი, დარდი და ოცნება, ზრუნვა და მეცადინეობა. მხოლოდ ზეცა იყო მათი ყოველნუთიერი ურთიერთობა-გართობა. მიწასთან სიახლოვისას გრძნობდნენ უახლოეს მშობლიურ სიტბოს და განუყრელ პატრონ-მეგობარს. საგულისხმოა, იმ ეპოქაში, როდესაც უფლის ნებით ცხოვრობდნენ, ისინი არაფერს არავის სწირავდნენ. შეწირვები შემდეგ ათასწლეულებში, დაცემულმა ადამიანებმა დაიწყეს. დღეისდღესაც ამდაგვარი უმსგავსოებებით რელიგია ღმერთს შორდება. ამ წმინდანურ საზოგადოებას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მზის ეპოქის ადამიანები... მათი, თითქმის უმეტესობის საშუალო წლოვანება ყოფილა 100 წელი (ასე იკითხება ზეციურ მეხსიერებაში); ცხოვრობდნენ მშვიდობიანი და კეთილი ფრინველებივით და მოულოდნელად კვდებოდნენ (მიიძინებდნენ) ავადმყოფობის გარეშე...

ჩვენს ისტორიკოსებს ვერაფრით ვერ დავარწმუნებთ, ისინი უცხოპლანეტელები იყვნენ თუ არა. საბოლოოდ ხომ ჩვენც არ გვწამს. მაგრამ შორეული იდეალებას და კოსმოსურ მეხსიერებას ხომ გვერდს ვერ ავუვლით?..

„უნდა ჭამო, რომ იცხოვრო და არა იცხოვრო, რომ ჭამო“ — სოკრატე.

სოფელში გახლავართ. ადრიანი დილაა. უკვე გაედვიდა ჩემს მეუღლესაც ნანის, (ბავშვებს — მედეას და მაიას — სძინავთ). და ვეკითხები: - დღეს რა ვჭამოთ სადილზე? — ხო! ჭრელა დედალს დავკლავ კვერცხმდებს. — არ გეცოდება, ადამიანო? — ვეუბნები. — აბა როგორ ვიარსებოთ? — აი და ჩვენი დაბადება, სიცოცხლე და აუცილებლობა დღიდან გაჩენისა. უცნაური ზეკოსმოსური, ზექვეყნიური, ზედთიური და ზეადამიანური არსიც, რომელიც იმუხტება სხვადასხვა ფერხასიათის და გაურკვეველი ზნეობის ვარსკვლავებიდან, აგრეთვე ისიც გამოსაკვლევი, თუ რა განუზომელი ელემენტთა ტევადობა გვეგზავნება მზის იდეალებით სავსე სხივების მეოხებითაც... რომელიც გამუდმებით იწვის და უთვალავი, რაღაც სხვა უზარმაზარი დინამიკის და სიმხურვალის აფეთქებებია მზეზე. უსასრულო ფუნქციების ენერგიაა სამყაროში და აურაცხელი პლანეტებიც. მათი აალებულმბორგავი ალიაქოთია სივრცეში. ზოგზე კი, პირიქით, დიდი გამყინვარებაა. მრავალთვისებიანი გაზაფეთქებული წვათა გალაქტიკების სიშორე კი მათგან აღუწერელი სანახაობისაა. უკუნეთისმიერი და დაუსრულებელი სივრცის კოსმოსური უმძიმესი, ჯოჯოხეთის მიმსგავსებული ტრაგედია ხომ არაა ციურ სხეულთა უწყვეტი ცეცხლმოდებულთა არსებობა და უმძიმესი გამყინვარება?.. ადამიანის და ყოველი ცოცხალი არსების მრავალმხრივ ბოროტად ამტეხი თუ ბრძნული დამწყნარებელი ელემენტებითაა ყველაფერი დამუხტული.

ყოველივეს, ცუდის და კარგის, გამჟღავნების მეთოდით გადავხედოთ კაცთა მოდგმის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს — ჩაჟამებულ მონაკვეთს, რომელიც ზემოთ ასახულ პლანეტათა მოცარტისეულ მუქ რეკვიემს აგვიღწერს. დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეა. შუა აზიიდან აიყარა თურქმენული მოდგმის ხალხი, მშიერმწყურვალნი, და შეესივნენ სამხრეთის მრავალ ცივილიზაციაგამოვლილ ულამაზესსა და უძველეს რასებს.

დაიპყრეს ბიზანტია, კაბადოკია თავისი ქრისტიანული ლაზებით, გაანადგურეს ანტიკური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, დაასახიჩრეს კაცობრიობის ერთ-ერთი საოცრებათაგანი აკროპოლი და ქანდაკება „ვენერა მილოსელის“ ქმნილება ზღვაში ჩაძირეს, რომლის ბადალი შედეგრი დედამიწაზე ჯერ არ შექმნილა. კაჭკაჭებივით დაეპატრონენ ირგვლივ მოვლილ მამულ-ბუდეებს, გააუქმეს ლეგენდარული კონსტანტინეპოლი, ქრისტიანული მართლმადიდებლობის ცენტრი და დაარქვეს ისტამბული. არ იკმარეს ყოველივე და შეესივნენ ევროპას, ალალმართალი ხალხის ხოცვით და დაპყრობებით ბულგარეთამდე გავიდნენ... ალაჰი მოუძღოდა მათ? თუ სხვა სალოცავები, უფალი! — მაშინ ისინი მრავალნიმნად რატომ დუმდნენ? არა მგონია! უთუოდ რომელიღაც უძლეველი გალაქტიკის თუ ბოროტი ვარსკვლავის მოუთოკავი ენერგია იყო მათში დაგუბებული. შემდეგ სასტიკად აკოსმოსებულებმა დაიპყრეს საქართველო, სომხეთი და ჩვენთვის მხოლოდ მომავლის იმედი — დუმდა ხანგრძლივად... (ამ შემთხვევაში წარსულის ჯვარცმაზე თავს ვიკავებ, რადგანაც კაცობრიობის ყველაზე უმძიმესი ბოროტებათაგანია...) უფრო უარესი ბოროტება მოხდა ამერიკის კონტინენტზე — დამპყრობი ევროპელები ჩაუვიდნენ მტერსტუმრებად. ამონყვიტეს აბორიგენი ანუ ადგილობრივი რასა, პირლიად დატოვეს მათი სავარაუდოდ კოსმოსურ-ლეგენდარული მზიური ცივილიზაცია და საცოდავ ღია ცისქვეშეთის ექსპონატებად აქციეს. მოსპეს ყველაფერი და ამაყად დააარსეს თავიანთი ახალი სახელმწიფო. აი, უხილავი კანონი შორეულიდან გადმოსროლილი ვარსკვლავეთის სხივბოროტებისა; თუ... არსებობს კიდევ რაღაც უმძიმესი ზეძალა?! — შევახსენოთ ერთმანეთს.

მშიერმა მამალმა ლომმა მოინადირა ულამაზესი ტანხატულა, გიშრისთვალემა, მუქი ჩალისფერი შველი. მხეცური დაუოკებელი ჟინით დაბრდღვნა, დაგლიჯა და გაავებული თვალცეცხლოვანი ხვრეპდა მის უმანკო სისხლს. როცა შიგნულს მიაღგა, ბალახის ღერო გაეჩხირა აღმოდებულ ხახაში, არ ესამოვნა მხეცს და სისხლიანად გადმონერწყვა. თურმე ერთი საათის წინ ამ უმშვენიერეს არსებას ახლად ამოჯეჯილებული ხასხასა მწვანე ბალახი, რომელიც მცენარეული სიცოცხლის ნყურვილით მზის სხივებს ეაღერსებოდა, მშიერ ცხოველს გულმოდგინედ მოუძოვია მიწის პირამდე და აღმასისფერი ცრემლიანი მდელოთი გამძღარა. საღამოს გადიდგულებული და ძალაშემატებული ლომი გორასავით უზარმაზარ სპილოს შესჭიდებია, გაბრაზებულ სპილოს მფრინავი მეტეორივით ერთი შეუკვილია და უმოწყალოდ გაუსრესია ეს აღზევებული ბოროტი. აქაა, ხომ, განვრცობილი და უწყვეტი ჯაჭვი მარადიული ცოცხალთ ავსულობისა? არსებულიდან გამომდინარე, დაახლოებით დასკვნის გამოტანაც შეიძლება — ყოველი ცოცხალი არსება ჭარბხასიათიანი ბოროტებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ხშირად სიკეთის სხივებიც გამოინათებს მათგან: უთუოდ სიკვდილის არსებობა ამძაფრებს ყოველივეს.

„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“ (მორგენშტერნი).

ამ სახის ყოფილა თურმე კოსმოსური, ძირფესვიანად ამოუხსნელი დისციპლინა და არავითარი მხოლოდ ჯუნგლების კანონი. თავადვე მინიერი ბუნება მსხვერპლია სამყაროს ანუ პლანეტარიუმის სასტიკი ზოგიერთი ზემავნიტოვანი სხივთ ენერგიის და ლაზერული ჰიპნოზმტყორცნელი ვარსკვლავძალმომრეობისა.



გადავხედოთ ადამიანის კიდევ ერთ-ერთ უცნაურ, მაგრამ გასაგებ, ბუნებით თანდაყოლილ თვისებას. ყოველი ცალკეული პიროვნება გაუცნობიერებლად ცდილობს, აჯობოს სხვა მოპირდაპირეს: მეგობარი იქნება, ახლობელი, ნათესავი თუ უცნობი (უფალი იესო დიდ-კეთილი არასოდეს მიისწრაფოდა და მიიღტვის სხვათა დაჯაბნისაკენ, რათა ჭეშმარიტების და მაღალი ზნეობრიობის გამრიგეა...). მხოლოდ ასეთია ღვთიური ეთიკა, იტყვიან, პრიმიტიული გაგებით ურთიერთშეჯიბრია ცხოვრება და ამ შემთხვევაში თავს იჩენს, ვინ — ვის. მჯობნი სპორტსმენები ამარცხებენ მონინალმდეგეს, ეს უკვე განეიტრალება ანუ გაუქმება სახიერებიდან პიროვნებისა. აქტიური დიპლომატი და დიქტატორი პოლიტიკოსი კი თიშავს მოპირისპირეს, გაიმარჯვებს და არავინ იცის, როგორი გონებით და ზნეობით უხელმძღვანელებს ხალხს. ამდაგვარი ფსიქოლოგიურ-ფიზიკური თავდასხმები უხეშად თუ ევოლუციურად — ჩუმ-ჩუმად მრავალი სპეციალობის ადამიანებში, მუქ ლაქად ჩაკირული თანდაყოლილი ტრადიცია... ხოლო ნაღდი, სულიერად ამაღლებული და მონოდებით დიდი ხელოვანი, არასოდეს არავის ამარცხებს და ამოაგდებს თავისი ღვთიური ფუნქციებიდან. პირიქით, ის ძლიერი, სულიერად და გონებრივად ამაღლებს თავის მონინალმდეგესაც. ხოლო მოშურნეს, თუ ის ოდნავ მაინც მოაზროვნეა და წინგახედული, უთუოდ მასაც კეთილად კვებავს თავისი მაღალი შემოქმედებით — ნიჭით. ამ დროს პიროვნება გამარჯვებული კი არა, უფრო წმინდანურად წარმატებულია და ამაღლებული ანგელოზთსულიერებითი ზნეობით. ნაღდი ხელოვანი ღვთისმთავრია და უფლის მრავალი თვისებითაა დაჯილდოებული, რადგანაც ღმერთი უდიდესი შემოქმედაა, უზენაესი თავის რჩეულს უნაკლოდ მართავს, ზე-წარმოსახვებით — ფანტაზიით და გენიით. სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელია ასეთები და აქაც ფარული სიღარბე ტრაგედიაა პლანეტისა... ხოლო მინიერი ქმედება ნებისმიერი ადამიანისა თუ ზნეობრივი მისწრაფება უფლისაკენ, უთუოდ ბედნიერია თავისი გარემო არსებით. როდესაც პიროვნება ცდილობს და ემსგავსება ღმერთს, დროთა ჟამში მოსალოდნელია წმინდანამდე ამაღლდეს, რაც ზეციური დასის შევსებაა. ხოლო, როგორც მოგახსენეთ, მათგან უკიდურესად განსხვავებული უაღრესად ნაყოფიერი ანუ გენიალური შემოქმედი განუწყვეტლივ ღვთიური მაღლით ივსება, იმართება და სამყაროს სივრცის მარადიულ — ხატულ სახედ ინახება...

უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრელობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღალი გენიით ღმერთს უახლოვდება, მაგრამ მაინც ვერ მიეწევა მიუნვდომელ მარადიულს. ამ შემთხვევაში გულწრფელად ვამბობ, რადგანაც ყოველივე სამყაროს რეალური მოვლენებია...

ემაკი, უზნეო და ქვეყნიერების კანონგარეშე სატანაა. დედამიწის და საერთოდ პლანეტარიუმის სივრცეში მოხეტიალე ყველაფრისა და ყოველივეს გამშავებელ-დამნახშირებელ-ფერფლად მქცეველი. თავისთავადი რაღაც ბნელეთის წარმომადგენლობა კი არაა მხოლოდ! ის ერთ-ერთი შხამმომწამვლელი უბოროტესი, ნივთიერებათა და სხივთა გაზ-შემადგენელი, უზარმაზარი ვარსკვლავიდან დედამიწაზე მარად მომდინარე უფერული მყრალი სხივია... სანამ „ემაკეთის“ ვარსკვლავი იარსებებს რომელიღაც გალაქტიკაში, მისგან ემაკ-უხილავ სხივთ სვლა სამუდამოა. ხოლო მეცნიერ-ასტრონომების



მტკიცებით, ადამის მოდგმა ვერასოდეს ჩააღწევს თუ მიაღწევს იმ ყველასაგან განსხვავებულ უცნაურ-ფერად-შემადგენელ ვარსკვლავამდე. თუნდაც მიაღწიო, ადამიანო! დააკლებ კი რამეს მაგ ვარსკვლავეთურ ეშმაკეულ უძლეველობას?! ჩვენი დედამიწელების მისგან ხსნა-საშველი მხოლოდ ნებისმიერი რელიგიის გაძლიერება და ჭეშმარიტი ერთგულებაა. აი და, უზარმაზარი მზისფერი ფარი — ჩვენი პლანეტის დაცვა მოვლა-პატრონობისა...

თავისი სიცოცხლის მოსვლის დღიდან ადამიანი ცდილობს უბოროტესი ომების და ურთიერთბოცვის გაუქმებას, ანუ რაც შეიძლება, ეს მიძიმე მოვლენები მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ უკეთური — უმსგავსოება უსასრულოდ გრძელდება და გამანადგურებელი ომების გამჩალებლებს ძეგლებს უდგამენ ისევ ბნელისკენ გადახრილი ხელოვანი ინტელექტუალები და რატომ?! როცა მათი გვარ-სახელიც უნდა ამოიძირკვოს ისტორიიდან. ინერებოდეს მხოლოდ ბოროტი ომების მსვლელობებზე, მათი წინამძღოლი დემონების გამოკლებით, მართალი, შავი და ტანეკლიანი ასოებით. ქვეყნის თავდაცვითობა კი გამოუვალი აუცილებლობაა, როგორც ღვთიური მართალი განაჩენი. ისევ უმკაცრესი კოსმოსური გარდაუვალობაა ნათელი, მცირე, დიდი და შავი ბოროტების მოსპობის ფასად... მაინც, ჩემო მეგობარო, როგორი უსაშველო ყოფილა ამქვეყნიური ცხოვრება?!.. ალბათ არც იმქვეყნიურია მთლად დალაგებული. აბა, ვინ და რა გაქცევია პლანეტარიუმის კოსმოსურად თითქოს მოწესრიგებულ, მაგრამ სასწაულებრივ ორომტრიალს... უთუოდ ამ სახისაა ვარსკვლავეთის წყობითი დისციპლინაც. ამდაგვარი უკეთურობანი უნდა მოანესრიგოს, როგორც მოგახსენეთ, და შეანელოს ადამიანმა მხოლოდ ნებისმიერი ჯანსაღი რელიგიათა მეოხებით, და თავად მიხედოს თავის სიკეთის კერიას. თუ არადა პლანეტას ჩვენსას შეუწყდება უძვირფასესი სიცოცხლე დროებით ან დიდი ხნით და ადამის მოდგმა დაკარგავს ათასობით წლებში მისხალ-მისხალ მიღწეულ სხვადასხვა რელიგიის, კულტურისა და ცივილიზაციის ღვთიურ მაღლს... ცივილიზაცია და კულტურა არასოდეს კვდება, მხოლოდ ბერდება მარადიულობასთან ყოფნით, ზოგჯერ, საუბედუროდ, მას სპობენ.

მზის სხივებით სავსე სიკეთე კვლავ განაგრძობდა დაპირისპირებით ბრძოლას...

ყველაზე დიდი ღოცვა სიკეთის ქმნა და ბოროტების უარყოფაა...

უხილავ სამყაროსეულად დუმდა ქვეყნიერების მეუფე:





დუმისს გააჩნია უსაზღვრო მაგიური მოქმედება. მისეული მიუწვდომელი ფუნქციით იმოსება შორეული წარსულის, ანმყოსა და მომავლის სვლა-გააზრებები, რითაც იდუმალების ბურუსში ახვევს ყოველივეს და რთულსა და მიუწვდომელს ხდის...

შორეული, საშინელ მიუწვდომლობას შთაუწყავს...

სატანა არ ისვენებს, ის ძილსაც არ იკარებს...

ისევ ვიმეორებ, და მაინც ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი მარადიული ტკივილ-ტრაგედიაა...

სამყაროს გარკვეული ნაკვეთი სიცოცხლე კი ურყევი კალაპოტით მიედინებოდა, ყოველის სახიერებით სავსე, უკიდევანოდ მრავალფერადი და ნეტარების მზე, ცის თვალთ მიუწვდომელი გუმბათისკენ მისწრაფოდა, ბოლომდე აზრთგაუშიფრავი უსასრულო ასტრონომიული ფუნქციით. როგორც მოგახსენეთ, დედამინამ მზის ირგვლივ მისეული ბრუნვა იწყო და სისტემური სრული წრიული სვლაც აღსდგა. ასევე აღსდგა მრავალ რელიგიათა ლოცვები და სხვადასხვაპინაარსიანი ნატვრა-ოცნება. თვალთ ღიმილიანი სინათლე ჩაუდგათ ადამიანებს და ყოველ ცოცხალ არსებათ. განახლდა მომავლის მყარი იმედი.

შენელდა უმზეობისგან გამონვეული კატასტროფული უმისამართო მზერა, მუქყალიბიანი სევდა, უსასრულო უიმედობა და, ამ დროს გაუცნობიერებელი სივრცის იდუმალი-ოპტიმისტური ხმა გაისმა. კლდეები, ლოდები და სტიქიურად მიმოყრილი ქვები ხალისით შეხმინდნენ. მინის გახშირებული ანდამატური იმედსავსე სუნთქვა-განწყობილება იგრძნობოდა ირგვლივ. ბრძენი მწერალ-ისტორიკოსი, ქვეყნიერების ფანტასტიკური მოვლენებისგან აღტყინებული სულიერებით მიუჯდა სანერ მაგიდას, წარმოსახვებსხმული ჯადოკალამი აიღო და ყოველივეს აღწერა დაიწყო. თემატურად ახალი წიგნი იქმნებოდა ღრმა ფილოსოფიურ-მეცნიერულ-ასტრონომიული მხატვრული აზრებით. ყველა კეთილშობილი მონოდების მქონე პირები შეუდგნენ ღვთისგან ბოძებულ შრომით შემოქმედებას... კანონიერი ქურდები კი კაცთა მიდგომებს თავისებურად ხვეწდნენ და ურთიერთმრუდე საქმეებსაც არჩევდნენ. ხულიგნები, ლოთები, ნარკომანები, მეძავეები და უსაქმურები უშიშრად გადანანილდნენ თავიანთ სევდისმომგვრელი ცხოვრების ჩარჩოებში და სიცოცხლის ავ-კარგ დინებას მიჰყვნენ... ხანში შესული ქალბატონები და თმაგათეთრებული ბატონები წარსულის საინტერესო ამბებს ყვებოდნენ. ხელოვანნი კი ახალ და ახალ მხატვრულ, ამაღლებულ-განწყობილებიან ნაწარმოებებს ქმნიდა, ნებისმიერი სპეციალობის, ხელობის და ზნეობის ადამიანისთვის, რომელსაც, მთავარია, კაცურკაცობა უნდა ახლდეს და ნათელი ღვთისშვილობა...

დიდი თუ პატარა ქვეყნების გამოჩენილმა მეცნიერებმა უახლესი და ურთულესი აღმოჩენები ისევ

წამოიწყეს. ზოგიერთმა გამომგონებელმა მასიურ გამანადგურებელ იარაღზეც დაიწყო ფიქრი და ოცნება. უფერული იმ უმძიმესთვისებიანი პლანეტის გზავნილი ეშმაკი თავისებურად ავზრახვებიანია და არ ზოგავდა მათზე შთაგონებასა და ყოველის წამშლელ საქმიან თანადგომას. რამდენიმე წმიდათაწმიდა ამაღლებული სულის სწავლულმა, ისევ განაახლა მინის სიღრმეებში გონებრივი მზერა-ძიება, ისტორიიდან გამქრალი ხალხების და ცივილიზაციებისა, ოცნება უკვალოდ დაკარგული, უძველესი კოლხური დამწერლობის აღმოჩენაზე.

განძი ციური მზისგან ყოველგვარი მაცოცხლებელი ენერჯის სახით კვლავინდებურად ჭარბად იგზავნებოდა. ზოგმა გონათელმა და მწიგნობარმა მხატვარმა სივრცეში აბსტრაქტულად განფენილი უხილავი ფერების, ფორმების, ხაზებისა და იდეების კვლევა-აღმოჩენებს უბოძა თავისი სიახლეთა შემოქმედება, კოსმოსს მიმსგავსებული ძიებანი.

მეგობარო! და ღრმად დაინტერესებულო მკითხველო! როგორც გიამბოთ შორეული ეს მოვლენა-ამბავი მომხდარა კაცთ მეხსიერების ფიქრებითაც, ძნელად მისანვდომ ბუნდოვან წლებში, უახლესი ათასწლეულის ლეგენდისმაგვარი ჩვენზე ცივილიზაციის სიმბოლურად ზუსტად შემადარ დროს. შემდგომ ამისა უამრავმა პერიოდებმა გამოიარა თავიანთი დასაწყისითა და დაბოლოებით, რასაც უდროოდ სპობდნენ მარხავდნენ და აქრობდნენ გაბოროტებული, პოლიტიკაში ბრბოსგან დაწინაურებული ადამიანები ან ციური მოვლენები, ზოგჯერ მინიერი წარღვნებიც. დედამინა საფლავთ სიმრავლეა ცივილიზაციებისა და, რატომ?! რაზე აწყობს ასე?! ან რაში სჭირდება შორეულ პლანეტებს, კოსმოსს? როგორი ვარსკვლავეთის საშინელი იდუმალების კანონ-ფარდაა ჩამოფარებული დედამინაზე? მაგ, ყოველი ჩვენგანისთვის წარმოუდგენელ უხსოვარდროინდელ წარსულში, საკვირველია რომ, არარაობასაც გაუღვიძია თურმე უსახო აბსტრაქციად და სიკეთესთან ჭიდილში გამქრალა.

ადამიანისა და ქვეყნის წარსული სიზმარს მიმსგავსებული გახსენებაა, მომავალი ოცნებაა — მიზნებია. ანმყო! თავად და ყველასათვის ძალიან პატარა მონაკვეთისაა, მაგრამ რეალურ-მატერიალისტური უთვალავი შრეებით და უდიდესი ტევადობის: მის უხილავ სივრცეში თავსდება ყველაფერი, მცირედი მოლეკულის მოძრაობიდან დანყებული, უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. თითქმის უმნიშვნელო მოქმედებიდან უდიდეს მოვლენებამდე, რომელიც მომავალში უკლებლივ მარადიულობის გალერეებში მუდმივ მეხსიერებად ექსპონირდება, ანმყო უმცირესი და უკიდევანო წარმოუდგენელი მოქმედების უდიდესი ფენომენია. დრო უმთავრესი სამი განზომილებისაა, მათგან თვალგონსუღხილული და სრულიად მართალი ოქროს ღერძის „ანმყო“!..

მივყვეთ ქვეყნის გადარჩენის ასტრონომიულ-ისტორიულ ბედნიერ დროთა სვლას და ამ მადლმოსილ, თვალწინ მიმდინარე დინებას. სიცოცხლე მზის სხივთ კეთილდინებით ზეიმობდა როგორც მინის ზევით, ასევე ქვესკნელშიც.

განახლდა მითების მოსვლა, ლეგენდების დაბადება, ზღაპართ შეთხზვა, სიზმართხილვები და ბუნება-ქვეყნის თანმიმდევრულ რეალურ მოვლენათა ისტორია...

გაიღვიძა ირგვლივ ასობით კეთილმა თუ ბოროტმა სურვილმა, მიზნებმა, მრავალმინაარსიანმა ფანტაზიამ, ძლიერმა სულმა, ჯანსაღმა მუზებმა, შემოქმედებითმა ძიებამ და ფრთებშესხმულმა ოცნებამ; რჩეულთ, წარმოსახვებიც გამოეცხადა და მომრავლდა



ათასფერადთვისობრივი ადამიანური შეუპოვარი ენერგია. სამომავლო ფიქრები ოცნებებს აედევნა. მზის იმედით სავსე რწმენითი შეგრძნება, რელიგიურ გულწრფელ ლოცვებად განახლდა. უხსოვარდროინდელმა კაცთ სითამამემ, სიმხდალემ, დიდგულოვნებამ, ორგულობა-სულთა ბორგვამ ახლებურად იწყო ფორიაქი და ვერ ეტევა თავის სამყოფელში. სრულიად დამრეგულირებელი კი ისევ დუმს. მხოლოდ სარწმუნოებას ძალუძს თურმე პლანეტის და ქვეყნიერების ნაწილობრივი თუ მთლიანი ზნეკეთილი მოწესრიგება.

რელიგია ზეგონებაა, სამყაროსეული აზროვნებაა და დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების წმიდა-თანმიდა ზნეობის მუდმივი მარეგულირებელია... ათი მცნება ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთ-მაღალი მარადისობის წესდებაა, მილიარდ წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფასებელი უფლისმიერი მადლი. ზნეობა დაუსრულებელი დროის სვლათა პერიოდშიც უფრო ძვირფას ადგილს დაიკავებს კაცთა მოდგმის გონებრივ და სულიერ არსებაში.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენი გალაქტიკის რომელიმე ციური სივრცის ცოცხალ პლანეტაზეც გავრცელებულია სიბრძნე, ესაა უბრძენისი ათი უკვდავი მცნება.

„ადამიანის უკვე აღდგენილი გონება უკეთურობის გარდა სიკეთეს ავრცელებდა ჯეროვნად“. სიახლედ სიხარულის და ნეტარების ცრემლი გაჩნდა კამკამა წყაროსფერი და მზე არ ამოზბდა, პირიქით, უფრო და უფრო აძლიერებდა მის ნათელ, წმიდად წარმოქმნის მისტიკურ ბუნებას. შემდგომ ან წარსულის მოულოდნელი ხიფათი და ნახევარწრედ გადასული პირველი დღე მშვიდად მიიწურა. განახლებულმა, მარად ანთებულმა პლანეტამ კანონიერ-სისტემური ჩასვლა იწყო და დღის ისევ საშინელი კოსმოსური შემთხვევის მოლოდინში, შეშინებული ქვეყანა მაინც კანკალით შეეგება ულამაზეს დაისს.

მზის ჩასვლა ბოლომდე გაუმჟღავნებელი და ფარული ციურ-პლანეტური სილამაზეა, დიდ იმედებთან ერთად უზარმაზარ სევდას რომ ტოვებს და ჩაიყოლებს; ხატული სიძორე თითქოსდა ჩაძირვაა გრძნობათა და ემოციათა უსასრულობისა.

თანმიმდევრობით ახალამოსულმა მორჩილმა, ნახევრადმდუმარე მთვარემ უწყვეტად ჩამოგზავნა სანუკვარი სიმშვიდე, ღამეული ოცნება და უმფოთველი ძილი. უკვე ძალიან შორს გადასული, მზისგან განათებული წრესრული მთვარე, კეთილმოსილებით ძვირფას ნათელ ვერცხლწრედ, ზანტი პლანეტური სვლით, მიცოცავდა მიუწვდომელი მფლობელისგან დროებით მიტოვებულ ზეცაში. უიმედობა არ იყო არსად. ხვალინდელი მზის ამოსვლის მოლოდინით, ყველგან სრული რეალობის გრძნობა სუფევდა უსაზღვროდ.

ჩვენეულ ეპოქაში დიდმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ისეთი მიკროსკოპული ატომგულის ელექტრონებზე მილიარდობით უმცირესი ნაწილაკ-ელემენტი, რომლის სიცოცხლის შეჩერება ან განადგურება ვერანაირი ლაბორატორიული ექსპერიმენტებით ვერ შეძლეს. ეს უკვე უცილო დასტურია ღვთისვამყაროსეული სიცოცხლის უძლიერესი ღერძის არსებობისა; რომ მარადიულია სიცოცხლე და მას ვერაფერი ვერ განადგურებს. სამყაროების ცოცხალ პლანეტებზე შეიძლება მხოლოდ ფიზიოლოგიური სახეების შეჩერება ან გაუქმება და გადასხვაფერება დროთა ჟამში და ცივილიზაციების ტრადიციული განვითარების წყვეტა, მაგრამ „მზე, დედამიწა, მთვარე, ვარსკვლავები და სიცოცხლე ხომ სამყაროს მარადიული შედევრ-პორტრეტია“...

ვერ დამაჯერებთ, რომ მითხრათ, არ არსებობს საკვირველი, უკიდევანოდ-ქვეყნიური უხილაობის უმდიდრესი ფონდი ადამიანის (პიროვნებათა) დაბადებამდე უსასრულობაში მათი არსებობის თაობაზე. მტკიცედ მჯერა, იმ იდუმალი სივრციდან ხდება ინდივიდის გამოყვანა. ჩვეულებრივი ბედი ან შემთხვევითობა რომ არა, ისინი იქ იარსებებდნენ მარადიულად, მინიერი მწვალეზური სიცოცხლის გაუფლელად. უთუოდ ამ უხილავი-უმდიდრესი და ურთულესი სამყაროს რაობა უფრო უფალმა იცის.

საოცრებაა, რომ არსებობს ატომგულის ელექტრონებზე ტრილიონჯერ უმცირესი ფიზიკური ნაწილაკი, რასაც ზემოთ ვახსენებ. მაშინ ეს ჩემეული ნააზრევის თამამი ვერსიაც უთუოდ სარწმუნოა, სამყაროს ურთულესი ფილოსოფიიდან გამომდინარე...

სანამ მზე და დედამიწა არსებობს, სასწაულ სიცოცხლესთან ერთობლიობაა განუყრელი. ოლონდ გონებაშერყეულმა პოლიტიკოს-ძალადგენიოსებმა ანუ ცუდდროულმა დემონებმა თავიანთი იდეოლოგიურ-ბარბაროსული გეგმა-მოქმედებებით არ გაანადგურონ და არ მოშალონ დედამიწაზე დიდი თუ პატარა სახელმწიფოები, ერები, ტომები, ენები, გვარები, შეუფასებელი ინდივიდი, დამწერლობები, კულტურა და ცივილიზაციები. თუ ყოველივე ეს ბუნებრივ-კოსმოსური წყობა მოისპო, მილიონობით თუ მილიარდი წლები დასჭირდება პლანეტას, რომ აღიდგინოს დღევანდელი. ვიმეორებ! დამალონებელია, რომ ვერც ერთი ზეძალა ვერ შეძლებს ქვეყნიერების პირწმინდად გაკეთილშობილებას... მამაზეციერმა უფალ იესო ქრისტეს ჯვარცმელ-მწამებელთ, დაცემულ ადამის მოდგმას ერთხელ თუ შეუნდო უსაშინლესი ბოროტება, მოსალოდნელია, თავისივე ჯილაგის ამოძირკვა და გაქრობა არ აპატიოს და ვერ დაუბრუნოს მათ ყოველივე და ადამიანებზე გაუთავებელი ფიქრი-ზრუნვა, სწავლება-ზედამხედველობა მოიცილოს მთავარ — თავსამყაროდან. ამ დროს, წარმოვიდგინოთ, მზეს თუ გააჩნია მისეული ხედვა და აზროვნება, როგორი განწყობით იქნება სხივაყრილი ადამის მოდგმის მიმართ. ზენაარს თუ ადამის მოდგმაზე ბევრად უფრო კეთილშობილური-გონიერი, ზნეობრივად მაღალი არსებანი ჰყავს სადმე, რომელიმე გალაქტიკის ბედნიერ პლანეტაზე, მაშინ ამდაგვარი მკაცრი გადაწყვეტილება მოსალოდნელია. გამოდის რომ, ადამიანი ის ფიზიკურ-გონებრივ-სულიერი და ზნეობრივ-ფიზიოლოგიური გაჩენაა, რისი გამოსწორება-დარეგულირება ღმერთსაც არ ძალუძს (ისტორიაში მაგალითები მრავალია). შესაძლებელიცაა, უთვალავი სამყაროებისთვის ჩვენი გაქრობა-არყოფნაც, უფალმა ნუ ქნას და, დიდი დანაკარგიც არ იყოს... ანუ ალბათ, არსებობს შორეულზე იქითა ფორმა, რომ სამყაროთა თვითგანვითარება არავის და არაფერს ემორჩილება. ისიც დასაფიქრებელია, რომ ქვეყნიერება თავადვე აღმოაცენებს სიცოცხლისათვის ყოველივეს. მაშინ გამოდის, რომ ჩვენს წარმოდგენებზე, ხილვებზე, სწავლება-აზროვნებაზე უფრო კოსმოსური მიუწვდომელი ზესაიდუმლოება არსებულა, რითაც რეალურად იმართება ბუნების უმცირესი ნაწილაკიც კი. სამყაროთა და მათი მთლიანობის გრანდიოზულ-მიუწვდომელი ინერციულობა, სარწმუნოა, უფრო ღრმად დაკანონებული, უსასრულო, უკვდავების მაპროცესირებელი მექანიზმის გონება, სული და გულია. ამ ყოველივეს, მოსალოდნელია, ადამიანებმა დავარქვათ მიახლოებითი ზესახელები, გონებრივი მარაგიდან გამომდინარე. ხოლო დაუსრულებელი ფორმის ქმედებები უხილავ ტალღებად მიედინებიან და მოედინებიან სამყაროთა უთავბოლო







აღუვსებლობიდან, რომელიც ემორჩილება, ანუ განუშორებელი სხეულია პლანეტარიუმის მიუწვდომელი შინაგანი ზნე-არსებისა...

როგორი ცისმიერი მშვენება და სასოებითი ბედნიერებაა, თუ ჩვენი სული მარადიულია, ამ სამყაროსეული სივრცის გონიუწვდომელ საოცრებებში, მოძრავი-მოქმედი სიცოცხლისეული რეალური იდუმალი ნაწილაკი თუა?!... ასევე შესაძლებელია არსებობს სამყაროს, მეხსიერების, დროის, სივრცის, გარემოს და აზროვნების შიდა სიღრმისეული აბსტრაქცია (რომლის მოდერნისტული გამოხატვა შეიძლება ფერწერაში, მუსიკაში, და პოეზიაში). გამორიცხული არაა, მოქმედებდეს სწავლამიუდგომელი რთული იდუმალეობა, რომელსაც მხოლოდ პლანეტარიუმის ზემავნიტური სხივთქმედებათა წარმოსახვების მონათესავე არეალები აღიქვამენ და ჭეშმარიტებად იხილავენ. მერწმუნეთ, სულ-გონებ-აზროვნებით ახლობლებო — ადამიანებო! ამდაგვარი სამყაროსეული რეალური მიახლოებებიც არსებობს უთუოდ, ჩვენგან ძალიან შორეულში და მათი უცხო შემადგენლობების უკიდევანობაა, რომ ბევრი რამე ქვეყნიური მიუწვდომელ-შეუსწავლეღია...

„რა მსურს ვიცოდე სამყაროს შესახებ? — მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე კონკრეტულად, რატომ არის ყველაფერი ისე, როგორც არის“ (ჯორდანო ბრუნო).

უმჯობესია, ყველა ჩვენგანმა ვილოცოთ, რათა დედამინაზე არ მოხდეს ადამიანთა მიერ შექმნილის წამშლელი მოვლენები. დავუშვათ, თუ მოხდა, მეორედ მოსულ ადამიანებზე უფალი უთუოდ იზრუნებს, რომ შეუნარჩუნდეს ღვთივკურთხეული ზნეობრიობა. ისინი მხოლოდ ღვთის კანონების წამკითხველ-მოსაუბრენი კი არ იქნებიან, არამედ — პირველადშობილი ადამივით, წმიდა ღვთიური ბუნების. მაშინ დედამინა მართლაც გახდება ღვთივმოსილების უპირველესი პლანეტა, რომლის სფეროდან მხოლოდ კეთილი მირონი წვეთავდეს იქნება, გარემოს ყველგან მწვდომი. ამ დონეზე სიცოცხლის ამოძრკვის გარეშეც ძალუძს სამყაროს ზეძალებს ადამიანთა სულიერ-გონებრივ-

ზნეობრივი გაჯანსაღება, თუ „ათ მცნებას“ და ახალ აღთქმას ყველა ჩვენგანი ზნეობრივად მტკიცედ გავითავისებთ. აურაცხელი ვარსკვლავების უსასრულო სივრცე, შორეული სიმათლეა ამქვეყნიდან გასვლა. ღმერთთან ლოცვით და შენდობით გადარჩენილია სული, ხოლო უკეთურთა მიერ ძლეული — დაცემულია. მწარედ მოშლილ-გაფანტულნი ჩვენც უცილოდ წავალთ.


პლანეტა ჩვენი სიცოცხლის მარადიული წყაროა; ყოველივე უკვდავება, მზის და მინის ერთობლივ ელემენტებშია ჩაკირული...

სინათლემიუწვდომელი სამყაროების მადლით ქვეყნიერების ჩვენეული მაცოცხლებელი მზე კვლავინდებურად ბარჩხალებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არავისაგან და არსაიდან სამაგიეროს ის არა და არ ითხოვს, ანუ რაში გამოადგება და გამოიყენებს. განუზომელია წვაცეცხლოვანი განუსაზღვრელი მზეობის და სიკეთის უფალ-ვარსკვლავი, ჩვენს ნამცეცა, მისთვის გამოუყენებელ ფერფლს, ის მხოლოდ მინას სჭირდება... მარადის მანათობელ უძლიერეს ვარსკვლავეთურად უშურველად გასცემს წერტილდაუსმელი სიცოცხლის უებარსა და უსაზღვრო ენერგიას, სითბოს, სინათლეს და მრავალთა წმიდა სახეობათა ურთიერთობას. ციური მფლობელი დაუსრულებელი სიკეთეა სისტემის გარემოსი... ოდითგანვე მასზე შექმნილი მრავალრელიგიამიძღვნილი სრული აღმსარებლობეობა პირდაპირი მიმართებით, ანუ ზოგადიდეურით. ვინ იცის, ადამიანი მომავალ ათასწლეულებს სარწმუნოებრივ ახალ და ახალ ჰიმნს მიუძღვნის და მუდამუამს სულიერად ისევე აუნონავი შემოქმედებითი მადლიერებით მიეახლება. ხოლო ჩვენგან მისდამი ზნედაცემული სამარცხვინო ფიზიკური შეწირვა ქვეყნიერების სიცოცხლის წყაროზე უნდა შეწყდეს სამუდამოდ, რადგან ის მხოლოდ გაურკვევლობას ან ეშმაკს ეგზავნება და ხარობს. მზე! მასზე მრავალმხრივ დამოკიდებული პლანეტებიდან, კერძოდ კი, დედამინიდან, ნამცეცისოდენა სამაგიეროს დაბრუნებას არ ითხოვს. ამდაგვარი მიდგომა-გაგებით გამართლებული იქნება მზის მიმართ ჩვენეული ნეტარებითი სიყვარული, რწმენა და კოსმოსურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულება...

არ შეურაცხვყოთ პლანეტის უძველესი ქვეყნების, შუმერების, ხეთების, ქალდეველების, ატლანტიდელების, ძველკოლხთა, ინდიელების, სპარსელების, ეგვიპტელების და უკვე დამარხული ერების ბეჭედი — მზიური მადლი, რადგან ის უსაზღვროდ თავის ირგვლივ, უანგაროდ შუქთგანმვრცობი, მრავალფორმიან-ენერგიამგზავნელია, სიცოცხლის, სიკეთის და კოსმოსური უმდიდრესი მთლიანობის უშრეტი დედისეული წყაროა. ზეცად თავის კუთვნილი ურთულესი სისტემის მამოძრავებელ-მომწესრიგებელი და უფლის უკეთილშობილესი, მიუწვდენელი სახე-ფორმაა ვარსკვლავეთური...

2016 წ. თებერვალი, თბილისი





ანა პერისტავი

**ყაყაჩო და ქარი**

— ასე ლამაზი რომ არის,  
ვინაა მისი მშობელი?  
— ნაკვერჩხალივით მღვივარის,  
ბალახში აალებულის?  
უფალმა შექმნა სინაზით,  
სული ჩაუდგა ედემის,  
ქარს უყვარს მისი ალერსი,  
შემკობა კრიალოსანით,  
მზის ამოსვლისას ლაღობენ,  
საცისკრო ლოცვებს ამბობენ,  
მწუხრისას ატკობთ ჩიტის ხმა,  
სიზმარში ფრენას ნატრობენ,  
გადაიფრენენ მზისქვეშეთს  
და არაფერზე ნაღვლობენ,  
წვიმაში ილუმპებთან,  
სიკვდილშიც ერთად ხარობენ.

**ბავშვობა**

ყვავილთა ქოხში სინათლე იდგა,  
სუნი იელის,  
ცისკარი ლოცვით იღებოდა,  
საგალობლებით,  
შუალამისას მთვარე გვხვევდა  
ფერად სიზმრებში,  
სითბო, სიკეთე, სიყვარული,  
— იყო ნუგეში,  
სანთელი ენთო სახატეში,  
მამა გვლოცავდა:  
და მადლი იყო იგი  
ღვთისა,  
— ღრუბლით გვმოსავდა.

**სიყვარული**

ნუ მეტყვი  
წავა ეს სილამაზე,  
დაბურავს ნისლი  
დავინწყებისა,  
ლიმილს შეაჭკნობს  
ჟამი ყაყაჩოს,  
გადაახუნებს კალთას  
მინდვრისას,  
იების ეშხსაც  
გაიყოლიებს  
და გაზაფხულიც სულს  
არ შერჩება,  
ნუ მეტყვი

ეს დღეც ჩაივლის ისე,  
ვით მიმოზების  
მოალერსება,  
მე ხომ ოცნებით  
ცაზე გხატავდი,  
ნუ შემახსენებ ახლა  
მინის ვალს,  
ლამაზ ზღაპრიდან  
მოვიჩქაროდი,  
ცოტაც დაყოვნდი  
დღეო უფლისა.

**სახლი**

სახლი ავაშენე ხისა,  
კარი შევაბი ბზისა,  
კერა გავაჩაღე მზისა,  
ხატი შევიტანე ღვთისა,  
ფუძეს კელაპტრები ვუნთე,  
ტაბლასთან ანგელოზებს ვუხმე,  
მთვარე დავახატე სარკმელს,  
ლამე ვარსკვლავები ვთვალე,  
ყორე შევაკეთე ძველი,  
ძელქვა გავახარე ცრემლით,  
ბალი გავაშენე ვაშლის  
მზე სადაც არასოდეს ჩადის.  
ზვარი ვაშრიალე წმინდა,  
მტევნები დავწურე მზისა,  
მარანზე ჩამოვკიდე ზარი,  
იცავს წმინდა ნინოს მადლი,  
ჭილობი ია-იით ვქარგე,  
ენძელებს ოცნება ვანდე,  
საყდარ-სალოცავის მწამდა,  
სოფლის სიყვარული მწვავდა,  
ლერწმის სალამური ვთალე,  
განსაცდელით სული ვაწრთვე,  
კერაზე ვაფრთიანე მართვე,  
ქვეყნის გადამრჩენი ვზარდე.  
ჭიშკართან ღვთიურ სტუმარს ველი  
ზედაშით სავსე არის ქვევრი,  
ჩიტუნებს მივუჩინე ბინა,  
ციდან ციციანთელები მცვივა,  
ნატვრა ავისრულე ბევრი,  
— უფალმა შემაშველა ხელი,  
სიცოცხლეს განახლება შვენიც,  
— ეხლა?  
— დაზამთრებას ველი.





\* \* \*

იღებებოდა მინდვრები სისხლით,  
არ იღეოდა ქირი ქართლისა,  
ბერ-მონაზონნი  
იცავდნენ საყდარს  
და საიდუმლოს ქართველობისას,  
ჯვრისთვის თავს დებდნენ,  
სოფელსა თმობდნენ,  
რომ შეენახათ  
კვართი უფლისა,  
აქამდე მოსულს  
სანთელი გენტო,  
რომ გეგრძნო მადლი  
სიყვარულისა.

\* \* \*

ვით ლოცვა წმინდა,  
ისე უნდა ამოთქვა ლექსი,  
შენი სულიდან ამომავალ მზით  
გაათბო მტერიც.

\* \* \*

ამაოების ხმა ისმის,  
სანთელი სადაც არ იწვის,  
ამალღებაა სულისა  
ფსალმუნნი დავითისანი,  
უფალი მწყალობელია,  
ცოდვისგან თავს თუ დავიხსნით.

\* \* \*

უდაბნოს ყვავილს ნამი ეცემა,  
ნამია წმინდა,  
უფალი გვიხსნის,  
ძე მალალი  
და სული წმინდა,  
ვით საღვთო კრავი  
შემწირე და ნუ დამიტირებ,  
მკერდგასისხლული  
საქართველო გადამირჩინე.

\* \* \*

დედა ცისკენ გამიფრინდა,  
მამა ღრუბლებს შეეფარა,  
მზემ მიშვილა, მომეფერა,  
ობოლს ცრემლი შემიმშრალა,  
მთვარემ კალთით დამარწია,  
ენძელები დამაყარა,  
დედამ ლოცვა შემანია.  
ღვთისმშობელმა დამიფარა.

\* \* \*

უფალო,  
როგორც გიყვარვარ,  
ვით შევძლო  
ისე მიყვარდე,  
ციცქნა იების ფოთოლმა,  
ლოცვა ცამდე ვერ განვდინე,  
ასე ცოდვილი გიყვარვარ,  
თუმც ცრემლი ხშირად გადინე,  
დიდება შენს მონყალებას,  
ანგელოზის ხმა მასმინე.

\* \* \*

ჩემი სამშობლო ბედნიერია,  
რომ პატრიარქი ასე ბრძენია,  
მრონად მოდის: მტკვარი, რიონი,  
ღვთის საუფლოა – კავკასიონი.

\* \* \*

რა ლამაზი ხარ  
პეპლების სალოცავო,  
ყაყაჩოს გეძახიან,  
მინდვრის ანგელოზო.

ცისფერ ფრთიანი პეპელა,  
თეთრ შროშანებთან ცრემლობდა,  
ცრუ, გაუტანელ სოფელში,  
სიყვარულისთვის კვებოდა.

## რეზო ჩხიკვიძელს

პეპელას ფრთებს რომ დაასველებს  
წვიმის წვეთები,  
მოვა შენთან და შეიფარე  
დიდო ყვავილო,  
წვიმიდან მოსულ ნაზ გოგონას  
უნდა ალერსი,  
წვიმიდან მოსულს შემოჰყვება  
რალაც ნათელი,  
არ დაუხურო დარაბები სულში გაზაფხულს,  
არ მიატოვო  
არ ჩააქროს ქარმა სანთელი,  
წვიმიდან მოსულს მოეფერე,  
გაუთბე გული,  
პეპელასავით შენს ხელისგულზე გამოიძინოს.

## მუხრანს

ქართული სული  
დადალული,  
ცეცხლში ნაწრთობი,  
შიშველი ფესვი  
დუშმანისგან  
გულდაკორტნილი,  
მარადისობის ბინადარი  
— კაცი ხნიერი,  
ძველ ნატაძრალთან  
ამოხეთქილი  
მუხა ძლიერი.

## თემურ ჩალაბაძელს

ვაზის ლერწი ხარ  
ქართული,  
უფლისგან მარჯვენ ნაკურთხი,  
მამულ-დედულის მლოცველი,  
ბერი უდაბნოს გასული,  
მამა-პაპათა საფლავის  
იით და ვარდით შემკობი,  
ყოველი სიტყვა ლოცვაა,  
ამ სანუთროში სანთელი,  
მრავალთა დამპურებელი,  
სიკეთის უხვად გამღები,  
— მორჩილი,



- გულნაღვლიანი,
- ნაწილიანი,
- ღვთიანი,
- ხმა მაღლიანი,
- მზიანი,
- სათუთი,
- ალერსიანი,
- ბნელში მყოფისთვის
- კანდელი,
- ქრისტესთვის სულის
- დამთმობი.

## ტაძართა ნგრევის ჟამს

ქვა არ დატოვა უცრემლოდ,  
ჩუქურთმა ხავესმა დაფარა,  
უფლის მგალობელ შაოსანს,  
არ ახარებდა ქვეყანა,  
გრიგალმა გადაუარა  
ტაძარი დაცარიელდა,  
მირონმდინარე ხატები,  
ზეცაში გაუჩინარდა,  
დუმდა სამრეკლო – შემეკრთალი,  
უენო ზარი ზარავდა,  
სინანული და სინათლე,  
ცოდვის კალოზე გაქვავდა,  
არ ხმაურობდა ედემი,  
თუმცა კურთხევა ფარავდა,  
სოფელს უმზეოდ უჭირდა,  
მალულად მტკვარი ნათლავდა.

\* \* \*

ანგელოზებით ივსებოდა ცა ულურჯესი,  
ცისკრის ზარის ხმით იღვიძებდა  
ნუთისოფელი,  
ფეხი ვერ ვბანე,  
— ვერ ვიყიდე ნელსაცხებელი,  
განზე ვიდექი,  
თუმცა მწყალობდა  
ძე-საკვირველი,  
გზას დავეძებდი,  
იმედს მაძლევედა  
მაცხოვრებელი,  
პეპელასავით დაფარფატებდა  
ლოცვა უთქმელი,  
...სანთლები ენთო,  
მზე გიზგიზებდა ტაძრის უბეში,  
მინა და ზეცა ივსებოდა  
ოქროს შროშნებით.

## სანთელი

დილის ცვარით ხარ  
ჩამოქნილი,  
ლოცვა-ვედრებით,  
სამოთხის ბალის შეგრეგია  
უცხო სურნელი,  
გზა-კვალს გვინათებ,  
სიყვარულით ცრემლად  
იღვრები,  
უფალმა იცის, რისთვის  
გაჩნდი,  
რისთვის ბრწყინდები,  
ტაძრიდან ზეცის გზა

ინყება,  
გზა სიცისფრეში,  
წმინდა გულისთქმა  
ქრისტესთან მიგაქვს  
და გვეხმარები,  
ანგელოზებმა, რომ გვიმფარველონ  
ცა რომ შევიგრძნოთ,  
ჩუმად ლოცულობ  
სიკეთის მფენო,  
უფლის ერთგულო.

## იას

შენსავით ლამაზია ეს გაზაფხული,  
პეპლები ნექტარით თავბრუდახვეული,  
წვეთ-წვეთად ყაყაჩო,  
იების ღიმლი,  
შროშნებით ნაქარგი  
ნაცნობი ბილიკი,  
უყვარხარ გაზაფხულს  
შროშნებით მოგქარგა,  
ენძელას შემოხედვამ  
ცრემლები მომგვარა,  
ვიგონებ გვირილებს  
მზესთან რომ ვილოცეთ,  
სამყარო ბრწყინავდა,  
ფრთები რომ ვინატრეთ,  
რა ნაღვლიანია  
უშენოდ გაზაფხული,  
საფლავე ვარდია  
წვიმაში გალუმპული.

## წმინდა ნინო

მადლით მოგვხედა ღვთისმშობელმა  
— ჯვარი აკურთხა,  
ზვარი ახარა ქართლის ბაღში  
ნაზმა ქალწულმა, ნაფეხურებზე ია ხარობს  
— კანარკუნურა,  
— ლოცვით განბანა  
— ცა და მინა  
— დაღალდაწულმა,  
კალთა სავსე აქვს  
სუმბულით და ყაყაჩოებით,  
შუბლზე გვასხურა აიაზმა  
კვლავ სასოებით.

## ბეთანიის გზა

გზა, ვარდისა და იის  
ბეთანიისკენ მიდის,  
იდუმალემა სუფევს,  
უფლის ფეხის ხმა ისმის.  
ვინც სახარებით ხარობს  
ზეცაში ფრენას ნატრობს,  
სანთელს, მამულს ვინც უნთებს  
— ანგელოზები უკმევს,  
ვინც ნათელია რწმენით  
ქრისტეა მისი მცველი,  
ბეთანიის ტყეს დაჰკრავს  
ღვთისმშობლის კვართის ფერი,  
ბზა, ვარდისა და იის,  
მწვანე ტაძრისკენ მიდის...





\* \* \*

ყაყაჩოების მინდორი,  
ჩამავალი მზის ფერია,  
სამოთხის ხმები ჩამემსის  
უშენოდ ყოფნა ძნელია.

\* \* \*

ვერხვის ფოთოლი, მზით დამწვარი,  
მინასა ნატრობს,  
დაბერებულხარ...  
სიყვარული  
სულს აღარ  
ათბობს.

\* \* \*

ფეთქავდა გული სიყვარულით  
და ყვავილობდა ნათელი სიტყვა,  
ცა დაინისლა, როცა გამოჩნდა  
შურის მთესველი  
და არანმინდა,  
იგავს ყვებოდა:  
ბნელს, –  
თუმცა ნაცნობს,  
ლენცოფასავით წამლავდა მიწას,  
მზემ, მოიწურა სისხლის ცრემლები  
და ჩაესვენა უფსკრულთა შინა,  
...ქანაანელივით რჯულის მოძულემ,  
ჩაგვრის მოსურნემ,  
— რა სიტყვა გვითხრა?..  
როგორ მიქრიან დღეები,  
როგორ ყვითლდება ხეები,  
ქარონის ნავი ირწევა,  
სტიქსის ნაპრალებს მივყვები,  
მდინარის სარკეს ჩავხედე,  
— მოხუცი ბავშვი მიცქერის,  
თუ გავიღვიძე,  
მზეს ვნახავ,  
— რა ბედნიერი ვიქნები,..  
ხმაურობს მთელი ქვეყანა  
დანთქმული ცოდვის მორევში,  
რა ნეტარია მორჩილი,  
ქრისტესთვის თავის დამდები.

\* \* \*

ურწმუნოების  
ზღვა ეხეთქება,  
ჯვარი სწერია  
წმინდა სამრეკლოს,  
ყვავების გუნდმა გადააშავა,  
ედემის ბალი,  
— დუმს საქართველო.

\* \* \*

ჩვენც გვიყვარდაო ერთმანეთი  
მითხრეს ფოთლებმა,  
ვთვრებოდითო მზის სიახლოვით,  
გვიყვარდაო ცელქი ნიავის  
მოსალბუნება,  
ახლა გვაშორებს ცივი ქარი,  
ნაგვიყვანს საით...  
ჩვენც გვიყვარდაო ერთმანეთი  
მითხრეს ფოთლებმა....

\* \* \*


ფერისცვალების ფოთლებით  
მოქარგულია ბილიკი  
მრავალძალს –  
მარიამობას,  
გვირილაც გალობს ჩიტივით.


\* \* \*

ფარისეველი მაკვირვებს,  
სად ძებნის სიტყვას საკვირველს,  
ბრიყვი ჰგონიხარ, რომ უსმენ,  
დაგცილდება და დაგცინებს.

## სოფელი

გულ-მკერდზე ანწლის ყვავილით  
საფიქრალ-სატკივარია,  
მზეც აღმაცერად დაჰყურებს,  
მოსწყინდა ცოდვა-ბრაღია,  
ბუდეში ბარტყი არ ტირის,  
მართვეს არ ჩეკავს არწივი,  
ორიოდ მამლის ყივილი  
სამდურავივით გაისმის.  
ვაით თენდება,  
ლამდება...  
ფუძე და ჭერი გვექცევა,  
დაცლილ გომურს და ნაღიას  
მთვარე ქვითინით ადნება.  
სოფელში დადგა დრო-ჟამი,  
ჟამი უშემური,  
მაცდური,  
კარგები მიწამ შეჭამა,  
დარჩა ედემი ძარცვული,  
მუმლი ეხვევა ბერ-მუხას,  
ვაი აქვს მუხას  
წყალშია,  
ტანზე მირონი ჩამოდის,  
გოლგოთას გზას დამდგარია.  
ჩვენ გვძინავს  
უცხოის დარჩება,  
საცდურით უკვე მთვრალია,  
შარშან რომ წყაროსთან ვნახე,  
ის დედაბერიც მკვდარია.





ანი რაინაული



ექო

— ადამიანი რას აკეთებს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე? — იკითხა ერთმა.

— ამტკიცებს საკუთარ არსებობას... — უპასუხა ექომ

...(ექო)

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ექო დედის კალთაზე ველარ ეტეოდა, მაგრამ იძულებული იყო სულიცა და სხეულიც რამენაირად ჩაეჭია ამ ჩამომხმარი ქალის მუხლებზე, თავი ნაზად მიედო გულმკერდზე და ასევე ნაზად ჩაძინებული ბავშვის სახე მიედო.

— თავი გაასწორე და თვალები დახუჭე, — დედა უკმეხად ჩასჩურჩულებდა ყურში, ნაქარგ ქუდს უსწორებდა და ათასობით გამვლელს მოკრძალებულად უწვდიდა ხელს. ხალხის რაოდენობა შუადღისას პიკს აღწევდა, თითქოს მთელი ქალაქის მოსახლეობას მეტროს გადასასვლელში მოეყაროს თავი, ისე მეხივით ატყდებოდა დედა-შვილს ბრბო. აჩქარებული ხალხი ხან კალთაზე, ხან ფეხებზე წამოედებოდა. ვერც კი ხვდებოდნენ მიგდებულ ყუთს წამოკრეს ფეხი თუ ადამიანს.

ექოს რცხვენოდა, უკვე ძალიან რცხვენოდა, თავის ჩამალვა უნდოდა, დედის სხეულშივე უნდოდა ჩაკარგვა, თუმცა ვერაფრით ახერხებდა. დედა არ აძლევდა ნებას წამით მაინც გაენია თავი და ჩაძინებული ბავშვის სახე სადღაც ჩაკარგულიყო. ადამიანებს ბავშვი უნდა შესცოდებოდათ, მასში უნდა დაენახათ ის რაღაც, რაც მონყალების გაცემისკენ უბიძგებდათ.

ექოს ეშინოდა კიდეც. საშინელი, ძლიერი პანიკა უღრღნიდა გულს — რა უნდა ელონა, როდესაც გაიზრდებოდა და დედის კალთიდან ჩამოვარდებოდა... ხვდებოდა, დროებითი იყო დედის ჩრდილში მიჩუმათება. მის არსებაში საკუთარი როლი ძალას კარგავდა და ტკივილამდე ამწარებდა ეს ფიქრი.

დედა უჩუმრად წამოართყვამდა, სახეს ნუ მანჭავ, გასწორდიო, ისედაც დამახინჯდი, დამძიმდი და თითქმის აღარც კი მარგიხარო რამეში. გულზე ისე მანვეები სუნთქვა მიჭირს — მთელი სიცოცხლეა სუნთქვა მიჭირსო.

ექო ცდილობდა სირცხვილის გრძნობა დაეძლია... მერე რა, სხვები თუ სასაცილოდ აიგდებენ, დედის კალთაში რომ თითქმის ველარ ეტევა, თვალებიც ხელოვნურად მიუნაბავს და სრულიად შეუსაბამოდ დაუხურავს ეს „სასცენო“ ნაქარგი ქუდი. ექოს სირცხვილზე მეტად შიშის ეშინოდა. ამიტომ დედას კიდევე უფრო ებლაუჭებოდა, ცდილობდა რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო როლში, ადამიანებისთვის არც კი შეეხედა, მთლიანად დავეიწყებინა მათი არსებობა. ისინიც ამოერეცხა მეხსიერებიდან, მათ გვერდით რომ მათხოვრობდნენ, ზოგი მღეროდა, ზოგი

ლილინებდა, ზოგი თავს ბრმად აჩვენებდა, ზოგი კი დაბლა დანოლილიყო და თავი ხელებში ჩაერგო. ექოს მათი დანახვაც კი არ უნდოდა, განსაკუთრებით იმ ქალის, მუდმივად დაბლა, პირქვე რომ იყო განოლილი. იცოდა, ოდესმე მინაზე დანარცხებული, მის მსგავსად დაიწყებდა ხოხვას, წასასვლელი კი არსად ექნებოდა...

სახელი — ექო, ბებიამ შეურჩია, რომელიც მუდმივად შავ, ბინძურ ნაფლეთებში გამოწყობილი მათხოვრობდა ქალაქის სხვადასხვა კუთხეში. სულ ერთხელ შეხვდა ბებიას ექო, ბუნდოვნადლა ახსოვდა მოხუცი ქალი, ცოტა შეშლილი, ცოტა სევდიანი თვალებით. მაშინ სულ ერთი ციცქნა იყო, დედის კალთას ამოფარებული, არც სახელი ჰქონდა და არც არაფერი გააჩნდა ნაქარგი ქუდებისა და დედის კალთის გარდა. დედამ სახელის დარქმევაც კი არ ისურვა, არასოდეს მიუმართავს, არასოდეს გასჩენია სურვილი სახელით დაესაჩუქრებინა.

მაშინ, პირველი და უკანასკნელი შეხვედრისას, დაბანილ-დავარცხნილი, ნაქარგქუდიანი უსახელო ბავშვის დანახვაზე ბებია შენუხდა და შვილს უსაყვედურა... დიდხანს, დიდხანს უყურა მაშინ ბებიამ ბიჭს, შემდეგ უთხრა — ისეთ ადამიანს მაგონებ, რომელიც პიროვნების ჩრდილს უფრო ჰგავს, ვიდრე პიროვნებასო. აი, როგორც ექო, ის ვერასოდეს გახდება სრულიყოფილი ბგერა, მხოლოდ ნარჩენი იქნებაო. ბებია მას შემდეგ, აღარც კი უნახავს, ალბათ იმავე ბნელ კუთხეში მოკვდა, სადაც მათხოვრობდა, იქვე გაიხრწნა მისი გვამი და მისი სახელიც სამუდამოდ დავიწყებას გადაელოცა.

ექომ თავისი სახელი უმტკივნეულოდ შეისისხლხორცა.

\*\*\*

ექოს ცხოვრება მეტროს გადასასვლელ ხაზზე უსაშველოდ უაზრო, შიშნარევი მღელვარება იყო, რომელიც ბიჭს ტვინს უწამლავდა. ეგონა ცხოვრება უზარმაზარი ბეტონის თალი იყო, უამრავი ცივმზერა-შეყინული ბრბოთი, რომელიც მუდამ სადღაც მიიჩქარის. უკვე თითქმის დარწმუნებული იყო, ადამიანები მხოლოდ ასეთები არსებობდნენ — მუდმივად აჩქარებული, სერიოზული, სიცივით სავსე არსებები. მათგან არაფერს ელოდა, ვერც ხედავდა მათთან რაიმე კავშირს. ეგონა, სამუდამოდ იყო გარიყული, რადგან ყოველდღიურად სადღაც არ მიეჩქარებოდა და სერიოზული სახით არ კვეთდა მეტროს გადასასვლელ ხაზს...

ბიჭსა და დედას შორის კი სიცივე მატულობდა და სიძულვილი იზრდებოდა, რომელიც დედის გულიდან ამოხეთქვას ლამობდა. ექო სხეულით გრძნობდა ამ გამანადგურებელ ძალას. ეს მისთვის საფრთხის მყრალი





სუნი იყო, რომელიც ნესტოებს უწვავდა და გარდაუვალ მომავალს ახსენებდა.

ერთ დღესაც, დედა წავიდა. ექო მინაზე იმდენად მწარედ დაენარცხა, რომ ტკივილმა სხეული დაუსერა. შიშმა მთლიანად მოიცვა და თვალები დამხრჩვალისვით ჩაუსისხლიანდა.

დედას ეძებდა, გადასასვლელი ხაზის ყველა კუთხეს დაკვირვებით უმზერდა, თითქოს მალე გამოჩნდებოდა დედის მუდმივად გატანჯული სახე, მაგრამ არავინ, აღარასოდეს გამოჩენილა. ექომ არ იცოდა იმ განცდის სახელი, როდესაც დედამინის ზურგზე აღარავინ გყავს. ამ გრძობამ გაახევა, გადასასვლელი ხაზის ცივ კედელს მიყრდნობილი, გამომშრალი ფიჩხივით იდო ერთ ადგილზე. ზოგი მოწყალების ნიშნად ხურდას მიუგდებდა, ან რაიმე საჭმელს უტოვებდა. სახლის მისამართიც არ იცოდა, დედის გარეშე არაფერი შეეძლო... მოძებნა აღარც უცდია, რადგან იცოდა, დედას იქ მაინც ვერ იპოვიდა.

ექოს ნაქარგი ქუდი გაცვდა, ძველი ტანსაცმელი ზედ შემოეხა, აბურძგნულ მანანნალას ჰგავდა, რომელსაც ყველა გვერდს უქცევს და ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს. ექომ მოულოდნელად მიიღო გადანყვებილება — მიეტოვებინა ეს საძულველი ადგილი, რომელიც გულს ურევდა... უბრალოდ ადგა და წავიდა, ეცადა მზის შუქი ეხილა, ეცადა რაიმე ელონა, ზუსტად არ იცოდა რა, მაგრამ სხეული გადარჩენას სთხოვდა, თვალები კი სიახლეს ეძებდნენ...

სწორედ ამ დროს, ექომ ქუჩაში შავი, მომცრო ნივთი იპოვა... შემთხვევით წაანყდა რომელიღაც მიგდებულ ქუჩაზე ხეტილისას. ხელში დიდხანს ატრიალა, კარგად დააკვირდა, შეისწავლა მისი გლუვი ზედაპირი, ბოლოს კი გახსნა და შიგთავსის თვალსაზრისს შეუდგა. ეს უცხო ნივთი ვიღაც გამვლელის დაკარგული საფულე იყო, ახლა უკვე ბიჭის ხელში აღმოჩენილი.

ექო გულმოდგინედ სინჯავდა ყველა ჯიბეს და ჩასადებს, ათვალსადა მისთვის ასე უცხო სავიზიტო და საკრედიტო ბარათებს, პატარა ჩანანერებს, რომლებიც რუდუნებით დაეკეცათ და საფულის პატარა ჩასადებში მოეთავსებინათ. მოულოდნელად, დაკეცილ ფოტოს მიაგნო, მასზე ახალგაზრდა მამაკაცი იყო აღბეჭდილი თავის ოჯახთან ერთად. მომღიმა-რი სახეები თვალისმომჭრელად ელავდნენ ფოტოზე. კაცს ხელი ნაზად გადაეხვია მეუღლისთვის და პატარა გოგონასათვის. მათმა ბედნიერებამ ექოში ნელ-ნელა შეაღწია, წარმოიდგინა, რომ თვითონ იყო ეს ახალგაზრდა მამაკაცი, ჰყავდა პატარა ბედნიერი ოჯახი და სერიოზული და აჩქარებული სახით გადადიოდა მეტროს გადასასვლელ ხაზზე. ვიღაც უცხოს ცხოვრება, ახლა ექოს ხელში აღმოჩნდა, ცოტა ხნით მაინც...

და სინამდვილეში ყველაფერი აქედან დაიწყო.

...(ქალაქი)

ქალაქმა მაშინ არაფერი იცოდა და მშვიდად ეძინა. ეძინა უმფოთველად, უდრტვინველად, გაბრუებული ჩაძირულიყო ლამპიონებში.

ქალაქს უყვარდა ღამე, გამოუცნობი და იდუმალი ძალებით ივსებოდა მისი ქუჩები, თითქოს საიდუმლოს ჩაუთქვამდა და გათენებამდე არ ამხელდა მის არსს. თითქოს ტკბებოდა მარტოობით, რომელსაც ღამე სჩუქნიდა ცოტა ხნით მაინც, მაგრამ ქალაქს უყვარდა ხალხი, მოსახლეობა, მათ გარეშე არსებობას წყვეტდა.

ადამიანები ქალაქისაკენ მიილტვოდნენ, აგიჟებდათ და უსასრულობამდე აბნევდათ მისი შემოქმედება, თუმცა ეს ჯერ არ იცოდნენ, ვერ გარკვეულიყვნენ საკუთარ განცდებში...

ზუსტად არ იცოდნენ რას განიცდიდნენ, როდე-

საც ქალაქი პანიკამ მოიცვა. პანიკა შემზარავი იყო, გიჟური სიავით ედებოდა მთელ ქალაქს, ყველა კუთხემდე აღწევდა, ღრიალით ვარდებოდა ყველა სახლის კარში, ანგრევდა ჰარმონიას და სასტიკად უსწორდებოდა მოსახლეობის ფაქიზ გრძობებს.

პანიკა ტელევიზორში დაიბადა და შვა იგი სიტყვამ: ვეფხვი გაიქცა ზოოპარკიდან და ქალაქის ქუჩებში დაძრწისო.

ადამიანებმა ნირი იცვალეს, შეშინებულ საწყალ არსებებს დაემსგავსნენ. ამ ამბის შემდეგ უჩვეულო სხეულიც ვეფხვი იყო, კედელზე ალურსმული უცნაური ჩრდილიც ვეფხვი გახდა, ადამიანებმა ისეთ ვითარებაში დაიწყეს ამ ცხოველის ხილვა, აქამდე რომ ვერც კი წარმოიდგენდნენ. ქალაქი უსასრულო კვილადა იქცა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ დიდი საშიში ვეფხვი ერქვა.

იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი მალაზიის ტელევიზორში ვეფხვის ახალ ადგილსამყოფელს აცხადებდნენ, ექო იქვე კართან იჯდა და ყავისფერ საფულეს ათვალსადა. ბიჭი მთლიანად ჩაძირულიყო საქმიანობაში და არც მაშინ შეურხევია წარბი, როდესაც პანიკაშეჭმული ხალხი თავპირისმტვრევით გამობოდა მალაზიიდან. ზოგი უარს ამბობდა მალაზიის დატოვებაზე, ზოგი შფოთვისგან იქვე ჩაკუნტულიყო და მათ თვალეში იკითხებოდა თუ როგორ შეიძლება ვეფხვს შეეჩებო და მის კლანჭებში დალიო სული.

ექომ ერთი ახედა გადარეულ ხალხს და აღრიალებულ ბრბოში თავის საფულიანად მშვიდად გაუჩინარდა.

\* \* \*

სამაშველო სამსახური უკვე პროტესტს აცხადებდა... ხალხი ყოველ წუთში რეკავდა, ვეფხვი ვნახეთო, თუმცა მის კვალს ვერსად მიაგნეს. მოსახლეობა, მხოლოდ იმიტომ რეკავდა, რომ ნერვები დაემშვიდებინა, ან სიბრავის მთელი ბოლმა სატელეფონო ოპერატორთან ენთხია, ელრიალა და მთელი ქალაქისთვის მოედო თავისი რისხვა. რისხვა იმის, რომ უძლური იყო, შიში იმის, რომ ვეფხვს ვერსად გაექცეოდა, ყველგან მიაგნებდა, საფეთქლებზე მოწოლილ სისხლს იყნოსავდა და მაინც მიაგნებდა...

გავიდა დღეები, საათები, წუთები და სისხლი დამშვიდდა, აჩქარებული გულები შენელდა, პანიკა დაპატარავდა და ადამიანის გაგიჟებულ სულებს გამოეყო — ყველგან მათზე დაგვიძლი, საშინელი ცხოველი აღარ ელანდებოდათ, აღარც კედელზე ალურსმული ნებისმიერი ნივთის ჩრდილი ეზმანებოდათ ამ ცხოველად. სამაშველო სამსახურმა გულიანად ამოისუნთქა. ქალბატონი კვილით აღარ რეკავდა ცხელ ხაზზე და აღარც ტელევიზორში აცხადებდნენ ვეფხვის ახალ-ახალ ადგილსამყოფელს... დაპატარავებულ პანიკას, ნერტილი ერთმა ინფორმაციამ დაუსვა: სადღაც, ქალაქგარეთ მკვდარი იპოვეს დიდი, ჭრელი ვეფხვი...

ქალაქის აღელვებული არსებობა მწყობრში ჩადგა და ყველა ისევ თავის გზას გაუდგა. დამშვიდებულ ქალაქში ექოს უფრო მეტად გაუჭირდა, მარტივად ვეღარ პოულობდა საფულეებს... მაშინ, დაპანიკებულ მოსახლეობას ხან ჩანთა რჩებოდა სადღაც, ხანაც ჯიბიდან უვარდებოდა საფულე. მოკლედ, ექოს უბედნიერესი დღეები დასრულდა... ახლა უფრო მეტად უნდა მოენდომებინა, რომ ახალი საფულისათვის მიეგნო. აქამდე უამრავ ადამიანად მოასწრო ყოფნა, ათასობით საფულემ გაიარა მის ხელში. ის ისაკუთრებდა ყველაფერს, ყველა წვრილმანს ფულის გარდა. რაში სჭირდებოდა ფული, როდესაც ნამდვილ,



სრულყოფილ ბგერად გარდაქმნა უფრო მნიშვნელოვანი იყო. მისი გული ბედნიერებით ივსებოდა, როდესაც „ვიღაც“ მაინც იყო — შეძლებული ბიზნესმენი, თუ მოსიყვარულე დიასახლისი, სკოლის მოსწავლე, თუ სტუდენტი, თავისი სტუდობილეთებითა და საღეჭი რეზინებით. არც უბრალო მოქალაქედ ყოფნაზე ამბობდა უარს, რომელსაც თითქმის არაფერი გააჩნდა... ასე გრძელდებოდა უსასრულოდ, დაგეშილი ძალღივიით აგნებდა საფულეს, წამით ვერ ჩერდებოდა...

\* \* \*

იმ დღეს, როდესაც სხვად ვერ გარდაისახებოდა არარაობად გრძნობდა თავს. სძულდა საკუთარი არსება, ეგონა ყარდა და ცხვირს უწვავდა ეს სიმყრალე... აი ისეთი, დედის სიძულვილმა რომ მოუტანა. ყოველი მითვისებული ცხოვრება აბედნიერებდა, თავს მნიშვნელოვნად თვლიდა და სჯეროდა — ეს მისი მონოდება იყო. მზად იყო სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეეწყვიტა მეტამორფოზა, თუნდაც ყოფილიყო ფსიქოპათი ქურდი, საშინელი, ამაზრზენი ლაჩარი, რომელიც დაცარიელებული ქალაქის ქუჩებში — საკუთარი ილუზიების გზებზე დაძრწის.


\* \* \*

მიჩუმებულ, ჩაბნელებულ მიწისქვეშა გადასასვლელში, კედელს მიყრდნობილი ათვალთვლებდა კიდევ ერთ საფულეს, რომელიც ჩანთიდან ვიღაც ქალს ამოაცალა. საფულე იქვე მოისროლა და ერთი პატარა ფოტო დაიტოვა ხელში — როგორც წესი, ძალიან უნდა გამართლებოდა, რომ რომელიმე საფულეში ფოტოს წასწყდომოდა, ამიტომ ახლა მთელი მონდო-

მებით დააკვირდა. სურათიდან დედა-შვილი ნაზად უღიმოდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს უყურა ექომ ამ ფოტოს, თითქოს იმდენი ხანი გავიდა, რომ დაბერდა, დაჩაჩანაკდა, ძალა გამოელია და ნაოჭებით დაესერა სახე... მის მეხსიერებაში დიდი ხნის წინანდელი სურათები ამოტივტივდა... თითქმის ლანდივით გაიხსენა დედის სახე, მისი კალთა, მთელი ცხოვრება მასში მოკალათებული რომ უნდოდა ყოფილიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ალბათ, დედაც ექოს ბებიასავით ბნელ, მიგდებულ კუთხეში მოკვდა, ან იქნებ უკეთესი ცხოვრება ნახა და თავისი შვილი ერთი წამითაც აღარ გახსენებია... ამ სურათმა ექოს გული იმდენად ატკინა, რომ სურათი შუაზე გადახია და საფულეს მიაყარა. — რატომ მაინცდამაინც ახლა? — გაიფიქრა მან, მიხვდა დედა კი არ სტკიოდა, საკუთარი თავი ტანჯავდა... ვერაფერი იპოვა, ამდენი ძიების შემდეგ ვერავის ვერაფერი დაუმტკიცა. ახლა, თითქოს დაარქვა კიდევ სახელი იმ გრძნობას, როდესაც ნამდვილად იცი, არავის შესტკივა შენზე გული. სწორედ ასეთი ფიქრები უსერავდა გონებას, როდესაც მიწისქვეშა გადასასვლელის ჩაბნელებული მხრიდან ღრენა მოესმა და რისხვის სუნი იცნოსა...

ცხოველი საშინელი ღრენით მისკენ გაიქცა... თითქოს შენელებულ კადრებს უყურებსო, ექომ მოასწრო იმ ვეფხვის დანახვა, რომელიც ზოოპარკიდან გაიქცა და ქალაქის მოსახლეობის ზედმეტად წრფელ გულელებში პანიკა დათესა. ბიჭმა დაყვირება მოასწრო და მისი ხმა მიწისქვეშა გადასასვლელში ექოსავით გაისმა — ცოტა გაიწელა და იქვე გაუჩინარდა.

თითქოს ქალაქი ბოლო სევდიანი არსებისგან თავისუფლდა, მაგრამ სევდა ქალაქს ისევ ჭამდა.





ნანა მეფარიშვილი



ვერ დამიბინდავ

ვერ დამიბინდავ ამ მზეს, ლელიანს,  
ძველი ცოდვები დაცვარა ოფლმა,  
იყო ქართველი მართლა ძნელია  
და რა ტკბილია უფალთან ყოფნა.

ჩემი სამშობლო ცისა ფერია,  
მინას სწყდები და მოჰგავხარ ნაცემს,  
უმღერო მამულს მართლა ძნელია,  
თუ გულში ძარღვი ქართულად არ სცემს.

მართალი სიტყვა ხმაღზე მჭრელია,  
უფსკრულის პირთან მოჩანს ნაპრალი,  
ქართულად ბრძოლა არც თუ ძნელია,  
სული თუ დაგაქვს ნაწინაპრალი.

ბერთა თვალეზი წრფელზე წრფელია,  
ოქროს აკვანი არწევს ბაზალეთს,  
ქართველად ყოფნა ძალზედ ძნელია,  
როცა მამული მოჰგავს ლაზარეთს.

დღეს არჩევანის დრო და ჯერია,  
რწმენა გვიჩვენებს გზას თავისუფალს,  
იყო ქართველი ორჯერ ძნელია,  
თუ სანუგეშოდ არ იხმობ უფალს.

ხან ღმერთის იერს იღებენ მთენი

ბარში ვართ მუდამ  
წვიმაში, თქემში,  
გვიზიდავს ზღვათა ლურჯი ნაპირი...  
და ამ დროს მთებში,  
და ამ დროს მთებში,  
სულ სხვანაირად მოდის აპრილი.

ხანდახან ფრთებსაც  
ოცნებით ვერ ვშლით,  
ბარში სურნელი გასცლია ყვავილს,  
არადა მთებში, არადა მთებში,  
სულ სხვანაირი სიცოცხლე ყვავის.

მუდამ მინაზე აგდია ლეში,  
დაბლობს ევლება საფლავთა წნული,  
ამ დროს კი,  
ცამდე მიბჯენილ მთებში,  
სულ სხვანაირად მალღდება სული.

ბარში ქარები დაძრწის და ხმებში ღმუიან,  
ზღაპარს ჰყვებიან ათასს,

ვერ ბოგინობენ რადგანაც მთებში,  
ვერც უტოკებენ ნამიან კალთას.

და ზამთრდება და  
გულიდან თბები,  
აქ ქუხილობენ ლექსთა ფრაზები,  
და ღმერთის იერს იღებენ მთები,  
თეთრწვერიანი ბუმბერაზები.

სხვა ღმერთი

ბჟუტავდა სანთელი  
ტკივილად ნაღვენთი,  
ლამეს და ვარსკვლავებს  
ვუბნევდი სავალებს,  
მოხვედი ჩემთან და  
შენ მოგყვა სხვა ღმერთი,  
სულისთვის, გრძნობისთვის  
ბრძოლას რომ გვავალებს.

რამდენი ჭრილობა  
განვკურნე ლოცვებით,  
ნელი-ნელ ვთელავდი ცხოვრების ტრამალებს,  
შენ მოხველ იმედით  
და არა ოცნებით,  
იმედით,  
რომელიც ახდენას გვავალებს.

რამდენჯერ ცრემლებმა  
დამცა და დამძალა,  
ნატვრებში ვხატავდი  
ზეციურ სავანეს,  
შენ მოხველ,  
თან გქონდა სხვა სიტყვა, სხვა ძალა,  
ის ძალა,  
რომელიც სიცოცხლეს გვავალებს.

მეწვოდა ხელები  
სანთლისგან ნაღვენთი,  
არც არვინ მიშრობდა  
ცრემლიან დაღალეებს,  
შენ მოხველ ჩემთან და  
თან მოგყვა სხვა ღმერთი,  
ის ღმერთი,  
რომელიც სიყვარულს გვავალებს.



\* \* \*

ამტკივდება და ნამომაკვნესებს ბნკარი,  
სულის ტკივილის ვინ გაქცევია ვარამს,  
სხეულის შიგნით ჩამოიტირებს ქალი  
და გაუმხელელ გრძნობას გულივით მალავს.

გავიხარებ და ნამომამღერებს ლექსად,  
ნაოცნებარი ამომიჯდება მკერდი,  
ვერ გავქეცი, ვერ დავემალე ვერსად,  
ასამღერ ჰანგებს გულის შიგნიდან ვწერდი.

ავტირდები და ცრემლი აყრია რითმებს,  
მზე ამოვა და მერე სხივებზე ვშრები,  
გული კი, გული, ო, რამდენ სათქმელს მითმენს,  
რამდენჯერ გაშლილს დამაკეცინეს ფრთები.

ავბორგდები და სიცხე დამინვაავს სტროფებს,  
ინვიმებს, წვიმა ჩამომირეცხავს მარცვლებს,  
ფერმკრთალ ნატვრებში გავეტირები სწორფერს,  
ლექსად ვწვეთავ და ხან არ მამშვიდებს არც ეს.

ყველა ღამიდან ნამსხვრევს ვუგროვებ დარდებს,  
ხან ხმაურია, ხან დუმლია წესი,  
სიხარულისას მუზა სხვა სათქმელს ბადებს,  
ამტკივდება და მერე ლექსებად ვკენესი.

\* \* \*

წუხელ სულზე  
ისევ ცეცხლი მენტო,  
უცხო სევდა მიწენავდა ფრაზებს,  
შენ მითხარი,  
შენ მითხარი ღმერთო,  
როგორ უნდა  
მივეჩვიო ამ გზებს.

ცოდვას შანთავ  
ნასანთლარო ღვენთო,  
ვერა და ვერ  
დავიღალე ფიქრით,  
ნეტავი რა მელოდება  
ღმერთო,  
გატეხილი  
ღამეების იქით.

\* \* \*

ზამთრის ცა, სახეს იღებდა მგოსნურს,  
ქარში იციან ფიფქებმა როკვა,  
იანვრის მწუხრზე თოვლივით მოსულს,  
ეს გაზაფხული საიდან მოგყვა.

თითქოს სიზმრებმა უცხო გზებიდან,  
განცხადებული წილი დამითმო,  
იმ შორეული ცივი გზებიდან,  
ვით მოიყოლე ამდენი სიტბო.

მინავლებული იყო წუხილი,  
სულზე ბორგავდა ცოდვილი ლეში,  
როგორ მოხვედი ასე ქუხილით,  
ამ უჩვეულო სიმარტოვეში.

ფერით მიხდილი ვუმზერდი სხვა ცას,  
ვიღაც ამბობდა — ვერაფერს შეცვლი,

დანახშირებულ გრძნობას და ნაცარს,  
როგორ აუნთე ამხელა ცეცხლი.

რა ნისლიანი დღე იყო გუშინ,  
ფიქრები ძველი, ნატვრები მდორე,  
ვით შემომსხვრიე კარები გულში  
და რა მწველი მზე შემომიგორე.

ზამთარი გულზე ეკიდა მთვარეს,  
ქარში იციან ფიფქებმა როკვა,  
იმ ყინვით მორთულ იანვრის ღამეს,  
ეს გაზაფხული საიდან მოგყვა.

\* \* \*

ანი რას მიპოვი,  
უკვე გვირილები იყავილებს,  
ზამთარს გაექეცი,  
ფიფქებს შემატოვე სიცივეში,  
მალე გაზაფხულთან ნავალ,  
შევერევი იმ ყვავილებს,  
ნიავეს აყვები და  
მერე რას მიპოვი გვირილებში.

ხოლო აპრილიდან წამიც ვერ მოვიცილი,  
რადგან მერე,  
ფერთა შემოტევას  
უნდა დავუხვდე და ვუმასპინძლო,  
გახსოვს წინა აპრილს,  
როგორ სიყვარულით ამამღერე,  
წელს კი მდუმარე ვარ,  
ია-ენძელები მოვა ვინძლო.

ღამე ჩაიკეცავს დარდს და  
ნამოდგება განთიადი,  
ნახვა თუ გინდოდა,  
სული მელეოდა სურვილებში,  
ახლა გვიანია,  
უკვე სააპრილოდ ავფრთიანდი,  
ნიავეს მივეყვები და  
ანი რას მიპოვი გვირილებში.

## მესროლეთ

მესროლეთ, სიცოცხლეს დაემსხვრას ბორკილი,  
გამუქდა ზეცა და ცოდვილი სამყარო,  
ყორანო, შენ დღესაც რა ცივად მომიკვი,  
მესროლეთ, რომ სიკვდილს სიცოცხლე გავყარო.

დაღლილი ნატვრები უფლის წინ დავანყვე,  
სამშობლო ამტკივდა, შორი და უჩემო,  
არც არა ვეცადე, ვერც ვერა გავანყვე,  
მესროლეთ, იქნება ტკივილებს ვუშველო.

სისხლი და ცრემლები ქართველთა ხვედრია,  
ღალატში გაცვლილი ბინძური ქალაქი  
და როცა ურცხვობა სინდისზე მეტია,  
არც არსად გაისმის შენდობის ღალადი.

დაცალეთ ვაზნა და ის ერთი ჩატოვით,  
მე უკვე ვინვნიე ცამეტჯერ სიკვდილი,  
მესროლეთ, მე გუშინ სამშობლო დავტოვე,  
ახლა კი უზნეოდ ნატვრებში მივსტირი.





დავტოვე წყალობა, შორიდან ვღალადებ,  
ან მშობლის ტკივილი როდემდე მესმოდეს,  
ოღონდაც, მტრის ხელით მესროლეთ მანამდე,  
ვიდრე ხვალ ქართველი ზურგიდან მესროდეს.

მესროლეთ, რა მოხდა სიკვდილიც წესია,  
მიბორგავს სული და უკუნეთს მიაპობს,  
მე ვინ ვარ, მოვკალით წმიდანი მესია,  
ჩემში კი მისხალი შუქიც არ კიაფობს.

ამ ტყვიით, რამდენჯერ დამიჭრეს მამული,  
დღეს ყველა მათგანი გულზე მაქვს დაყრილი,  
უძღები შვილი ვარ ვერ ვიცავ, არ ვუვლი,  
საკუთარ ცოდვებზე ხმამაღლა გავყვირი.

არც ცრემლის ღირსი ვარ, არც ვინ გამაცილოთ,  
მკვდარიც კი ჩამქოლეთ კვნესა თუ აღმომხდეს,  
მესროლეთ, ოღონდაც გულს არ ააცილოთ,  
უკან სამშობლო დგას და იმას არ მოხვდეს.

\* \* \*

გამო, შენთან მინდა ხეტიალი,  
ლამეს მივაბაროთ ყველა ვნება,  
მგონი ეს სურვილზე მეტი არი,  
შენ კი ახლა ალბათ გელიმება.

ადრე ზღაპრებიდან მოგიხმობდი,  
მერე განამდვილდა ყველა სევდა,  
კარი გააღე და ჩემთან მოდი,  
ვიდრე დილამ გულში შეიხედა.

გამო, ვარსკვლავები დამითვალე,  
ღრუბლებს შევეერიოთ ნება-ნება,  
ცაზე აგორდება მალე მთვარე,  
ერთად გვიხილავს და ეამება.

ქუჩებს წაეკიდა ზამთრის სუსხი,  
კვალზეც სიბერეა ეს ტიალი,  
გულს ხომ სიყვარული გადაუსხი,  
ჰოდა, შენთან უნდა ხეტიალი.

## სიზმრების ფონი

მთები შეიკრავენ კოპებს ავდრიანებს,  
კართან გალუმპული მოვა შეღამება,  
ალბათ ეს ლექსებიც დამადარდიანებს,  
წარსულს გამიხსნის და სულ არ მეამება.

სიზმრებს ველარ ვარჩევ, თითქოს ზღაპარია,  
გზა-გზა დაფლეთილი ყრია ქლამინდები,  
ჩემში ქაოსი თუ რაღაც ამგვარია,  
როგორ დავემსგავსეთ მე და ამინდები.

ძილშიც მუზებია ჩემი სულის წერად,  
მე კი ღამეული სიზმრით ვიცვლები,  
როგორ ეძინაო ასე უშფოთველად,  
თურმე მკითხაობდნენ ვარსკვლავთმრიცხველები.

მთები შეიკრავენ კოპებს ავდრიანებს,  
მინის გოლიათებს სხვა აქვთ სამსახური,  
ვფხიზლობ, ანი რაღა დამადარდიანებს.  
ყველგან გზები მოჩანს ჯვარგადასახული.

## მე სიყვარული სხვაგვარი ვიყო


ავტირდები და გამიკვირდები,  
ახლა ჩვენს შორის თითქოს სხვა ცაა,  
თავდახრილია გარეთ ტიტები,  
ჩამოჭკნებიან ალბათ საცაა.

წავალ და მეძებ, ყველა ხმობისას  
უსიტყვოდ კეტავ სულის დარაბებს,  
ვერ გიჩუმდები გულცივობისას,  
რადგანაც ლექსი მაღაპარაკებს.

ვდუმვარ და ჩემკენ საყვედურს გზავნი,  
ვმლერი და ალბათ ეს ხმებიც გზარავს,  
ვარ დაბნეული გრძნობების მგზავრი,  
არჩევანს ვებრძვი: კისა და არას.

გადავიღალე, ვივინყებ ამ წამს,  
სინდისის ქენჯნას მახსენებს ფიცი,  
მე სიყვარული ასეთი არ მწამს,  
მე სიყვარული სხვაგვარი ვიცი.





## შოთა კოხიაშვილი



### გალაკტიონი

დააბიჯებდა პოეზიის ქურუმი, — ერთი,  
დააბიჯებდა ამ მინაზე, ვით — ორფეოსი,  
ჩვენი დიადი საქართველოს პოეტი მეფე,  
პოეტი მეფე, — განახლებულ საქართველოსი.

კაცი, რომელიც სიცოცხლეში ლეგენდად იქცა,  
მერე, სიკვდილი მისი დიდხანს არა გვჯეროდა;  
იდგა ამაყი, ტიტანივით, თმა-წვერგაშლილი  
და პოეზიის მწვერვალიდან გადმოგვცქეროდა.

სიკვდილის შემდეგ მას დუმილი ხვედრად არ ერგო,  
სიკვდილის შემდეგ უფრო მძლავრად წამოიმართა,  
წამოიმართა, რომ გულები კვლავაც განეგო,  
გუგუნებს იგი და... პაექრობს მხოლოდ მყინვართან.

.....  
ჰოი, მოძმენო, კიდეც მინდა, რომ მოგაგონოთ,  
და ეს იქნება, ალბათ, ლექსის თავი და ბოლო:  
ვერც ურჯულონი, ვერც ქაჯები, ბოლოს და ბოლოს,  
სამშობლოს, ჩვენსას, პოეტები იპყრობენ მხოლოდ.

\* \* \*

როცა, ეშვება შავი ფარდები,  
როცა, ოცნება სურვილში კვდება,  
როცა, არავის შეუყვარდები,  
როდესაც — წარღვრით წაგლეკავს დელგმა...  
ამოვარდება სულის ყვავილი,  
ამაოება ქართან დარჩება,  
კლდეზე, სიპივით, გადავვარდები,  
ერთი სიცოცხლე ფსკერზე ჩაკვდება...  
როცა, ეშვება შავი ფარდები  
და შორეული გყავს ახლობელი,  
როცა, მარტო ხარ, სიკვდილის თვალწინ,  
ვერ იხსნი ვერვის, თვით დასახსნელი.  
როცა სიცივე გათოვს და განვიმს,  
როდესაც, ქრება შენი სახელი...  
სულს სიყვარული ისე სწყუროდა,  
ვით, მშობიარეს — ბავშვის გაჩენა,  
გაუფოთლავი ტოტი — სუროდან...  
ეული სული, თუ გადარჩება?!

### სვეტიცხოვლის ამშენებელი

მე სიცოცხლეში  
სიყვარული  
ვინამე მხოლოდ,  
მიტომ ავაგე  
ღვთაებრივი  
სვეტიცხოველი.

\* \* \*

შენ დამიძახე,  
შეშფოთდა —  
ჩამკვდარ ტუჩებზე  
ლიმილი,  
შენ დამიძახე,  
განახლდა —  
მიყუჩებული ტკივილი...  
შენ დამიძახე —  
სადა ხარ?  
ვერ გნახე,  
წახველ თრთვილივით.



ჰასტანბ ჭანკოტაჰი



ალმასა

თუშეთის ულამაზეს სოფელ დიკლოში, თბილი სექტემბრის ერთ კვირა დღეს, უჩვეულო საზეიმო განწყობა იგრძნობოდა; ყველა რალაც განსაკუთრებული მოლოდინში იყო. აჩქარებით მიდი-მოდიოდნენ და ტყისკენ მიჰქონდათ ქვაბები, თეფშები, ტიკჭორები, ყანწები და შამფურები. აშკარა იყო, რომ დიდი პურმარილისთვის ემზადებოდნენ. კაცებიც და ქალებიც, შეძლებისდაგვარად, ახალ და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ და ერთიმეორეს ინტერესით აკვირდებოდნენ. ბავშვების ჟრიაშის ხმა საამო ჰანგებად ეფინებოდა ტყის პირზე მწვანით მოფარდაგებულ მინდორს და თითქოს ეპაექრებოდა იქვე, რაკრაკით მოჩუხჩუხებ მთის ანკარა ნაკადულს.

ვილაცამ დაიძახა, — მოდიან, მოდიანო.

ფერდობს აქეთ ოთხი ცხენოსანი გამოჩნდა. სოფლის ეგერი ძუნძულით გაემართა შესახვედრად, კეფიდან თუშური ქუდი მოიძრო, გულთბილად მიესალმა და დაქვეითებულ სტუმრებს მოლოზე გაშლილი სუფრის გარშემო შეკრებილი ხალხისკენ გაუძღვა.

— ხალხო, მიმართა ეგერმა თანასოფლელებს, — დირექტორი გვეწვია და აბა, თქვენ იცით, როგორ მასპინძლობას გაუწევთ. არ უნდა შევრცხვეთ.

სტუმარი თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორი, რევაზ ნიკალაევიჩი გახლდათ, რომელიც ორ მოადგილესთან და მეგზურთან ერთად ეწვია თუშეთს. მისი მიზანი იყო დაეთვალაიერებინა ტყეები, საძოვრები და დეტალურად გასცნობოდა სატყეო მეურნეობაში არსებულ ვითარებას.

შუადღე გადანურული იყო. საქმე მეორე დღისთვის გადადეს. მორაკრაკე ნაკადულთან ხელ-პირი დაიბანეს და მოშიებულებმა სიამოვნებით მიაშურეს ბარაქიან სუფრას. ზოგი ფეხმორთხმით იჯდა, ზოგი კი მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო. ქალები სუფრის გარშემო დაფუსფუსებდნენ და ახალ-ახალ კერძებს არ აკლებდნენ მადაზე მოსულ მამაკაცებს. რევაზ ნიკალაევიჩი ორი წლის დაქვრივებული იყო და ცდილობდნენ მისი ყურადღება მიექციათ.

რევაზ ნიკალაევიჩს ორი შვილი დარჩა ობლად, ვახტანგი და დარეჯანი. თვითონ, დღე და ღამე ტყეში იყო, ხელმძღვანელობდა ფრონტისთვის შემის დამზადებას. ბავშვები ნათესავებისა და მეზობლების ანაბარად იყვნენ დარჩენილნი. კვირაში ერთხელ თუ ახერხებდა სახლში ღამის გათევას. ბავშვების ცოდვით ინვოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რა გამოსავალი მოენახა, ან რითი გაეხარებინა პატარები.

მზე ჰორიზონტს უახლოვდებოდა, როცა მოქეიფები ნელ-ნელა წამოიშალნენ. ვილაცამ ჩახლენილი ხმით თქვა — ახლა კი დროა ჭიდაობა გავმართოთო. ამის თქმა იყო და ზურნაც აჭყვიტინდა. აქა-იქ ქამრები

გაისწორეს და ჩოხის კალთები შეიკეცეს. ანთებული თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს და გამოწვევას ელოდნენ.

რამდენიმე წყვილმა იჭიდავა. იყო ერთი ტაშის კვრა და შექების შეძახილები.

ერთ, დაახლოებით 18-20 წლის ტანსრულ ბიჭს, ცერა თითები ქამარში ჩაეყო და სტუმრებისკენ დაბღვერილი იყურებოდა.

— რა იყო, რას იბღვირები, — მიაძახა ეგერმა.

— დამეჭიდოს, აი ის, ქალაქელი.

— რომელი?

— რომელი და დირექტორი.

ეგერს არ ესიამოვნა ახალგაზრდის ტონი და გამოხედვა, მაგრამ რას იზამდა.

მოკრძალებით მიმართა რევაზ ნიკალაევიჩს — თუ ეჭიდავებით იმ ბიჭსო.

— პატარაა, მაგას არ ვეჭიდავები. მონახეთ ვინმე, ჩემი ხნისა და ისეთი, რომ ჭიდაობა შეეძლოს.

დირექტორს, აბა ვინ გაუბედავდა წინააღმდეგობას. თან, დიდი სათხოვარი ჰქონდათ მასთან — საძოვრების გამოყოფას თხოულობდნენ ცხვრისათვის.

ვერაზინ ბედავდა დირექტორთან ჭიდაობას, ერიდებოდათ და უკან იხევდნენ. დამხვეურებისთვის შემარცხვენელი სიტუაცია მნიფდებოდა. ამ დროს წინ წამოდგა ორმოციოდე წლის, ბრგე აგებულების მწყემსი და დამაჯერებლად განაცხადა — მე დავეჭიდე, მხოლოდ ერთი პირობით; თუ წავაქციე, რასაც მინდა იმას მოვთხოვ, ხოლო თუ მაგან წამაქცია, რაც უნდა ისა მთხოვოს, თავს მოვიკლავ და სურვილს შევუსრულებო.

დირექტორი დათანხმდა.

მწყემსი ფიქრობდა: „თუ წავაქციე, საძოვრის გამოყოფას მოვთხოვ ფარისთვის და უარს ვეღარ მეტყვისო“.

რევაზ ნიკალაევიჩი კი ფიქრობდა: „ისეთ რამეს მოვთხოვ, რომ მისთვის ადვილი შესასრულებელი იყოსო“.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დაეჭიდნენ. მეზურნემ ლოყების გვარიანად დაბერვაც კი ვერ მოასწრო, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი. დირექტორმა „შუა სარმით“ მინას გააკრა მწყემსი, უცბადვე მიაშველა ხელი, გადაკოცნა და სუფრისკენ წაიყვანა. ტაშის გრილმა და აღტაცების შეძახილებმა შეარხია ბინდშეპარებული ტყე.

დამარცხებულმა ყანწი შეივსო და ყველას გასაგონად მიმართ დირექტორს:

— მთხოვე რაც გსურდეს, პირობა პირობაა.

მოქეიფეთა არყოფნაში, სუფრას ძალღის ორი ფუნჩულა ლეკვი დაპატრონებოდა. ხტოდნენ, წკმუ-



ტუნებდნენ, ჭიდაობდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ. ხან შამფურს ნამოკრეს ფეხი, ხან ხაშლამიანი თეფში ამოატრიალეს და ნახევრადსავსე ჭიქები ერთიანად მოაპირქვავეს. ისეთი ლამაზები, პუტკუნები და ანცე-ბი იყვნენ, რომ ძალაუნებურად შეგაყვარებდნენ თავს.

რევაზ ნიკალავეიჩმა თითი შუბლზე თეთრლ-ქიანი ლეკვისკენ გაიშვირა და დამორცხვებით მიმ-ართა იქ მყოფთ:

— ხალხო, აი ეს ლეკვი მაჩუქეთ, ობოლი, პატარა ბიჭი მყავს, გავახარებ და ბავშვობასაც გავუხალისებ.

მეხი დასცემოდა მწყემსს, ის ერჩინა, — ოლონდ, ლეკვი არ ეთხოვათ. გაფითრებული მუხლებზე დაეცა, ყანნიანი ხელი მკერდზე მიიღო და მუდარით მიმართა დირექტორს:

— ათი წელია მგლებთან მებრძოლი ახალი ჯიშის ძაღლის შეჯვარებაზე ვზრუნავდით, როგორც იქნა მიზანს მივალნიეთ, მაგის იმედზე ვართ, თორემ მტაცებლები მთელ სოფელს ანიოკებენ; ეგ რომ მოგცეთ, ჩვენ რა გვეშველება. დირექტორი ცნობილი იყო თავისი ჯიუტი ხასიათით, თან შემთვრალიც იყო და რომ იტყვიან „ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო“ — ისე მოხდა.

ორი დღის მერე საპატიო სტუმრები უკან გამო-ბრუნდნენ. რევაზ ნიკალავეიჩის ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის ერთი თვალიდან თავი ამოეყო შუბლზე თეთრხალიან ლეკვს და დაკვირვებით ათვალერებდა მისთვის უცნობ გარემოს.

\* \* \*

კარგად არ იყო განათებული, როცა ვახტანგმა საბანქვეშ, რაღაცა რბილი და თბილი იგრძნო. ბავშვს შეეშინდა და საბანი მოისროლა. ლამპის შუქზე ლე-კვამაც წამოყო თავი, გაიზმორა, დაამთქნარა და შემ-ინებული თვალებით მიაშტერდა ბიჭს. მერე, მკერდზე ააცოცდა, თათები გაბედულად მოუთათუნა და კრუ-სუნით აულოკა ცხვირ-პირი. ვახტანგი მალე გამოერკ-ვა, გახარებულმა ნაზად მიიკრა გულზე და ფაფუკ კე-ფაზე და ზურგზე დაუნყო კოცნა. მიხვდა, ეს მოულოდ-ნელი სიურპრიზი ვისი ოინიც იყო, უფრო მძლავრად ჩაიხუტა ლეკვი და ლამის ალერსით გაგუდა. ნაცნო-ბობა შედგა. ლეკვიც თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

ფანჯრებს მიღმა ოდნავ ინათა. დილა მოაბიჯებდა ფრთხილი ნაბიჯებით. სკოლაში წასვლის დროც ახ-ლოს იყო.

შემოსასვლელ კართან ვახტანგმა მამის წერილი იპოვა: „შვილო, გაუფრთხილდი, მოუარე და გაზარდე. თბილად გყავდეს, პატარაა და არ შესცივდეს. დარე-ჯანიც დაგეხმარება. მე მალე ჩამოვალ“.

ბავშვებმა ლეკვს ქვეშაგები დაუგეს, ჯამით წყალი დაუდგეს და არც საჭმელი მოაკლეს. თუმცა, რას შე-ჭამდა მუშტისხელა, პატარა არსება, რომელიც ჯერ კიდევ გაფაციცებით და გაკვირვებით უცქეროდა ყველაფერს. რა იცოდა პატარამ, რომ ცხვრის ფარას ველარ დაიცავდა და მისი გასანადგურებელი მგლები სხვების ლუკმა გახდებოდა.

ვახტანგი გაკვეთილებს ველარ უსმენდა, ადგილზე ცქმუტავდა, ერთი სული ჰქონდა სახლში როდის დაბ-რუნდებოდა. თან, სულ იმას ფიქრობდა — სახელი რო-გორი შევურჩიოო. გადანყვიტა თავის დასთან და უბ-ნელ ბიჭებთან ერთად მოეფიქრებინა.

სირბილით დაბრუნდა სახლში. დარეჯანს კალთა-ში ჩაესვა ლეკვი, ეალერსებოდა და პირში რაღაცას ტენიდა. ისიც ხტუნავდა, თავს აქეთ-იქით იქნევდა, პატარა კულს შეურჩერებლად აქიცინებდა და ნკმუტუნ-წკმუტუნით რაღაც ხმებს გამოსცემდა.

ბავშვებმა სახელად ალმასა შეურჩიეს და ამ მო-მენტიდან დაიწყო ახალი ცხოვრება. ალმასა ოჯახის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა და გადამეტე-ბული ყურადღებითაც კი სარგებლობდა.

ბავშვებმა გაიხარეს, გამოცოცხლდნენ. მათს ობლურ ცხოვრებას თითქოს სიხალისე მიეცა. სიმა-რტოვეს ველარ გრძნობდნენ და ცხოვრებაც აღარ ეჩვენებოდათ გაუსაძლისად და უკუღმართად. ალ-მასამ გაალამაზა და შინაარსი შესძინა ბავშვების ყო-ველდღიურ ცხოვრებას.

დრო გადიოდა. ალმასა იზრდებოდა და თანდათან იკვეთებოდა მისი ფიზიკური მონაცემები. რვა თვისა, უკვე იმხელა იყო, რომ უკანა ფეხებზე შემდგარი კაცის სიმაღლეს უტოლდებოდა. განიერი და ძლიერი მკერდი მუქ ყავისფერი ბენვით დაფარვოდა. შუბლზე თეთრი ლაქა გაზრდოდა და უფრო გამოკვეთილად უჩანდა. თათები ჰქონდა ისეთი ძლიერი და დიდი, რომ თოვ-ლზე ნაკვალევის მიხედვით, კაცი იფიქრებდა, სპილოს გაუკვალაო. ყეფისას ფანჯრის მინები ზანზარებდა. თვალები ჰქონდა საოცრად მეტყველი და ჭკვიანი. გონიერებით ხომ ბევრად სჯობდა ზოგიერთ უფიცსა და უტვინოს. წინა ორი თათითა და ძლიერი ყბებით, რის გაკეთებაც შეეძლო დაუზარელად შრომობდა და ობოლ და-ძმას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. წყ-ლით სავსე ვედროს იქ მიიტანდა, სადაც მიანიშნებდ-ნენ; სარდაფიდან თითო-თითო ნაჭრად ამოჰქონდა შეშა და ლუმელთან აგროვებდა. არც ხილბოსტნეულით სავსე კალათის ტარებაზე ამბობდა უარს. ისეთი ძლიე-რი კისერი ჰქონდა, საკმაოდ დიდ მანძილზე შეეძლო მძიმე ტვირთის ძირსდაუდგმელად ტარება. ვახტანგს სკოლაში მიაცილებდა და სასწრაფოდ უკან ბრუნდე-ბოდა; ახლა დარეჯანს ეთამაშებოდა და ეხმარებოდა. საოცარი ის იყო, რომ რაღაც ინსტიქტით გრძნობდა გაკვეთილების დამთავრებას და სკოლის ჭიშკარ-თან ელოდა ვახტანგს, რათა სახლამდე მიეცილებინა. ერთხელ, ჩანთაც კი გამოსტაცა და თავის ქნევით სახ-ლამდე ატარა.

მას შემდეგ, რაც ერთად დაიწყეს სკოლაში სიარული, უბნის აბეზარა ბიჭები ვახტანგს ცუდს ვე-ლარაფერს უბედავდნენ; ალმასას შიში ჰქონდათ, რომ-ლის ბუმბერაზი ტანის დანახვაც კი თავზარს სცემ-დათ. უბნის ძაღლებიც ერიდებოდნენ ალმასასთან და-პირისპირებას, მას შემდეგ, რაც ხუთი თუ ექვსი ძაღლი ისე დაბეგვა, რომ ორი კვირა აღარ გამოჩენილან. თავ-ვად ალმასა არასდროს ერჩოდა ვინმეს. მშვიდად და საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებული დინჯი ნაბი-ჯებით მიჰყვებოდა ვახტანგს, რომელიც ასევე ამყავდ მდიოდა განუყრელი მეგობრის იმედით. ერთი კი იყო, რუს ჯარისკაცებს ვერ იტანდა.

ვახტანგის სახლი სულ ასიოდე მეტრით იყო დაშ-ორებული რუსული სამხედრო ბაზიდან. თითქმის ყო-ველდღე მწყობრი ნაბიჯებით დადიოდნენ სამხედროე-ბი ქალაქის ცენტრის მიმართულებით. ისინი ხან აბა-ნოში, ხან სტადიონზე, ხანაც სამეურნეო სამუშაოებში დასახმარებლად მიჰყავდათ ხოლმე.

ალმასა, გაიგონებდა თუ არა მწყობრი ნაბიჯებ-ისა და უაზროდ დაზეპირებული სიმღერის ხმას — მოსწყდებოდა ადგილს და ორიოდ ნახტომით შუა გზაზე ჩნდებოდა. მისი დაკავება შეუძლებელი იყო. ერთს დაჰყეფდა თავისებურად და ოცეული ბრინჯივ-ით იფანტებოდა, — ზოგი წინ გარბოდა, ზოგი უკან, ზოგი კი მეზობელი სახლების ჭიშკრებს ასკდებოდა ფერდაკარგული და აკანკალებული.

ასეთი რამ რამდენჯერმე რომ განმეორდა, სამხე-დრო ბაზის უფროსმა იჩივლა — დააბით, თორემ





მოკლავთო. ვახტანგს გული უკვდებოდა, როცა მსხვილი ჯაჭვით დაბმული ალმასა ცრემლიანი თვალებით უცქეროდა. ძალი არც წყალს და აღარც საჭმელს ეკარებოდა, ერთთავად კვნესოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ვახტანგმაც მოინყინა და გამოსავალს ეძებდა.

ერთ დღეს ვახტანგი აივანზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ამ დროს, გაისმა მწყობრი ნაბიჯის ხმა. ვახტანგს გულმა ხიფათის მოახლოება უგრძნო, მაგრამ მანამ რაიმეს მოიფიქრებდა, თვალი მოჰკრა ქვის გალავანზე გადავლებულ ალმასას, რომელსაც ჯაჭვის ნაგლეჯი შერჩენოდა კისერზე.

ვახტანგი ქუჩის კარს ეცა. ჯერ ყეფა გაისმა, მერე გაფანტული ჯარისკაცების ფეხის ხმა და ის იყო ქუჩაში გავარდა — იქუხა ოფიცრის პისტოლეტმა. ბედზე, ტყვია ალმასას ასცდა, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მსროლელისკენ, მაგრამ მან მალაზიაში შეასწრო და პისტოლეტის ქნევითა და უშვერი გინებით აიკლო იქაურობა.

ვახტანგმა დაიმორჩილა ალმასა, შეიყვანა ეზოში და მაგრად დატუქსა. ბავშვი მომხდართი ძალიან იყო შეშინებული და უკვე აღარ იცოდა რა ელონა. იფიქრა, მამას ვეტყვი და რაიმე გამოსავალს ვნახავთო, მაგრამ რევაზ ნიკალაევიჩი შინ სამ-ოთხ დღეში დაბრუნდებოდა. მანამდე უნდა ელონა რამე, მაგრამ რა?!

ალმასა სარდაფში ჩაკეტა. გადანყვიტა, დილით სკოლაში გავიყოლებ და მამის მოსვლამდე მასწავლებლებს დავეთხოვებო.

დილით ალმასა სარდაფში აღარ დახვდა. ქუჩის მხარეს გამავალი ფანჯარა განგრეული იყო. მთელი დღე არ გამოჩენილა. უბნის ბიჭები ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. დადარდიანდნენ ბავშვები. ვახტანგს ცრემლებით ჰქონდა თვალები დანამული, დარეჯანი კი ერთთავად სლუკუნებდა — მამას რა პასუხი გავცეთ, ერთ ძაღლს როგორ ვერ მოუარეთო, რომ გვკითხოს?!

პატარებს მთელი ღამე არ ეძინათ. ალმასა არც დილით გამოჩენილა. ვახტანგი სკოლაში არ წავიდა და ძებნა უფროსებთან ერთად განაგრძო, მაგრამ ალმასას კვალს ვერ მიაგნეს. ანდა, როგორ იპოვიდნენ — სამხედრო ნაწილის ჭიმკრის ახლომდებარე ბუჩქნარში

შემალულიყო და თვალს არ აშორებდა შემსვლელ-გამომსვლელს.

როგორც იქნა გაუმართლა, ერთიანად დაიძაბა და ნახტომისთვის მოემზადა. საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან სწორედ ის ოფიცერი გამოდიოდა, რომელმაც ესროლა.

წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე ზამბარასავით დაიჭიმა და ორი ნახტომით ოფიცერთან გაჩნდა. შეშინებული და თვალებგაფართოებული ოფიცერი დაიბნა, მერე მკვეთრად შეტრიალდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. თან ყარაულს უყვიროდა — ესროლე, ესროლეო. ყარაულმა შაშხანა შემართა, მაგრამ სროლას ვერ ბედავდა. გაქცეულ ოფიცერს ალმასა წამოსწოდა და მარჯვენა ფეხზე კირზის ჩექმის ქუსლისთვის ჩაერჭო კბილები. ერთი-ორჯერ მოქაჩა, ოფიცერი პირქვე დაანარცხა, ჩექმა გააძრო და კისრის ერთი მოქნევით შორს მოისროლა. ოფიცერი წამოხტა, მაგრამ ალმასა ბასრი კბილებით ახლა მეორე ჩექმას ჩაეჭიდა, საკმაო მანძილზე ათრია პირქვედამხობილი და მეორე ჩექმაც შორს მოისროლა. მერე, გამარჯვების აღსანიშნავად ერთი შეყეფა, შემოტრიალდა და ძუნძულით გაემართა სახლისკენ.

სროლის ხმა გაისმა — ერთი, ორი, სამი... გაისროლეს და ალმასასთვის ყველაფერი დამთავრდა.

წითელ გუბეში გულადმა ეგდო, ჭრილობებიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი. როცა ვახტანგი თავის უბნელ ძმაკაცებთან ერთად წაადგა თავზე — ალმასა აღარ სუნთქავდა, მან რუსული ჩექმა შორს მოისროლა.

ბიჭებმა მგლებთან საბრძოლოველად დაბადებული და რუსული ტყვიებით დაგლეჯილი სხეული ძლივს მიიტანეს ეზოს კარამდე.

ეზოში მდგარი დიდი კაკლის ძირში გათხარეს ორმო და ცრემლების ღვრით მიაყარეს მიწა.

ვახტანგმა სახელდახელოდ შეკრა ფიცრის დაფა, საფლავის თავთან დაამაგრა და წაანერა: „აქ განისვენებს დარდიმანდი ალმასა!“

ამ ამბის შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღესაც, ოთხმოც წელს მიღწეულ ვახტანგს ცრემლიანი თვალი კაკლისკენ გაურბის, სადაც ალმასას ძვლები ეგულება.





ევსო იჭირაული

ევსო იჭირაული დაიბადა 1919 წლის 15 დეკემბერს თუშეთში სოფელ ომალოში. სწავლობდა ჯერ შილდაში, დაწყებით კლასებში, დაამთავრა თელავის I საშუალო სკოლა 1938 წელს. სწავლა გააგრძელა, ჯერ, სარატოვში, შემდეგ — მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში, ისტორიის, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე, — დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და გერმანული ენის განხრით.



ელეგია

(ანუ რეალიზმი რომანტიზმის ჩარჩოებში)

შემოდგომის მზე გადაესვენა,  
მწვერვალთ მოეხსნა სხივების ქარგა,  
მოსალამოვდა მთის ორნოხებში,  
გადაიშალა წყვდიადის ფარდა.

ბალახშეტრუსულ საყორნის მთასა  
ღრუბლის ნაგლეჯი ზედ დასწოლოდა,  
მის ტრამალებში, ჩუმი ხმაურით,  
ცივი ნიავი დროდადრო ჰქროდა.

კლდის ფრიალოზე ქუჩის გაყვითლებულს  
მთის ნაზი სიო ნელა არხევდა,  
და უსიცოცხლო ამ კლდის სამკაულს  
თვისი ალერსით თავბრუს ახვევდა.

დეკის ბუჩქებში ჰკიოდა შურთხი,  
ამ, მაღალ მთას და გარემოს ჰფენდა  
და იმის კივილს ხავსით მორთული  
კლდის ბნელი მღვიმე იმეორებდა.

დაბნელდა, წუთით მიჩუმდა ყველა,  
თითქოს, სულ შეწყდა სიცოცხლის ჩქამი  
და ჩაბნელებულ ამ, კლდიან მხარეს  
ახმაურებდა, მხოლოდ, ჩანჩქერი.

ხავსიან კლდიდან შხეფად ნახტომი,  
დაბლა, ლოდებზე, ეხეთქებოდა,  
და, შემდეგ, ჩუმად, ნაზი ჩურჩულით,  
იქვე, ქვიშის ქვეშ, იკარგებოდა.

თითქოს, ვისიმე შეშინებოდეს,  
ისე, — უჩუმრად იპარებოდა,  
ხან კი, ქვებს შუა, ვით მორცხვი ქალი,  
დროდადრო, ისევ, გამოჩნდებოდა.

ქვევით კი, დაბლა, ღრმა კალაპოტში  
შმაგსა მდინარეს უერთდებოდა,

მისი, ანკარა, ვერცხლის წვეთები  
მღვრიე ტალღის სვლას თანა ჰყვებოდა.

გულჩათხრობილი ვიჯექი გორზე  
და მთის ბუნებას გადავყურებდი,  
წარმტაც კავკასის მშვენიერებას  
ვით — შვილი დედას, მე შევყურებდი.

აღმოსავლეთით, მწვერვალის გასწვრივ,  
დინჯად აცურდა პირბადრი მთვარე,  
და იმის შუქით სულ მოივერცხლა,  
ჩაბნელებული მდუმარე მხარე.

მისმა სხივებმა, ვით ბრილიანტი,  
ააელვარეს მწვერვალის თავი  
და, ღრუბლებს შუა, ისე გამოჩნდა  
ვით, გალავანში — მზეთუნახავი.

ჩრდილოეთისკენ ფართო ხეობას  
ბნელი წყვდიადი ისევ ეხვია,  
რადგან მთვარის შუქს, მის ნაფიქრ სხივებს  
ჯერ მათ სიღრმემდის ვერ მიეღწია.

და შავი თალხი მათაა ჩრდილისა  
ფერდობს შუამდის ისევ ფარავდა  
ეს უკუნეთი, ბნელი უფსკრულის,  
მნახველის გრძნობას გაუზზარავდა.

ქვევით, სიღრმეში, კლდიდან კლდეებზე  
ჩანჩქერის ტალღა სწრაფად ცვიოდა,  
სადღაც, შორს, ტყეში, განმარტოებით,  
ძილმორეული ქოტი ჰკიოდა...

1937

სიმდიდრისათვის ნუ შემოიყვარებ...

ოჰ, არა, არა, — სიმდიდრისათვის ნუ შემოიყვარებ,  
იმის იმედით, რომ ცხოვრობდე შენ ბედნიერად,  
სიმდიდრისათვის შეიყვარე ვერცხლი და ოქრო,  
სიტყურფისთვის კი — სიყვარულის  
ვარსკვლავთა მზერა.

1936





## სამშობლოს

მახსოვს სამშობლო, გარიჟრაჟი ჩემი ცხოვრების,  
როცა თვალზე ძილს არ მიფრთხობდა მომავლის ფიქრი,  
მესმის, ჰო, მესმის: გულისცემა ზვიადი მთების  
და გახვეული ქარიშხალში იმათკენ მივქრი.

აი, ქვეყანა, სად, პირველად, ვცან სხივი მზისა, —  
მე, საიდანაც, გავუდექი ცხოვრების შარას,  
რა ტკბილი იყო: ალერსი და კალთა დედისა, —  
როცა ვისმენდი გიშრისთმიან ქალწულის არაკს.

როცა — ყმანვილი ცას ვუმზერდი, ცას, — ლაჟვარდიანს,  
შორს, მიბნედილი ვარს კვლავების სხივით დაისრულს,  
მეხი რომ სცემდა ჩაბნელებულ საირმეს, კლდოვანს  
და უფსკრულებში მიაბტვრევდა ალპურ ფაიფურს.

მთავ, ბუმბერაზო! შენგან მომდევს ამ გულის ღელვა,  
შენ ჩამინერგე თავგანწირულს მკერდში საკირე,  
ზედ შემოანთე შენებური მეხი და ელვა  
და გრიგალებთან საბრძოლველად თავი გავწირე.

როგორც კიდობანს, — ნოეს მიერ, წარღვნას მინდობილს,  
შორს, ყინულოვან უცხოეთში შემომათენდა  
და, კვლავ, გეძახის ჩემი გული: დამხვდი მშვიდობით,  
ოდესმე, ჩვენი შეხვედრის დღე თუ, კვლავ, გათენდა.


ოჰ, როგორ მინდა, ამ წუთებში, არწივად ვიქცე,  
გადმოვიარო ხევ-ხუვები, მთანი და ქვა-კლდე,  
და, თუნდ, ქვეყანა აყვავებულ სამოთხედ იქცეს,  
მე, მაინც, თერგით აძგერებულ მკერდზე დაგაკვდე.

დაგაკვდე მკერდზე, არ ვინატრი სიცოცხლის წუთებს,  
ოლონდ, ნიაემა, — მოთარეშემ, მიმღეროს ნანა,  
ფიქრებით მოღლილ შუბლს ნისლები დაისაკუთრებს  
და მზესაც, მაშინ, მოუნდება პირის დაბანა.

ჭიუხებიდან გადმომხედავს ვაჟას აჩრდილი,  
ნისლს ჩამოჰყვება ბნელი ღამის იდუმალემა,  
და, როგორც, ქალი ნიავისგან თავშალახდილი, —  
მთვარე ლაჟვარდის უდაბნოში მიიმალემა.

1939





შალვა შარაშიძე

შალვა შარაშიძეს მკითხველი იცნობს ბესტსელერად ქცეული რომანით „უცხოპლანეტელი ქირურგები“. რომანი გასული საუკუნის 80-იან წლებშია დაწერილი. ავტორი შესანიშნავად ახერხებს ფანტასტიკური და ზედმინვენით დროის ამსახველი, ცხოვრებისეული სცენების ერთმანეთთან ბუნებრივად დაკავშირებას. რომანში ასახულია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ურთულესი პერიოდი. იმ წლებში შალვა შარაშიძე რედაქტორობდა კონდოლის საბჭოთა მეურნეობის გაზეთს. სწორედ ამ გაზეთში დაიწყო აღნიშნული რომანის გამოქვეყნება. თელავში, საგაზეთო ჯიხურებში, დილით შემოტანილი გაზეთის მთელი ტირაჟი სალამოსათვის მთლიანად იყიდებოდა. მკითხველი მოუთმენლად ელოდა „უცხოპლანეტელი ქირურგების“ შემდგომ ისტორიებს. აღნიშნული რომანი ცალკე წიგნადაც გამოიცა მწერალ კარლო კობერიძის რედაქტორობით. შალვა შარაშიძე, იმ დროს განვითარებულ მოვლენებს ლამის დოკუმენტური სიზუსტით წარმოაჩენს. რომანი შეუწელებელი ინტერესით და ლაღად იკითხება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის იუმორი. ნაწარმოებში აღწერილი ქალთა კოლონიის ეპიზოდი კი, თამამად შეიძლება ითქვას, მაღალი მწერლური ოსტატობის ნიმუშია. შალვა უკვე 15 წელზე მეტია ჩვენს გვერდით აღარაა. მას დარჩა დაუმთავრებელი რომანი — „მიჯაჭვული ამირანი“, რომელსაც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე წერდა. ამ რომანშიც შალვა შარაშიძე თავისი მწერლური ხელნერის ერთგული რჩება — ფანტასტიკური ელემენტებითა და იუმორით ცხოვრების საჭირობოტო საკითხების საინტერესოდ ასახვა. რომანის დედააზრი ასეთია, აშვებულ ამირანს (სიკეთეს) საქართველო თავს დატყეხილი გაჭირვებისგან უნდა ეხსნა. „ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ ფრაგმენტს შალვა შარაშიძის დაუმთავრებელი რომანიდან „მიჯაჭვული ამირანი“.



მიჯაჭვული ამირანი

(ფრაგმენტი რომანიდან)

- ქალიშვილო, რა გქვია?
- ყამარი.
- ეს ლამაზი გოგო, კოშკში, ვინ ოხერმა დაგამწყვდია?
- დევმა.
- უხ, მე იმისი! ახლა სად არის დევი?
- მალე მოვა და დროზე წადი. ის ორიც შექამა.
- ფირუზაზე და იმ თქვენს თანმხლებ ვაჟკაცზე მეუბნები?
- დიახ, — ცოტა ეწყინა.
- ჰმ... შენ რატომ არ შეგქამა?
- ცოლად მიპირებს შერთვას. ოქროს კოშკიც რომ ამიგოს, მაინც არ გაყვები მაგ ტყიურს!
- ვინმე თუ გყვარებია?
- ახლაც მიყვარს.
- ვინ?
- ამირანი!
- სად არის ამირანი?
- კავკასიონის მთაზეა მიჯაჭვული.
- ჰოო, თქვენ ის ყამარი ყოფილხართ... საკვირველია.
- რა გაგიკვირდათ?
- ყველაფერი საკვირველია, ამ ქვეყანაზე არსებული და არ არსებულიც: ყამარიო, დევებიო... ახლა კიდევ ამირანი! მგონი ვილაც მოდის. იქნებ დევია?
- ამირანის მეტი ვერავინ მიშველის.
- ღრიალი ისმის, ხეების მტვრევა. დევი მოდის. მე კი მეგონა, მარტო ზღაპრებში იყვნენ დევები.
- საწერი კალამი მაგიდაზე დავდე, კარი გამოვალე და გარეთ გამოვედი. საზარელი ღრიალი ისევ შემომესმა.

\* \* \*

ეს ამბავი კი ჩვეულებრივ დაიწყო. ერთ უმშვენიერეს დღეს, თელავში, ბენზინგასამართ სადგურს მწვანე ფერის „ნივა“ მიადგა. შიგ ორნი ისხდნენ — ქალი და კაცი. კაცობრიობის ისტორიაც ხომ ადამ და ევათი იწყება, ანუ ქალით და კაცით. ამ ჩვენ ამბავსაც ქალით და კაცით ვიწყებთ, ოღონდ ესენი სხვები არიან — თანამედროვე ქალი და კაცი. ქალი მანქანიდან გადმოდის, საყვარლად მოარხევს ტანს. მართლაც ლამაზია! თხელი ცხვირი, ნუშისებრი თვალები, ამოზურცული ტუჩები, მაღალი კისერი, პანია ყურები. ქალმა ბენზინი ურიგოდ ჩაასხა, საფასური გადაიხადა და ქერა, გრძელთმიან კაცს გვერდით მიუჯდა, კარი ხმაურით მიიჯახუნა. მანქანა ცივგომბორის ფერდობს შეუდგა. ვილაცამ მომისიგნალა, წინ წაინიეო. წავინიე. ისევ მათზე ვფიქრობდი, ნეტავი ვინ იყვნენ-მეთქი. რა ვიცოდი, ჩვენი გზები ერთმანეთს თუ გადაეჯაჭვებოდა.

დღესაც ნათელი, მზიანი ამინდია. ეს-ეს არის მწყემსებთან ამოვედი, ჟურნალისტი ვარ და ნარკვევი უნდა დავწერო მათ ეგზოტიკურ ყოფა-ცხოვრებაზე. მწყემსების ერთი ჯგუფი ხევზე გადაკიდებულ კლდის თავზე მოქუჩებულა, ერთმანეთს რაღაცაზე მინიშნებენ, მათ ყაყანში შემფოთება იგრძნობა.

— ნამდვილად რაღაც მოხდა, — მეუბნება ჩემი მეგზური მევლუდა. აქ მისი თეთრი ფერის „ნივით“ ამოვედი.

მანქანა ფერმასთან გავაჩერე, ფეხით მივდივარ კლდის პირას მოყაყანე მწყემსებთან. ყურადღებას არ გვაქცევენ. ჩვენც დაბლა ვიხედებით. ხევში მწვა-



ნე ფერის დამტვრეული „ნივა“ გდია. ოდნავ მოშორებით კი ქერათმიანი კაცი გაშხლართულა.

— ისინი არიან, — ვიცანი.

— ვინ ისინი? — მკითხა მეველუდამ.

— ქალი და კაცი. გუშინ თელავში ბენზინი ჩაასხეს.

— თუკი ერთად წამოვიდნენ, ქალი რაღა იქნა? გადაყირავებულ მანქანაშიც არ ჩანს.

— ეგეც მანდ იქნება, ან ცოცხალი ან მკვდარი, — ახლალა მოგვაქცია ყურადღება ახალგაზრდა მწყემსმა. ამ მწყემსს ფირუზა ჰქვია. ერთხელ, კომუნისტების დროს, ახლადდაბადებულ ბოჩოლასთან გადავუღე სურათი და გაზეთის პირველ გვერდზე დავბეჭდე.

— ეტყობა, ნუხელ გადაცვივდნენ, — დაასკვნა ფირუზამ, — ისე კი, გუშინ ამობრძანდნენ, შუადღისას.

— ყველი უნდოდათ?

— არა, ნავთობი. ეს კაცი ინგლისელია და მიწასა ბურღავსო. მეო კიდეც, ამისი თარჯიმანი ვარო, ამიხსნა იმ ქალმა. ინგლისელებმა უნდა ააყვავონ საქართველო, ნავთობი იპოვნონ და ისე ააყვავონო. მაინც რამდენს იპოვნიან, ბევრს იპოვნიან თუ ცოტას იპოვნიან-მეთქი. იმდენს იპოვნიან, ონკანებში წყლის მაგივრად ნავთობი უნდა მოგდიოდეთო. რა ძალიან გამახარე, ღვინის მაგივრად ქვევრებშიც ნავთობი ხომ არ უნდა გვედგეს-მეთქი. არაო, გულიანად გაეცინა, ღვინოს თავისი ადგილი აქვს, ნავთობს თავისიო. თუ გაქვს, ახლა ღვინო გამოიტანე, დავლიოთო. ღვინოს პურ-მარილიც მოვაყოლე. თვითონ დიპლომატი გახსნა და ნაირ-ნაირი საჭმელები ამოალაგა. ორივენი მაგრად სვამდნენ, ისიცა და ინგლისელიც. თანაც, პაპიროსებსაც მაგრად აფუილებდნენ.

— ყველაფერი გასაგებია, — მიუხვდი ფირუზას, — შენ ეს მითხარი, მაგ ხალხს პირველად როდის შეხვდი?

— ცხენით მივდიოდი ფერმაში, ეგ ქალი კიდეც წინ გადამიდგა, მათხოვეო. გადმოგაგდებს-მეთქი. არ გადმომავდებს, ბავშვობაში თბილისის იპოდრომზე დავდიოდი, ცხენით სიარული იქ ვისწავლეო. თუ მასეა, დაბრძანდი-მეთქი და აღვირი მივანოდე. იმან კიდეც აინია და ცხენს მოხდენილად გადაევლო. რა ქალი იყო, ცხენზეც ლამაზად იჯდა, უშიშრად დააჭენებდა! ისა კიდეც, ინგლისელი, მანქანით დასდევდა. ნეტა მაცოდინა, აქედან როგორ გადაცვივდნენ? ამ ბოლო დროს ვილაცა გვალვიძებს ლამლამობით. უბედურად ღრიალებს, გაგედვიძება მა რა ჯანდაბა დაგემართება! ყველას ტანში გვაჟრიალებს შიშით, იქნება იმანაც გადაყარა ეგენი? ჰა, რას იტყვით, ბიჭებო?

— ჯერ კარგად აგვიხსენი, ვისა გულისხმობ და ჩვენ აზრსაც მერე მოგახსენებთ, — მიუგო მეველუდამ.

— აი, ვინცა რომა ღრიალებს. დათვი მეგონა, მაგრამ დათვი ეგრე ძალიან არა ღრიალებს.

— ჰო, ჰო, ეგრეა, ღრიალებს და გვალვიძებს. თავდაპირველად მეც დათვი მეგონა, მაგრამ ხეზე რო ძროხა აიტანა, დავეჭვდი. დათვი თავის საკბილოს მიწაში მარხავს და როცა იგრძნობს დამყავდაო, მემრელა მიდის შესაჭმელადა, — დაუმატა ფირუზას ნათქვამს თმაშევერცხლილმა, თუშურქუდიანმა კაცმა.

— კაცს უნდა ვუშველოთ, ყვავების სინაბარა

ხომ არ მივატოვებთ? პატრონი რო გამოუჩნდება, რა პასუხს გავცემთ? ქალიც მოსაძებნი გვყავს.

— ფირუზა ჩავუშვათ თოკით, დაუბამს და ამოვწვეთ. ქალსაც ფირუზა იპოვის, — წინადადება წამოაყენა კახომ.

— რო ჩავარდეს?

— თქვენ მაგაზე ნუ იდარდებთ, — გამოცოცხლდა ფირუზა, — ჯერ არ ჩავსულვარ თუ რა? თანაც ხო იცით, ქალი გულითვინა ჯოჯოხეთში ჩავალ.

— მე ეგრე ვატყობ რომა, დროზე თუ არ დაგაქორწინეთ, მართლა ჯოჯოხეთში ამოყოფ მაგ ჭუჭყიან თავსა, — სიტყვა მოუჭრა ფირუზას კახომ.

— მაგათ მოსმენასა და ყურებასა მიხავ, ისა სჯობია გაიქცე და ბაგაზე შემოხვეული მსხვილი თოკი მაიტანო, — მეველუდა იქვე ატუზულ ქორორა ბიჭს მიუბრუნდა.

მიხა რო გაიქცა, კიდეც ერთხელ გადავიხედეთ ხევეში, პირქვეჩამხობილი ინგლისელი აღარ ჩანდა. გაოცებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ.

\* \* \*

მიხას მოტანილი თოკი ფირუზას წელზე შევაბით და ხევეში ჩავუშვით. ფირუზამ თოკი შეიხსნა, ამოიხედა, მერე ქერათმიან ინგლისელთან დაიჩოქა, დააკვირდა, წამოდგა და მანქანისკენ გაემართა, თან მიწას დასცქეროდა, ალბათ ნაფეხურებს მიჰყვებოდა.

მანქანა, წელან გვერდზე რომ ეგდო, ახლა გასწორებული იდგა. ეტყობა ეს მოულოდნელი, უცნაური ცვლილება ფირუზამაც შეამჩნია — გაჩერდა და კარგა ხანს უყურა. მერე მანქანის კარს დაეჯაჯგურა, მაგრამ ვერ გამოალა. ახლა ჩამტვრეული მინიდან გადაყო თავი, მიშველეთო, იყვირა და უკან დაწევა სცადა. აშკარად ჩანდა, ბალნიანი ხელებით ვილაც თავზე ებლაუჭებოდა. ფირუზა წვალობდა, განთავისუფლებას ლამობდა, მაგრამ ამოოდ ირჯებოდა. ხელბალნიანმა არსებამ იმძლავრა და ფირუზა ფანჯრიდან გადაათრია. ერთხანს კიდეც ირყეოდა მანქანა, ბოლოს გაჩერდა.

\* \* \*

თელავში რომ ვბრუნდები, მაშინვე კაბინეტში ვაკითხავ პოლიციის სახელგანთქმულ მაიორს — ბურვაკას. ბურვაკას ახლა ეკოლოგიის პოლიცია აბარია, განყოფილების გამგეა. ყურადღებით მისმენს, ყველაფერს ბლოკნოტში ინიშნავს.

— მანქანა რაღა იქნა? — მეკითხება ბურვაკა.

— ინგლისელის „ნივაზე“ მეკითხები?

— მეველუდას „ნივაზე“. ან თვითონ, მეველუდა, რა იქნა?

— მეველუდა თავისი „ნივით“ მწყემსებთან დავტოვე, ყველი უნდა წამოელო, მე კი ფეხით წამოვედი, მოკლებზე გადმოვჭერი შუამთის მხრიდან. ფირუზას მანქანით რო წამოვსულიყავი, ყველაფერს მე დამაბრალებდით, ინგლისელის გაქრობასაც მე დამაბრალებდით, გამოსასყიდი ენდომებოდაო. ჩენეთშიც დაკარგულია ორი ინგლისელი. ზუგდიდში კიდეც გაეროს დამკვირვებლები გაიტაცეს ზვიადისტებმა. გზაში ვილაც ამედევნა, ნაბიჯების ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ ვხედავდი.

— აქაურობა ინგლისელებს სულ ერთიანად დაუბურღავთ, აქაოდა ნავთს ვეძებთო. ვინ იცის, ის უბედური ინგლისელიც თავისივე დაბურღულ ჭაში



ჩავარდა. მით უმეტეს, როგორც შენ ბრძანე, ღვინო დაუღვინეთ.

ბურვაკამ დილაადრიან დამირეკა:

— საგანგებო შემთხვევაა, მკერავი ქალი გამქრალა გამსახურდიას ქუჩიდან. გუშინ რომ მომიყევი, იმ ამბავს მაგონებს. შემთხვევის ადგილზე გავდივარ, კარგი იქნება თუ მოხვალ. მეორე აფთიაქის ზემოთ, სამკერვალო საამქროსთან დაგელოდები. ფოტოაპარატის წამოღება არ დაგავინყდეს.

— ახლავე მოვდივარ.

ყურმილი დავდე და სასწრაფოდ გადავიცვი. დათქმულ ადგილას ბურვაკა ბოლთასა სცემდა, მექუდე ვეფხო კი ფეხდაფეხ დასდევდა — ბურვაკას გვერდით წინილას უფრო ჰგავდა, ვიდრე ვეფხვს.

— აბა, აქ რა ხდება? — მკლავზე ნავატანე ხელი ვეფხოს.

— ქალი რო დაიკარგა, გეცოდინება.

— ვიცი.

— ჰოდა, მე და ეგა, ქალზე გეუბნები, გვიანობამდე ერთად ვმუშაობდით. მე ქუდსა ვკერავდი, ეგ საქორწილო კაბას ამთავრებდა, ბრილიანტები მოუტანა შემკვეთმა და იმას ამავრებდა გულზე. მე რო წავედი, ისევ მუშაობდა. დილით ყველაფერი აეგრე არეული დამხვდა. ქალი კიდევ დაიკარგა.

— იქნებ შინ არი? — ჰკითხა ბურვაკამ.

— მარტოხელა ქალია. დილით აქაურობა გაპარტახებული რო დაგვხვდა, ამბის გასაგებად შინ მივაკითხე. არ მოსულაო, მეზობლებმა. თანაც, საამქროს კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი. როგორც ჩანს, ქალის მომტაცებელი ფანჯრიდან გადმოვიდა. ხედავ, მინაც ჩამტვრეულია. ამას წინათ მეც დამეცნენ.

— შენც მოგიტაცეს? — გამიკვირდა, — რომელი გაეროს დამკვირვებელი შენა მყავხარ, რომ ულტიმატუმები წამოეყენებინათ.

ბურვაკამ უბის ჯიბიდან გამადიდებელი შუშა ამოიღო და გატეხილ ფანჯარას მიაშურა.

— მანქანა წაიღეს, — განაგრძო ვეფხომ, — თან ისე მცემეს, ორი კვირა საავადმყოფოში ვინეკი, ნეკნები ახლაც გატეხილი მაქვს.

— რატო მაგას არ მიაკითხე? — ბურვაკაზე ვანიშნე, რომელიც გამადიდებელი შუშით რუხი ფერის ჯაგარს ათვალთვლებდა. ჯაგარი ბურვაკამ გატეხილი ფანჯრის ჩარჩოს ააძრო. რაღაც შენიშნა.

— ერთ კლასში ვიყავით მე და ეგა, — ახლა ვეფხომ მანიშნა ბურვაკაზე, — მაგას რო წაადებდნენ ხოლმე ჩემთან გამორბოდა ღნავილით. მეც ვეშველებოდი, არავის ვაჩაგვრინებდი. გაიგო თუ არა ჩემი ბაღლობის ქომავს მანქანა მოსტაცესო, თანაც ბეგვესო, მაშინვე საავადმყოფოში ამომაკითხა. მაგრამ რა გამოვიდა? ეგ იყო, მანუგემა, მეც მამიხსნეს საკუთარ მანქანაზე პოლიციის ეზოში საბურავები და დღემდე ვერ მიპოვიაო.

— ე, ვერან, მაგდენ ქაქანს ის მითხარი, იმ ქალის



მხატვარი კარლო ქართველიშვილი

გარდა სხვა რა დაიკარგა? — შეაწყვეტინა ბურვაკამ. — ბრილიანტებიანი საქორწილო კაბაა დაკარგული.

— კიდევ?

— ის ცხრა ქუდი, დიდ-პატარა, ამას წინათ რომ შემიკვეთა, სრულიად უცნობმა, თმაგაბურძგნილმა მამაკაცმა.

\* \* \*

ღამით ისევ წერას ვინყებ, რაღაც ძალა მაიძულებს ავდგე და ვწერო. კვლავ ყამარისა და ამირანის ამბავს ვაგრძელებ.

— ყამარ, როგორა ხარ?

— რაღა როგორა ვარ, ბრილიანტებით განყობილი კაბა მომიტანა დევმა.

— მერე, ამირანი?

— ეჰ, ამირანი, აშვეებული იყოს, თითონ იცოდა რასაც იზამდა, მაგრამ ვინ უშვებს? იმას იქ არწივი კორტნის, მე აქ ვიტანჯები, რა მოხდება გაათავისუფლოთ, თქვენთვისაც კარგია, ცხრათავიან დევებს მოგაშორებთ.

აზრს ისევ ტელეფონის წკრიალი მანყვეტინებს. ბურვაკაა, ხმაზე ვატყობ, ძალიან ღელავს.

— ფოტოაპარატი მოამზადე, დავალებაზე გავდივართ. მორფინისტები დასცემიან სასწრაფო დახმარების პუნქტს, დროზე თუ არ მივედით, წაგვივლენ.

\* \* \*

კოჭო, როგორც ბურვაკა, პოლიციის განყოფილების გამგედ მუშაობს. ბოლო დროს ბურვაკას ჩაუძმაკაცდა, ლაჟღაჟასა და კანაფას ნათესებს ერთად ანადგურებენ. დავალებაზე ახლაც ერთად გამოსულან, თუმცა მორფინისტები უკვე გაკრეფილან და დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები გაუტაციათ.

სასწრაფო დახმარების ახალგაზრდა, საკმაოდ მიმზიდველი, ექიმი ქალი მზია ჩემი ნაცნობი გამოდგა.

— იმ კაცს, ამპულები რომ გთხოვათ, ჭრელი პერანგი ხომ არ ეცვა? — ეკითხება კოჭო მზიას.

— დიახ.

— ქალს რა ეცვა?

— რომელ ქალს?





— იმ კაცს რომ ახლდა, ლამაზი ქალი.

— არა, მასეთი არავინ ყოფილა. თუმცა, ვინ იცის, ოდნავ მოშორებით, სკამზე ქალი შევნიშნე, თვალები ლურჯად ჰქონდა დახატული და ტუჩზე წითელი საღებავი წავსვა. მორფინისტიები ხშირად გვაბეზრებენ თავს. ეგ კაცი პირველად ვნახეთ. ამპულების სანაცვლოდ ფული შემოგვთავაზა, ძლივს მოვიშორეთ. სწორედ იმ დროს, ავადმყოფთან გამოგვიძახეს. ფანჯრიდან გადმომძვრალა და ამპულები მოუხვეტია. ბევრი მორფინისტი მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ მაგის მსგავსი კი არავინ შემხვედრია, კუბოდან ამოღებულ მიცვალებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს.

პოლიციიდან გვიკავშირდებიან: ჩალაუბნის ტექთან, კრემისფერი „მერსედესი“ ვირის ურიკას დასჯახებია, დროზე მიხედეთ საქმესო.

სამივენი ჩემს ჯაყჯაყა ცისფერ „ჟიგულში“ ჩავსხედით. მარჯვენა ფეხის ტერფით გაზის „პედალს“ მთელი ძალით ვანვები. ვჩქარობ რაც შემიძლია, რაც მანქანას შეუძლია და აიტანს.

ველისციხის თავში, ხორცი რომ იყიდება და გაჭირვებული ადამიანები ავტობუსიდან თვალს ხარბად აყოლებენ, სროლა შემოგვესმა. ეტყობა, ჩვენ გვესროლეს.

მანქანა გვერდზე გამექცა და ელექტროენერჯის უქონლობის გამო დაჟანგულ მატარებლის რელსებზე შევხვით. ჯერჯერობით სამივენი ცოცხლები ვართ. კოჭო და ბურვაკა მაკაროვის სისტემის პისტოლეტებს იმარჯვებენ და საპასუხო ცეცხლისთვის ემზადებიან.

— საბურავი გამსკდარა, გამოცვლაში მომეხმარეთ! — შევძახე შიშისაგან დაფეთებულ მამაც პოლიციელებს და მათ გასამხნეველად გავიხუმრე, — ამას წინათ, საბურავი გამგეობის წინ გამისკდა და კაბინეტებში მსხდომთ შიშისაგან კინალამ გულები დაუსკდათ, პენსიონერები ხომ არ აგვიჯანყდნენ, ისედაც პატარა პენსიებს თვეობით რომ ვუგვიანებთო. გახეთქილი საბურავის ხმა „ავრორას“ ზალპი ეგონათ.

კოჭომ და ბურვაკამ გამსკდარ საბურავს შეხედეს და პისტოლეტები მერელა შეინახეს, მანამდე კი ტერორისტებივით აქეთ-იქით ატრიალებდნენ და გამვლელ-გამომვლელს გულს უხეთქავდნენ.

საბურავი გამოცვალეთ და ჩალაუბნის ტექს მივადექით. მარცხნივ საგზაო პოლიციის ორსართულიანი შენობაა წამოჭიმული, მარჯვნივ კი ბენზინგასამართი სადგური „გრეკო“ აუჭრელებიათ ინგლისური წარწერებით. ვირის დამტვრეულ ურიკასა და ფრთამიჭყლეტილ კრემისფერ „მერსედესს“ ახალგაზრდა ავტონისპექტორი ზებრასავით ზოლიანი ჯოხით გარს უვლის.

\* \* \*

ვიდრე ბურვაკა და კოჭო ინსპექტორს კითხვებს უსვამდნენ, ნესტიანი ფოთლებით დაფარულ ბილიკს გაუწყვევი. იმდენი ვიარე, გზა ამებნა. ხან მარცხნივ გადავუხვიე, ხანაც მარჯვნივ, ბოლოს პატარა ქალაქს მივადექი. იქაურობა უცნაურად გამოიყურებოდა. წითელი კრამიტით გადახურული სახლების უმრავლესობა დამწვარ-დანგრეული იყო, ზოგსაც ბოლი ასდიოდა. რალაც ძალას თიხის მიღები ამოეყარა და იქაურობა ქვეწარმავლებით სავსე ჭაობებით იყო



დაფარული. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. აქა-იქ საშინლად დამახინჯებული გვამები ეყარა და შეძრწუნებულმა თვალი ავარიდე. დაგლეჯილ-დაფლეთილი საქონელიც დავინახე. უეცრად, ერთ-ერთი მინურიდან კვნესა შემომესმა. კარი შევალე, ტახტზე დედაბერი იწვა და კვნესოდა. როგორც მერე გავიგე, დაკარგული შვილებისა და შვილიშვილების ჯავრი ანუხებდა.

— დევები დაგვეცნენ. გაგვულიტეს, ზოგი მონებად წაასხეს, ზოგმაც ტყეში გახიზვნა მოასწრო, — ამოიკვნესა დედაბერმა.

— შენ რატომ არ გაყევი?

— ამირანს ველოდები.

— რომელ ამირანს?

— სულკალმახის ვაჟიშვილს. რა ვქნა, არა ჩანს ჩემი ამირანი. ნეტავი რა დაემართა, ასე რატომ დაიგვიანა? დევებმაც ამირანის არყოფნით ისარგებლეს, თორემ აქ მოსვლას როგორ გაბედავდნენ? სადა ხარ ამირან! ამირან! — პასუხი რომ ვერ მიიღო, მოიკუნტა და საბანში გაეხვია.

— ამირანი შენი რა არის?

— შვილი. სულკალმახი ქმარი იყო, დევებთან ბრძოლაში დაეცა.

— გამოდის, თქვენ ქალღმერთი დალი ხართ?

— ასეა.

— საკვირველია.

— რა არის საკვირველი?

— ეგენი ხომ უნინ იყვნენ, ისიც ზრახვებში?

— შენ მომავლიდან ხარ მოსული. თუ აქაურობას მალე არ გაეცლები, მომავალთან დამაკავშირებელი კარი ჩაირაზება და სამუდამოდ აქ დარჩები. ახლა კი, ჩემს ცრემლს გაჰყევი, სხვანაირად გზას ვერ გაიგნებ.

კიდევ რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა და მალლა-მალლა აფარფატდა. ცრემლს ავედევენე.

მისრიალებს ცრემლი, მისრიალებს და მივდევი, ვცდილობ არ ჩამოვრჩე. ვხედავ მთებია, ახლაც არ ვიცი საიდან ამოიმართნენ. ერთი მთა ცაშია ატყ-



ორცნილი, პიტალო კლდე უფროა, ვიდრე უბრალო მთა. ცრემლი კლდესთან შეჩერდა, მეც თვალი ავაყოლე. რკინის ჯაჭვებით გაკოჭილ ამირანს მკერდზე ვეება, ნისკარტმოკაუჭებული არნივი მიფრენია და გამეტებით კორტნის. ცის კაბადონზე კი ზღაპრული სილამაზის ყამარი მოჩანს.

— აუშვი ამირანი! — მეხვეწება ყამარი.

— არ ავუშვებ.

— რატომ?

— არ ვენდობი და იმიტომ. ჯერ დევებს გაანადგურებს, მერე კი წარმატებებისგან თავბრუდახვეული ადამიანებს დაგვერევა. დასაბამიდან ასე იყო და ახლაც ასეა.

— ტყუილია! — მეკამათება ყამარი, — სად დევი და სად კიდე ამირანი. ძალიან მიყვარს ჩემი ამირანი, გემუდარები, აუშვი!

ცრემლი ისევ დაიძრა და კლდეს რონალდოს ფინტებივით ოსტატურად აუქცია მხარი. ფეხდაფეხ ავედევნე და სულ მალე შუამთის ტყეში ამოვყავი თავი.

\* \* \*

საქონლის სადგომი დაცარიელებულია, არც ძროხები ზმუიან და არც ძაღლები ღავლავენ.

ფიცრული ქოხის კარს ფეხის კვრით ვაღებ. მაგიდაზე ვეება ვირთაგვა მოკალათებულა და პურის ნამცეცებით ისმუნება. იმხელაა, ბაყბაყდევეს ყურშიც კი ვერ შეეტევა. ჩემს დანახვაზე მინურ იატაკზე დახტა და გამოქვაბულივით ხვრელში ზანტად გაუჩინარდა.

ვირთაგვას ნამუსრევს შორის ბარათი შევნიშნე. მწყემსებს ტექსტი ნაჩქარევად, აჩხაბაჩხა ასოებით შეუდგენიათ:

„თუ აქედან დროზე არ აახვევთ, ურჩხულები და

ბაყბაყდევეები შეგჭამენ. ჩვენც ამიტომ ვითესებით გაურკვეველი მიმართულებით. სამ ძროხას უკვე დედა უტირეს, თქვენც დედა გეტირებათ...“

### კახო და მიხა შაქარაშვილები

ქოხის კარი გარედან ვილაცას გადაეკეტა და იძულებული გავხდი ვირთაგვების ხვრელში გავმძვრალიყავი.

ხვრელიდან გამომძვრაღმა ტყის პირას, ვეება ნაფეხურები შევნიშნე. ბევრი აღარ მიფიქრია, ნაფეხურებს თამამად ჩავყევი. უცებ, თავზარდამცემი ღრიალი შემომესმა და გზა უზარმაზარმა, ბანჯგვლიანმა არსებამ გადამიღობა. თვალი შიშით ავაყოლე. წელში მოხრილი ინტერესით დამცქერის. ალბათ, სოკო ვგონივარ. თავ-პირის მტვრევით გავიქეცი. გამომიღვა და საცაა ფეხს დამადგამს. ზიგზაგებით გავრბივარ და დროდადრო ბუჩქნარს ვეფარები. მოულოდნელად, ტყის ბილიკიდან, მოტოციკლი გამოვარდა. ისე სწრაფად მოქროდა, თავდაპირველად სიდნის ოლიმპიადაზე, ულამაზესი ქართველი მშვილდოსანი ქალების ნასროლი, სამიზნეს აცდენილი ისარი მეგონა.


— დაჯექი! — გამიღიმა თმაგაშლილმა ქალიშვილმა.

შემოვუჯექი თუ არა, მოტოციკლი ადგილს მოსწყვიტა, გეზი პირდაპირ დევისკენ აიღო, ფეხებშუა გაუძვრა და დაღმართზე ჩაქანდა. მივქრივართ, მაგრამ დევი არ გვეშვება, განრისხებული მოგვდევეს. უცებ, ვეება ხრამი გამოჩნდა. რალა გვეშველება? წინ ხრამია, უკან დევი, ნამდვილად დავილუპებით.

— ხელები მაგრად მომხვიე! — მირჩია მზეთუნახავმა და სისწრაფეს უმატა.

მოტოციკლი ხრამს გადაევლო და მზეთუნახავთან ერთად სიცარიელეში გავუჩინარდი.





ნინო ბაკიანიძე



„მარშლიანთ“ სასახლის სტუმარი

მიტო პაპა ხენეშა-ხენეშით უახლოვდება საქანელა ხიდს. შეძლებს კი ამსიგრძე ხიდის გადავლას? რა ხანია, გარეთ აღარ გამოსულა. ოთხმოცდაათ წელს მიტანებული მოხუცი დაკოწრილი ხელებით ებლაუჭება ხიდის მოაჯირს და ფრთხილად იცქირება ქვემოთ. წელიწადის ამ დროს თეძამი ჩვეულებრივ მინავლული და თავმოკატუნებულია. დღეს კი თითქოს მოხუცის ჯიბრზე ავისმომასწავებლად შფოთავს და ხმაურობს. მიტო პაპას მუხლები უკანკალებს, მაგრამ მაინც ჯიუტად დგამს რამდენიმე ნაბიჯს. იქნებ დაბინდული მზერა ვეღარც აცნობიერებს მოსალოდნელ საფრთხეს, ან იქნებ სულაც დაბინდული გონების ბრალია? თუმცა არა, მიტო პაპამ დაბეჯითებით იცის, საითაც გაუწევია. წლებია, ენატრება სოფლის შუკებში გავლა, ხალხთან შეხვედრა, „მარშლიანთ“ უბანში ძველი ეზო-ყურის მონახულება. ისიც კარგად ახსოვს, თუ რა დიდებული ხედი იშლება „მარშლიანთ“ ეზოდან. სასახლის იდუმალი, დროთა მანძილზე გაცრეცილი, მაგრამ მაინც საოცრად ლამაზი დარბაზებიც ახსოვს და, რაც მთავარია, ფუძის კეთილი მასპინძელი...

კოლას დალუპვის შემდეგ რამდენიმე წელიწადში მიტო და მისი დაქვრივებული რძალი ხიდს იქით, (პირობითად) ახალსოფელი რომ ჰქვია, რძლის სახლში გადაბარგდნენ. „მარშლიანთ“ უბნის კარ-მიდამო კი კოლას ერთადერთ ვაჟს დაუთმეს მისი დაოჯახების შემდეგ. თუმცა ახალგაზრდებმა, არც აციეს, არც აცხელეს, სახლ-კარი მიაყიდეს და გორში გადავიდნენ საცხოვრებლად, აქეთ აღარც გამოუხედავთ. ასე გაიდო უღმობელი, საბედისწერო ხიდი მიტო პაპას წარსულსა და აწმყოს შორის. ერთმანეთში ჩაიხლართა ზმანებები და მწარე რეალობა... ერთ დღესაც, მოხუცის სული თითქოს აუბუნტდაო ამ რეალობას. ის ჯიუტად მიროჩავს საქანელა, თუმცა არა, უმალ-ბენვის ხიდზე.

— მიტო ძია, მიტო ძია, შენ აქ რა გინდა?

მოხუცი ჩერდება და ცალი ხელით სიმწრით ებლაუჭება ხიდის მოაჯირს. მეორეთი კი დაკონკილი ლაბადის ჯიბეს ისინჯავს, საიდანაც სქელყდიანი რვეულის კუთხე მოჩანს.

— ვერ მიცანი? ალექსა ვარ, თქვენი მეზობელი. იცის სონამა, კარში რო გამოხვედი?

მიტო ჯიუტად დუმს და გატრუნული იმასლა ფიქრობს, როგორ მოიშოროს თავიდან ეს აბეზარი, მის ფიქრებსა თუ ზმანებებში უხეშად რომ შემოჭრილა.

— ნამო, ძია, ნამო, სახლამდე მიგიყვან. — არ ეშვება ალექსა და მხარში ხელს ავლებს, — რა დიდი მოდის თეძამი. წყალში რო გადავარდე? ეგეც არ იყოს, ხიდს დახე, როგორ კორიკაობს.

მიტო მართლაც გრძნობს, როგორ თრთის და ირხევა ხიდი მის ფეხქვეშ, ოღონდ ამჯერად მუქარით

კი არა, თანაღმობითა და მზრუნველობით: მიდი, გადადგი ნაბიჯი, კიდევ ერთი, კიდევ... უვნებლად გაგიყვან მეორე ნაპირზე — ყურისნამღები ქრიჭინ-ტკაცუნით თითქო აგულიანებსო ხიდი.

— ნამო, ნუ ჯიუტობ. — არ ეშვება ალექსა, — რა იყო, ფინთად ხო არა ხარ?

— კარგა ვარ, კარგა, — ჩიფჩიფებს მოხუცი — ჩემ უბანში მინდა... „მარშლიანთ“ სახლშიც რა ხანია მელოდებიან. უნდა წავიდე...

— ეე, აბა დახე, ჯერ ხიდის თავში ხარ. — უყვავებს ალექსა, — რომც გადახვიდე, იმოტელა გზას როგორ გაივლი?

— ხიდის თავში კი არა, ბარე ბოლოში ვარ, — ოხრავს მიტო, — ამ ხიდივით დავექანაობ, შვილო, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ან კოლას მერე რაღაა ჩემი სიცოცხლე? ეეჰ, კოლაზე ნაკლებ, იცის გამჩენმა, არც შენ მიყვარდი, მაგრამ ყველამ დამივიწყეთ...

— უი, უი, სად ყოფილა! — ისმის ქალის კივილი — გაიხარე ალექს, შენ რო არ შეხვედრილიყავი, სადმე კისერს ნაიტეხდა ეგ უბედური, ან წყალში ჩაიხრჩობოდა და მეც ხო მთელ სოფელზე თავი მომეჭრებოდა.

— გამოგეპარა, არა? — თანაგრძნობით მიმართავს ალექსა.

— ჰოოდე, სხვა დროს ეგრე არ უქნია. სახლის უკან ქათმები გამოვუშვი და ეტყობა, დრო იხელთა. მეც რა ვქნა, მეტი აღარ შემიძლიან, რომელი ერთი ვაკეთო? დამიმონავა ამ უბედურ დღეზე გაჩენილმა და ეგ არი!

— შენ ფინთი ქალი ხარ, — ჩიფჩიფებს მიტო და გულდაგულ მალავს ჯიბეში რვეულს.

— აი, ხედავ? მადლობის მაგიერია? რაც კოლა დავკარგე, ეგრე გაუხარლად ვცხოვრობ. ბიჭიც გამექცა. იტყვი საკუთარი არა მყოფნიდეს და...

— რას იზამ, რას იზამ, უნდა გაუძლო. — თავის ქნევით უდასტურებს ალექსა.

— არა, მაინც სად ჯანდაბაში მიდიოდი? — არ ცხრება გულამოვარდნილი სონა.

— რავი, „მარშლიანთ“ სახლში მელოდებიანო. — თავს აქნევს ალექსა.

— მე კი ვიცი, საცა ელოდებიან და რო აღარც მიანია იქამდე?! — მთელ თეძმისხევეზე გაჰკვივის სონა — მეტი აღარ შემიძლიან, ვერა მხედავთ, ხალხო, სულ გამოვციცავდი.

ხალხისსახელითალექსაკვლავთავსუკანტურებს, მერე მოხუცს ხელს ავლებს და ფრთხილად გადაჰყავს ხიდიდან — ნამო, ძია, ნამო, ე, შენი რძალი მაინც შეიცოდე.



მიტო პაპა ბედს ემორჩილება. საშინლად დაილალა და მოეშვა. რას იზამ, ვიდრე სული უდგას, ეტყობა ეგრე უნდა იყო გაჩხერილი ბენვის ხიდზე, არც აქეთ, არც იქით.

— ეხლა იყვეს და მერე მე წაგიყვან „მარშლიანთა“ — ანუგეშებს ალექსა, თან ფრთხილად ეწევა მოხუცს — დღეს არა მცალიან. აი, ხვალ-ზეგ მაშინას შევაკეთებ და კობტად მიგაგრილებ შენ ძველ უბანში.

— გაიხარე ალექს, ძაან მადლობელი ვარ, — სონა ჭიშკარს კეტავს და თავსაფრის ყურით ოფლს ინმენდს. — შეგიძლიან ხუთი წუთი კიდე გაუჩერდე მაგ შეჩვენებულსა? ბარელა ვაჭმევ ქათმებს და ემ საათში მოვალ.

— მიდი, მიდი, — ამშვიდებს ალექსა, — მეც ეხლა მართლა სათიბ-საბარი არა მქონდეს. ბირჟაზე გადავდიოდი და მაშინ წავანყდი ამ საცოდავს.

— აი, შე ზარმაცო, შენა, — მოსძახის სონა — სოფელი აღარავის გინდათ, ყველას ქალაქისკენ და გართობისკენ გიჭირავთ თვალი.

ალექსა არ პასუხობს და მიტო პაპას კაკლის ჩრდილში, სარწველაში სვამს. თვითონაც იქვე კუნძზე ჯდება და ნაბერტყი კაკლის მტვრევას იწყებს, თან სევდიანად გაჰყურებს გატრუნულ მოხუცს. — ეეჰ, რაღა მაგისი ყოფა, — ფიქრობს ალექსა, თან კაკალს შეექცევა, — აფსუს, ერთ დროს რა კაცი იყო. მინამ ცოცხალი ვარ, შენი ვალიდან ვერ ამოვალ, მიტო ძია. არადა, როგორ ვტყუივარ შენთან. აქვე ვდგავარ და ერთი ველარ გამდოველ სანახავად. რა ვუყოთ, მეც აღარ მაქ გულის ადგილი. ამასობაში დავბერდი მეცა და ეგ არი... ე ოხერი ომი რო არა, ხო მეც კაცად გამოვდგებოდი?!

— ძიძ, ძიძ, ძიბა-ძიბა, ძიბა-ძიბა... — ისმის უკანა ეზოდან სონას ხმა.

— ვინ იცის, უჭმელია ეგ უბედური. — შფოთავს ალექსა. — პური არა გზიან, მიტო ძია? — ხმადაბლა ეძახის მოხუცს, — ჩასძინებია, ეძინოს... რით ველარ მოვიდა ეს დედაკაციც, ქათმებს კარგა დაჰკანკალებს, არ დამემშენო... ალექსა ერთ ხანს მოხუცს აკვირდება. ეს რა რვეულია?! იგი ფრთხილად სწვდება მიტოს ჯიბიდან გადმოცურებულ სქელყდიან რვეულს და დაბნეული ხელში ატრიალებს... მიტო პაპას არ სძინავს. ეგაა, თვალის გუგები დამძიმებია და მთლად ჩაშავებია. სძინავს კი არა და, ისევე საქანელა ხიდს შესდგომია, მსუბუქად და ლალად მიაბიჯებს. შიშობს, სკოლაში არ დააგვიანოს. მიტო არათუ სოფელში, მთელ რაიონში სახელგანთქმული პედაგოგია. რაც უნივერსიტეტი დაამთავრა, მას მერე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ახალქალაქის სკოლაში. ცხოვრებისეულმა ქარტეხილებმა, სამამულო ომმა ხან სად გადაისროლა და ხან სად, მაგრამ მაინც ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. სულით ხორცამდე უყვარს მიტოს თავისი საქმეცა და მშობლიური კუთხეც. აკი, ზედმინწევით გამოუკვლევიან ახალქალაქის ისტორია, რამდენ საინტერესო ადამიანს შეხვედრია, ნანახიცა და გაგონილიც სქელყდიან რვეულში ჩაუნერია და სათუთად შემოუნახავს მომავალი

აღსაზრდელებისათვის. აგე, ეხლაც, კალოუზნის გვერდით გორაზე რო გამოქვაბულებია, მერამდენედ დაუთვალეიერებია და იქიდან მოიჩქარის. დღეს გაკვეთილები არა აქვს, მაგრამ ორ საათზე მშობელთა კრებაა და შიშობს, ვაითუ დააგვიანოს.

— რა იყო, მიტო, არსენას განძს ხო არ ეძებ? — კეთილად ეხუმრებიან სოფლელები — ისა, კაცო, კასპის კლდეებშიაო დამარხული, აქ კი არა.



მიდის მიტო, სწრაფად მიაბიჯებს. ხიდი კი რწვეითა და ცეკვა-ცეკვით მიაცილებს. წინ პატარა, ცუგრუმელა ბიჭი შემოხვდება — საით გაგინევია, შვილო, ეხლა სკოლაში არ უნდა იყო? — უკმაყოფილოდ აქნევს თავს მიტო.

— ფიზიკულტურა გაგვიცდა, პატივცემულო, — პასუხობს შემკრთალი ბიჭი — კოლაც სახლში წამოვიდა.

— ჰო, კარგი, გაიქეცი. მივალ და ყველაფერს გავარკვევ, — მკაცრად ეუბნება მიტო. ბიჭი გარბის. ეს ალექსაა, მისი კოლას კლასელი და განუყრელი მეგობარი. ეგაა, კოლასგან განსხვავებით სწავლას გულს ვერ უდებს. თუმცა მიტო იმდენს მოახერხებს, რომ თანდათან ალექსასაც შეაყვარებს წიგნს. მერე კოლა და ალექსა ერთად ჩააბარებენ გორის უნივერსიტეტში. მეორე კურსს რომ დახურავენ, კოლა მოულოდნელად ცოლს ირთავს. მეოთხე კურსის სტუდენტებს კი აფხაზეთის ომი მოუსწრებთ და ორნივე ერთად მიდიან ფრონტზე. ძმათამკვლელი ომიდან კოლა აღარ ბრუნდება. მძიმედ დაჭრილი ალექსა კი ძლივს უსხლტება ხელიდან სიკვდილს. მიტოს ცოლი დარდს გადაჰყვება, მიტო კი მაინც აგრძელებს ცხოვრებას. თავის რძალთან ერთად ზრდის კოლას ბიჭსა. პატარა მიტო თვალსა და ხელს შუა დავაჟკაცდა. პირი-სახით სულ მამას ჰგავს. მამასავით ადრე დაოჯახდა და მალევე წავიდა სოფლიდან. აი, ეგრეა ამ ოჯახის ამბავი...

ალექსა შეცბუნებული ატრიალებს რვეულს ხელში, თითქოს გადაშლის ეშინიაო და კვლავ მოხუცს გასცქერის — ჰმ, როგორა თქვა, „მარშლიანთ“ სახლში მელიოდებიანო?! ეე, რა კარგი მასწავლებელი იყავი მიტო ძია, მერე კარგი მეგობარიც. განა დამვინყნია, მე და კოლას რო დაგვსხამდი შენი სახლის ეზოშია და გატაცებით გვიამბობდი მაგ სახლის ისტორიას.







მოიცა, როგორ იტყვი? ნამდვილი კულტურის კერა იყო, ვილა არ სტუმრობდა მაგათო: ილია, აკაკი, ყაზბეგი, ეკატერინე გაბაშვილი, ივანე მაჩაბელი, გიორგი ერისთავიო... — ალექსას თითები აღარ ჰყოფნის — გგონია, ეგ რვეული ვერ ვიცანი? მანდედანაც გვიკითხავდი ქვეყნის რამეებსა... დაიცა, ის რუსის მეფე რომელი იყო, მაგათ სასახლეში რო ლამე გაუთევია? — ფიქრებში წასული ალექსა სქელყდიან რვეულს ფურცლავს, — ჰოო, ალექსანდრე II ყოფილა, თბილისისკენ მომავალს გორის მაზრაში მაინცდამაინც ეგ სასახლე შესთავაზესო როგორც ყველაზე საუკეთესო... ეჰ, ერთ დროს მართლა კარგა ვიცოდი ყველაფერი. ამასობაში მეც დავბერდი და გამოვჩერჩეტი. ახლა, ე ხოერი ცხოვრებაცა...



მიტო პაპას სახეზე თითქოს ღიმილი ეფინება. ალექსა ამჩნევს და ფროთხილად უახლოვდება მოხუცს — ეხლა უცებ რა გამახსენდა იცი, მიტო ძია? აკაკის სახუმარო ლექსი რო გვასწავლე მე და კოლას, „მარშლიანთ“ ბავშვებისათვის რო გამოუთქვამს და მერე ხშირად მაგ ლექსით შევხებუბობდით ხოლმე მე და კოლა ერთმანეთსა. ეხლა კი რო გიყურებ, ზუსტად შენზეა ზედგამოჭრილი. — ალექსა მსახიობვით იმართება წელში, თითქოს სცენაზეაო და ხატოვნად წარმოსთქვამს:

„სკუკა მკლავს, სკუკა მანუხებს,  
მიძნელებს დიხანისასა,  
წამოვგორდები პასტელზედ,  
ვეძლევი მეჩტანისასა“.

ალექსას სულ უფრო მძაფრად ეძალება მოგონებები. აგე, ის და კოლა მიტო მასწავლებლის გაკვეთილზე სხედან. მგონი, მეექვსე კლასში იყვნენ მაშინა. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი „მარშლიანთ“ სასახლის შესახებ მოუთხრობს ბავშვებს. მერე კი სასახლეში უნდა წაიყვანოს ექსკურსიაზე... ალექსა უნებლიეთ კვლავ სქელყდიან რვეულს ფურცლავს და მერე თავიდან იწყებს კითხვას:

სასახლე XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აუშენებია დავით თარხან-მოურავს, იგივე დავით მინბაშს, ანუ ქართლ-კახეთის სამეფო გვარდიის ათასისთავს. თავდაპირველად სახლი ერთსართულიანი ყოფილა. შემდგომში კი მის ვაჟებს დაუშენებიათ ზედა სართული. უფროსი ვაჟი კონსტანტინე გენერალ-მაიორი გახლდათ. საქართველოდან მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიუღია რუსეთში უმაღლესი იურიდიული განათლება, სცოდნია რამდენიმე აღმოსავლური ენა და მეფისნაცვალ ვორონცოვთან თარჯიმნადაც უმსახურია. მონაწილეობდა ჰაჯი მურათთან მოლაპარაკებაში და ლევ ტოლსტოის

ცნობილ ნაწარმოებშიც კი ყოფილა მოხსენიებული...

ალექსა კითხვას წყვეტს და მწარედ ეცინება. ისე შემოეპარა სიბერე, რომ ვერა და ვერ წაიკითხა „ჰაჯი მურატი“. თავის დროზე ხომ მიტომ ათხოვა ქართული თარგმანი, დიდხანს ჰქონდა სახლში, ხან სად ეგდო და ხან სად, გული ვერ დაუდო და ეგრე ფურცელგადაუშლელად დაუბრუნა პატრონს. ეხლა კარგა ვფურცლავ მიტოს რვეულს! — საკუთარ თავს საყვედურობს ალექსა და გამძაფრებული ინტერესით განაგრძობს კითხვას, — კონსტანტინეს ოჯახი არ ჰყოლია, სამაგიეროდ დავით მინბაშის მეორე ვაჟი ალექსანდრე პოდპოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა მამულში და ცოლად შეირთო ერეკლე III-ის ქალიშვილის, ანასტასია ბატონიშვილის შვილიშვილი მარიამი, ბიძინა ქსნის ერისთავის ასული. მარიამის ხელით მოქსოვილი ულამაზესი სუფრა დღესაც გამოფენილია სასახლეში. ალექსანდრე გორის მაზრის თავადაზნაურთა კრების წინამძღოლად ანუ მარშლად აირჩიეს და ამიტომაც უწოდა ხალხმა „მარშლიანთ სასახლე“. მესამე ძმა, იოსებიც სამხედრო პირი, გენერალ-ლეიტენანტი ყოფილა. მონაწილეობდა შამილის დატყვევებაში. იოსების სიძე იყო აკაკი წერეთლის ბიძაშვილი, როსტომ წერეთელი. ამიტომაც გახლდათ აკაკი სასახლის ხშირი სტუმარი. მას განსაკუთრებით იოსების ქალიშვილი ლიზა ჰყვარებია და მათი წერილებიც შემორჩენილა. ლექსიც მიუძღვნია აკაკისა, მაგრამ მე აღარ მახსოვს, მიტომ კი ნაგვიკითხა რამდენჯერმე — ფიქრი და კითხვა ერთმანეთში ერევა ალექსას.

ლიზას ძმა ვასილი თეატრით ყოფილა გატაცებული და მსახიობობდა კიდეც. ვასილის ერთ-ერთი შვილთაშვილი ალექსანდ ფონ სივერსი დღესდღეობით ბელგიაში თეატრის ცნობილი მსახიობია...

მიტო პაპა ყრუდ ხვნემის. ალექსა სმენას ძაბავს. მოხუცი თითქოს რაღაცის თქმას ცდილობს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის. ან რა ძალა შემორჩებოდა ამდენი სიარულის შემდეგ?! სამაგიეროდ ახლა „მარშლიანთ“ სასახლის სტუმარია. გახსოვს, ალექს, რამდენჯერ წამიყვანიხარ კოლასთან ერთად სასახლეში. როგორ მოგწონდათ ბავშვებს დარბაზის მოხატულობა. უფრო სწორად, მოხატულობის ფრაგმენტები. ჩემი ნაამბობი თუ გახსოვს, სასახლის კედლები აღმოსავლურ სტილში მოხატა-მეთქი კონსტანტინეს გამოგზავნილმა ირანელმა ხელოსანმა. ათი წელი მუშაობდა თურმე ოსტატი, მაგრამ ისე გარდაიცვალა, საქმის დასრულება ვერ მოასწრო. დანარჩენ დარბაზებში პარიზიდან გამოწერილი შპალერი გაუკრავთ. ის თუ გახსოვს, ალექს, ჩემი რვეულიდანაც გიკითხავდით შენ და კოლას, მეფისნაცვალ ბარიატინსკის ოჯახისთვის ჩინური ჩაის კოლოფი რომ უჩუქნია და უთხოვია, კოლოფის მოხატულობა ერთ-ერთი ოთახის კედლებზე გადაეტანათ. ამ ოთახს დღესაც „ბარიატინსკის ოთახი“ ჰქვია. მანვე არუქა ოჯახს ვენეციური მინა ფანჯრისთვის. ამ ფანჯრის რაფა მიმგვანებული ყოფილა სურათის ჩარჩოს და მთლიანობაში ფერწერული ტილოს შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელზეც თითქოს თეძმისა და მტკვრის ხეობები იყო გამოსახული...

— ჰო, ჰო, მახსოვს, მართლა რა მაგარი ხედი იშლებოდა მაგ ფანჯრიდან, რო გვახედებდი ხოლმე... — ალექსას ისევ ვერ გაურკვევია, ფიქრობს თუ კითხულობს...

— ვინ მოთვლის, კიდეც რამდენ საინტერესო ამბავს მიყვებოდა ამ სასახლის დიასახლისი, ეკატერინე მაჩაბელი, — განაგრძობს მიტო.



— ვიცი, ვიცი, — კვერს უკრავს ალექსა, — ვასო თარხან-მოურავის ქალიშვილი — იგი სწრაფად ფურცლავს რვეულს და შესაბამის ადგილს პოულობს. — ეკატერინეს მეუღლე გახლდათ ივანე მაჩაბლის ნათესავი ირაკლი ზაქარაის ძე მაჩაბელი, ამიტომ, ცხადია, რომ სასახლის დიდებულ სტუმართა შორის ივანე მაჩაბელიც ხშირად ბრძანდებოდა ოჯახთან ერთად.

— ეკატერინე ხომ ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელია! — თანდათან სახე უცისკროვნდება მიტოს — მაგრამ მარტო ეგა?! განა გმირობის ტოლფასი არ იყო, როცა ის სასახლის შენარჩუნების მიზნით ახალქალაქში დამკვიდრდა და სოფლის სკოლის მასწავლებლობას დასჯერდა. ქალი, რომელსაც ლაიფციგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და მთელი ახალგაზრდობა ევროპაში ცხოვრობდა... ეკატერინე ჩემი მასწავლებელიცაა, აღმზრდელიცა და უფროსი მეგობარიც, ალექსა, ბიჭო, დღესაც იმიტომ მოვიხდომე „მარშლიანთა“ წასვლა. რა ხანია, ეკატერინე აღარ მინახავს, აბა, როგორია ძვირფას ადამიანთან გაყრა, როცა იქვე ცხოვრობ და ვერ ნახულობ?! ჰო, მართლა, გახსოვს, გეუბნებოდით შენ და კოლასა, გიორგი ერისთავის „გაყრა“ მინამ თბილისში დაიდგმებოდა 1850 წელსა, პირველად სწორედ „მარშლიანთ“ სასახლეში წარმოუდგენიათ...

ალექსა სქელყდიან რვეულს ხურავს. მიტო პაპა კი დაუინებით აკაკუნებს „მარშლიანთ“ სასახლის კარზე, მაგრამ არავინ ეპასუხება. ალექსა სონას მოლოდინში კვლავ კუნძზე ჯდება და კეფას იქექავს. მართლა ხომ არ შეაკეთოს თავისი უქმად მიგდებული, ნახევრად დაჟანგებული მანქანა და მოხუცს უკანასკნელი სურვილი შეუსრულოს...

მიტო კვლავ საქანელას ხიდზე მიდის. კი არ მიდის, მიჰქრის, სკოლაში აგვიანდება. არადა, პირველი გერმანულის გაკვეთილი აქვს. არ უნდა ეკატერინე მასწავლებელთან შერცხვეს. ბავშვი სისხამ დილით გამოპარულა სახლიდან, საყვარელი მასწავლებლისთვის კალოუზნის გორაკზე მინდვრის ყვავილები დაუკრეფია და ახლა ცალი ხელით მძიმე ჩანთას მიაქნევს, მეორეში კი ლამაზი თაიგული ჩაუბლუჯავს. მიტო გულისფანცქალით ელოდა დღევანდელ დღეს, ეკატერინე მასწავლებელი მის კლასს შეპირდა, გაკვეთილების შემდეგ სასახლის დასათვალიერებლად წაგიყვანთო და მიტოსაც გულით

სურდა, ხელდამშვენებულს შეეხვედნა ალექსას სამყაროში. არადა, წინა გაკვეთილზე მასწავლებელმა ისეთი საოცარი რამ უამბო ბავშვებს, რომ მიტომ იქვე ჩაინერა მისი მონათხრობი. მერე კი, მოგვიანებით, თავის სქელყდიან რვეულში გადაიტანა:

როგორ გადაურჩა „მარშლიანთ“ სასახლე საბოლოო განადგურებას.

გასაბჭოების შემდეგ ერთ ბოლშევიკ კომისარს, გვარად ქურდაძეს, დაევალა მარშლიანთ ადგილ-მამულის ნაციონალიზაცია. რევოლუციამდე ეს კომისარი მღებავი ყოფილა. მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კედლების მოხატულობას, რომ თურმე გაოგნებული დადიოდა დარბაზებში და კედლებს ეფერებოდა. ჩამორთმევის ნაცვლად, მან პირიქით, ხელი შეუწყო ეკატერინეს სასახლისა და მამულის შენარჩუნებაში. მას მალე სასახლის მცველის ფუნქციაც კი დაეკისრა. თუმცა ეზოში კარის ეკლესია მაინც დაანგრის. ამ ეკლესიის მოძღვარი გახლდათ გიორგი კარგარეთელი, ცნობილი კომპოზიტორის, ია კარგარეთელის მამა...


მიტო, რაც ძალა და ღონე აქვს, გარბის. აი, საქანელა ხიდი გადაიარა, სოფელი გადაჭრა და სკოლის ეზოშიც აქოშინებულმა შეაბიჯა, მაგრამ ზარის ხმა უკვე ამცნობს გაკვეთილის დაწყებას. მიტო საკლასოთახის კარს ფრთხილად აღებს. ეკატერინე მასწავლებელი უკვე დაფასთან დგას. ბავშვის დანახვაზე ელიმება და ხელს უწვდის საყვარელ მონაფეს...

— სონა ქალო, დროზე მოდი აქა, მგონი აღარ სუნთქავს! — ყვირის ალექსა.

— რა იყოთ, ქაა, თხუთმეტი წუთი შემაგვიანდა და ეგრე უცებ რა დაემართა? — ვიშვიშით მორბის სონა, — ბარე ქათმებისთვის ბალახს ვგლეჯდი ბოსტანში და...

— რავი, წელან თავისთვის ბუტბუტებდა, ისეთი არაფერი შემიტყვია... მოდი, კასპში დარეკე, სასწრაფო გამოუშვან.

სონა მოხუცისკენ იხრება და დაკვირვებით ათვალიერებს — სასწრაფო აღარაფერია, მორჩა, გათავდა... — ქალი წელში იმართება და დაბნეული ასავსავებს ხელებს. — სად ოხრობაში მიგდია ეს მობილური... ჰოოდე, დავრეკავ მაინცა. შენ კიდე, რალას უდგახარ, ეგ ცრემლები შენთვის შეინახე და ნადი, კოლას დაუძახე, შენ ბიჭსა. კარგი მორბედია, სოფელს გააგებინოს...



## ქრისტიანული პოეზიის VI ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

2016 წლის 6 ივნისს უკვე მეექვსედ ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“. ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი).

ლონისძიება საზეიმოდ გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ლია დაუშვილმა**.

მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა ჟიურის თავმჯდომარე **ზაალ ბოტკოველი**. ჟიურიმ: **ლალი ჯაფარაშვილი, თამარ ფარჩუკიძე, ედუარდ უგულავა, ზაალ ბოტკოველი** ფესტივალის მთავარი პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა: **მურად მთვარელიძეს, ნინო მოდრეკილაძეს**.

ფესტივალის პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ: **ბადრი სულაძეს, გივი ჩილვინაძეს, კახა შალამბერიძეს, ელდარ ჭიჭიაშვილს, მაკა გელაშვილს**.

ფესტივალის პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ: **რუსუდან ჯინჯიხაძე, ვასილ ბოსტაშვილი, მანანა ქურდაძე, დიანა ტყეშუჩავა, სალომე გოგოლაძე, თემურ ცაბაძე, მაია მიქაია**.

დამსწრე საზოგადოებას ორგანიზატორებმა წარუდგინეს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ რიგით VI კრებული.

დასასრულ, ხელოვნებასა და მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დაჯილდოვდნენ: **ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, ბატონი კახა ცაბაძე**.


ფესტივალი ჩატარდა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, სალიტერატურო ჟურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის სახელობის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

გთავაზობთ გამარჯვებულ ავტორთა ლექსებს:



მაყვალა გონაშვილი



კახა ცაბაძე და ლია დაუშვილი



\*\*\*

ბეთლემი,  
 ბაგაში ვარსკვლავებს რა უნდათ?!  
 და მაინც,  
 ყველა ცა თითქოს აქ ანათებს,  
 ღვთისმშობელს,  
 სულში რომ ნათელი ჩაუდგა,  
 ახლა აქ, ბეთლემში  
 რომ აფრქვევს ცა ნათელს  
 და ყრმაი იესო  
 ანგელოზთ დასს უსმენს,  
 ცას უმზერს, ვარსკვლავებს  
 უღიმის, განა თვლემს?!  
 დეკემბრის ღამეა  
 და სადღაც, ბაგიდან,  
 ყველა ცა, ყველა მზე  
 სხვაგვარად ანათებს!...

.....  
 გოლგოთის გზაზე  
 უფენენ ეკლებს,  
 ეკალზე უფრო მწარეა ჯვარი,  
 არ წაფორხილდე,  
 რადგან ხარ მეკვლე  
 შენივე რწმენის  
 და უფლის კარიც  
 უნდა პირველმა  
 შეაღო ზესკნელს,  
 რადგან პირველმა  
 იტვირთე ჯვარი...

.....  
 სისხლის ნაკვალევს  
 აწყდება ცრემლი,  
 შენ ცის აღმართის  
 იებს როს ალევ,  
 გოლგოთის ზეცა  
 ღრუბლების ცელით  
 მოსხიპავს და მზეს  
 გამოუსალმებს  
 იესოს,  
 ჯვარცმას  
 გოდების წნელით  
 მიეჭედე და  
 მიელურსმანე,  
 თითქოს სამყაროს  
 უდგახარ მცველად  
 იერუსალემ!..

## მივედითო! — ბრძანა მღვდელმა

*„ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღიზნა სიკვდილი,  
 ვიდრე განცემა მეფისა და გაწირვა საქართველოდსა“*

შესდგომია აღმართს — აღმართ,  
 ჩქარი ნაბიჯებით,  
 მოძღვარს მძიმე ფიქრად, დარდად  
 გულზე მარწუხები...  
 ადევს, როგორც მზით და ქარით,  
 დამაშრული ლოდი,  
 უკან მისდევს მტრის ლაშქარი  
 ცეცხლის შავი ბოლით.  
 ცხირეთისკენ, თევდორეო,  
 მოვიტოვოთ კველთა,  
 აკანკალებს, გეგონება  
 დაეგესლოთ გველთა...  
 ანაფორას იენისის მზე  
 შუქად ადგას კვართის,  
 დასავლეთის ციცაბოებს  
 შორს ჩამორჩათ ქართლი...  
 მღვდელი მეფის შარავანდედს  
 ხედავს გულით, წმინდას,  
 ჯერ ადრეა, ნუ გადარდებს,  
 ლოცავს სულიწმინდა...  
 ღმერთთან მეფე ლუარსაბსო  
 შენ მიასწრებ, ხუცეს,  
 მღვდელი გახდა უასაკო,  
 გული ყელში უცემს.  
 სულ ცოტაც და მივედითო,  
 სიხარულით გარბის,  
 მტერს თევდორე ეჩვენება  
 ვერცხლეულზე ხარბი.  
 დასცინიან, — „ეს საბრალო,  
 გვიპოვია სწორად“,  
 მაგრამ გზასა იწროსა და  
 ძნელგასავლელ კლდოვანს...  
 როს მრავალნი მოლაშქრენი  
 ფოთოლივით მოსწყდნენ,  
 მიხვდნენ, რიხით მიმავლები  
 გაუვალს რომ მოსდგნენ.  
 ორად გაყო ზეცა ელვამ,  
 უვარსკვლავო ღამის,  
 მივედითო, ბრძანა მღვდელმა,  
 ჩემს ღმერთამდე ღამის...  
 სული სხეულს აესვეტა  
 თითქოს ჯავშნად იქცა,  
 უტკივილოდ დაეხეთქა,  
 დაესვენა მიწას...  
 მივედითო! — ბრძანა მღვდელმა,  
 აელვარდა ხმალი,  
 მივედითო! — და განიხვნა  
 ზეცის ყველა კარი!



### ნმიდა ქეთევან ნამეზული

(შაჰ-აბასთან ამბად მიტანილი)

– აბა მითხარი,  
 რა ამბავი ჩამომიტანე,  
 რა ხდება შირაზს,  
 დედოფალი შედრკა, შეშინდა?  
 – ო, მბრძანებელო, მოკვდა ისე,  
 როგორც წმინდანი,  
 ზეცას უშიშრად მიაბარა  
 მან სული წმინდა...  
 – რას როშავ, ბრიყვო!  
 ვინ თქვა ზეცად ურჯულოს სული!  
 ტყუილს თუ ამბობ,  
 არ შეგრჩება შენც მხრებზე თავი!  
 თქვი რომ ყვიროდა,  
 რომ შიშისგან გაუსკდა გული,  
 ცრემლით, მუდართით სავსე ჰქონდა  
 ორივე თვალი!  
 – ალაჰის მადლმა, აბა ტყუილს  
 ვიკადრებ შაჰთან?  
 ცრემლი რა არის, ერთი წვეთიც  
 არ დასდენია!  
 ჯალათმა ჰკეპა, ჯიჯგნა ხორცი,  
 მკერდი დაშანთა,  
 მას კი არც ერთი ამოოხვრა  
 არ დასცდენია.  
 უხმოდ იტანდა, ჩუმად საღვთოს  
 ამბობდა ლოცვას  
 და მხოლოდ ერთხელ –  
 უნდა გკადრო, დიდო შაჰინშაჰ, –  
 ამოიგმინა, ისიც მაშინ,  
 ჯალათმა როცა  
 შემოახია კაბა,  
 მკერდი როს გაუშიშვლა...  
 – ნადი! გამშორდი!  
 აღტაცებას ვერ მალავ, ბრიყვო!  
 სასჯელს მიიღებ  
 ამა ამბის შესაფერისსა...  
 „ვერ მოვერიე, ვერ მოვკალი,  
 ოხ, ეს რა მიყო!“  
 და ამის შემდეგ მოსვენება  
 შაჰს არ ეღირსა...

.....  
 ვერ მოერიე, ქალს, აბასო,  
 თითქოს უმწეოს,  
 ვერ მოერიე მინას შენგან  
 ბევრჯერ გათელილს!  
 და შენს ცოდვილ სულს,  
 ჯოჯოხეთის ცეცხლი უწევსო,  
 საქართველოს კი ქეთევანის  
 ადგას ნათელი!

\*\*\*

მამაო  
 სუ, არ შეშინდეთ,  
 არ დაგიფრთხობთ მხარზე  
 ანგელოზს,  
 მე თქვენს თვალებში  
 ავიშენე ბროლის ტაძარი,  
 სუ, არ შეშინდეთ,  
 არ დაგიფრთხობთ მხარზე  
 ანგელოზს,  
 ღმერთია ჩემში  
 ალადგინა როგორც ლაზარე...  
 და როცა ცოდვებს დაგაფერთხავთ,  
 ფიქრებს აგიშლით,  
 ლეგიონია ამ დროს სულში,  
 იცით მამაო, ხელს ნუ გამიშვებთ.  
 სუ, არ შეშინდეთ,  
 არ დაგიფრთხობთ მხარზე  
 ანგელოზს,  
 მხოლოდ სიმშვიდეს მოვიპარავ  
 თქვენი მხრებიდან...  
 ხო, მე თქვენ ღმერთით  
 დამაპურეთ, როგორც ბელურა,  
 ახლა ვხვდები და  
 ავიშენეთ რწმენის ტაძარი.  
 იცით მამაო,  
 არ დაგიფრთხობთ მხარზე  
 ანგელოზს,  
 მხოლოდ სიმშვიდეს მოვიპარავ  
 თქვენი მხრებიდან.

### ელდარ ჭიჭიაშვილი

### ალავერდიან ფერეიდნამდე

ალავერდიან ფერეიდნამდე  
 გოდებით მოგდევ გლოვის კედელო,  
 რა სისხლის კალო გაგვალენინე,  
 ქართველთა ბედის დამბადებელო!  
 უკან მომბლავის გრემ-ალავერდის  
 ნამდულრ-ნალენი გუმბათ-თაღები,  
 იავარქმნილი და ცეცხლის გუთნით  
 გადაბელტილი ედემ-ბალები!  
 მილურსმული ვარ გულით ჯვარცმაზე,  
 დალენილი მაქვს ოთხივ კიდური!  
 რა ულმობელი გახდა სოფელი,  
 თვალში სისხლისფრად შემოზინდული!  
 ეკლის გვირგვინით ნაგვემი სისხლის  
 მეც მომესხურა მდულარე ცვარი  
 და ვით უხორცო, ვიშვი ხელახლა.  
 სულამონვდილი და უშიშარი!  
 გზა გზა ქართველთა ძვლები ვაგროვე,  
 შემომაგებეთ გლოვის მგოსანნი,  
 ლახვარდაკრულმა როგორღა ვზიდო  
 ურვა-გოდების კრიალოსანი?!  
 ობლის ცრემლებით შემომეტირა  
 თათრის ნაგვემი, ჩემი ქართული,  
 გულიდან ძალით ამოგლეჯილი,  
 სისხლიდან ცეცხლით ამოშანთული,  
 მაგრამ სულს ისე დანატრებული,  
 ტკივილშია ც კი ნელგამართული,



როგორც მთის წყარო წმინდა, კამკამა,  
სადღაც შამხნარში გადაკარგული!  
მადლად მიიღე ღვთისმშობლის ცრემლი,  
სალბუნ-მალამოდ წმინდა გიორგის  
სამას სამოცდახუთი ნაწილი  
და დაფლეთილი სახსარ-იოგი!  
ნუ, არ დადუმდე ჰანგო ქართულო,  
გულს ნახუტებო, პაპის ფანდურო,  
უფლის ჩიტივით ტკბილმოლულუნევ  
და ნინოს თმებით ამოქარგულო!

## ბივი ჩილვინაჰი

### ველტყევის მონასტერი

„რაჭაში... სხარტალიდან ერთი საათი მივიდიოდით ჩრდილო-  
აღმოსავლეთით უდაბნომდე (განდევითა საყუდელი),  
სადაც ჩვენ გავათიეთ წვიმიან ღამეში. ეს არის მართლაც  
უდაბური ადგილი, სადაც 6 მოხუცი ბერი, რათა ღმერთს  
ემსახურონ, მკაცრ ცხოვრებას ეწევა...  
დგას ქვიტიკირის ეკლესია,  
რამდენიმე საუენი სიმაღლის ხის პატარა სახლებით.  
გარშემო სულ ხშირი წიფლის ტყეებია, ადგილი მაღალია“.

**გერმანელი მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი  
ველტყევის (სხვაჯის) მონასტრის შესახებ  
1772 წელი, 19-20 ივლისი**

ამ მაღალ ადგილს ხან მზე დაჰნათის,  
ხან წვიმიანი ღრუბლები ფარავს,  
ახლა კი აკრთობს ზაფხულის ღამე,  
და მთვარე მწყემსავს ვარსკვლავთა ფარას.

აქ ნამონასტრალ ლოდთა ლოდინში  
ჩემი ფიქრების საღვთო ახლა  
და მეჩვენება, რომ ზეციერთან  
ამ ქედებიდან უფრო ახლოა.

იფიქრებ კაცი, რას გრძნობს ნანგრევი  
წარსულში ლოცვად ანთებულ ტაძრის,  
დრო რას დააჩნევს ღმერთისკენ ლტოლვას  
ან ელვარებას ღვთიური აზრის?

საით მიდიან საუკუნენი  
ზურგზე შესმული მწირი მხედრებით,  
ან სუფევისკენ მიდრეკილ სულებს  
თუ ვემსგავსებით ლოცვა-ვედრებით?..

ზოგჯერ შორეულ ანგელოზისკენ  
გამეპარება იმედით თვალი  
და მისი ფრთებით დაძრული შუქი  
ჩამოიღვრება ზეციდან წამით.

ჩამოიღვრება და მყისიერად  
რალაც ღმობიერ სიცხადეს მაძლევს,  
შემეხოს იქნებ იმისი ფერი  
და ყველა აღმართს სიამით დავძლევ...  
ღამესაც ახლავს ნაზი ნათელი —  
უცნაურ ელვად იფრქვევა მაღლი...  
მერე იღვიძებს უცნობი განცდა —  
გადასულ დროთა ცოცხლდება კადრი:

ვიხსენებ — თითქოს მეც აქ ვიყავი,  
ჟამების მიღმა, დიდი ხნის წინათ,

სტუმრად მიგვიღეს წმინდა მამებმა  
და მთელი ღამე გვართობდა წვიმა.

იმხანად ჩემი გვარის კაცთაგან  
მეფესთან ყოფნა მევალა უმცროსს,  
იმ დღესაც ჩვენმა სოლომონ დიდმა  
გამოგვაყოლა მოგზაურს უცხოს...

მეორე დილას აქვე ტაძარში  
ვუსმენდი წირვას, სადილის შემდეგ  
გამოგვაცილეს ბერებმა რიდით,  
დაგვლოცეს და ტყის ნაპირას შედგნენ.

ულრანის წიაღს შეჩვეულები,  
ნატვრას რომ წმინდა ლოცვებთან თხზავდნენ,  
ცნობისმოყვარედ გვიმზერდნენ ერთხანს  
ცხენებზე ლაღად აღმართულ მგზავრებს...

და გამოყვევით დროის მდინარეს  
იქიდან, სადაც ფიქრებს მივდენი,  
აქ ისევ ისე — ჰორიზონტებზე  
უცვლელად თრთიან ზეცის კიდენი.

ეს საუკუნეც წყვიდადს მიჰკვალავს,  
დუმილით უცქერს მიდამოს მთიანს —  
სად მაშინ ენთო ტაძარი სხივად,  
დღეს მხოლოდ მცირე სანთლები კრთიან...

იმედად ღმერთი დროდ განფენილი  
კეთილს აღადგენს და ბოროტს წაშლის,  
იქნება სადმე ეს სტრიქონებიც  
შემორჩეს, როგორც წარსულის ნაშთი...

## მაკა ბელაშვილი

### მედავითნე

*უძღვნი ჩემს მოძღვარს — დეკანოზ დავით შაქარაშვილს*

ღვთის მსახური ვარ,  
ჩემი სიტყვა თუ ასურნელებს  
ასე მასწავლეთ, ასე მიჩიქეთ...  
გმადლობთ, მამაო, თქვენ მაკურთხეთ,  
თქვენ ამირჩიეთ!

ვალდებული ვარ  
უსხეულო არსებებს ვგავდე,  
უმანკოება, სიფაქიზე  
ამკობდეს ჩემს სულს...  
ბაგეზე მაღლი დამფენოდეს ყოველწამიერ,  
მამაო, ეს მსურს!

შვიდგზის გავწმინდე სინდისი  
და აქ ვდგავარ თქვენთან,  
თუ ვდუმვარ — ღვთისთვის,  
ვლაპარაკობ? — ისევე ღვთისთვის...  
რაოდენ დიდი პატივია ვიყო მსახური,  
დავიმსახურე, მამაო, რისთვის?

მიუნვდომელი სიხარულით  
ვუგალობ უფალს,  
ყოველი სიტყვა გულისგულში  
ჩადის და მერთვის...  
ლექსით მადლობის თქმა მინდოდა,  
მამაო, თქვენთვის!





**გერმანე სადულაევი**

54



გერმანე სადულაევი დაიბადა 1973 წელს ჩეჩენო-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფელ შალიში. დამთავრებული აქვს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პროზაიკოსი, პუბლიცისტი. არის ფინალისტი პრემიებისა: „რუსული ბუკერი“, „ნაციონალური ბესტსელერი“, „დიდი წიგნი“. მიღებული აქვს პრემია „ევრიკა“ (2008), ჟურნალ „ზნამიას“ ლიტერატურული პრემია (2010). ცხოვრობს და მუშაობს სანკტ-პეტერბურგში. მოთხრობა „ღვთის მანანალა“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ზნამიას“ 2008 წლის VII ნომერში.

**ღვთის მანანალა\***

ეს იყო დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის წინათ. იმ შორეულ, მითიურ წარსულში, როდესაც ერთ ადამიანს ჯერ კიდევ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მეორე ადამიანთან. მაშინ გამეფებული იყო ტოტალური მონობის ატმოსფერო. თითქოს, თითოეული ადამიანი ურთიერთობდა სხვებთან და მთელ საზოგადოებას კავშირი ჰქონდა ყოველ მათგანთან.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ სხვა, სავსებით თავისუფალ სამყაროში. სამყაროში, სადაც ადამიანს უფლება აქვს ცხოვრების ფსკერს დაენარცხოს. მას არავინ გააჩერებს, ზევით არავინ ამოათრევს, უფსკრულის პირას მდგარს არავინ დააზღვევს. ადამიანი ახლა შეიძლება იყოს უსახლკარო, შეიძლება იყოს ლატაკი. არავინ არ დაარღვევს მის წმიდათაწმიდა უფლებებს — დაეხმარებიან კიდევაც, რათა საკუთარი გადანყვეტილების სისწორეში დაარწმუნონ. მაგალითად, თუ ადამიანი მარტოდ დარჩა და სმა დაინყო, მის შესახებ იგებენ ბინებზე დადარაჯებული თაღლითები და წინასწარ შემუშავებული სქემით ბინას სხვის სახელზე აფორმებენ. ბინის ნამდვილი მესაკუთრე კი ქალაქკარეთ გაჰყავთ, ანდა სულაც ქუჩაში აგდებენ, რამეთუ ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და თითოეულს სრული უფლება გვაქვს თავქვე დაქანებული ფსკერამდე ჩავგორდეთ.

ადრე ასე არ იყო. თუ ადამიანი სამსახურში არ დადიოდა, ლოთობდა, ან კითხულობდა წიგნს — „მშვიდობის ვარდი“, მას იძახებდნენ პროფკავშირში, ქარხნის ადმინისტრაციაში, ფაკულტეტის დეკანატში, მგონი თავად სახალხო კომისართა საბჭო იხილავდა მის საქმეს. ის თუ ერთ სამსახურს ანებებდა თავს — მეორეს სთავაზობდნენ. თუ წყალნაღებულ ლოთი იყო სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მიჰყავდათ და მკურნალობდნენ. თუ მამაკაცს ცოლი მიატოვებდა — მიტოვებულს სხვა ქალი პოულობდა, კოლექტივი კი თავდებად უდგებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

**ღვთის მანანალა\*** — რუსულად მოთხრობას ჰქვია „Бич Божий“. ქართულ ენაში სიტყვა БиЧ-ის შესატყვისი ტერმინი არ არსებობს. БиЧ-ებს ეძახდნენ ჩამოსულ ადამიანებს, რომლებიც სეზონური სამუშაოებისას არაოფიციალურ მოჯამაგირეებად უდგებოდნენ სოფლებს. ისინი ძირითადად უმოწყალო ლოთობისგან დეგრადირებული ადამიანები იყვნენ და ახასიათებდათ გაუაზრებელი ლტოლვა ხეტილისადმი, ადგილის მონაცვლეობისა და წანწალისადმი.

უწინდელი ტოტალიტარული საზოგადოება ეფუძნებოდა ამაზრზენ მონობას, ადამიანის ექსპლუატაციას და მის სულზე ძალადობდა. ადამიანი სახელმწიფოს მთავარ ფასეულობას წარმოადგენდა და თითოეული მათგანი ესაჭიროებოდა. სახელმწიფოს არ შეეძლო დაეშვა, რომ ადამიანები, ეს უძვირფასესი ვალუტა ასე უბრალოდ დაკარგულიყო. არა, საქმე რაღაც განსაკუთრებულ ჰუმანიზმში არ ყოფილა — ადამიანები ნამდვილად სჭირდებოდათ: რათა ყამირი გაეტეხათ, საუკუნის მშენებლობებზე დაესაქმებინათ, გაეყვანათ მაგისტრალები ტაიგის გავლით და ვენერიდან მარსამდე, გამოეჩარხათ იარაღი, ემსახურათ მსოფლიოში ყველაზე დიდ არმიაში და წელიწადში ორჯერ მოეწყოთ დიადი აღლუმები. სპექტაკლის საზოგადოება, ეს იყო სპექტაკლის საზოგადოება უზარმაზარი მასიური სცენებით, სადაც როლი თითოეულისთვის მოიძებნებოდა.

ახლა კამერული სპექტაკლის საზოგადოებაა. ბატონებს გარკვეული რაოდენობის მსახურები — სტატისტიები ესაჭიროებათ, რომლებიც ამცნობენ: მიერთვით, გეთაყვა!

ადამიანის სიცოცხლე აღარაფრად ღირს, რადგან იგი ამინომჟავებისგან შედგება, ამინომჟავებს კი ფასი არა აქვს. აი, კაცობრიობა რომ ნახშირწყლებისგან შედგებოდეს! ადამიანთა რიცხვის შემცირება კარგია, რადგან დარჩენილებს მეტი ნახშირწყლები შეხვდებოდათ.

ოდესღაც, მსგავსი მიზეზით მონათმფლობელური წყობილება დაიშალა. მონების კვება ხეირს აღარ აძლევდათ — რადგან თავიანთი შრომით სალაფავის ღირებულებასაც ვერ ანაზღაურებდნენ. სალაფავი გაძვირდა, მონები კი აღარ სჭირდებოდათ. ასე დაეცა რომი.

აი, ჩვენს დროშიც, თუ ადამიანი მასწავლებელი ან ფოსტალიონია, ის არ ამართლებს მასზე დახარჯული ნახშირწყლების ღირებულებას. ნახშირწყლები ძალიან ძვირია, ადამიანებს კი ფასი აღარ აქვთ. ამდენად, ყველასთვის გაცილებით უკეთესი იქნება თუ მასწავლებლები და ფოსტალიონები დაიხოცებიან. პენსიონერებზე რაღა უნდა ითქვას? უნდა რცხვენოდეთ, რომ კიდევ ცოცხლები არიან.

თუმცა, ადამიანი უცებ არ კვდება. და ჩვენი საზოგადოება, თავისუფალი საზოგადოება გულმო-



წყალა — ყველა ზედმეტ ადამიანს დაუყოვნებელ ფიზიკურ სიკვდილს არ ავალდებულებს. შეგიძლია იცხოვრო, სიცოცხლეს არავინ გიკრძალავს. მთავარია არ ხელყო ყველაზე წმიდა რამ — ნახშირწყლები.

ეს თავისუფალი სამყაროა.

და სულაც არ მიკვირს, როდესაც გლახაკებს ვხვდები მეტროში, მანანალებს ნევის პროსპექტზე, ბოშებს ლენინგრადის სარკინიგზო სადგურზე — ევროპის ყველაზე ძვირადღირებული დედაქალაქის მთლად ცენტრში და საზიზღარ, დაგლეჯილტანსაც-მლიან ადამიანებს, რომლებმაც ყაზანის რკინიგზის სადგური სამარადუამოდ დაიპყრეს.

მაგრამ ის, წარსული სამყარო თავისუფალი არ ყოფილა.

ამდენად, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება: საიდან გაჩნდნენ მანანალები?

ამის სოციალური წინაპირობები ნამდვილად არ ყოფილა. ეს ადამიანები ცხოვრებაში ძნელად იკვალავდნენ გზას, დინების წინააღმდეგ მოძრაობდნენ და პროფკავშირების, სახლმმართველობებისა და შრომითი კოლექტივების მჭიდრო მწკრივების გარღვევა უწევდათ. იმ დროს, მანანალებად რომ ქცეულიყავი, ძალიან დიდი შეუპოვრობა იყო საჭირო.

და ისინი მაინც არსებობდნენ.

შეიძლება დავიხმაროთ ფსიქიატრიული ტერმინი. ნომადიზმი — ცნობილი და საკმაოდ კარგად შესწავლილი დაავადებაა. მისი სიმპტომებია გაუაზრებელი სწრაფვა მომთაბარეობისა და ხეტიალისადმი, ადგილის მონაცვლეობისა და წანწალისადმი, მიდრეკილება ცხოვრების ანტისაზოგადოებრივი წესისადმი. ნომადიზმი საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში აქცენტუაციის საზღვრებს არ სცილდება. ნომადიზმის სოციალურად მისაღები ფორმით — ტურიზმით — ფულიც კი კეთდება.

ყველაფერი, რისგანაც ფულის გაკეთება შეიძლება, თავისუფალ სამყაროში სოციალურად მისაღებად ითვლება. სწორედ ესაა სოციალურად მისაღებლობის კრიტერიუმი.

ყველაფერი, რაც მოგებაზე არ არის მორგებული, ითვლება ნორმიდან სახიფათო გადახრად და უარყოფილია.

ვკიდულობთ რა საგზურს და ჩარტერული რეისის ბილეთს აეროპორტიდან ორ, სამ, ოთხ ან ხუთვარსკვლავიან სასტუმრომდე გადაყვანის უფლებით, ჩვენ საზოგადოებისგან ვიღებთ ნომადიზმზე ლიცენზიას და შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ საკუთარი მიდრეკილება მოხეტიალე ცხოვრებისადმი სოციალურად მისაღები ფორმით. უამრავი დამსვენებელიდან, შვებულებისას, ზოგი ზღვისკენ და ზოგიც დათოვლილი მწვერვალებისკენ მიილტვის.

მაგრამ ამაზე ლაპარაკი სულაც არ მინდოდა. საუბარი მანანალებზეა

რა ვიცოდი მაშინ, შორეულ ოთხმოციან წლებში, მეოთხე და უკანასკნელი რომის იმპერიის შორეული პროვინციის სოფელ შალის საშუალო სკოლის მოსწავლემ, პიონერმა, აქტივისტმა და ყმანვილმა ინტელექტუალმა უსახლკარო მანანალებზე? ძალიან ცოტა.

ვისოცკი, სიმღერაში „მეგობარ უსახლკარო მანანალებზე“ ლირიკულ გმირს, ასევე მანანალებს, ურჩევს ნავიდეგს ვაჩაზე, ოქროს საბადოებზე, რათა ახალი, ნათელი მომავლისთვის ფული იშოვოს. კიდევ მახსოვს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია.

ეს ყველაფერი ნაკლებად მეხმარებოდა, რათა ამ მოვლენის სოციალურ არსს ჩავწვდომოდი. თავად ფენომენს, როგორც მის ფიზიკურ განსხეულებას,

ვიცნობდი. ჩვენთან უსახლკარო მანანალებს ეძახდნენ ლოთ ადამიანებს, რომლებიც სეზონური სამუშაოებისას მოჯამაგირებებად უდგებოდნენ სოფლებებს და ძირითადად უმოწყალო ლოთობისგან დეგრადირებული ადამიანები იყვნენ. ისინი ფარდულებსა და ძველ ბოსლებში ლუკმა-პურისთვის მუშაობდნენ. შრომობდნენ არყისთვის, იშვიათად ფულისთვის, რომლითაც ისევ არაყს ყიდულობდნენ. ისინი თოხნიდნენ ბოსტნებს, ბოსლებს ნაკელისგან ასუფთავებდნენ, მშენებლობებზე შავ სამუშაოს ასრულებდნენ და თავზარდამცემად გამოიყურებოდნენ: დაუბანლები, გაუპარსავები და თმაგაბურძგნილები. სახეები ალკოჰოლისა და მზის ზემოქმედებისგან მოლურჯო მონითალო ჰქონდათ და ნაბახუსევს საზარელ სუნად ყარდნენ.

არც ერთი მათგანი ჩეჩენი არ ყოფილა.

არც ერთი ჩეჩენი ოჯახი, თუგინდ ღარიბი, ადამიანის ასეთ დაცემას, თუნდაც მათი ყველაზე უზნეო ნაშიერი ყოფილიყო, არ დაუშვებდა. ჩეჩენი, თუკი გაბედავდა და გადანყვეტდა ზნედაცემული მანანალები გამხდარიყო პროფკავშირებისა და შრომითი კოლექტივების გარდა კიდევ ერთი დაბრკოლება უნდა გადაეღებინათ — ოჯახი და თემი. ეს ბარიერი არავის დაუძლევიან. იყვნენ მსმელი ჩეჩენები, ცოტა, მაგრამ იყვნენ. და მათ აგზავნიდნენ სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში და თუკი ამასთან ერთად ისინი ახერხებდნენ და დანაშაულსაც სჩადიოდნენ — ციხეში. მაგრამ ციხიდან და სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან კვლავ შინ, ოჯახში ბრუნდებოდნენ, სადაც ტუქსავდნენ და ცდილობდნენ გამოეცნორებინათ, მაგრამ ქუჩაში არ აგდებდნენ. არც ერთი მათგანი უსახლკარო მანანალებად არ ქცეულა

უსახლკარო მანანალებს ნათესავები არ აგონდებოდათ. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი რუსები იყვნენ.

ახალგაზრდა ჩეჩენებისთვის, თუ ისინი მშობლიურ სოფლებს არ იყვნენ გაცილებულნი, ძნელი გასაგები იყო, რატომაა რუსეთი — კულტურული, თავისუფალი, დიდი ნაცია. რუსებს, რომლებსაც ყოველდღიურად ხედავდნენ, იყვნენ ზნედაცემული მანანალები და მონები.

კაზაკები, რომლებიც ჩეჩენების მეზობლად ცხოვრობდნენ, მხედველობაში არ მიიღებოდნენ, კაზაკებს რუსებად არ მიიჩნევდნენ. მათი ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, ცხოვრებისეული სტრატეგია და ქცევითი სტერეოტიპები პრაქტიკულად ისეთივე იყო, როგორც მთიელების. კაზაკები რუსებს აგდებულად უყურებდნენ — მათ ეძახდნენ მოსკალებს\* და ჩალდონებს\* და კიდევ როგორღაც, ასევე დამამცირებლად. თავად კაზაკები თავს კაზაკებად თვლიდნენ და არა რუსებად.

მოხუც ჩეჩენებს, რომელთაც ომი და გადასახლება კარგად ახსოვდათ, ახალგაზრდების შეხედულებებს არ იზიარებდნენ. მათ სჯეროდათ, უზარმაზარი რუსეთისთვის, ამაყი ჩეჩენი ერის გასანადგურებლად, ნეკა თითის შეტოკებაც კი საკმარისი იქნებოდა.

ახალგაზრდები მოხუცებს ყურს არ უგდებდნენ. ეს კავკასიაშიც ასეა. ოთხმოცდაათიან წლებში, ჩეჩენებს ეგონათ, რომ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდათ — ყოველ შემთხვევაში, არა ჩუმი და დაბეჩავებული რუსი

**მოსკალები\*** — მეტსახელი, რომელიც უკრაინულ, პოლონურ, ბელარუსულ ენებზე ხშირად გამოიყენება რუსების მიმართ სიძულვილის, ან ზიზღის ელფერი; აბუჩად ასაგდებად, ასევე ირონიული, ხუმრობითი მნიშვნელობით.

**ჩალდონები\*** — ციმბირში პირველი რუსი ჩასახლებულებისა და მათი შთამომავლების სახელწოდება.





„მუჟიკები“. ალბათ, რუსებზე ფიქრისას ახსენდებოდათ სოფლებს შეხიზნული უუფლებო და უსახლკარო მანანნალები.

უსახლკარო მანანნალები ჩეჩნურ თემებს ბუნებრივად ერწყმოდნენ. ისტორიკოსები წერენ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე, ჩეჩნეთში მონობა იყო გავრცელებული, რომელსაც პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა. ასე რომ, მონა ოჯახის წევრი ხდებოდა, მაგრამ ძალიან შეზღუდული უფლებებით. მამაკაცებს ადგილობრივ ქალთანაც შეეძლოთ ქორწინება და შთამომავლები თემის სრულფასოვანი წევრები ხდებოდნენ, თუმცა მათ წარმომავლობას არავინ ივიწყებდა. უკვე საბჭოთა წყობილებისას, პარტიის რაიკომის პირველი მდივნისთვისაც კი შეეძლოთ შეეხსენებინათ, რომ ის მონების შთამომავალია და მისთვის უარი ეთქვათ ქალიშვილის ხელის თხოვაზე და პატივისცემაზე. მონების შთამომავლებს თავიანთი ადგილი უნდა სცოდნოდათ.

თავად ჩეჩნები თვლიან, რომ მათ წრეში არასდროს ყოფილან თავადები და მოჯამაგირეები. და ეს თითქმის ასეა. ძველმა გადმოცემებმა შემოინახეს ისტორიები თავადებზე, რომლებიც მწყემსებად ქირაობდნენ ზოგიერთი ჩეჩნური გვარის მამამთავრებს. როდესაც ჩეჩნები მთიდან ვაკეში ბრუნდებოდნენ, მინები უკვე ყაბარდოელი და თურქი ფეოდალების საკუთრებაში იყო. ჩეჩნები იძულებულნი ხდებოდნენ მათ ვასალებად ქცეულიყვნენ. მაგრამ ასე დიდხანს არ გრძელდებოდა. გადმოცემები, როგორც წესი სრულდება იმით, რომ ჩეჩნები კლავენ თავადს და მინაზე უკვე ბატონის გარეშე, დამოუკიდებლად აგრძელებენ ცხოვრებას. ჩეჩნები ერთმანეთს არ ქირაობდნენ — მათ ფარებს მწყემსავდნენ „გადამთიელი ადამიანები“ დაღესტნიდან და სხვა მხარეებიდან.

რუსი ისტორიკოსები და რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკები თვლიდნენ, რომ ყველა ჩეჩენი მიეკუთვნება ერთ ნოდებას — მთის თავისუფალ აზნაურობას. რუსეთში ცხენით სიარული და იარაღის ტარების უფლება მხოლოდ კეთილშობილ ადამიანებს ჰქონდათ. კავკასიაში კი თითოეული მამაკაცი ცხენზე იარაღით იჯდა და გარდა ალაჰისა მათზე არავინ ბატონობდა.

საბჭოთა უსახლკარო მანანნალებმა, ჩეჩნების ცნობიერებასა და საზოგადოებაში, მყარად დაიკავეს მონის, გადამთიელი მოჯამაგირის ადგილი.

საბჭოთა წყობილებისას, მეურნეობებსა და სოციალისტურ სანარმოებში, ჩეჩნები, რა თქმა უნდა, ქირით მუშაობდნენ, რაც მონობად არ აღიქმებოდა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ მინა და სანარმოო საშუალებები საერთო სახალხო საკუთრებად გამოაცხადა. საოჯახო მეურნეობებში კი მოჯამაგირებად უთუოდ უცხო ტომელი კაცები მუშაობდნენ.

აქტიური ჩეჩენი მამაკაცები, სხვა მხარეებში, საშოვარზე ბრიგადებად დადიოდნენ. გაზეთები ასეთ პრაქტიკას გამოხდნენ, მაგრამ პროპაგანდა ვერავის აკავებდა, რადგან სამ თვეში მათ საშუალება ეძლეოდათ მთელი წლის სამყოფი ფული გამოემუშავებინათ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვისოცკის სიმღერაზეც ვთქვათ: ალბათ, ვლადიმირ სემიონოვიჩმა ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა არ იცოდა, ან მის გარემოცვაში ამ სიტყვებს სხვა აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. მისი სიმღერის გმირი, ყველაფრიდან გამომდინარე, იყო არა უსახლკარო მანანნა, არამედ საშოვარზე წასული ადამიანი. ისინი მდიდარ კოლმეურნეობებში, ფერმების ასაშენებლად მიემგზავრებოდნენ, სადაც ობიექტის ჩაბარებისთანავე ნაღდ ფულს უხდიდნენ

და ანგარიშის გასწორებისთანავე შინ ბრუნდებოდნენ. ხანდახან მათ უსახლკარო მანანნალები ეკედლებოდნენ.

როგორც ჩანს, კოლკა შალიში ასე მოხვდა.

ეს მოთხრობაც მასზეა.

კოლკა შალიში შემოდგომაზე გამოჩნდა, როდესაც ჩეჩნები სეზონური საშოვრიდან დაბრუნდნენ. ის ბრიგადირ სულთანთან დასახლდა. სკოლიდან მომავლები, ვხედავდით, როგორ თოხნიდა მავთულის ბადით შემოღობილ მინის დიდ ნაკვეთს. მას მხარზე ცისფერი ლუზა ჰქონდა ამოსვირინგებული. ალბათ, შორეულ წლებში, მეზღვაური იყო. ნელზევით შიშველი კოლკა, როდესაც წელში გაიმართებოდა და მინაში ჩასობილ ნიჩბის ტარს ხელებით დაეყრდნობოდა, მკერდზე კიდევ ერთი ტატუს დანახვა შეგვეძლო: დიდი ჯვარი და ჯვარზე ადამიანის სილუეტი, რომელსაც თავი დახრილი ჰქონდა, ცალი ფეხი კი მოხრილი. ეს რას ნიშნავდა, ჩვენთვის უცნობი იყო.

კოლკა სულთანთან, სახლზე მიშენებულ ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობდა. თუკი არ მუშაობდა ქუჩაში, სულთანის ჭიშკართან იჯდა. სკამი თავად კოლკამ გააკეთა. ჩვენს ქუჩაზე, ჭიშკართან სკამი არავის ედგა. როდესაც სახლშიც და ეზოშიც უამრავი საქმეა სკამზე უსაქმურად არავინ დაჯდება და დროს უაზრო ლაყობაში არ გაიყვანს, მაგრამ მაინც ისხდნენ და უსაქმურობდნენ და რადგანაც სკამები არ იყო, უბრალოდ ჩაცუცქდებოდნენ ხოლმე. კოლკამ სკამი გაიკეთა და მოხერხებულად დაჯდა.

კოლკას მიბაძვით მთელმა ქუჩამ ჭიშკრებთან სკამები მოაწყო.

მოხუცები თავს გაკიცხვით აქნევდნენ, მაგრამ ტექნიკური პროგრესის შეჩერება არ შეეძლოთ.

იჯდა კოლკა და სამყაროს ნათელი, ცისფერი თვალებით შესცქეროდა — უშფოთველად და მშვიდად იღიმებოდა. კოლკა ყველა გამვლელს ესალმებოდა. ეს მას ძალიან მოსწონდა.

ზოგიერთ მოხუცს რუსული ცუდად ესმოდა. მეზობლებმა კოლკას აუხსნეს, რომ ჯობდა მოხუცებს ჩეჩნურად მისალმებოდა, თან ფეხზე წამომდგარიყო. იგი დარიგებას სერიოზულად მოეკიდა. ახლა თეთრწვერა ბერიკაცის დანახვაზე კოლკა სკამიდან დგებოდა და ამბობდა: „ხო ვოხშ ვუ!“ პატარა ბიჭები დამახინჯებული გამოთქმის გამო დასცინოდნენ და სთხოვდნენ, როდესაც მათ ესალმებოდა, ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ ვერ აბრიყვებდნენ. ის მხოლოდ იცინოდა და თავს აქნევდა. ხანდახან თითითაც ემუქრებოდათ: რა ჩაიფიქრეთ, თქვე ანცებოო?!

ასეც ხდებოდა, ცელქობისას ბავშვები კოლკას კენჭებს ესროდნენ. ასეთ დროს, კოლკა ეზოში შედიოდა, უკან ბალის დიდი მაკრატლით — სეკატორით ბრუნდებოდა და მრისხანე სახით ყვიროდა: დაგიჭერთ და ყურებს დაგაჭრითო!

დიდ ბიჭებს ამისი არ სჯეროდათ, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის კენჭების სროლას თავს ანებებდნენ, პატარა ბიჭები კი სახლებში ღრიალით გარბოდნენ. მალე დედებმა, კოლკას მუქარები თავიანთი სააღმზრდელი მიზნებისთვის გამოიყენეს. თუ ბავშვები უზომოდ ცელქობდნენ, მკაცრად ეუბნებოდნენ: „თუ ასე გააგრძელებ, კოლკასთან ნაგიყვან და ყურებს დაგაჭრისო“. ეს სიტყვები ბავშვებზე ცივი შხაპივით მოქმედებდა. ისინი ყურებზე ხელისგულს იფარებდნენ, გრძელ წამნამებს აფახულებდნენ და თავებს აქეთ-იქით აქნევდნენ, რაც ალბათ ნიშნავდა: „ოლონდ ყურები არ დამაჭრათ და მეტს აღარ ვიზამო!“ ეს ძალიან სასაცილო იყო, განსაკუთრებით დიდყურა მაგომედის



შემთხვევაში. აი, ვის გაულამაზდებოდა ყურები, მაგრამ სხვა ბავშვებზე მეტად სწორედ მაგომედი დაჰკანკალებდა ყურებს და ერთბაშად გამგონე ხდებოდა.

დადგა ზამთარი. დეკემბრის ერთ ღამეს, ციდან ბრჭყვიალა ფიფქები დაემუნენ და სახლები და ქუჩები თოვლის მოსასხამით დაფარეს. კოლკა დილით, ჭიშკართან, ხის ნიჩბით იდგა და პატრონის მანქანისთვის გზას წმენდდა. სულთანმა ძველი ბენვის ქუდი, დაბამული ჯუბა და შალის ცალთითა ხელთათმანები აჩუქა. ფეხზე ნაცრისფერი ნაბდის ჩექმები ეცვა, რომლებიც რეზინის კალოშებში ჰქონდა წაყოფილი. კოლკამ განსაკუთრებით გაიხარა, თოვლს ხელით იღებდა, სახესთან მიჰქონდა, ყნოსავდა, თავს ვერ იკავებდა და ლოკავდა.

საქმეები რომ მოათავა, კოლკამ თოვლი ერთ ადგილას შეაქუჩა და სალამოს ორი ვედრო წყალი მოასხა. დილით, ქუჩაზე ნამდვილი სასრილო ბორცვი წამოიშარათა. კოლკა ბორცვიდან საჯდომით დაცურდა და სახით თოვლს დაებერტყა. კვირა იყო და მთელი დღე ბორცვზე ვიცურავეთ, ზოგმა ციგებით, ზოგმაც საკუთარი საჯდომით. უფროსებმა სახლებში ძალით შეგვრეკეს.

მომდევნო დღეებში დაცხა. ბორცვი დადნა და ჩანვა. კოლკა ბორცვს გარს უვლიდა, წუხდა და ცდილობდა ნიჩბით შესწორებინა. რალა თქმა უნდა, ჩვენთან ისეთი თოვლი არ მოდის, არც ისეთი სუსხია ლოყები აგინვას და არც ისეთი ჯადოსნური ზამთარი, როგორც კოლკას სამშობლოში. ბიჭებსაც კი შეგვებრალა: ბორცვიც და კოლკაც და საკუთარი თავიც, რომ ჩვენთან ნამდვილი ზამთარი არ იცის.

ზამთარს გაზაფხული მოჰყვა. აკაციათ თეთრად იფეთქა. ალუბლები და ვაშლი გაყვავდა. კორდიდან სწრაფად ამოიზარდა მწვანე ბალახი და ყვითელი ბაბუანვერებითა და ბაიებით დამშვენდა. კოლკა სულთანის ბალსა და ბოსტანში მუშაობდა: პომიდორსა და კიტრს რგავდა, ხეებს ბარავდა, ნაკვეთში ნაკელს ეზიდებოდა. ხოლო როდესაც ზაფხული დადგა და უსაშველოდ დაცხა, კოლკა სულთანისაგან წავიდა.

„არაფერი მიწყენინებია, ოჯახთან ერთად, ერთ მაგიდასთან ვაჭმევდი და ვასმევდი, — სულთანი მეზობლებთან თავს იმართლებდა, — ის ჩემს შვილებზე ბევრს არ შრომობდა. ამბობდა, თავისუფლად ცხოვრება მინდა, ისე როგორც ჩიტები და სხვა ღვთის ქმნილებები ცხოვრობენ“.

სულთანმა ნივთები შეუგროვა და საქმელი და ცოტა ფულიც მისცა. კოლკას ფული არ აუღია, ნივთებიდან პატარა ფუთა შეკრა და მხოლოდ ერთი დღის სამყოფი საქმელი წაიღო. თითოეულ სულიერს ღმერთი კვებავსო — ასე თქვა. საქმლის მარაგი რომ წავილო, ღმერთის იმედი აღარ უნდა მქონდეს და მარტო საკუთარ თავზე უნდა ვიყო დამოკიდებულიო. ვინ არის ადამიანი? და რა იცის ხვალინდელ დღეზე?

კოლკა შორს არ წასულა. მეურნეობის მინდვრების გადაღმა, ელექტროსადგურის გვერდით, თუთის ხეების ტყეში დასახლდა, ტოტებისაგან ქოხი დადგა და სათბურის ცელოფნით გადახურა. ზაფხულში ჩვენთან ისე ცხელა, მინაზე ძილიც კი შეიძლება.

კოლკას თავის გამოსაკვები საქმეც გამოუჩნდა. აბრეშუმის ჭია მხოლოდ თუთის ფოთლებით იკვებება, სოფელში კი აბრეშუმის მეურნეობა იყო. კოლკა ფოთლებს აგროვებდა, მეურნეობას აბარებდა და საჭმელს და სხვა საჭირო ნივთებს ყიდულობდა. ის ტყეს არ ანადგურებდა და თუთის ფოთლებს მხოლოდ მაშინ კრეფდა, როდესაც საჭმელი უთავდებოდა. სხვა დროს

— ქოხთან იჯდა, ტყეში, მდელოებზე და ხორბლით დათესილი მინდვრების გაყოლებით დაეხეტებოდა. ტყეში სასეირნოდ და სათამაშოდ გავრბოდით, სადაც კოლკასაც ვხვდებოდით. ის გვესალმებოდა და გვერდს გვიქცევდა. ასეც ხდებოდა, საკუთარ თავს ესაუბრებოდა ხოლმე.

კოლკა განსაკუთრებული მანანალა იყო. ის არ სვამდა, არც „ბელომორსა“ და „პრიმას“ ენეოდა და სუფთად ჩაცმა უყვარდა. როდესაც ტყეში დაიწყო ცხოვრება მდინარესა და არხებში ბანაობდა. მის ხელში წიგნი არასოდეს მინახავს, თუმცა, ბევრი რამ იცოდა და წიგნიერი ადამიანისთვის საუბრობდა.

როდესაც კოლკა, კვირაში ორჯერ, ჩვენს ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში საყიდლებზე მოდიოდა უფროსები შეკითხვებს უსვამდნენ და მისგან რჩევებსაც იღებდნენ. ბავშვები მათ ფეხებში ვედებოდით, რადგან კოლკას მოსმენა საინტერესო იყო.

— კოლკა, რატომ არ მუშაობ? — ეკითხებოდა რომელიღაც მეზობელი, დარბაისლური შესახედაობის ოჯახის მამა, — მეურნეობას დარაჯი სჭირდება. ჯიხურში იცხოვრებ. არ სვამ, მიგიღებენ.

კოლკა ილიმებოდა და ხელს აქნევდა:

— ზეციური ფრინველები არ თესავენ და არც მოსავალს იღებენ, მათ ღმერთი ასაზრდოებთ. მინდვრის შრომანიც არსად მუშაობს, მაგრამ აბრეშუმით და ძონითაა შემოსილი, ასეთნაირად სოლომონიც კი არ იმოსებოდა თავისი ბრწყინვალეებისა და დიდების უამს.

კოლკას სიტყვებმა განმაცვიფრა და მათზე დიდხანს ვფიქრობდი. ვუყურებდი ურცხვი, მუქთახორა მტრედების გუნდები როგორ უტევდნენ კალოზე, პურის ლენვისას, ხორბლის გორაკებს. ვფიქრობდი სოლომონზე. ვინ იყო ეს სოლომონი? იქნებ, კოლკა სალამანზე ამბობდა? სალამანი იყო სანყობის გამგე და ლამაზად იცვამდა: დღესასწაულებზე კოსტიუმი და ჰალსტუხი, ხან ჯინსებიც. ზამთარში კი „დუბლიონკა“ ეცვა.

კოლკა ხან ასეც პასუხობდა:

— ღმერთმა დამიფაროს! დაიწყებენ ქალაქების შევსებას, მერე ნომერს მოგანიჭებენ, საალრიცხვო წიგნში შეგიტანენ და ცოდვილი სულიც გაქრება.

— ცუდი რატომაა საალრიცხვო წიგნში შეტანა?

— ცუდი იმიტომაა, რომ მხოლოდ ერთი ჭემ-მარიტი წიგნი არსებობს — სასუფველში, ქვის ფიცარზე დანერილი სჯულის წიგნი. მასში თითოეული ადამიანის ბედ-ილბალია ჩანერილი დაბადებიდან გარდაცვალებამდე და ამ წიგნის მიხედვით უნდა იცხოვრო. ანტიქრისტეს, რომელიც ღმერთისგან დედამინაზე გაიქცა, საკუთარი წიგნი აქვს. ამ წიგნში თითოეულ გზაკვალარეულ ადამიანს ჩანერენ, შენს სახელს დაეპატრონებიან, მერე კი სულს და ჯოჯობეთის ცეცხლისკენ გაგაქანებენ. აი, ესეც შენი საალრიცხვო წიგნი.

სოფლის პატივსაცემ დედაკაცებს, რომელთაც ხუთ-ხუთი შვილი გააჩინეს, არ ესმოდათ, ოჯახის გარეშე მამაკაცი ბედნიერი როგორ უნდა ყოფილიყო და ასეთ გამონაკლისს კოსმიური წესრიგის დარღვევად თვლიდნენ. ისინიც ცდილობდნენ მონანილეობა მიეღოთ კოლკას ბედისწერაში:

— როგორ ცხოვრობ ცოლის, შვილების გარეშე? არაფერი გაბადია. მისმინე, ჩვენთან, წყალსატუმბის იქით, ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობს. რა თქმა უნდა მზეთუნახავი არ არის, მაგრამ მშვიდი ხასიათისაა, სახლიც აქვს და ნაკვეთიც. მოდი, ცოლად შეგერთავთ.



კოლკა ქალებთან იბნეოდა, მაგრამ მათთან გულ-ლიად საუბრობდა:

— ცოლი, — ემზაკის ჭურჭელია, უდიდესი საც-დური. მათზე წმინდა ბერები ბევრს წერდნენ.

— ისინი ბერები იყვნენ. შენ ჯერ კიდევ მშრომელი, ახალგაზრდა კაცი ხარ. არ სვამ. ცოლი გინდა, ცოლი გაგამხიარულებს.

— ღვთის წყალობით, ისედაც კარგად ვცხოვრობ... ცას შევეყურებ, მარადიულ სიცოცხლეზე ვფიქრობ... მონყენილი არ ვარ.

მაღე კოლკამ სახელი მოიხვეჭა როგორც არანორ-მალურმა თუ წმინდანმა. პირველი ვერსიისკენ უფრო მეტად კაცები იხრებოდნენ. ოჯახზე ზრუნვით გასა-ვათებული მამაკაცები სულიერებისგან მუდამ შორს იდგნენ. თუმცა, გულში კოლკასი შურდათ, რადგან თითოეულ მამაკაცს თავისუფალი ცხოვრება სურს.

ქალებს თავიანთი ქმრები უყვართ, რომელთაც ოჯახებში ფული შემოაქვთ და ბავშვების აღზრდაში ეხმარებიან. თუმცა, ყოველ ქალს გული წმინდანო-ბისკენ მიუწევს და სულის სიღრმეში ხვდებიან, რომ მხოლოდ გასხვიონებულ კაცს შეუძლია მათი ღმერ-თის სასუფეველში მიყვანა.

ღიასახლისები კოლკას რჩევებს აღარ აძლევდნენ. სამაგიეროდ, ახალდაცხოვილ მარილიანი ხაჭოს ხმია-დებს ტილოში გადაახვევდნენ, შუშის ქილაში ჩასხმულ რძეს პლასტმასის ხუფს დააფარებდნენ, ბავშვებიდან რომელიღაცას უხმობდნენ და ეტყოდნენ:

— აბა, გაიქეცი, კოლკას მიუტანე.

ბიჭი კოლკას ქოხთან პოულობდა, საჭმელს გად-ასცემდა და ჩვეულების მიხედვით წარმოთქვამდა:

— სახინ!

კოლკა მონყალებას ღირსეულად ლეზულობდა და წესისამებრ პასუხობდა:

— დერ ეზ ხილ!

ხმებმა კოლკას შესახებ სოფლის მოლამდეც მი-აღწია, მხოლოდ მან იცოდა არაბული ენა და წმინდა ყურანის კითხვა. თუმცა, ამბობდნენ რომ არც მოლამ იცოდა არაბული, მხოლოდ ჩახლართულ ასოებს კითხ-ულობდა, მაგრამ რად გინდა, აზრი ვერ გამოჰქონდა. ამაზე, მისი თანდასწრებით არ ლაპარაკობდნენ. ისე კი, რასაკვირველია, მოლას პატივს სცემდნენ.

რადგან კოლკას მატერიალურ ცხოვრებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნული, მოლამ გადაწყვიტა, განდგეილი წინასწარმეტყველ მუჰამედის ჭეშმარიტ რწმენაში მოექცია. დიდება და გამარჯვება მას. იგი კოლკას სავანესთან მივიდა და მასთან თეოლოგიურ საკითხ-ებზე დიდხანს საუბრობდა. მოლამ მიზანს ვერ მიაღ-წია, თუმცა კმაყოფილი დაბრუნდა: კოლკამ თქვა, რომ ალაჰი დიდია და თითოეული თავისებურად ასხამს ხოტბას. ხოლო გადახტე ერთი რწმენიდან მეორე რწმე-ნაში ნიშნავს, რომ დაემსგავსო თხას ან უგუნურ ძროხ-ას, რომელსაც ეჩვენება, რომ ბალახი გზის გადაღმა უფრო მწვანეა. თუკი ადამიანს არ შეუძლია რწმენაში ღვთაებრივი სრულყოფის მიაღწევა, მაშინ ამაში დამ-ნაშავენი არიან არა საღვთო წერილი და წინასწარმე-ტყველები, არამედ ჭუჭყიანი გული და უზნეო გონება.

ვერ მოხერხდა კიდევ ერთი ვიზიტის თავიდან აცილება. როდესაც უსახლკარო მანანალები პა-ტრონებთან ცხოვრობდნენ, მილიცია მათით არ ინ-ტერესდებოდა — თითოეული სოფელი მილიციონ-ერის მეგობარი ან ნათესავი იყო და შეეძლოთ ეთქვათ, რომ ეს ადამიანი რუსეთიდან ჩამოსული სტუმარია, კავკასიურ ჰაერზე ისვენებს და თან ცოტას ეხმარე-ბათ. მაგრამ როდესაც კოლკა წყალნაღებულ მანან-ნალად იქცა, იძულებულნი გახდნენ, საპასპორტო

რეჟიმის დარღვევისა და მუქთახორობისთვის პასუხ-ისგებაში მიეცათ. მუქთახორობაზე სისხლის სამართ-ლის საბჭოთა კოდექსში სპეციალური მუხლი არსე-ბობდა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი უმუშევრის გასამართლება შეიძლებოდა.

ამიტომ მილიციონერმა კოლკა იპოვნა და არასა-სიამოვნო კითხვები დაუსვა.

თუმცა კოლკა, ასეთი სტუმრობისთვის მომზადე-ბული აღმოჩნდა. მას თან ჰქონდა პასპორტი, იგი ტამ-ბოვის ოლქში იყო ჩანერილი. უმუშევრობის ბრალდე-ბაზე კოლკამ კიდევ ერთი დოკუმენტი წარმოადგინა — ცნობა ინვალიდობის შესახებ, ოღონდ გაუგებარი იყო რა ავადმყოფობის გამო, კოლკა სავსებით ჯანმრთე-ლად გამოიყურებოდა — მაგრამ მას საბუთი ჰქონდა. განდგეილმა ასევე თქვა, რომ კავკასიის ჰავა საბჭოთა ექიმებმა ურჩიეს და ამიტომ არ ცხოვრობს მშობლიურ ციმბირში.

მილიციონერი არ ჩუმდებოდა: მანანალობა არ შეიძლება. თუ ავადაა, შესაბამისი დანესებულებები, სანატორიუმის საგზურს კანონიერად და ოფიციალუ-რად გამოუწერენ.

და აქ კოლკამ მილიციონერი სახტად დატოვა.

— მე ბოშა ვარ. და მე, როგორც მცირე ერის წარ-მომადგენელს, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუ-ნებისთვის, რის შესახებაც პარტიულ ყრილობაზეც იყო საუბარი, ძალიან მჭირდება მომთაბარეობა. მად-ლობა უფალს, კაპიტალისტურ ამერიკაში არ ვცხოვ-რობთ, სადაც უუფლებო ინდიელებს რეზერვაციამი ერეკებიან, ზანგებს კი სახრჩობელაზე ჰკიდებენ.

— რანაირი ბოშა ხარ... — არც ისეთი დარწმუნე-ბით შეეპასუხა მილიციონერი, — ბოშები, თითქოს შავები და ხუჭუჭთმიანები არიან...

— თქვენ რა, ბოშებში კარგად ერკვევით?!

და კოლკამ ჯიბიდან ნამდვილი ვერცხლის საყურე ამოიღო და არა მხოლოდ ამოიღო, ყურზეც კი მოირგო — ყური გახვრეტილი ჰქონდა.

— ასე, ვგავარ?

სამართალდამცავმა შეიგინა, საქალაღდე დახურა და ნავიდა.

სახლში კი მილიციონერს ცოლმა ტვინი გაუბურ-ლა: ხულიგნების ნაცვლად ღვთის ადამიანს გადაეკიდა, რომელიც თავისი არსებობით ხელს არავის უშლისო.

ჩეჩენი ქალები მხოლოდ სხვათა დასანახავად არ-იან მღუმარენი და ქმრების ხაზგასმულად მორჩილები. ცოტამ თუ იცის რა ხდება სახლში, როდესაც კარი იხ-ურება...

ასე გავიდა ორი წელი. შესაძლოა, სამიც. მე კლასიდან კლასში გადავდიოდი. მეზობლის პატარები დაიზარდნენ. მეურნეობას ყოველწლიურად ხორბლის, ჭვავისა და შვრიის სარეკორდო მოსავალი მოჰყავდა. სოფლელები სიმინდს ფშვნიდნენ, საქონელს კლავდ-ნენ, დაქორწინებული შვილებისთვის ახალ სახლებს, ხოლო საქონლის ნამატისთვის ახალ საძროხეებს აშენ-ებდნენ.

გამოსაზამთრებლად, კოლკა რომელიმე შეძლე-ბულ მესაკუთრეს მშენებლობაზე ეხმარებოდა. ზაფხ-ულის დადგომისთანავე კი, განდგეილივით ტყესა და მდელოებს მიაშურებდა. თუთის ფოთლების გარდა, ის ასევე კრეფდა თუთის ხის ნაყოფს, ველურ გარგარსა და ვაშლს, მერე დამამზადებელ კანტორაში აბარებდა და ასე ირჩენდა თავს, რისთვისაც ძალიან ცოტა რამ სჭირდებოდა: საჭმელი, სასმელი და რაღაც ჩასაც-მელი, რათა შიშველსა და ჩამოფლეთილს არ ევლო და საზოგადოება არ დაეთრგუნა. კოლკას ყველა შეეჩვია და სულიერ გმირობაში ხელს არ უშლიდნენ.



თუმცა, კოლკა სულიერად დაეცა.  
მხოლოდ ძლიერი რწმენის მქონე ადამიანები შეიძლება დაეცნენ, მხოლოდ მათ წინააღმდეგ იყენებს ადამიანთა მოდგმის მტერი თავის ყველაზე მზაკვრულ ცდუნებებს. ამქვეყნიურ სიამეებზე დახარბებული ადამიანები ეშმაკს არ აინტერესებს, მათ სულელებს ისედაც მბრძანებლობს.

კოლკას დაცემა ერთგულებით დაიწყო, რომელიც თავიდან უწყინრად გამოიყურებოდა და გულსაც კი გიჩუყებდა.

ერთხელ, კოლკა ჩვენს ქუჩაზე ბრმა, გალუმპული ლეკვით გამოჩნდა. კოლკა დაბნეულად გამოიყურებოდა და ყველა შემხვედრს უხსნიდა:

— ბებერმა ძუკნამ არხში დაყარა... და მოკვდა... მე კი თავს დავტრიალებდი. ვუყურებ — თითქმის ყველა ლეკვი მკვდარია. მხოლოდ ერთი მოძრაობს! ესეც ხომ ღვთის ქმნილებაა... დრუნჩს ძუძუს ურტყამდა... რძე უნდა!..

კოლკას რძე მისცეს. მან ალუმინის ჯამი იპოვნა და ლეკვი რძის სვლეპას მიაჩვია. ლეკვს ხელით ატარებდა, მასთან ერთად ეძინა, ღამით საკუთარი სხეულით ათბობდა. ასე რომ, ლეკვისთვის დედად იქცა, შეეჩვია და შეიყვარა.

ეს შეცდომა იყო. თავისუფლების გზაზე შემდგარი ადამიანისთვის, ამ წარმავალ ქვეყანაში, საჭირო არ არის ვინმეს შეჩვევა და შეყვარება. ღირს კი ცოლის და ბავშვების, მოხუცი მშობლების მიტოვება, მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ უთვისტომო ძალღიმი შეიყვარო?

მსგავსი ისტორია, ათასი წლის წინათ, ინდოეთში, დიდ მეფე ბხარატას გადახდა, რომელმაც სასახლე და ოჯახი მიატოვა და ტყეში ირემი შეიყვარა. კოლკას ისტორიაც ტრაგიკულად დასრულდა.

ლეკვი გაიზარდა და ბანჯგვლიანი, მოღრეცილი ფეხებით კოლკას დასდევდა და კუდს სასაცილოდ უქიციანებდა. კოლკა სახელმწიფო სამსახურზე კვლავ უარს ამბობდა და უცნაურად საუბრობდა, მაგრამ როდესაც ძალღიმი უყურებდა, მის თვალებში ჩვეული მინიერი სიყვარული, სითბო და მზრუნველობა იკითხებოდა.

ერთხელ, როდესაც ლეკვი წამოიზარდა, კოლკა ჩვენს მეზობლებთან ჩაის დასალევად შევიდა, ძალღიმი კი ქუჩაში დატოვა. აქ ქალაქი არ არის, ძალღიმის სახლში შეყვანა აკრძალულია.

ბიჭებმა კი ძალღიმის ჩხუბი მოაწყვეს.

— დავნიძლავდეთ, შენი ბორზიკი კოლკას ძალღიმს ვერ მოერევა.

— ჩემი ბორზიკი ნაფლეთებად აქცევს.

— მოდი, ერთმანეთს მივუქსიოთ!

მიუქსიეს.

ბორზიკი ახალგაზრდა, მაგრამ ვეება ქოფაკი იყო, რომელსაც მგლის სისხლიც ერია. დიდყურა მაგომედის დაგემილი ბორზიკი, კოლკას შვილობილს ეცა და წამში მინაზე გააგორა. როგორც წესი, ბორზიკი დამარცხებული მეტოქის დამცირებით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ჩხუბი შეენწყვიტა, მაგრამ ან კოლკას შვილობილს არ უნდოდა დაწინაურება და მიუხედავად განწირული ნკავნკავისა კბენას განაგრძობდა, ან ბორზიკს გაახსენდა თავისი მგლური წარმომავლობა და მეტოქეს ხორცს აგლეჯდა. მაგომედიც აღარ უქსევდა, აღარ გაჰყვიროდა: „ხაეც, ფასს!“, მაგრამ ბორზიკი არ მოშინდებოდა.

კიდევ ნუთიც და ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ სახლიდან კოლკა გამოვარდა, გადაჯაჭვულ ძალღიმებს შიშველი ხელებით ეძგერა, ბორზიკი უშიშრად უკუაგდო, დასისხლიანებული, საყვარელი ძალღიმი

ხელში აიყვანა და ბავშვებს გაბოროტებული მზერა ესროლა. მერე იქაურობას გასცილდა და სოფელში დიდხანს აღარ გამოჩენილა.

მან ძალღიმი ისევ გადაარჩინა.

მერე, მეურნეობის სატვირთომ, დაბნეულ შვილობილს მოსახვევში ბამპერი გაჰკრა. კოლკამ ძალღიმს ისევ უმკურნალა და სიკვდილისგან იხსნა.

მაგრამ ძალღიმს სიცოცხლე არ ენერა!

კოლკას შვილობილი მოკვდა.

საწყობის გამგის, სალმანისგან, კაპიკებად ნაყიდი საწარმოავით სოფლები ქრცვინებს ანადგურებდნენ, რომლებიც ბოსტნებს აფუჭებდნენ. კოლკას ძალღიმი მონამღული, უსიცოცხლო მღრღნელი დაიჭირა და შეჭამა. ძალღიმი დიდხანს, წამებით კვდებოდა. აგონია დღეზე მეტხანს გაგრძელდა და ყვითელი ქაფი ხახვიდან ფანტელებად სცვიოდა.

როდესაც ძალღიმის სხეული გაცივდა და გაშემდა, კოლკა ქუჩაში გამოჩნდა — ძალღიმი განვდილ ხელებზე ესვენა. როცა ხალხი შეგროვდა, მან თქვა:

— მწვალებლებო! მინას საწარმოავით წამლავთ და ღვთის ქმნილებებს ღუპავთ! ბრალი შენი, ბაბილონო, ცოდვილო მეძავო!

კოლკას გაუპარსავი ლოყებიდან ცრემლი სცვიოდა.

ეგონათ, რომ კოლკა ძალღიმს დამარხავდა, მაგრამ გვამი შუა ქუჩაში მიატოვა და წავიდა. სულთანმა მკვდარი ძალღიმი უკანა ფეხებით ასწია და საწარმოავით გადააგდო.

კოლკამ სმა დაიწყო, გამოუფხიზლებლად სვამდა. უფილტრო პაპიროსებს განუწყვეტილად ეწეოდა. ყველა მანანნალაზე უარესი გახდა, აყროლებული და ჭუჭყიანი.

დასალევად ფულია საჭირო და კოლკამ ქურდობას მიჰყო ხელი. თავიდან მხოლოდ ტუქსავდნენ, რადგან კოლკას სულიერი გმირობა ახსოვდათ. მერე მსუბუქად მიტყეპავდნენ ხოლმე. ბოლოს კი, რაც ხელში მოხვდებოდათ, გამეტებით ურტყამდნენ. თუმცა კოლკა არ მოშინდებოდა, იპარავდა და სვამდა. მისი მილიციაში ჩაბარება მოუწიათ.

კოლკამ დატუსაღებას ვერ გაუძლო, ვერც სევდას, ვერც საშინელ ნაბახუსევს დააღწია თავი და სოფლის წინასწარი დაკავების საკანში აღმოხდა სული.

ის რელიგიური წეს-ჩვეულების დაცვის გარეშე, მუსულმანური სასაფლაოს გალავნის მიღმა დამარხეს. რუსულად წესის აგება ჩვენს სოფელში თითქმის არავინ იცოდა. ვინც იცოდა — სოფელში რუსებიც იყვნენ — ამ საქმეში გარევა არ ინდომეს. უახლოესი ეკლესია და მართლმადიდებლური მღვდელი მხოლოდ გროზნოში იყო. არავის სურს მანანნალის სხეულის თრევა! მით უმეტეს, რომ სხეულით სატარებელი ვერცხლის ჯვარი კოლკამ სასამელში გაანიავა.

ამით კოლკას ისტორია დასრულდა.

და დაიწყო სხვა ისტორია, რომელიც ძნელი ასახსენილია.

სოფლის გადაღმა არხში, ლეკვების დასაყრელად, კვლავ ძუკნამ დაიბუდა. ოთხი ლეკვიდან სამი დედამ შეჭამა. დარჩა მხოლოდ ერთი ლეკვი, დიდი, შავი, გვერდებზე ნაცრისფერი ლაქებით. დედის მთელი რძე მას ერგო და ჯანმრთელი და ავი გაიზარდა.

სოფელში, განსაკუთრებით მის შემოგარენში, მუდამ ცხოვრობდნენ მანანნალა ძალღიმები. ძალღიმის დამჭერი ბრიგადები იშვიათად ჩამოდიოდნენ და ძალღიმებს სხვადასხვა სენის გავრცელების თავიდან ასაცილებლად იჭერდნენ. მაგრამ დადგა დიადი ქვეყნის აღსასრულის ჟამი, სანიტარულის ჩათვლით ყველა





სამსახური მოიშალა და შავი ძაღლის დასაჭერად აღარავის ეცალა. ის გაიზარდა სანაგვეებზე, ახრჩობდა დაკარგულ ქათმებს და იმ შფოთიან დრომდე მოაღწინა, როდესაც ქარმა ჩრდილოეთიდან დენტის ტკბილი სუნი და ომის სიმყრალე მოიტანა.

ერთ ღამით, შავი ძაღლი ჩვენს ქუჩაზე ხმამაღლა აყმუვლდა. სახლის ძაღლებმა გაბმული ყეფით უპასუხეს. მან იყმუვლა და ტყეში გაიქცა.

დილით კი საჭაერო თავდასხმა მოხდა. რუსულმა თვითმფრინავებმა ბომბები ბაზარში ჩამოყარეს და ერთბაშად ასობით ადამიანი მოკლეს და დაასახიჩრეს.

ძაღლი ხშირად მოდიოდა. ვილაცის კართან გაჩერდებოდა და ყმუოდა.

მეორე დღეს კი მოლუშული, გამურული, ფედერალურ ჯარებთან შეჯახებებით გასავათებული მეომრები მეგობარს მოასვენებდნენ.

სოფლებმა შავი ძაღლის მოკვლა გადანყვიცეს, მაგრამ უხუცესებმა შეაჩერეს: უბედურება ძაღლს არ მოაქვს, ძაღლი მხოლოდ ამ უბედურებას გვამცნობს, გვაფრთხილებსო.

მშობლები შვილების სახალხო ლაშქრიდან წამოყვანას ცდილობდნენ. არაფერი გამოდიოდა. შავი ძაღლი დაიყმუვლებდა — რუსები მოვიდოდნენ და სახლიდან შეუიარაღებელ შვილს გამოიყვანდნენ. უკან კი აღარავინ ბრუნდებოდა.

დედებმა უხუცესებს უთხრეს: ძაღლის გაფრთხილება ფუჭია, რადგან არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიაო.

შავი ძაღლი დაიჭირეს, თოკით გაკოჭეს და განაჩენის გამოსატანად ჩვენს ქუჩაზე მოათრიეს. სოფლებების უმრავლესობას სანადირო, ორლულა თოფები ეჭირა, სხვები ავტომატებითა და პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ სროლას ვერავინ ბედავდა. შიშობდნენ, შავ ძაღლს კიდევ უფრო მეტი უბედურება არ მოეტანა.

ხალხს ნლებისა და მწუხარებისგან თმაშეთეთრებული სულთანი გამოეყო. მას შემდეგ, რაც მისი ვაჟიშვილები წაიყვანეს, გაგიჟებას ცოტალა ეკლდა.

სულთანს ხელში დიდი დანა ეჭირა, ის გაკოჭილი ძაღლის წინ ჩაცუცქდა, გაავებულ თვალეში ჩახედა და მშვიდად უთხრა:

— გამარჯობა, ეს მე ვარ, სულთანი, მიცანი? კოლკა, სახლში დაბრუნდი. ჩვენ შენთვის არაფერი დაგვიშავებია. აქედან წადი და საიდანაც მოხვედი იქ დაბრუნდი!

სულთანმა ძაღლის თათებზე დახვეული თოკი გადაჭრა. შავი ძაღლი ფეხზე წამოხტა და ჩრდილოეთით გაიქცა.

რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ საკუთარი სიზმრებიდან ვიცი. აი, ძაღლი სატვირთო ავტომობილების და ჯავშანმანქანების ფარების შუქში გზის გასწვრივ მიძუნძულეს. აი, ის სამხედრო ნაწილთან ჩერდება და საველე სამზარეულოსთან რაღაცებს ჭამს. მერე კვლავ ველზე გარბის. ის გაირბენს სოფლებს, გვერდს აუვლის ქალაქებს, სანამ მთლად მთავარ დედაქალაქს არ მიადგება. დაუსხლტება რა მილიციასა და ძაღლებს და მჭერ ბრიგადებს, ღამით მთავარ მოედანზე შეირბენს, რომლის გასწვრივაც დაკბილული აგურის კედლებია. ის ძველ ქვაფენილზე ჯდება, ხახას ცისკენ გამომწვევად იშვერს და ყმუის.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც გამოღვიძებული ვხედავ, ძაღლს გზის ბოლოსთვის ჯერ არ მიუღწევია. ის გზაშია. და თუ თქვენს ეზოში, ან სახლთან პარკში, ან ტყის ველობზე, ან სკოლასთან, სადაც შვილები დაგყავთ შეამჩნევთ შავ, უსახლკარო, გვერდებზე ნაცრისფერლაქებიან ძაღლს, თქვენ გეცოდინებათ: ის კოლკაა, ღვთის მანანწალა.

*რუსულიდან თარგმნა  
აკაკი დაუშვილა*





როინ ჭიკაძე

ნიკო ლორთქიფანიძის პროზის ენობრივი ექსპრესია



ნიკო ლორთქიფანიძე დინამიური თხრობის დიდოსტატია, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს მისი პროზაული ქმნილებების ენობრივი ექსპრესია; საამისოდ მწერალი მიმართავს ისეთ სტილურ საშუალებებს, როგორცაა: ფრაზისა და ძირეული სიტყვის დაბეჯითებითი გამეორება, რიტორიკული შეკითხვა და ჩაკითხვა, კითხვა-პასუხი, სხარტი დიალოგები, მოკლე მარტივი წინადადებები, სახელდებითი წინადადებები...

ასეთი სტილური მრავალფეროვნების ძალისხმევითა და თხზულებათა ორიგინალური კომპოზიციური ქარგით მიიღწევა უდიდესი ფსიქოლოგიური მუხტი.

ყურში ჩაგვესმის მწერლისეული გულმტკიცენულად დაბეჯითებული მოძახილი — **„მოუარეთ საქართველოს!“**:

მყინვარი გამოსცემს ექოს — **მოუარეთ საქართველოს!**

ბაგრატის ტაძარი ღაღადებს — **მოუარეთ საქართველოს!**

რუსთაველი გემოდღვრავს — **მოუარეთ საქართველოს!**

როინი, თერგი და მტკვარი გვევედრება — **მოუარეთ საქართველოს!**

წვიმის თითოეული წვეთი შეგვახსენებს — **მოუარეთ საქართველოს!**

(„ლიტერატურული საღამო“)

გამაფრთხილებლად გაისმის ტკივილიან სიტყვაზე აქცენტირებული მრავალგზის გამოერებული ფრაზა: საქართველო იყიდება... იყიდება საქართველო. იყიდება ყველგან. იყიდება ერთიანად. იყიდებთ ბარემ! („საშობაო მინიატურები“).

მოთხრობაში „უილქნოდ“ ერთ-ერთი თავის სათაურია **„რატომ?“**; ეს სიტყვა რეფრენად გასდევს ტექსტს როგორც რიტორიკული კითხვა-ჩაკითხვა ტანჯული ცხოვრების უკუღმართობის დასტურად: **რატომ? რატომ? რატომ?**

ნიკო ლორთქიფანიძეს მინიატურა „ოჯახის“ ტექსტი ამავე სიტყვაზე აქცენტირებულ კითხვა-პასუხზე აუგია:

ვინ რთავს გზას ია-ვარდით, ვინ გვაშორებს ეკლსა და ქაცვს? — **ოჯახი.**

უანგაროთ ვინ გვცემს თავყანს? — **ოჯახი.**

სად მოვისვენებთ დაღლილ-დაქანცული? — **ოჯახში.**

დაუძღურებულს სად მოარჩენენ მოვლით? — **ოჯახში.**

ვინ დაგვეხმარება სევდის ატანაში? — **ოჯახი.**

ნიკო ლორთქიფანიძისათვის **ოჯახი** „სიყვარულის, სათნოების, ლმობიერებისა და თავგანწირვის ტაძარია“. ამიტომაცაა, რომ შემთხვევით არ დაგვიბეჯითა ეს სიტყვა. მწერალმა შესანიშნავად იცის სიტყვის ფასი და სიღრმისეულად განჭვრეტს მასში ჩადებულ აზრს: „ნათქვამ სიტყვაში იმდენივე აზრია, რამდენიც წერტილია დანერილ სიტყვის ასოებში. მთელი ლექსიკონი მკვდარ სიტყვებისა ვერ გადმოგვცემს საიდუმლო აზრს ყოველი სიტყვის გამოთქმაში ჩაფარულს“ („ტლანქი იგივე ნაზია“).

და ნიკო ლორთქიფანიძეც ნიადაგ ეძიებს „საიდუმლო აზრს ყოველი სიტყვის გამოთქმაში ჩაფარულს“. ეძიებს და პოულობს კიდევ! მწერლისეული ენობრივი ექსპრესია მიღწეულია უაღრესად ლაკონური თხრობის სტილით; თითოეული სიტყვა დატვირთულია აზრობრივად, ფრაზა — დახვეწილი და მკაცრად ეკონომიური, სადაც ნაცვალსახელებსაც კი დიდი მომჭირნეობით და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იყენებს:

„შევცქერი და მეხარბება. ვაკვირდები და ვითმენ. მე თვით ვინყებ წერას. დანერილს ვხეგ. დავდივარ. ვტოვებ ოთახს“ („საიდუმლო“).

სიტყვიერი ლაკონიზმითაა აღბეჭდილი დიალოგები:

„მოგწონვარ? — ძლიერ! გიყვარვარ? — გაგიჟებთ! გინდივარ? — ჟრუანტელით! შემირთავ? — არა! — უხეირო! („პანაშვიდი“).

ფრაზის ეკონომიის მიზნით მწერალი ხშირად მიმართავს სახელდებით წინადადებებს:

მეფის პორტრეტი: „დინჯი ნაბიჯი. დაძაბრული სხეული. მიხრა-მოხრა მკვირცხლი. კილო მბრძანებელი. აზრი ფხიზელი“ („რაინდები“).

იავარქმნილი საცხოვრისი: „დაბალი ჭერი. გაულაქავი იატაკი. ნაცრისფერი კედლები. მიულაგებელი მაგიდა...“ („უფერულობა“).

ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა ენობრივი ექსპრესია მიიღწევა ფრაზის რიტმულობით: „სურათებს, ლექსებს პროზით მოგართმევთ“, გვთავაზობს მწერალი და აკი გვაზიარა კიდევ პოეტურ პროზას:

„სხვაგვარ მელანში ვანებდი კალამს / და მაშინ ვწერდი ასეთ ექსპრომტებს, / ახლა კი მხოლოდ მეხსიერება / გრძნობის მაგიერ მე მიკარნახებს... / დანჯრულ მღერას ჰარმონიათ ქმნის; / ნოტიო ბნელეთს დედოფლის კოშკათ; / ტალღათა შორის გასცურავს ნავი; / რაში მყინვარსა ჩვენ გადაგვაფრენს. / ღრუბელი მხოლოდ იმიტომ ჩნდება, / რომ მოტრფიალეთ





არ დაჰკრას მზერა, / ქარი გუგუნებს, ჩვენი ფაჩუნი / რომ არ შებლალოს სხვის უხემ სმენამ“ („კახიშვილის რვეულიდან“).

მოტანილი ტექსტის ათ მარცვლიანი სტრიქონები, რითმი და რიტმი დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვიერებისათვის.

ზოგჯერ კი ნიკო ლორთქიფანიძეს პროზისეული ენობრივი რიტმი პოეტურ სრულყოფილებამდე აჰყავს ბგერითი ეფფონიით:

„ტანჯულმა სულმა ტანჯულს ცხოვრებას / ტანჯვით მოულო ჩემს შტოზე ბოლო“ („აგაფისფერი ძეგნა“).

ის ფაქტი, რომ რუსთაველის თეატრში დადგმულ „პოეზიის საღამოზე“ ქართველი პოეტების ლექსებთან ერთად იკითხებოდა ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები, სწორედაც რომ მწერლისეული პოეტური პროზის აღიარება გახლდათ.

ამ მხრივ გამორჩეულია მინიატურა „ტრაგედია უგმიროთ“, სადაც ერთი ადამიანის შემადრწუნებელი ტრაგედიით ნაჩვენებია მთელი საზოგადოების სავალალო ყოფა. ამ მინიატურაში გაცხადდა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით მრწამსი: „მწერალიც მხოლოდ ერთისთვის წერს, თავის გულის ნადებს აცხადებს, მრავალს კი ელაპარაკება. მწერალი თანაც ქურუმია, რომელიც ღალადჰყოფს ათასთა მწუხარებას“ („პანაშვიდი“).

„ტრაგედია უგმიროთ“ მართლაც უგმირია იმ გაგებით, რომ მასში ერთეულ ადამიანთა ბედუკუღმართობა კი არაა ასახული, არამედ მწერალი „ღალადჰყოფს ათასთა მწუხარებას“. ამიტომაცაა, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ამ მინიატურის არც ერთ პერსონაჟს საკუთარი სახელით არ იხსენიებს; ესენი არიან: თვითგადარჩენის მხეცური ინსტიქტით შეპყრობილი მამა, შიმშილით ღონემიხდილი ბავშვები, გაბოროტებული მეზობელი, კეთილი ბებერი ნათლია... მწერალი ამითაც გვიჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულებაც არ არის ერთგვაროვანი და თითოეული მათგანი თავისი თვალთახედვით განსჯის ამ ტრაგედიას; ზოგისათვის „საცოდაობა დატრიალდა“, ზოგი კი ბრაზობდა, იწყევლებოდა და თან დანანებით მოთქვამდა: „რალა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბანრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა“-ო.

ნიკო ლორთქიფანიძის თხრობის სტილისათვის დამახასიათებელია უდიდესი ნდობა მკითხველისადმი, რომელსაც თანამოაზრედ მიიჩნევს და ფართო ასპარეზს უქმნის მის ფანტაზიას. მწერლის აზრით, „მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი სამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება ნანარ-

მოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს“ („უილქნოდ“). ამის დასტურად მივმართოთ ამ უგმირო ტრაგედიის ფინალს, სადაც მხეცადქცეული მამა, როცა გონს მოეგო, — ეს რა ვქენიო, ამას დედა ხომ არ იზამდაო, „ნამოიჭრა, ეზო გადირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბანარი ხეს მაგრათ მოაბა, მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გასინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო და...“

აქ შეწყდა თხრობა, შეიკრა მინიატურის ჩარჩო და რკალი, მაგრამ მკითხველის წარმოსახვაში სახიერდება ეს შემზარავი ტრაგედია, რასაც უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვა ახლავს. ამ უმძიმეს ემოციურ მუხტს ვერ გადაურჩა ვერც მკითხველი და ვერც მსმენელი. ნიკო ლორთქიფანიძეს გათავისებული აქვს ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია — ექსპრესიულობა, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვის მძლავრი საშუალება.

ვისაც კი მოუსმენია სერგო ზაქარიასის მიერ რუსთაველის თეატრის სცენიდან ნაკითხული „ტრაგედია უგმიროთ“, დამეთანხმება, რომ ეს საშინელი ტრაგედია კიდევ უფრო გაამძაფრა მსახიობის არტისტიზმმა, რომლის შთაბეჭდილებით შთაგონებულ ოთარ ჩხეიძეს ათქმევინა: „ამოიზარდა სახე იგი მონუმენტური, მონუმენტური და ტრაგიკული, შვილების გამწირველი მამისა, თვითონვე რო გამოუტანა უმკაცრესი განაჩენი საკუთარ თავსა და თვითონვე აღისრულა; ეს ისეთი ძლევამოსილებაა, მხოლოდ ოიდიპოსმა რო შეძლო ცოდვილთა შორის“ („ხატი ნიკო ლორთქიფანიძისა“).

და როცა ფინალში მსახიობის მომწუსხველი ხმა და მინიატურის ბოლო ფრაზა შეწყდებოდა, შოკირებულ დარბაზში სამარისებური სიჩუმე დაისადგურებდა. ემოციური მუხტი კულმინაციას აღწევდა, ქანდაკადქცეული მსახიობისა და ზარდაცემული მაყურებლის ცრემლი ერთმანეთს ერწყმოდა და... ჩვენს თვალწინ წამოიმართებოდა ნიკო ლორთქიფანიძე მთელი თავისი მწერლური და ადამიანური დედიბულებით, როგორც მკითხველისა და მსმენელის ფიქრთამყრობელი: არც მიხეილ ჯავახიშვილისეული უხვსიტყვაობა, არც ბარნოვისა თუ კონსტანტინე გამსახურდიას პროზის არქაული სტილი, არც ორიგინალური სიტყვათქმნადობა თუ წინადადებათა არაბუნებრივი კონსტრუქციები... მაშ, რა ქმნის ამ სულისშემძვრელ ექსპრესიას? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს თავად ნიკო ლორთქიფანიძის პროზის სიტყვიერება, რომელიც აღბეჭდილია თხრობის დინამიურობით, პოეტური რიტმითა და მძაფრი ენობრივი ექსპრესიით, რაც ესოდენ ხელშესახებს ხდის მწერლის განუმეორებელ თვითმყოფად ინდივიდუალურ მხატვრულ სტილს.

## ლიტერატურა

ნიკო ლორთქიფანიძე, სამტომეული, გამომცემლობა „პალიტრა“, თბ., 2012.

ნიკო ლორთქიფანიძე, „ტრაგედია უგმიროთ“, ჩვენი საუნჯე, 18, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1961.

ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბ., 1997.

ოთარ ჩხეიძე, ხატი ნიკო ლორთქიფანიძისა.





ნუნუ ქამუკაშვილი



მომავლის მხატვარი



ირაკლი გემაზაშვილი

გრძნობს ფერს, სივრცეს, ფორმას, კომპოზიციას, — უყვარს მოსმენა, იგებს დარიგებას. ასევე სხვა ბავშვებისგან გამოირჩევა ხატვის დიდი სიყვარულით, რომელიც მის თვითნაბად ნიჭთან არის შერწყმული და რა თქმა უნდა იშვიათი შრომის-მოყვარეობა.

ირაკლი წინანდლის საჯარო სკოლის XI კლასში სწავლობს და სამხატვრო სკოლის IV, ანუ — დამამთავრებელ კლასის წარჩინებული მოსწავლეა.

მისი პედაგოგები დიდი სიტბოთი და სიყვარულით საუბრობენ მასზე, — ძალიან ნიჭიერი, თავმდაბალი და კეთილშობილი მოსწავლე არისო.

გავესაუბრე ცნობილ, ღვანლმოსილ მხატვარს — ჯემალ ლაშქარაშვილს. ირაკლი უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა. იგი წარმატებით მუშაობს კომპოზიციებში, ასევე, სახასიათოა მისი პორტრეტებიც. ვუცქერით სურათს: „ერეკლე მეფე ხალხთან საუბრისას“ და, ირაკლის, თითქოს XVIII საუკუნეში გადავყავართ, — წუთით ვისმენთ როგორ მოძღვრავს დიდი მეფე ერეკლე ხალხს — სამშობლოს სიყვარულით.

ირაკლის დახატული აქვს: პეიზაჟები, ნატურ-მორტები, პორტრეტები; იგი მონაწილეობას იღებს ღონისძიებებში, — გამოფენა-კონკურსებში.

ირაკლის ნახატები გამოიფინა წინანდალშიც

სურვილი მაქვს ახლოს გაგაცნოთ ნორჩი მხატვარი, ირაკლი გემაზაშვილი, — უფრო ახლოს მივიდეთ შემოქმედთან და გავითავისოთ მისი ხელოვნება.

თელავში, ახლახან, სახელმწიფო თეატრის ფოიეში — მოენყო ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების VII რესპუბლიკური ფესტივალი: „შენ ხარ ვენახი“.

აქ, სხვადასხვა ავტორების ნამუშევრებს შორის, გამოფენილი იყო ირაკლის ნახატები და სურათები: „თელავი“, „ცვრიან ბალახზე“, „გალაკტიონი“, „ქარი ქრის“ და სხვა.

ვუცქერით ნახატებს და გული სიამაყით გვესება, რომ მისი ასაკისათვის, ასეთი დახვეწილი და სრულყოფილი შემოქმედება შემოგვთავაზა ნორჩმა მხატვარმა.

როგორც სამხატვრო სკოლის დირექტორი — ვახტანგ ლაცაბიძე გვესაუბრება, ირაკლი თვითნაბადი ნიჭის პატრონია; იგი შესანიშნავად





— „ალექსანდრეობის“ დღესასწაულზე, სადაც დამსწრე საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა.

მას მიღებული აქვს მრავალი დიპლომი და სიგელი, რომელთაგან განსაკუთრებით გამოსარჩევია:

თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის ადმინისტრაციისაგან დამსახურებული დიპლომი, ახალი წლისადმი მიძღვნილი გამოფენა-კონკურსებში გამარჯვებისათვის.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისაგან გადაეცა სიგელი კონკურსში „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ მონაწილეობისათვის.

ნორჩი მხატვარი დაჯილდოვდა თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისა და თელავის ელენე

ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის სიგელებით პროექტში: „მშობლიური ჩემო მიწა“ მონაწილეობისათვის (2013 წელი).

ირაკლის აჯილდოებს, აგრეთვე, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შემოქმედებითი კავშირი და ქალაქ თელავის მერია — ლაურეატის დიპლომით, — ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების VII რესპუბლიკურ ფესტივალში „შენ ხარ ვენახი“ საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის (2015 წელი).

— შენთვის ხატვა რა არის? — ვეკითხები ნორჩ მხატვარს.

— სულიერი საგანძური, დიდი შემოქმედებითი მუხტი.

— რა გიტაცებს?

— ფერწერა და გრაფიკა. მინდა — წარსულის თემატიკა და თანამედროვეობა ერთნაირი რეალობით გადმოვცე.

— სხვა რა სურვილი და ოცნება გაქვს, ირაკლი?

— მინდა, ჩვენს ისტორიულ სოფელს, წინანდალს ჩემი მხატვრობითაც გავუთქვა სახელი და ჩვენი მშობლიური კახეთის ლამაზი პეიზაჟები ვხატო.

დავულოცოთ გზა ნორჩ შემოქმედს, ირაკლი გემაზაშვილს — დიდი მხატვრობისაკენ...





კლოდ მონე, შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა




რეზო ადამია, ზაქარია ფალიაშვილი, ოპერა „დაისი“ ფერწერაში



ვან გოგი, ვარსკელაური ღამე



ნიკო ფიროსმანი, ღომი და მზე



ვან გოგი, წითელი ვენახები არღში



რეზო ადამია

